

# Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

სპეციალური გამოცემა  
Sonderband  
2024

შედარებითი სამართლის  
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift  
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



საჯიური  
ბათონი  
2024

# შედეგობითი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	დავით მაისურაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ნოტარიუსი რინარდ ბოკი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ნატია პაპიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დოქ. არჩილ ჩოჩია
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი გონა ოყრეშიძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	დემეტრე ეგნატაშვილი
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ფრანკ ჰუპფელდი	რაჟდენ კუპრაშვილი
ხათუნა დიასამიძე	სულხან გველესიანი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	ნატალი გოგიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	ოსკარ ფონ კოსელი
	რაფაელ კნეერი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია  
ნინო ქავშაია  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე  
ტილმან სუტორი



**პროფ. დოქ. ოლაფ მუტჰორსტი**  
სამოქალაქო სამართლის, საპროცესო  
და გაკოტრების სამართლის პროფესორი,  
ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი,  
სამართლის მეცნიერებების განყოფილება

## **დასკვნა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
რეფორმასთან დაკავშირებით

– ზოგადი ნაწილი და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი –

შესრულებულია  
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების  
დაკვეთით პროგრამის „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის  
სამართლებრივი დაახლოება“ ფარგლებში.

# სარჩევი

დაკვეთა .....	V
დასკვნა .....	VI
<b>I. თემატური სტრუქტურა.....</b>	<b>7</b>
1. კერძო სამართლის კოდიფიკაცია.....	7
2. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი .....	8
a) ნივთების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით .....	8
b) ხელშეკრულების დადების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით.....	9
3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.....	10
c) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობის, აგრეთვე გარიგების საფუძვლის ცვლილების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით .....	11
d) მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით .....	12
e) სპეციალური დებულებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებისთვის .....	12
f) სისტემატიკის თვალსაზრისით საეჭვოდ განთავსებული დებულებები.....	12
<b>II. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი.....</b>	<b>12</b>
1. შესავალი დებულებანი .....	13
a) ცნება და მოქმედების სფერო სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად .....	13
b) სამოქალაქო კანონების მოქმედების სფერო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების თანახმად .....	14
c) სამართლის გამოყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით.....	16
aa) გადანყევტილების მიღების მასშტაბები .....	16
bb) კანონის და სამართლის ანალოგია .....	17
d) კერძო სამართლის ობიექტები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად .....	18
e) კერძო სამართლის სუბიექტები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით .....	20
aa) კერძო სამართლის სუბიექტის დეფინიცია.....	20
bb) სახელმწიფო ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები.....	21
cc) კეთილსინდისიერება .....	22
f) სამოქალაქო კანონთა მიზანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით.....	23
2. პირები .....	25
a) ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11-დან მე-16 მუხლების მიხედვით .....	25
aa) უფლებაუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით.....	25
bb) ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლების მიხედვით .....	26
cc) შეზღუდული ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14-მე-16 მუხლების მიხედვით.....	29
b) ფიზიკური პირების სახელის უფლება და პირადი არაქონებრივი უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17-მე-19 მუხლების მიხედვით .....	30
c) ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით .....	33
d) ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე-23-ე მუხლების მიხედვით .....	33
e) ზოგადი დებულებანი იურიდიული პირების შესახებ .....	35
aa) ცნება, სახეები და უფლებაუნარიანობა .....	38
bb) ადგილსამყოფელი .....	39
cc) სახელწოდება .....	39
dd) რეესტრი.....	41
ee) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა .....	42
ff) პასუხისმგებლობა .....	43

gg) დაშლა და ლიკვიდაცია .....	44
f) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და სახეები .....	48
g) კავშირი, როგორც კორპორაციული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი .....	52
aa) კავშირის ცნება .....	53
bb) კავშირის რეგისტრაცია .....	54
cc) კავშირის ორგანოები (წევრთა კრება).....	55
dd) წევრობის შექმნა, დაკარგვა და შინაარსი .....	59
ee) პასუხისმგებლობა .....	60
ff) კავშირის რეორგანიზაცია, შეწყვეტა (Auflösung) და ლიკვიდაცია.....	61
gg) დაურეგისტრირებელი კავშირების მიმართ მოქმედი სამართალი .....	62
3. გარიგების დოქტრინა .....	63
a) გარიგების ცნება და ნამდვილობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-დან 62-მდე მუხლების მიხედვით.....	63
b) ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე, 58 <sup>1</sup> -ე, 63-დან 67-მდე მუხლების მიხედვით.....	67
c) გარიგების ფორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-დან 71-მდე მუხლების მიხედვით ....	69
d) საცილო გარიგებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-დან 89-მდე მუხლების მიხედვით	72
aa) შეცდომები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-დან 80 მუხლამდე .....	72
bb) მოტყუება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-დან 84-მდე მუხლები .....	76
cc) იძულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-დან 89-მდე მუხლები .....	77
e) პირობითი გარიგებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-დან 98-მდე მუხლების მიხედვით.....	78
f) თანხმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-დან 102-მდე მუხლების მიხედვით.....	79
g) წარმომადგენლობა გარიგებებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-დან 114-მდე მუხლების თანახმად .....	80
4. უფლებების განხორციელება.....	81
5. ვადები .....	82
a) ვადის გამოთვლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-დან 127-მდე მუხლების მიხედვით..	82
b) ხანდაზმულობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-დან 146-მდე მუხლების მიხედვით ....	82
aa) ცნება, ხანგრძლივობა და დასაწყისი .....	82
bb) ვადის დენის შეჩერება .....	83
cc) შეწყვეტა.....	84
dd) დისპოზიციურობა .....	85
<b>III. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი .....</b>	<b>85</b>
1. ზოგადი დებულებანი ვალდებულებითი ურთიერთობების შესახებ .....	85
2. სახელშეკრულებო სამართალი.....	87
a) ზოგადი დებულებანი სკ-ის 319-დან 326-მდე მუხლების მიხედვით.....	87
b) ხელშეკრულების დადება 327-დან 341-მდე მუხლების და 360-ე მუხლის მიხედვით .....	88
aa) ხელშეკრულების დადება.....	88
bb) განმარტება.....	89
cc) ვალის აღიარება და მორიგება .....	90
c) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 342-დან 348-მდე მუხლების თანახმად.....	90
aa) ცნება .....	91
bb) შემადგენელ ნაწილად გადაქცევა .....	91
cc) განმარტება .....	92
dd) შინაარსის კონტროლი .....	92
d) მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 349-დან 351-მდე მუხლების მიხედვით	94
e) ხელშეკრულებიდან გასვლა (Rücktritt) 352-დან 359-მდე მუხლების მიხედვით .....	94
3. შესრულების ვალდებულების შინაარსი.....	95
a) ზოგადი დებულებანი 361-დან 382-მდე მუხლების მიხედვით .....	96
aa) შესრულების ადგილი .....	96
bb) შესრულების დრო .....	97



cc) სამომხმარებლო კრედიტი.....	97
dd) შემსრულებელი და შესრულების მიმღები.....	97
ee) ალტერნატიული შესრულებები.....	97
ff) ნაწილობრივი შესრულება, პასუხისმგებლობა შესრულებაზე.....	98
b) ფულადი ვალდებულების შესრულების შინაარსი 383-დან 389-მდე მუხლების მიხედვით.....	98
c) ზიანის ანაზღაურება სკ-ის 408-ე-415-ე მუხლების მიხედვით.....	99
4. ვალდებულების დარღვევა.....	101
a) ზოგადი დებულებანი.....	102
b) გარიგების საფუძვლის ცვლილება (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი) 398-ე, 399-ე მუხლების მიხედვით.....	106
c) მოვალის მიერ ვადის გადაცილება სკ-ის 400-დან 404-მდე მუხლების მიხედვით.....	107
d) ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს სკ-ის 405-ე-407-ე მუხლების მიხედვით.....	108
5. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება 390-დან 393-მდე მუხლების მიხედვით.....	109
6. მოთხოვნის უზრუნველყოფა.....	110
a) პირგასამტეხლო სკ-ის 417-დან 420-მდე მუხლების მიხედვით.....	110
b) ბე, სკ-ის 421-დან 423-მდე მუხლების თანახმად.....	110
c) მოვალის გარანტია სკ-ის 424-დან 426-მდე მუხლების თანახმად.....	111
7. ვალდებულების შეწყვეტა.....	111
a) შესრულება სკ-ის 427-დან 433-მდე მუხლების მიხედვით.....	111
b) დეპონირება, სკ-ის 434-დან 441-მდე მუხლების მიხედვით.....	112
c) გაქვითვა, სკ-ის 442-დან 447-მდე მუხლების მიხედვით.....	113
d) ვალის პატიება, სკ-ის 448-ე-451-ე მუხლების მიხედვით.....	114
e) სხვა საფუძვლები, სკ-ის 452-დან 454-მდე მუხლების თანახმად.....	114
8. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე.....	114
a) სოლიდარული კრედიტორები სკ-ის 455-დან 462-მდე მუხლების მიხედვით.....	115
b) სოლიდარული მოვალეები, სკ-ის 463-დან 476-მდე მუხლების მიხედვით.....	115
<b>IV. მომხმარებელთა დაცვის განვითარება.....</b>	<b>117</b>
1. ევროპის სამართლით გათვალისწინებული საფუძვლები.....	117
2. რეგულირების ტექნიკა.....	118
3. სკ-ის ზოგადი დებულებანი.....	119
4. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი.....	120
a) ვალდებულებები ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში.....	120
b) ქუჩაში (მოვაჭრის სარეწის ფარგლებს გარეთ) დადებული და დისტანციური ხელშეკრულება ...	121
c) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალი.....	121
d) გადახდის დაგვიანება.....	124
წინადადებები ცვლილებების შესახებ.....	<b>125</b>

## დაკვეთა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) მთხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი [მუხლები 1-146] და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი [მუხლები 316-476]) რეფორმასთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნის სახით შეფასების განხორციელება. ამ მიზნით, ვიხელმძღვანელებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული თარგმანით, რომელიც შესრულებულია 2015 წლის 11 დეკემბერს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, აგრეთვე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის „სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში შედგენილი 1997 წლის 26 ივნისისა და 2008 წლის 19 დეკემბრის რედაქციების სინოპტიკური მიმოხილვით. გარდა ამისა ვხელმძღვანელობ 2018 წლის 10 აგვისტოს „მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის ინგლისური რედაქციით.

დასკვნა წარმოდგენილი იქნება ტექსტისა და ცხრილის სახით, რომელშიც ასახული იქნება ჩემი შემაჯამებელი, კომენტირებული რეკომენდაციები ცვლილებების თაობაზე.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცალკეული ნორმების ტექნიკურ ან შესაბამისად, ტერმინოლოგიურ ხარვეზებს, სისტემის ხარვეზებს ნორმების შეთანხმებისას (ასევე, სამოქალაქო კოდექსის სხვა თავების გათვალისწინებით), ე.წ. „ევროპულ სტანდარტებთან“ თავსებადობას, განსაკუთრებით ევროკავშირის დირექტივების, ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების (PECL) და ერთიანი კომპეტენციის ფარგლების პროექტის (DCFR) კონტექსტში.

დასკვნის მომზადებისას გამოყენებული იქნება სამოქალაქო კოდექსის რეფორმასთან დაკავშირებით უკვე მომზადებული მასალები. კერძოდ:

- ანგარიში და ცხრილი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმის აუცილებლობა“ - გიორგი ვაშაკიძე, 5.4.2016
- ცხრილი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმის საჭიროებები“ - თორნიკე დაჯანია, 24.4.2016
- „კერძო სამართლის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის კვლევა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ევროპული სტანდარტების მიხედვით“ - კაროლინე მელლერ-ჰანნიხი, 10.9.2016
- „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რეფორმა. კონცეფცია“, ლადო ჭანტურიას და როლფ კნიპერის მიერ მომზადებული დანართით, თებერვალი 2017

შუალედური შედეგების განხილვის მიზნით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მოწვევით, 2018 წლის 3-5 სექტემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრის შედეგები გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი დასკვნის მომზადებისას.

## დასკვნა

### წინასწარი შენიშვნა

წინამდებარე დასკვნას საფუძვლად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული თარგმანი, რომელიც მომზადებულ იქნა 2015 წლის 11 დეკემბერს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“, ფარგლებში. ვინაიდან, მე არ ვფლობ საქართველოს სახელმწიფო ენას, რომელზეც არის გამოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არ მაქვს შესაძლებლობა გავარკვიო ჩემს მიერ გაკეთებული მითითებებიდან და რეკომენდაციებიდან რომელია გამონვეული განსხვავებული ენობრივი რედაქციებით. სიფრთხილის მოსაზრებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მაქვს რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ გერმანულად თარგმნისას დაშვებული ენობრივი შეცდომებით იყოს გამონვეული. ცვლილებებთან დაკავშირებული რიგი რეკომენდაციებისა არ განმივრცია, რადგან ისინი ჩემი ვარაუდით, არ წარმოადგენენ შინაარსობრივად მნიშვნელოვან ცვლილებებს, არამედ მხოლოდ გერმანული რედაქციის ენობრივი შესწორებებია.

კანონი შეიცავს დიდი ოდენობით მითითებებს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელთა გადამოწმება ჩემთვის შეუძლებელია და ამდენად მე ვერ შევაფასებ, თუ რა გავლენას იქონიებენ მათზე ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებები. ისინი არ წარმოადგენენ ჩემი შეფასების საგანს.

გარდა ამისა, ჩემთვის არ არის ცნობილი, თუ რამდენად აქტუალურ მოქმედ რედაქციასთან მაქვს საქმე. ჩემი ვარაუდით, სარჩევის სათაურები არა მხოლოდ რედაქციულ, არამედ ოფიციალურ ხასიათს ატარებენ და ამიტომაც ისინიც შეტანილია ჩემს დასკვნაში.

ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ მე არც საქართველოს სამართლის სხვა დარგებს ვიცნობ და არც მოქმედი სამართლის განმარტებისა და გამოყენების, არც საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლად არსებული ეკონომიკური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების ან მოქმედი სამართლის კულტურული და ფილოსოფიური წინამძღვრების შესახებ მაქვს ინფორმაცია. ამიტომ შემიძლია მხოლოდ, საქართველოს გადასახედიდან უცხო სამართლებრივი წესრიგის სოციალიზებული სამოქალაქო სამართლის დოგმატიკოსის პოზიციიდან, სიცხადის, სისტემატიკისა და თანმიმდევრულობის ჩემეული გაგებით ვისაუბრო. მით უმეტეს, შეუძლებელია შორეულ პერსპექტივაში შესაძლო ცვლილების შედეგების წარმოდგენა ჩემს მოსაზრებებში. ჩემს მიერ „ცვლილების თაობაზე რეკომენდაციად“ წოდებული მოსაზრებები წარმოადგენენ „რეკომენდაციებს“ მხოლოდ ამ სუსტი გაგებით.

და ბოლოს, გადაჭარბებული იქნება იმის მტკიცება, რომ ეს დასკვნა ევროკავშირის სამათალთან სრულყოფილ შედარებით-სამართლებრივ ანალიზს წარმოადგენს. მე კარგად ვიცნობ ჩემს მშობლიურ სამართალს და შერჩევითად (სელექციურად) გამოვიყენებ ევროპულ საფუძვლებს.

## I. თემატური სტრუქტურა

პირველ რიგში განვიხილავ სამოქალაქო კოდექსის საფუძვლად არსებული სტრუქტურის სამართლებრივ არსს. **1**

### 1. კერძო სამართლის კოდიფიკაცია

სამოქალაქო კოდექსის წარმოდგენილი რედაქცია შედგება ექვსი ნიგნისა და გარდამავალი და დასკვნითი დებულებებისგან: **2**

- ნიგნი პირველი: სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი (მუხლები 1-146)
- ნიგნი მეორე: სანივთო (ქონებრივი) სამართალი (მუხლები 147-312)<sup>1</sup>
- ნიგნი მესამე: ვალდებულებითი სამართალი (მუხლები 316-1016)
- ნიგნი მეოთხე: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მუხლები 1017-1105)
- ნიგნი მეხუთე: საოჯახო სამართალი (მუხლები 1106-1305-8)
- ნიგნი მეექვსე: მემკვიდრეობითი სამართალი (მუხლები 1306-1503)
- სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებები (მუხლები 1504-1520)

ამით სამოქალაქო კოდექსი ევროპული კოდიფიკაციის ტრადიციულ გზას მიჰყვება. <sup>2</sup> კერძო სამართლის დეფინიციიდან გამომდინარე, რომელიც საზოგადოების ცალკეულ თანასწორ წევრებს შორის ურთიერთობას არეგულირებს<sup>3</sup>, ქონებრივი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობები წარმოადგენს ყველასთვის მოქმედ სამოქალაქო სამართალს (*Zivilrecht*) განსაკუთრებული კერძო სამართლისგან განსხვავებით, რომელიც სამართლის შერჩეულ სფეროებს (ვაჭართა წრე, სამეწარმეო მეურნეობა, დასაქმებულები) ან სამართლებრივ სიკეთეს (არამატერიალური ქონების სამართალი) ეხება.<sup>4</sup> სამოქალაქო სამართალი ძირითადად ქონებრივი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების მომცველი კოდიფიკაციის სახით არის შეკრული (სამოქალაქო კოდექსი, *Bürgerliches Gesetzbuch, Zivilgesetzbuch*). ზოგად ნაწილში ნამძღვარებულია მთელი სამოქალაქო კოდექსისთვის მნიშვნელოვანი დებულებები. <sup>5</sup>

ჩემი კვლევა შეეხება სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს, აგრეთვე ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს. ამ სფეროებში არსებული სტრუქტურა უკომპრომისოდ არის ხორცშესხმული და ამდენად არ საჭიროებს რაიმე ცვლილების შეტანას. **3**

ამდენად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სამართლის, აგრეთვე საერთაშორისო კერძო სამართლის, საწარმოთა და სავაჭრო კოდექსის ინტეგრაციის საკითხებს ამ ნაშრომში არ ჩავუღრმავდები. თუმცა, ქვემოთ ვისაუბრებ მომხმარებელთა დაცვის სამართლის განსაკუთრებული კერძოსამართლებრივი სტატუსის შესახებ.

<sup>1</sup> მუხლები 313-315 ამოღებულია.

<sup>2</sup> ჭანტურია/კნიპერი, გვ. 5

<sup>3</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 15; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 1 Rn. 10.

<sup>4</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 15 f.; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 1 Rn. 14 ff. – Zur Abgrenzung Medicus/Petersen, Allgemeiner Teil des BGB, 11. Aufl. 2016, Rn. 14 f.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 6 Rn. 5 ff.

<sup>5</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 2 Rn. 19; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 7 Rn. 12.

## 2. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

4 სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი (მუხლები 1-146) მოიცავს:

- შესავალი დებულებანი (მუხლები 1-10)
- კარი პირველი: პირები (ფიზიკური პირები: მუხლები 11-23; იურიდიული პირები: მუხლები - 24-39)<sup>6</sup>
- კარი მეორე: გარიგებანი (ზოგადი ნორმები: მუხლები 50-62; ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა: მუხლები 63-67; გარიგების ფორმა: მუხლები 68-71; საცილო გარიგებანი: მუხლები 72-89; პირობითი გარიგებანი: მუხლები 90-98; თანხმობა გარიგებებში: მუხლები 99-102; წარმომადგენლობა გარიგებებში: მუხლები 103-114)
- კარი მესამე: უფლების განხორციელება (მუხლები 115-120)
- კარი მეოთხე: ვადები (ვადების გამოთვლა: მუხლები 121-127; ხანდაზმულობა: მუხლები 128-146)

აღნიშნული თემების წრე არსებითად შეესაბამება იმ დებულებებს, რომლებიც, სხვა კოდექსებთან ერთად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსშიც (BGB) არის წარმოდგენილი: პირები (§§ 1-89), გარიგებანი (§§ 104-185), ვადები, თარიღები (§§ 186-193), ხანდაზმულობა (§§ 194-218), უფლებების განხორციელება, თავდაცვა, თვითდახმარება (§§ 226-231). მართალია, 1-ლიდან მე-10-მდე მუხლების შესაბამისი მუხლები არ არის წარმოდგენილი, მაგრამ თემატურად „შესავალი დებულებების“ შემთხვევაშიც უდავოდ სახეზეა ზოგადი ნაწილის დებულებები და შესაბამისი საკითხები თეორიაში ხშირად განიხილება BGB-ს ზოგად ნაწილთან კავშირში.<sup>7</sup>

5 ამასთან, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი არ შეიცავს ნორმებს ნივთებთან (შეადარეთ, §§90-103 BGB), აგრეთვე ხელშეკრულების დადებასთან (შეადარეთ, §§ 145-157 BGB) დაკავშირებით. თუმცა, შესაბამისი დებულებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვა ნაწილებშია ასახული.

a) ნივთების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით

6 ამგვარად, ნივთის, მისი არსებითი შემადგენელი ნაწილის, საკუთვნებლის და ნაყოფის დეფინიციები წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე და შემდგომი მუხლების რეგულირების საგანს და ამიტომ, მეორე კარის - „სანივთო (ქონებრივი) სამართალი“, დასაწყისში არის მოწესრიგებული. აღნიშნული გამართლებულიც არის, რადგან ეს ნაწილი ეხება ნივთებზე უფლებების სახეებს, შექენას და დაკარგვას. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ამ ცნებებს სანივთო სამართლის ფარგლებს გარეთაც აქვთ მნიშვნელობა, განსაკუთრებით ნივთებთან დაკავშირებულ ვალდებულებითსამართლებრივ შეთანხმებებში, აგრეთვე შიგადაშიგ, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში. მაგალითად, საქართველოს მოქმედ სამოქალაქო სამართალში ვალდებულებითი სამართლის 324-ე მუხლი ეხება საკუთვნებლის დეფინიციას, ისევე როგორც გამოსყიდვის სამართალი 511-ე მუხლში; ასევე იჯარის ხელშეკრულების სამართალი 581-ე, 596-ე, 597-ე და მე-600-ე მუხლებში, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების სამართალი 726-ე მუხლის მე-3 ნაწილში, მიბარების სამართალი 773-ე მუხლში, საზიარო სამართალი 955-ე მუხლში იყენებენ ნაყოფის დეფინიციას, რომელზეც ასევე დამოკიდებულია უღირს მემკვიდრედ ცნობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლი). ამი-

<sup>6</sup> მუხლები 40-49 ამოღებულია.

<sup>7</sup> შეადარეთ. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 108 ff.; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 3 Rn. 1 ff.

ტომ, სისტემატიკის თვალსაზრისით ეს დებულებები წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებს.

ვხელმძღვანელობ იმ პოზიციით, რომ სამართლის გამოყენების თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე და შემდგომ მუხლებში მოცემული დებულებები კერძოა-სამართლებრივი წესწყობილების ერთიანობის ასპექტში სანივთო-სამართლებრივი ნორმების ფარგლებს გარეთაც გამოიყენება, ამდენად, აღნიშნულ დაკვირვებაზე დაყრდნობით ცვლილებების რეკომენდაციებს არ შემოგთავაზებთ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახლებური სტრუქტურის დაგეგმვა მოხდება, ეს ასპექტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

*b) ხელშეკრულების დადების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით*

ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე და შემდგომ მუხლებში და ამით მესამე წიგნის („ვალდებულებითი სამართალი“) დასაწყისში. ესეც ლოგიკურია, ვინაიდან ხელშეკრულებების არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი წარმოადგენენ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნების წარმოშობის საფუძველს (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, BGB-ს §311-ის 1-ლი აბზაცი). თუმცა, უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს „გარიგება“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; განსხვავებით მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნისგან, რისთვისაც წინაპირობას წარმოადგენს გადაცემა და კაუზალური მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ისევე როგორც რეგისტრირებული გირავნობის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და იპოთეკის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) წარმოშობისთვის. მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების შემთხვევაში კი, ცალსახად, საუბარია „ხელშეკრულებაზე“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 203-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ასევე მრავალბინიან სახლებში ინდივიდუალური საკუთრების შექმნის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლი) შემთხვევაში. მფლობელობითი გირავნობის წარმოშობის წინაპირობას წარმოადგენს „მხარეთა შეთანხმების“ არსებობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 257-ე, 260-ე მუხლები). საოჯახო სამართალში ხელშეკრულების ცნება გათვალისწინებულია ქორწინების ხელშეკრულების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი) სახით, მემკვიდრეობით სამართალში - სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეთანხმების სახით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1452-ე, 1456-ე და შემდგომი მუხლები), აგრეთვე ხელშეკრულებით, „რომლითაც თანამემკვიდრე განკარგავს თავის წილს“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1470-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება). სისტემატიკის თვალსაზრისით, აღნიშნული დებულებები ეხება ხელშეკრულების დადებას, ანუ იმ პირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც იდება ხელშეკრულება და მის განმარტებას. ამიტომ, აქაც, ასევე სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ამით არადამაჯერებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე და შემდგომი მუხლების სისტემატიკური განთავსება, კვლავინდებურად ვვარაუდობ, რომ აქაც შესაბამისი დებულებები გამოიყენება იმისგან დამოუკიდებლად, რომ ისინი მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) დებულებებს წარმოადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახლებური სტრუქტურის დაგეგმვა მოხდება, ეს ასპექტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

**3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში**

**10** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნი („ვალდებულებითი სამართალი“) მოიცავს ზოგად ნაწილს, რომელსაც მოსდევს კერძო ნაწილი (კარი პირველი: სახელშეკრულებო სამართალი; კარი მეორე: კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი; კარი მესამე: დელიქტური ვალდებულებანი). ზოგადი ნაწილის დებულებებით (მუხლები 316-476) რეგულირდება:

ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ (მუხლები: 316-318)

კარი პირველი: სახელშეკრულებო სამართალი (ზოგადი დებულებანი: მუხლები 319-326; ხელშეკრულების დადება: მუხლები 327-341; ხელშეკრულების სტანდარტული პირობები: მუხლები 342-348; მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება: მუხლები 349-351; ხელშეკრულებიდან გასვლა: მუხლები 352-360)

კარი მეორე: ვალდებულების შესრულება (ზოგადი დებულებანი: მუხლები 361-382; ფულადი ვალდებულების შესრულება: მუხლები 383-389; კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება: მუხლები 390-393)

კარი მესამე: ვალდებულების დარღვევა (ზოგადი დებულებანი: მუხლები 394-399; მოვალის მიერ ვადის გადაცილება: მუხლები 400-404; ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს: მუხლები 405-407)

კარი მეოთხე: ზიანის ანაზღაურების მოვალეობა (მუხლები 408-415)

კარი მეხუთე: მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი (416-ე მუხლი; პირგასამტეხლო: მუხლები 417-420; ბე: მუხლები 421-423; მოვალის გარანტია: მუხლები 424-426)

კარი მეექვსე: ვალდებულების შეწყვეტა (შესრულებით: მუხლები 427-433; დეპონირებით: მუხლები 434-441; ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით: მუხლები 443-447; ვალის პატივით: მუხლები 448-451; ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები: მუხლები 452-454)

კარი მეშვიდე: კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში (სოლიდარული კრედიტორები: მუხლები 455-462; სოლიდარული მოვალეები: მუხლები 463-476)

**11** გარდა „ზოგად ნაწილად“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 316-476) და „კერძო ნაწილად“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლიდან) დაყოფისა, შიგადაშიგ, კარის შემდგომ გვხვდება „ნაწილის“ დაყოფის კიდევ ერთი საფეხური:

- ზოგადი ნაწილი - კარი პირველი: სახელშეკრულებო სამართალი - ნაწილი პირველი - თავი პირველი: ზოგადი დებულებანი
- კერძო ნაწილი - კარი პირველი: სახელშეკრულებო სამართალი - ნაწილი მეორე - თავი პირველი: ნასყიდობა. გაცვლა

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადი და კერძო ნაწილების მიმართ დუბლირების გამო ეს არახელსაყრელია. თუ აღნიშნულით ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო, რომ ზოგადი ნაწილის პირველ კარში მოცემული დებულებები ერთიანად აღქმული სახელშეკრულებო სამართლის პირველ, ხოლო კერძო ნაწილის პირველი კარის დებულებები მის მეორე ნაწილს ქმნიან, მაშინ აქ გვექნებოდა არა სტრუქტურული დაყოფის საფეხური, არამედ შესაბამისი კარის სახელწოდების განმარტებითი ელემენტი; ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია ზოგადი ნაწილის პირველი კარისთვის სახელწოდების - „სახელშეკრულებო სამართალი I“, ხოლო კერძო ნაწილის პირველი კარისთვის - „სახელშეკრულებო სამართალი II“, მინიჭება.

**12** თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ ზოგად სახელშეკრულებო დოქტრინაზე, თემატური ნრეც არსებითად შესაბამისობაშია BGB-ში მოცემულ რეგულირების სფეროსთან (შემადგენლობასთან): დებულებები ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის შესახებ ზოგადად (§§ 241-274, 311, 311a, 315-319, 320-322), ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ (§§ 305-310), ვალდებულების შესრულების გართულების შესახებ (§§ 275, 285, 311a, 326, 276-

278, 280-284, 286-290, 291, 292, 293-304, 313, 314, 323-325), მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (§§ 328-335), ბე და პირგასამტეხლო (§§ 336-345), ხელშეკრულებიდან გასვლა (§§ 346-354), ვალდებულების შესრულება და მისი სუროგატები (§§ 362-397), მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე (§§ 420-432).

შესაბამისად, არ მიმაჩნია, რომ ფუნდამენტურად განსხვავებული სტრუქტურა, როგორც ეს მოსამზადებელ მასალებშია შემოთავაზებული, სისტემატიკის თვალსაზრისით მომგებიანი იქნება.<sup>8</sup> ეს არ გამოორიცხავს წინადადებებს ცალკეულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რასაც შესაბამის კონტექსტში დავუბრუნდები.

*ც) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების, ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობის, აგრეთვე გარიგების საფუძვლის ცვლილების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით*

აღნიშნულთან დაკავშირებით, გერმანული სამოქალაქო სამართლის დოქტრინაში განხილვის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, ხომ არ უნდა წარმოადგენდნენ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (BGB-ს §§ 305 და შემდგომი პარაგრაფები), ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობის (BGB-ს §311-ის მე-2 აბზაცი), აგრეთვე გარიგების საფუძვლის ცვლილებების (BGB-ს §§ 311 და შემდგომი პარაგრაფები) შესახებ დებულებები BGB-ს ზოგადი ნაწილის შემადგენელ ნაწილებს. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულებები არა მხოლოდ დისპოზიციურ ვალდებულებით სახელშეკრულებო სამართალს შეეხება, არამედ ასევე გარიგებების შესახებ ზოგადი დოქტრინის (ფორმა, მინდობილობა, ხანდაზმულობა) და სანივთო სამართლის (პირობადებული საკუთრება, საკუთრების შექმნა გადამუშავების გზით) კანონისმიერ დებულებებს; რომ დებულებები ხელშეკრულების დადებისას ბრალეულობის შესახებ (*Verschulden bei Vertragsverhandlungen*) მჭიდრო შინაარსობრივ (*Sachlicher Zusammenhang*) კავშირშია ხელშეკრულების დადებასთან (*Vertragsschluss*) და მოტყუებასთან (*arglistige Täuschung*) და რომ, გარდა ამისა, მათ ვალდებულებითი სამართლის ფარგლებს გარეთ, კერძოდ სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ხელშეკრულებებისთვისაც აქვთ მნიშვნელობა. გარიგების საფუძვლის ცვლილებაც ასევე შინაარსობრივ კავშირშია ცდომილების შესახებ მოძღვრებასთან.<sup>9</sup>

ეს კრიტიკა უპირობოდ გამართლებულია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამით არადამაჯერებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-დან 348-მდე მუხლების სისტემატიკური განთავსება, კვლავინდებურად ვვარაუდობ, რომ აქაც შესაბამისი დებულებები გამოიყენება იმისგან დამოუკიდებლად, რომ ისინი მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) დებულებებს წარმოადგენენ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახლებური სტრუქტურის დაგეგმვა მოხდება, ეს ასპექტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

რაც შეეხება ბრალეულობას ხელშეკრულების დადებისას და გარიგების საფუძვლის ცვლილებას, ამ საკითხებში კრიტიკას ვერ დავეთანხმები. სისტემატიკის დარღვევას არ წარმოადგენს სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებებისას BGB-ს §311-ის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული ვალდებულებითი სამართალურთიერთობის დაშვება (*Anzunehmen*), BGB-ს §280-ის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულებითსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაბამისი

<sup>8</sup> შეადარეთ, და ასევე კრიტიკულად Chanturia/Knieper, S. 31, 38.

<sup>9</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 7 Rn. 20.



შედეგით. შეცილებისგან განსხვავებული ამ შედეგის გამო გამართლებულია, რომ ეს ინსტიტუტი, მიუხედავად მოტყუებასთან (*arglistige Täuschung*) შინაარსობრივი სიახლოვისა, ვალდებულებითსამართლებრივად იქნეს აღქმული. ეს უკანასკნელი შეხედულება ვრცელდება გარიგების საფუძვლის ცვლილების მიმართაც: მასზე დაფუძნებული ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა (BGB-ს §313-ის 1-ლი აბზაცი), ისევე როგორც ხელშეკრულებაზე უარის ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებები (BGB-ს §§313-ის მე-3 აბზაცი, 314) წარმოადგენენ ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულების შესრულების გართულების სამართლის (რომელიც სანივთო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ხელშეკრულებების მიმართაც შეიძლება, ნაწილობრივ, შესაბამისად იქნეს გამოყენებული<sup>10</sup>) და არა ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებს.

*d) მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების შესახებ დებულებების სისტემატიკურ განლაგებასთან დაკავშირებით*

**16** BGB-სგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და შემდგომი მუხლები არ შეიცავს დებულებებს მოთხოვნის დათმობის (შეადარეთ, BGB-ს §§398-413) და ვალის გადაკისრების (შეადარეთ, BGB-ს §§ 414-418) შესახებ. ეს თემები ნორმირებულია სანივთო (ქონებრივ) სამართალში (სამოქალაქო კოდექსის 198-207-ე მუხლები). ეს განლაგება ჩემთვის გასაგებია, რადგან კრედიტორის ან მოვალის მხარეს ცვლილებებისას, სახეზეა სამართლის ისეთივე ობიექტების განკარგვები, როგორც სხვებია.

**17** ეჭვები გამაჩნია ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩემი დავალების ფარგლებს, კერძოდ, არის თუ არა მეორე ნიგნის დასახელება - „სანივთო (ქონებრივი) სამართალი“ (მოთხოვნის (ქონებრივ) სამართალისგან განსხვავებით), სწორად შერჩეული.

*e) სპეციალური დებულებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებისთვის*

**18** სამომხმარებლო ხელშეკრულებების (შეადარეთ, BGB-ს §§312-312k) და მათზე უარის თქმის (შეადარეთ, §§355-361) შესახებ სპეციალური დებულებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე და შემდგომ მუხლებში მხოლოდ შიგადაშიგ არის მოცემული. აღნიშნულ საკითხს დავუბრუნდები შესაბამის კონტექსტში.

*f) სისტემატიკის თვალსაზრისით საეჭვოდ განთავსებული დებულებები*

**19** მეორე მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 316-ე და შემდგომ მუხლებში მოცემულია ცალკეული დებულებები, რომლებსაც BGB-ს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ექვივალენტური დებულებები არ გააჩნია (განსაკუთრებით: ვალის არსებობის აღიარება, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი; შეცდომა მორიგების საფუძვლებში, სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლი; მოვალის გარანტია, სამოქალაქო კოდექსის 424-426-ე მუხლები). აღნიშნულ საკითხსაც შევეხები შესაბამის კონტექსტში.

## II. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი

**20** ამით, გადავდივარ ცალკეულ ნორმებზე და პირველ რიგში, სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებზე.

<sup>10</sup> შეადარეთ, MüKoBGB/Finkenauer, 7. Aufl. 2016, § 313 Rn. 47.

## 1. შესავალი დებულებანი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი იწყება შესავალი დებულებებით (მუხლები 1-10), რომლებიც ეხება სამოქალაქო კოდექსის საგანს და მოქმედების სფეროს და რომელთა გაუქმებასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ, მოთხოვნაც არსებობს.<sup>11</sup> 21

ვინაიდან აქ შემოთავაზებულია მომხმარებლის/მენარმის ცნების შემოღება,<sup>12</sup> აღნიშნულ საკითხს დავუბრუნდები, როდესაც ვისაუბრებ მომხმარებელთა დაცვის შემუშავებაზე.

### a) ცნება და მოქმედების სფერო სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი შეიცავს პროგრამულ განაცხადს, რომელიც სათაურისგან განსხვავებით, იმავდროულად სამოქალაქო კოდექსის თემატური რეგულირების სფეროსაც განსაზღვრავს, რომლის ფორმულირებაც მრავალი თვალსაზრისით წარმოშობს გარკვეულ კითხვებს. 22

პირველ რიგში, საეჭვოა, რა იგულისხმება „პირად ურთიერთობებში“. თუ აღნიშნული გულისხმობს პიროვნულ უფლებებთან (*persönlichkeitsrechtliche Positionen*) დაკავშირებულ პოზიციებს, ეს გარკვევით უნდა იქნეს განმარტებული. გარდა ამისა, ბუნდოვანია, სიტყვები - „კერძო ხასიათის“, ემსახურება პირად უფლებებთან დაკავშირებული პოზიციების უფრო დეტალურ განსაზღვრებას (მაგალითად, მათში არსებული ადამიანის უფლებათა სამართლის კომპონენტისგან განსხვავებით) თუ ასევე ეხება ქონებრივ და საოჯახო ურთიერთობებსაც. ჩემთვის უფრო ლოგიკურია შეხედულება, რომელიც სამოქალაქო სამართლის ცნებას სამართლებრივი სუბიექტების თანასწორუფლებიანობაში ხედავს. ამასთან შესაძლებელია, რომ როდესაც საუბარია სამოქალაქო სამართლის (*Zivilrecht*) ცნებაზე, მემკვიდრეობით სამართალსაც თავისი დამოუკიდებელი სტატუსი მიენიჭოს ქონებრივ და საოჯახო ურთიერთობებთან მიმართებაში. დაბოლოს, „პირთა თანასწორობა“, როგორც სამოქალაქო სამართლის საფუძველი, არასაკმარისი სპეციფიკის შემცველია (*unspezifisch*), თუ მასში კანონის წინაშე თანასწორობა მოიაზრება, ვინაიდან სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის წინაშე თანასწორობა მთლიანი მართლწესრიგის მიმართ არსებულ პოსტულატს წარმოადგენს. თანასწორობა თანასწორი თავისუფლების გაგებით კი, პირიქით, წარმოადგენს კერძო სამართლისთვის არა დეფინიენსს (განმსაზღვრელს), არამედ მის წინაპირობას. 23

BGB-ში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის ექვივალენტი არ გვხვდება; BGB წინასწარი პირობის სახით მოიაზრებს სამოქალაქო სამართლის (ცივილური სამართლის) დეფინიციის არსებობას. მეცნიერებამ ამ დრომდე ვერ შემოგვთავაზა სამოქალაქო სამართლის (ცივილური სამართლის) პოზიტიური, კონსტრუქციული განსაზღვრება და ბუნებითი სამართლის იდეალური წარმოდგენებისგან განსხვავებით, ამის სერიოზული მისწრაფებაც არ ჰქონია.<sup>13</sup> სამართლის განმარტებისა და გამოყენების თვალსაზრისით ამ ფაქტს, როგორც ჩანს, გართულებები არ მოჰყოლია. ამიტომ, არც ჩემს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის მიმართ განხორციელებული კრიტიკული ანალიზიდან უნდა იქნეს გამოტანილი კანონშემოქმედებითი დასკვნები. მიუხედავად ამისა, შემოგთავაზებთ ტერმინოლოგიურად უფ-

<sup>11</sup> Darjania, S. 1 ff.; ნაწილობრივ ეთანხმება Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>12</sup> Darjania, S. 6 f.; კრიტიკულად Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>13</sup> შეადარეთ, სამოქალაქო სამართლის ცნების ცალკეული ასპექტების შესახებ Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 2 Rn. 1 ff. und § 6 Rn. 1 ff.; ferner Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 1 Rn. 10 ff.; Medicus/Petersen, Allgemeiner Teil des BGB, 11. Aufl. 2016, Rn. 1 ff., 12 ff.

რო დახვეწილ რედაქციას, რომელიც არ იქნება დაკავშირებული რაიმე სერიოზულ ცვლილებებთან.

*b) სამოქალაქო კანონების მოქმედების სფერო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების თანახმად*

**25** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები განსაზღვრავენ სამოქალაქო კანონების მოქმედების სფეროს მატერიალური და დროის თვალსაზრისით.

ამ დებულებების საგანს წარმოადგენს „სამოქალაქო კანონმდებლობა, აგრეთვე კერძო სამართლის სხვა კანონები“. მე ვფიქრობ, რომ ამაში მოიაზრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი კოდიფიკაცია, შესაძლო სამოქალაქოსამართლებრივი სპეციალური კანონმდებლობა, აგრეთვე სპეციალური კერძო სამართლის კანონები.<sup>14</sup> ჩემთვის ბოლომდე ნათელი არ არის, თუ რა იგულისხმება „კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი). მე ვვარაუდობ, რომ საუბარია განკარგულებებზე ან ადმინისტრაციულ დებულებებზე.

**26** ამდენად, პირველ რიგში ისმის კითხვა, უნდა წარმოადგენდეს თუ არა ზემოთ ხსენებული სამართლის წყაროების მოქმედების სფერო სამოქალაქოსამართლებრივი (ცივილურსამართლებრივი) რეგულირების საგანს. მოსამზადებელ მასალებში მოცემულ კითხვაზე პასუხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებისთვის ცალსახად უარყოფითი იყო. ამ მასალების თანახმად, მიზეზი, რის გამოც თავის დროზე განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მათი კოდიფიკაცია, საკონსტიტუციოსამართლებრივი მდგომარეობის ცვლილების შედეგად აღარ არსებობს.<sup>15</sup>

თავიდანვე ვიზიარებ დასკვნას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული დებულებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესავალი დებულებების ფარგლებში ზედმეტი გახდა. თუმცა ეჭვები გამაჩნია ცალკეული რეგულირების საგნებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩემს თვალში სამოქალაქოსამართლებრივი ბუნებისაა და ამდენად, არ არის თავისთავად ცხადი, რომ ისინი მატერიალური საკონსტიტუციო სამართლის ფარგლებში იყო გათვალისწინებული:

**27** (1) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის დებულება ადგენს ჩვეულებითი სამართლის მოქმედების სფეროს ერთ ნაწილს. BGB-ში ასეთი დებულება არ გვხვდება, მაგრამ მისი საგანი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ზოგადი დოქტრინის ნაწილს.<sup>16</sup> მე არ მაქვს საშუალება გადავამოწმო, მოქმედებს თუ არა ქართულ სამართალში „ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა“ და „საჯარო წესრიგის“ უპირატესი ძალა კონსტიტუციურსამართლებრივ დონეზე.

**28** (2) მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ეხება სამართლის წყაროების მატერიალური მოქმედების ნაწილობრივ ასპექტს, როდესაც ეს დებულება სამართლებრივ შეცდომას (*Rechtsirrtum*) არ მიიჩნევს ყურადღების ღირსად. აღნიშნულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ჩნდება ორი კითხვა, რომელიც ვფიქრობ, წარმოადგენს არა კონსტიტუციურსამართლებრივი რეგულირების საგანს, არამედ კლასიფიცირებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ნაწილად:<sup>17</sup> პირველ რიგში საკითხავია, იძლევა თუ არა შეცდომა იმის თაობაზე, რომ გარიგების ნიშნების მქო-

<sup>14</sup> შეადარეთ, ზემოთ თემატურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

<sup>15</sup> Darjania, S. 1 ff., ეთანხმება Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>16</sup> შეადარეთ, Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 14, 20; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 1 Rn. 8; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 4 Rn. 5 ff.

<sup>17</sup> Medicus/Petersen, Allgemeiner Teil des BGB, 11. Aufl. 2016, Rn. 750.

ნე ქმედება გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს (შეცდომა სამართლებრივ შედეგში), ამ ქმედებაზე უარის თქმის უფლებას. ეს შეკითხვა ისმება შეცდომით დადებული გარიგებების შეცილებასთან დაკავშირებით და იქ უკვე უფრო ვიწროდ არის ნორმირებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე, 75-ე მუხლები). მეორეც, საკითხავია, იწვევს თუ არა შეცდომა იმის თაობაზე, რომ კანონი ფაქტობრივ ქცევასთან აკავშირებს გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომას, იმას, რომ ეს სამართლებრივი შედეგები (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ დადგეს, განსაკუთრებით: რომ მოვალეს არ დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამ შეკითხვაზე პასუხი, ზოგადად, დამოკიდებულია ქმედების სუბიექტურ წინაპირობებზე და აგრეთვე იმაზე, თუ ამ წინაპირობების რომელ დონეზეა გვხვდება სამართლებრივი შეცდომა (**Rechtsirrtum**) (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი).

(3) ჩემი აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დებულებაც, რომელიც კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უკუქცევით ძალას ეხება, წარმოადგენს არა სამოქალაქო სამართლის, არამედ კონსტიტუციურსამართლებრივ და ამდენად, განსაკუთრებით, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი კანონიერი ნდობის პრინციპის საკითხს.<sup>18</sup>

სანამ აღნიშნული ფაქტობრივი ხასიათის საკითხი კონსტიტუციურსამართლებრივ დონეზე არ იქნება მოწესრიგებული, დავეთანხმებოდი მოქმედი რედაქციის მიმართ არსებულ კრიტიკას: გადაწყვეტილება სამოქალაქოსამართლებრივი კანონის ნორმების უკუქცევითი ძალის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ვერ იქნება მიღებული სამართლებრივი ურთიერთობის ერთი მხარის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის ხარჯზე.<sup>19</sup> პირიქით, ზოგადად, ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტს, ენდობოდა თუ არა სამართალურთიერთობის მხარე შესაბამის სამართლებრივ მდგომარეობას და იმსახურებს თუ არა აღნიშნული ნდობა დაცვას.<sup>20</sup>

გერმანული ინტერტემპორალური სამოქალაქო სამართალი ამ საკითხს სფეროების სპეციფიკის მიხედვით პასუხობს. ვალდებულებითი სამართლისთვის BGB-ში პრინციპულად აღიარებულია, რომ ვალდებულებითი სამართალურთიერთობა თავისი წინაპირობებით, შინაარსით და შედეგებით იმ სამართალს ექვემდებარება, რომელიც მოქმედებდა ამ ურთიერთობის წარმოშობი ფაქტის აღსრულების მომენტში (შეადარეთ, EGBGB-ს 170-ე მუხლი, 229-ე მუხლის §5, 232-ე მუხლის §1). ეს პრინციპი შესაბამისად მოქმედებს, როდესაც ვალდებულებითსამართლებრივი დებულებები იცვლება ისე, რომ არ არსებობს გარდამავალი დებულებები (ლონისძიებები).<sup>21</sup> იგი შეზღუდულად მოქმედებს მომსახურების, ქირავნობის და იჯარის ურთიერთობებისთვის (შეადარეთ, EGBGB-ს 171-ე მუხლი). სანივთო სამართალში პრინციპის სახით მოქმედებს, რომ BGB-ს ძალაში შესვლის დროს უკვე არსებული მფლობელობის და საკუთრების ურთიერთობები ამიერიდან BGB-ს მიხედვით რეგულირდება (EGBGB-ს 180-ე f მუხლი, 233-ე მუხლის §§1, 2-ის 1-ლი აბზაცი). მაგრამ არც ეს პრინციპი მოქმედებს გამონაკლისების გარეშე (მაგალითად, EGBGB-ს 182-ე და შემდგომი მუხლები, §233 §2-ის მე-2 და მე-3 აბზაციები, §3). მაშინ, როდესაც ქორწინების ნამდვილობა და მეუღლეების ქონებრივი მდგომარეობა მანამდე არსებული კანონებით განისაზღვრება (EGBGB-ს 198-ე, მე-200 მუხლები), მეუღლეთა პირადი სამართლებრივი ურთიერთობები, განქორწინება და გაუქმება, პრინციპულად, მოქმედ დებულებებს ეყრდნობა (EGBGB-ს 199-ე, 201-ე მუხლები). მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობებისთვის, პრინციპულად, მანამდე არსებული კანონებია გადამწყვეტი (EGBGB-ს 213-ე და შემდგომი მუხლები).

<sup>18</sup> შეადარეთ, BeckOK GG/Huster/Rux, 37. Ed. (15.5.2018), Art. 20 Rn. 184 ff.; Maunz/Dürig-Grzeszick, GG, 82. Erg. (Jan. 2018), Art. 20 Rn. 72 ff.

<sup>19</sup> Darjania, S. 5; zweifelnd auch Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>20</sup> შეადარეთ, Maunz/Dürig-Grzeszick, GG, 82. Erg. (Jan. 2018), Art. 20 Rn. 73.

<sup>21</sup> St.Rspr. seit BGHZ 10, 394 = NJW 1954, 231, 232.

ინტერტემპორალური სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში წარმოადგენს გარდავამალი და დასკვნითი დებულებების საგანს (1507-ე და შემდგომი მუხლები), და ეს ეხება როგორც სამოქალაქო კოდექსის (სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი), ასევე ცვლილებების შესახებ ცალკეული კანონების ძალაში შესვლას (სამოქალაქო კოდექსის 1507<sup>1</sup> და 1508<sup>3</sup>-ის ჩათვლით). აღნიშნულის საპირისპიროდ, შესავალი დებულებების ფარგლებში გენერალური დათქმა შეიძლება გამხდარიყო იმ პრინციპის განმარტების ფუნქციის მატარებელი, რომ სამართლის ნორმებს მხოლოდ მაშინ ენიჭებათ უკუქცევითი ძალა, როდესაც ამის თაობაზე მკაფიოდ არის მითითებული სამართლის ნორმაში ან როდესაც ეს სამართლის ნორმის აზრიდან და მიზნიდან გამომდინარეობს და ამას არ უპირისპირდება დაცვის ღირსი ნდობა.

ამასთან არ არსებობს საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი („კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები“) და მე-2 წინადადებისთვის („კანონი“) დიფერენცირებული გამოყენების სფეროს დადგენისთვის: სამართალბრუნვის პოზიციიდან, სამართალური თვითობის განმსაზღვრელი სამართლის წყაროს რანგი, თავისთავად, არ წარმოადგენს არსებით გარემოებას, სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ნდობის დაცვის ფარგლებისთვის. აღნიშნული ისევე იქნებოდა გასათვალისწინებელი შესაფერისი გენერალური დათქმის კონცეფციისას, როგორც კონკრეტული სფეროსთვის სპეციფიური ინტერტემპორალური სამოქალაქო სამართლის შემთხვევაში.

*c) სამართლის გამოყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით*

**31** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლები ეხება სამართლის გამოყენების ძირითად საკითხებს, ამასთან, მე-4 მუხლი ცალსახად ეხება სასამართლოს.

*aa) გადაწყვეტილების მიღების მასშტაბები*

**32** იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი უშუალოდ „სამართლოს“ ეძღვნება, კეთდება დასკვნა, რომ საქმე ეხება საპროცესო სამართლის ნორმას, ამიტომაც შესაბამისი დებულება უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და აქ არსებული ნორმა უნდა წაიშალოს.<sup>22</sup> აღნიშნული, განსაკუთრებით ასეთ ერთობლიობაში, საეჭვოდ მიმაჩნია. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანს წარმოადგენს პროცესის მიმდინარეობა, ანუ სამოქალაქო მართლმსაჯულების ინსტიტუტები და წინაპირობები, სამართლებრივი დაცვის სახეობა, ფორმები და შედეგები და მისი მოპოვებისთვის საჭირო პროცესი.<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის დებულება, რომლის თანახმად სასამართლოს არ აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის უფლება იმ მიზეზით, რომ სამართლის ნორმა არ არსებობს ან ბუნდოვანია, უარყოფითად არ აღწერს გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებს (გადაწყვეტილების მისაღებად სიმწიფის თვალსაზრისით, შეადარეთ ZPO-ს §300-ის 1-ლი აბზაცი), არამედ სხვა სიტყვებით გადმოსცემს შესაბამისი, არასრულყოფილი სამართლის წყაროს მოქმედების მოთხოვნას (*Geltungsanspruch*): (ერთმნიშვნელოვანი) სამართლის ნორმის არარსებობის ფაქტიდან არ უნდა იქნეს გამოტანილი დასკვნა, რომ სამართლის ეს წყარო არ წარმოადგენს ნორმატიულ საფუძველს სამართლებრივ

<sup>22</sup> Darjania, S. 3 f.; ეთანხმება Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>23</sup> Jauernig/Hes, Zivilprozessrecht, 30. Aufl. 2011, § 2 Rn. 1, 8 ff.; MüKoZPO/Rauscher, 5. Aufl. 2016, Einl. Rn. 25, 27 ff.; Rosenberg/Schwab/Gottwald, Zivilprozessrecht, 17. Aufl. 2010, § 1 Rn. 22.

ბრივი საკითხის გადასაწყვეტად. ამიტომ ეს იურიდიული ნორმა განეკუთვნება სამართლის წყაროს იმ სამართლებრივ სფეროს, რომელსაც ის შესაბამისად ეხება.

სტრუქტურის მიხედვით ასეთი ნორმა შეესაბამება მატერიალური მტკიცების ტვირთის დებულებებს: ეს ნორმებიც, შესაბამისად, განეკუთვნება სამართლის იმავე სფეროს, რომელსაც სამართლის ის დებულება, რომლის წინაპირობებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სადავო საქმის გარემოებები.<sup>24</sup>

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისი დებულებისთვის სისტემატიკის თვალსაზრისით დამაჯერებელ ადგილად, თუ იქ სხვა ნორმებიც არსებობს, რომლებიც არა ფუნქციონალურ, არამედ მხოლოდ ფორმალურ სამოქალაქო საპროცესო სამართალს წარმოადგენენ. ფუნქციონალური თვალსაზრისით კი, სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი (ასევე) წარმოადგენს მატერიალურ სამოქალაქო სამართალს.

BGB-ში შესაბამისი დებულება, ცხადია, არ არსებობს (ისევე როგორც არ არსებობს, ZPO-სა თუ გერმანიის ძირითად კანონში (GG)). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი კოდიფიცირებული სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ნაწილიც რომ არ ყოფილიყო, ეს სავარაუდოდ მაინც არ გამოიწვევდა უარყოფით შედეგს სამართლის განმარტებისა და გამოყენებისთვის, ვინაიდან შესაბამისი სამართლებრივი დებულება გამომდინარეობს უშუალოდ, შესაბამისი სამართლებრივი ნორმის მოთხოვნიდან მოქმედების თაობაზე, რომელიც ხელისუფლების განაწილების პრინციპზე აგებულ სამართლებრივ სახელმწიფოში დემოკრატიული კანონმდებლის გადაწყვეტილებასთან ერთად წარმოიქმნება.

ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში: ნორმა სასამართლო გადაწყვეტილების წინაპირობებს კი არ აღწერს, არამედ გამოხატავს შესაბამისი სამართლებრივი ნორმის მოქმედების მოთხოვნას და ამით კონსტიტუციურსამართლებრივად, სასამართლო ხელისუფლების სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ვალდებულებას, რომ დაემორჩილოს კანონს. სამართლებრივ სახელმწიფოში იგივე საკითხი თავის საზღვრებს ცალსახად პოულობს ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფოს თვითნებობის აკრძალვაში, იმ შემთხვევებისთვისაც კი, როდესაც კანონის ფორმა დაცულია (შეადარეთ გერმანიის ძირითადი კანონის 1-ლი მუხლი, მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი: სასამართლო ხელისუფლების ვალდებულება დაემორჩილოს კანონს და სამართალს).<sup>25</sup> რა თქმა უნდა, კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონების გაუქმების მონოპოლია საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა (გერმანიის ძირითადი კანონის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი). როდესაც არსებობს სასამართლოსთვის კანონის სავალდებულოობის ასახვის მოთხოვნა, ეს ტერმინოლოგიურად გამართული რედაქციის საშუალებით უნდა განხორციელდეს, მაგრამ ისე, რომ ამას არ მოჰყვეს არსებითი ცვლილებები.

#### *bb) კანონის და სამართლის ანალოგია*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი კანონის და სამართლის ანალოგიით აწესრიგებს სამოსამართლო სამართლის განვითარების ნაწილობრივ ასპექტს.

ერთი მხრივ, სამართლის ნორმის მოქმედების ყოვლისმომცველი მოთხოვნიდან და მეორე მხრივ, დაწერილი სამართლის აუცილებელი არასრულყოფილებიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის ნორმა შესაბამისად (ანალოგიით) უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც საქმე, რო-

<sup>24</sup> Rosenberg/Schwab/Gottwald, Zivilprozessrecht, 17. Aufl. 2010, § 115 Rn. 31.

<sup>25</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 4 Rn. 62 ff.

მელზეც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, უნებლიედ, კანონით რეგულირებული არ არის და კერძოდ, სამართლის ნორმის უშუალო გამოყენების სფეროში არ არის მოქცეული, მაგრამ ინტერესთა პოზიცია სამართლის ნორმის უშუალო გამოყენების სფეროსთან მიმართებაში მსგავსია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი). ასეთი მსგავსება არ გვაქვს, როდესაც განსახილველი სამართლის ნორმა აყენებს მოთხოვნას, რომ მისი მოქმედება თავისი უშუალო გამოყენების სფეროთი შემოიფარგლოს, როგორც ეს, ჩვეულებრივ,<sup>26</sup> სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შემთხვევაში გვაქვს (მე-3 ნაწილი).

თუ ურთიერთობა, საკანონმდებლო რეგულირების გეგმის საპირისპიროდ, არ არის მოწესრიგებული და არც მისი ინტერესთა პოზიცია არის დარეგულირებული ურთიერთობის მსგავსი, მაშინ შეუძლებელია მხოლოდ ერთი ნორმის ანალოგიით გამოყენება და გამოსაყენებელი სამართლებრივი შედეგი უნდა დაეფუძნოს მთლიანად კერძო სამართლის მოქმედ სისტემას (მე-2 ნაწილი). ამ თვალსაზრისით, არც საგამონაკლისო ნორმებია ამისთვის გამოსადეგი (მე-3 ნაწილი).

**34** ეს პრინციპები შეესაბამება იურიდიული მეცნიერების მიღებულ მეთოდოლოგიას, მაგრამ BGB-ში კოდიფიცირებული არ არის. ისინი აქამდე არ წარმოადგენდნენ მოსამზადებელი განხილვის საგანს. ჩემი აზრით, შესაძლებელია მათი ამოღება ყოველგვარი ჩანაცვლების გარეშე. თუ იქნება მათი შენარჩუნების სურვილი, მაშინ ისინი ტერმინოლოგიურად უნდა დაიხვეწოს ისე, რომ ამას არ მოჰყვეს არსებითი შინაარსობრივი ცვლილებები. ამასთან, ჩემი მონოდება იქნება, რომ კრიტიკიუმი „გეგმის საპირისპიროდ არსებული რეგულირების ხარვეზები“ ორივე ჯგუფისთვის იქნეს წინა პლანზე გამოტანილი და მეორე ჯგუფი „შეუძლებლობის“ ნაცვლად დამოკიდებული გახდეს ანალოგიის უნარის მქონე სამართლის ნორმის არარსებობაზე. დაბოლოს, ცნება „ზნეობა“ ბუნდოვნად მეჩვენება, ამიტომ გთავაზობთ, რომ იქ, სადაც არ იგულისხმება „კარგი ზნეობა“ (*Guten Sitten*), ანუ კარგი მორალი, როგორც მართლწესრიგის ზღვარი, არამედ სამართლის მიღმა არსებული წესრიგი, როგორც პოზიტიური მასშტაბი, ჩაანაცვლოს ის „ჩვეულების ნორმებით“.<sup>27</sup>

*d) კერძო სამართლის ობიექტები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად*

**35** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლს შემოაქვს (კერძოსამართლებრივი) სამართლის ობიექტის ცნება. ნორმა უკავშირებს კერძო სამართლის ობიექტის ცნებას ქონების ცნებას და არსებითად მის ბრუნვაუნარიანობაზე ამახვილებს ყურადღებას.

BGB-ში სამართლის ობიექტის ან სამართლის საგნის დეფინიცია არ არის მოცემული. გერმანული სამოქალაქო სამართლის დოქტრინაში სამართლის ობიექტი მეტწილად სამართლის სუბიექტის საპირისპირო ცნებად აღიქმება. გადამწყვეტია სამართლებრივი დაუფლების შესაძლებლობა (დაუფლებადობა - *Beherrschbarkeit*), როგორც კერძოსამართლებრივი მიკუთვნების წესის წინაპირობა.<sup>28</sup> ამასთან სამართლებრივი დაუფლების შესაძლებლობას ორი განსხვავებული ასპექტი გააჩნია.<sup>29</sup> ერთი მხრივ, ფაქტობრივი ბატონობა ან გამოყენება (განსაკუთრებით სამართლის ისეთი ობიექტების მიმართ, როგორიც არის ნივთები, ცხოველები, არამატერია-

<sup>26</sup> კრიტიკულად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის შესახებ ვაშაკიძე, ანგარიში გვ. 2.

<sup>27</sup> შეადარეთ, ზნეობის და მორალის შესახებ, Bork, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs*, 4. Aufl. 2016, Rn. 4 ff.; Brox/Walker, *Allgemeiner Teil des BGB*, 42. Aufl. 2018, § 1 Rn. 2 f.

<sup>28</sup> Bork, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs*, 4. Aufl. 2016, Rn. 227; Brox/Walker, *Allgemeiner Teil des BGB*, 42. Aufl. 2018, § 35 Rn. 1, 5 f.; Stadler, *Allgemeiner Teil des BGB*, 19. Aufl. 2017, § 11 Rn. 1.

<sup>29</sup> ამ თემაზე, Wolf/Neuner, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 11. Aufl. 2016, § 24 Rn. 2 ff.

ლური ქონებრივი უფლებები), მეორე მხრივ, გარიგებისთვის დამახასიათებელი ზემოქმედება გაუქმება, დათმობა, დატვირთვა ან შინაარსის ცვლილება (განკარგვა). უკანასკნელად ხსენებული გაგებით სამართლის ობიექტს წარმოადგენს არა ნივთი, არამედ მასზე საკუთრება (საკუთრების უფლება). მოთხოვნა შეიძლება წარმოადგენდეს როგორც გამოყენების, ისე განკარგვის ობიექტს. განკარგვის საგანს, განსაკუთრებით, შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივი ურთიერთობები (მაგალითად, ხელშეკრულება, როგორც ურთიერთობის შეწყვეტის საგანი - **Vertrag als Gegenstand der Kündigung**).<sup>30</sup> თუმცა ისინი, თავის მხრივ, არ წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ბრუნვაუნარიან ობიექტებს. ამიტომ, ქონების, როგორც „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ბრუნვაუნარიანი ობიექტის“, დეფინიციით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეზღუდულია სამართლის ობიექტის, როგორც დაუფლებადი ობიექტის გაგებით, რაც სამართლის განმარტებისა და გამოყენებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ გასათვალისწინებელია ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული შემდგომი სამუშაოებისას.

სამართლებრივი დაუფლების შესაძლებლობა, პირველ რიგში, წინაპირობად ადგენს, რომ სამართლის სუბიექტი, რომელიც ბატონობას ახორციელებს, ვერ იქნება ამ ბატონობის ობიექტი.<sup>31</sup> მეორე წინაპირობას წარმოადგენს სამართლებრივი წესი, რომლის მიხედვით სამართლებრივი დაუფლება შესაძლებელია კერძოსამართლებრივ ბრუნვაში, ანუ ქონების ბრუნვაუნარიანობა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი მართებულად აწესრიგებს ბრუნვაუნარიანობას წესის სახით, ხოლო გამორიცხულ ბრუნვაუნარიანობას - გამონაკლისის სახით. ეჭვები გამაჩნია იმასთან დაკავშირებით, ბრუნვაუნარიანობა ქონებას ყველა შემთხვევაში კანონის საშუალებით უნდა ჩამოერთვას თუ ის ასევე შეიძლება თავად ქონების ბუნებიდან გამომდინარეობდეს. ეს უკანასკნელი მეჩვენება, მაგალითად, ადამიანის გვამის შემთხვევაში მართებულად, რადგანაც ადამიანის არსებობას შემდგომშიც აქვს ეფექტი,<sup>32</sup> ისევე, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის (**Allgemeingüter**) შემთხვევაში.<sup>33</sup>

ამასთან, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ბრუნვაუნარიანობის გაუქმება გარიგების საფუძველზე, **BGB-ს §137-ის 1-ლი** წინადადების შესაბამისად ნორმირებული პრინციპის თანახმად, მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში არის შესაძლებელი. ეს ნორმა არ ეხება იმ ვალდებულების სამართლებრივ ძალას, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, არ განკარგოს ქონება (**BGB-ს §137-ის მე-2 წინადადება**), რაც იმას ნიშნავს, რომ სანივთო თვალსაზრისით სამართლებრივი ძალის მქონე განკარგვის აკრძალვის ბათილობა გავლენას არ ახდენს „არგანკარგვის შესახებ“ ხელშეკრულების ვალდებულებითსამართლებრივ ნამდვილობაზე.

ჩემთვის ნათელი არ არის, რომელი პრობლემის მოსაგვარებლად იქნა შემოთავაზებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული, კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან ამოღებული ქონების განკარგვის გამორიცხვა, ვინაიდან ამ თვალსაზრისით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 172-ე მუხლების შესაბამისად უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებებიც არსებობდა.<sup>34</sup> მიმაჩნია, რომ უკან დაბრუნების, დარღვევის აღმოფხვრისა და გარკვეული მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნების საკითხები, ბრუნვაუნარიანობისგან განცალკევებულად განსახილველ თემას წარმოადგენენ.

შესაბამისად, მართალია პიროვნული უფლებების სამართალიც, სწორედ რომ არ წარმოადგენს საკუთარ „მე“-ზე ბატონობის სამართალს, მაგრამ აერთიანებს მომსახურების განწევასთან

<sup>30</sup> Vgl. Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 24 Rn. 6.

<sup>31</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, Rn. § 35 Rn. 6.

<sup>32</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, Rn. § 35 Rn. 6.

<sup>33</sup> Vgl. Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 24 Rn. 15.

<sup>34</sup> Darjanja, S. 6.



დაკავშირებულ (*Leistungsrechte*) და დამცავ უფლებებს (*Abwehrrechte*), რომლებიც ემსახურება პიროვნების უფლებათა დაცვას მესამე პირებთან მიმართებაში.<sup>35</sup>

დამაჯერებელია, რომ სამართლის ობიექტად მიკუთვნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს ქონების ღირებულებას.

- 38** დარწმუნებით ვერ შევაფასებ, დეფინიციების წყვილში - „მატერიალური-არამატერიალური“, რომლისთვის მიკუთვნებაზეც ასევე არ არის დამოკიდებული სამართლის ობიექტად ცნობა, რაიმე უფრო ფართო ხომ არ იგულისხმება. ვვარაუდობ და გონივრულად მიმაჩნია, რომ აქ სხეულებრივი და უსხეულო ქონება არის ნაგულისხმევი. გერმანული სამართლის გაგებითაც ობიექტები, რომლებზეც ხორციელდება ბატონობა, მოიცავს სხეულებრივ და უსხეულო საგნებს.<sup>36</sup>

*e) კერძო სამართლის სუბიექტები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით*

- 39** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი ეხება კერძო სამართლის სუბიექტებს. ნორმა წარმოგვიდგენს კერძო სამართლის სუბიექტის ყოვლისმომცველ დეფინიციას (1-ლი ნაწილი) და შემდეგ აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობას (მე-2 ნაწილი). ამას მოსდევს კეთილსინდისიერების პრინციპის კოდიფიკაცია (მე-3 ნაწილი).

*aa) კერძო სამართლის სუბიექტის დეფინიცია*

- 40** კერძო სამართლის სუბიექტის დეფინიცია დაკავშირებული პირის დეფინიციასთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება).

აღნიშნული შესაბამისობაშია BGB-ს ტერმინოლოგიასთან, რომელიც, მართალია, ექვივალენტურ ნორმას არ იცნობს, მაგრამ სამართლის სუბიექტის როგორც „ფიზიკური“ ან „იურიდიული პირის“ დეფინიციას წინაპირობის სახით გულისხმობს (შეადარეთ BGB-ს ოფიციალური სათაურები §1-მდე და §21-მდე).<sup>37</sup> ამასთან, პირის ცნება ადგენს უფლებებისა და მოვალეობების ტარების შესაძლებლობის უნარს.<sup>38</sup> აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ არც ცალკეული პირები არ უნდა გამოირიცხოს კერძო სამართლის სუბიექტობიდან და ამდენად არც სამეწარმეო თუ არასამეწარმეო, შიდასახელმწიფოებრივ ან უცხოურ პირებს შორის უნდა არსებობდეს განსხვავება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 წინადადება).

- 41** საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული, კერძო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი მოცემულია 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ეს ჩამონათვალი უნდა იქნეს გადმოტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლში, ვინაიდან ის უკავშირდება არა კანონის გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, არამედ განეკუთვნება კერძო სამართლის სუბიექტების ფაქტობრივ კონტექსტს.

<sup>35</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 230.

<sup>36</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 228; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 35 Rn. 2 ff.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 24 Rn. 8.

<sup>37</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 151; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, vor § 33.

<sup>38</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 151.

თუკი საქმე არ ეხება არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად იურიდიული პირები იქმნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ვინაიდან მე ხელთ არ მაქვს აღნიშნული კანონი, ვერ შევაფასებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტერმინოლოგიურ თანმიმდევრულობას, არამედ მომიწევს ვივარაუდო, რომ იქ მოცემული ჩამონათვალი სწორად ასახავს ქართული სამენარმეო სამართლის ვითარებას სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირებისთვის.

*bb) სახელმწიფო ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, პრინციპში, ავრცელებს სამოქალაქო კანონების მოქმედებას სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. აღნიშნულს საფუძვლად უდევს შეკითხვა, მონაწილეობენ თუ არა და რა სახით მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძოსამართლებრივ ბრუნვაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები პრინციპულად (ასევე) კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების გაგებით, ვინაიდან მათ, როგორც უფლებებისა და მოვალეობების მატარებლებს, პირებისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნიათ. თუ ისინი კერძოსამართლებრივ ბრუნვაში მონაწილეობენ, მაშინ მათი ქმედების ეფექტი, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, შეესაბამება კერძო სამართლის იურიდიული პირების ქმედებას. ამ ნორმის ფაქტობრივ კონტექსტში, თუკი იარსებებს ამის მოთხოვნილება, ასევე უნდა იქნეს მონესრიგებული, თუ რა წინაპირობების არსებობისას მონაწილეობენ ისინი კერძო სამართლის სუბიექტების სახით კერძოსამართლებრივ ბრუნვაში. მაგრამ თავისთავად ეს საკითხი წარმოადგენს მოქმედების ფარგლების განმსაზღვრელი საჯარო სამართლის თემას.

სახელმწიფო ორგანოების კერძო სამართლის სუბიექტებად კვალიფიკაციის სურვილის არსებობის შემთხვევაში, ისე, რომ ისინი იმავდროულად საჯარო სამართლის იურიდიული პირები ყოფილიყვნენ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით გასათვალისწინებელი რეგულირების მიზანი იქნებოდა. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის დებულებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ეს სწორედაც რომ არ წარმოადგენდა კანონმდებლის სურვილს: კერძო სამართლის სუბიექტის სახით სახელმწიფო ან ადგილობრივი ერთეული თვითონ მონაწილეობს სამართლებრივ ბრუნვაში (რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდანაც გამომდინარეობს), მისი ორგანოები კი სწორედაც რომ არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს. თუ თქვენთვის სასურველია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოღებულ იქნეს კერძო სამართლის სუბიექტების კონტექსტში, ეს შეიძლება განიმარტოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებასთან კავშირში და 1509-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჩამონათვლის ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლში გადმოტანის გზით, ვინაიდან არც მათ აქვთ რაიმე საერთო გარდამავალ და დასკვნით დებულებებთან. ამასთან, ნათლად უნდა გამოჩნდეს, რომ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ფორმების შემთხვევაში საუბარია საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე და არა ისე, თითქოს ისინი ასეთებად არიან მიჩნეული (თითქოს საჯარო სამართლის სხვა, „უფრო კონკრეტული“ იურიდიული პირებიც არსებობდნენ). „სახელმწიფოს“ ნაცვლად საუბარი უნდა იყოს „ხაზინაზე“

42

43

(fiskus), ანუ სახელმწიფოზე, რომელიც გამოდის კერძო უფლებებისა და მოვალეობების მატარებლის როლში.

### cc) კეთილსინდისიერება

44 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი კერძო სამართლის სუბიექტებს აკისრებს კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულებას, თავიანთი უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისას. BGB-ში ამ განცხადებულ საფეხურზე კეთილსინდისიერების გენერალური დათქმა არ არის მოცემული. BGB-ს §242 ავალდებულებს მოვალეს, რომ შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ჩვეულების ნორმების გათვალისწინებით. კრედიტორის მხარისთვის აქედან გამომდინარეობს, რომ მას არ შეუძლია მოითხოვოს იმაზე მეტი, რის შესრულებასაც მოვალეს BGB-ს § 242 ავალდებულებს. ეს ნორმა ზოგადი პრინციპის გამოხატულებაა და მოქმედებს არა მხოლოდ ვალდებულებით ურთიერთობებში, არამედ ერთსულოვნად აღიარებული შეხედულების თანახმად, მთელ კერძო სამართალში.<sup>39</sup> აღნიშნული შესაბამისობაშია კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების 1.7 მუხლთან:

(1) საერთაშორისო ვაჭრობაში თითოეულმა მხარემ უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერების და პატიოსნების პრინციპების შესაბამისად.

(2) მხარეებს არ აქვთ უფლება გამოირიცხონ ან შეზღუდონ ეს მოვალეობა.

და შესულია საერთო ჩარჩო პროექტის (DCFR) III. მუხლის - 1:103-ში:

(1) პირი მოვალეა იმოქმედოს კეთილსინდისიერების და პატიოსნების პრინციპების შესაბამისად თავისი ვალდებულებების შესრულებისას, შესრულების უფლების განხორციელებისას, შეუსრულებლობისთვის გასაჩივრების ინიცირების ან პოზიციის დაცვისას, ან ვალდებულების ან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაუქმების უფლების განხორციელებისას.

(2) ეს ვალდებულება არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით ან სხვა იურიდიული აქტით.

(3) ვალდებულების დარღვევა არ წარმოშობს ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პირდაპირ გასაჩივრების უფლებას, მაგრამ შეიძლება ხელი შეუშალოს დამრღვევ პირს იმ უფლების, საჩივრის ან დაცვის უფლების განხორციელებაში, რომელიც ამ პირს სხვა შემთხვევაში ექნებოდა.

45 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებში წარმოდგენილი რეგულირება ამდენად დამაჯერებელია. ამ პრინციპის გამორჩეული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმის წარმოდგენაც, რომ ის ცალკე მუხლში იყოს გათვალისწინებული. ყოველ შემთხვევაში, რაიმე განსაკუთრებული ფაქტობრივი კავშირი კერძო სამართლის სუბიექტების საკითხთან არ არსებობს, ის ალბათ უფრო ასოცირდება სამოქალაქო კოდექსის მომდევნო, მე-9 მუხლით გათვალისწინებულ - სამოქალაქო კანონის მიზნის განსაზღვრასთან.

46 შინაარსობრივად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს კეთილსინდისიერებასთან შესაბამისობას. ჩვეულების ნორმის ან ე.წ. „fair dealing“-ის ცნება არ არის შემოღებული, რამაც შესაძლოა გვიბიძგოს ამ სტანდარტის სუბიექტურად, მხარეთა პერსპექტივიდან ახსნისკენ.<sup>40</sup> ამიტომ გირჩევდით, რომ დაამატოთ მითითება ჩვეულების ნორმაზე. ამასთან, გირჩევდით, ისევე, როგორც ძველ რედაქციაში, დაასახელოთ ამ ნორმის ადრესატები („სამართალბრუნვაში მონაწილე პირები“), იმისათვის რომ მკაფიოდ გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ კეთილსინდისიერად მოქცევის ვალდებულება ობიექტურ ვალდებულებას წარ-

<sup>39</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 348.

<sup>40</sup> შეადარეთ, DCFR I.-1:103, sub A.

მოადგენს, რომელიც სამართლებრივ ბრუნვაში მონაწილეობიდან და არა კონკრეტულ სამართალურთიერთობაში არსებული მხარის სტატუსიდან გამომდინარეობს და რომელიც, ამიტომაც, არ მოქმედებს სპეციფიკურად კონკრეტული სამართალურთიერთობის მხოლოდ შემხვედრი მხარის მიმართ (და მისი დარღვევა ამიტომ არ გამოიწვევს პირდაპირ გასაჩივრების უფლების წარმოშობას, შეადარეთ DCFR III მუხლის - 1:103). ენობრივი თვალსაზრისით ასევე შესაძლებელია ნორმის დახვეწა, ვინაიდან „განხორციელება“ მხოლოდ „უფლებებს“ შეიძლება ეხებოდეს და „მოვალეობებისთვის“ სასურველია შესაფერისი ზმნის დამატება.

*f) სამოქალაქო კანონთა მიზანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი ადგენს სამოქალაქო კანონთა მიზანს და იმავდროულად, სივრცეში მათი მოქმედების სფეროს. დებულება თავდაპირველად განსაზღვრავს სივრცეში მოქმედების სფეროს („საქართველოს ტერიტორიაზე“) და შემდეგ ადგენს ნორმატიულ პროგრამას, რომელიც „სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის თავისუფლების“ უზრუნველყოფაში მდგომარეობს და რომელსაც სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი ეხება. აღნიშნული წარმოადგენს მითითებას კერძო ავტონომიაზე, როგორც კერძო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპზე: სამართლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან თავიანთი კერძოსამართლებრივი საქმეები დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, საკუთარი სურვილის შესაბამისად მოაწესრიგონ.<sup>41</sup>

ამასთან, კერძო ავტონომია არ არის შეუზღუდავად გარანტირებული, არამედ, ერთი მხრივ, პირობად აყენებს ისეთი დებულებების არსებობას, რომლებიც კერძოსამართლებრივ ბრუნვას განმსაზღვრავენ და ამით კერძო სამართლის ფორმებსა და ინსტიტუტებში კერძო ავტონომიის ამოქმედების შესაძლებლობას იძლევიან და მეორე მხრივ მისი ზღვარი გადის სხვათა უფლებებსა და საჯარო ინტერესებზე, როგორც ეს დადგენილია კონსტიტუციური წესრიგით.<sup>42</sup> ეს დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლს უნდა დაემატოს და, ამასთან, თავისი მკაფიო კონტურების გამო მას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ზღვრების („ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და საჯარო წესრიგი“) გამეორებასთან შედარებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის შემდეგ, სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი აკონკრეტებს მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივ თავისუფლებას. რეგულირების ეს ყოვლისმომცველი მიზანი მუხლის სათაურში უნდა იყოს ასახული. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლი ნეგატიურად აყალიბებს, თუ რა არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლით გარანტირებული კერძო ავტონომიის ზღვარს: პოლიტიკური უფლებები, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით. შესაძლებელია აღნიშნული დამოკიდებულების უფრო ნათლად გამოხატვა, თუ ნაცვლად „სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისა“, გამოვიყენებთ „სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის თავისუფლებას“ და აქ შემდეგი რედაქციით ჩამოვაყალიბებთ: „თავისუფლება სამოქალაქოსამართლებრივ ბრუნვაში“. ეს ასევე სიცხადეს შეიტანდა იმ საკითხში, რომ არა მხოლოდ სუბიექტური უფლებების განკარგვა, არამედ ასევე ნებისმიერი სხვა სამოქალაქოსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქცევა (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება, მინდობილობის გაცემა, ქორწინება, ანდერძის შედგენა) პოლიტიკური უფლებებისგან დამოუკიდებელია.

<sup>41</sup> S. nur Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 99.

<sup>42</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 103; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 10 Rn. 30.

- 50** კონსტიტუციური წესრიგის ნაწილს, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის თავისუფლებას, სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ფარგლებს უწესებს, წარმოადგენს სამართლებრივი ნორმები, - როგორც კერძოსამართლებრივი, ისე საჯაროსამართლებრივი -, რომლებიც გარკვეულ მოქმედებას ან მოქმედებისგან თავის შეკავებას კრძალავენ და ამით, გარიგების ნიშნების მქონე გარკვეული ქცევების წინააღმდეგ არის მიმართული (ამკრძალავი კანონები).<sup>43</sup> ამდენად, სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს კერძო ავტონომიის შინაარსობრივად უპრობლემო დაკონკრეტებას, მაგრამ წარმოდგენილი რედაქციით რთული გასაგებია; ამიტომ, გირჩევთ მის ენობრივ დახვეწას ადრინდელი რედაქციის შესაბამისად.
- 51** გარდა ამისა, კონსტიტუციური წესრიგის ნაწილს წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ნორმები, რომელთა საშუალებითაც კანონმდებელმა კონსტიტუციით დაკისრებული თავისი ფუნქციის შესრულებისას კერძო პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები დაარეგულირა და რომლებიდან გადახვევის უფლება შესაბამის პირებს კერძო ავტონომიით ნებადართული მოქმედებით არ გააჩნიათ (იმპერატიული ნორმა; *ius cogens*).<sup>44</sup> ამ დეფინიციას წარმოგვიდგენს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი (ტერმინოლოგიურად ცნება „იმპერატიული ნორმები“ შეუსაბამოა და უნდა გადაიხედოს). ის, რომ კანონის ცალკეული დებულებების შემთხვევაში მესამე პირთა და საყოველთაო კეთილდღეობის დაცვის მიზნით, მხარეებს თავიანთი შეხედულებით გადანყვეტის უფლება უნდა ჩამოერთვათ, **BGB**-ს შემთხვევაშიც აღიარებულია.<sup>45</sup> ყოველ შემთხვევაში, კანონის ბოროტად გამოყენებისგან დაცვა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს იმპერატიული სამართლის ერთადერთ საფუძველს, არამედ ასევე გასათვალისწინებელია ბრუნვის უსაფრთხოება და სამართლებრივი სიცხადე (ასე მაგალითად, **numerus clausus**-ი სანივთო უფლებების შემთხვევაში).<sup>46</sup> ამიტომ აქაც გონივრულად მიმაჩნია მე-9 მუხლთან სისტემატიკური კავშირის ხაზგასმა, ცნების - „სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის თავისუფლება“ საშუალებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებით ფორმულირებული ძირითადი წესი, რომელიც ეხება იმპერატიული კანონის დარღვევის სამართლებრივ შედეგს, შინაარსობრივად რაიმე შეკითხვებს არ წარმოშობს. სავარაუდოდ უმჯობესი იქნებოდა გარიგების ცნების შემოტანა. ცხადად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, რომ ეს შედეგები შესაბამისად მხოლოდ მაშინ დგება, „თუ“ გარიგება იმპერატიულ ნორმებს ეწინააღმდეგება. ენობრივად შეიძლება ასევე დაიხვეწოს ფორმულირება - „მიუთითებს სხვაგვარ შედეგზე“. სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მე-3 წინადადება ადგენს კანონის დათქმას კერძო ავტონომიის ადმინისტრაციული ზღვრებისთვის და ასევე სასურველია მისი ენობრივად დახვეწაც.
- 52** კერძო ავტონომია თავის ზღვარს აღწევს არა მხოლოდ იმპერატიულ ნორმებთან კოლიზიისას, არამედ მაშინაც, როცა ისეთი ფორმულირებაა შერჩეული, რომელიც, მართალია, იმპერატიულ ნორმას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მას გვერდს უვლის, ანუ მისი შექმნის მიზანი შეესაბამება იმას, რასაც კრძალავს ეს ნორმა (რომლის გვერდის ავლაც ხდება).<sup>47</sup> შესაძლებელია ამ ფუნდამენტური იდეის ასახვა სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში დამატებითი წინადადების ჩართვით.

<sup>43</sup> ტერმინის შესახებ, Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 14 Rn. 3 ff.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 45 Rn. 3 ff.

<sup>44</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 3 Rn. 11 ff., § 45 Rn. 4.

<sup>45</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, Rn. 17; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 3 Rn. 11.

<sup>46</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 3 Rn. 11 ff.

<sup>47</sup> BGHZ 162, 294 = NJW 2005, 1645, 1646; BeckOK BGB/H. Schmidt, 48. Ed., § 306a Rn. 3.

## 2. პირები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი შეიცავენ ასევე დებულებებს პირების (ფიზიკური პირები: მე-11-23-ე მუხლები; იურიდიული პირები: 24-ე - 39-ე მუხლები) შესახებ. 53

*a) ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11-დან მე-16 მუხლების მიხედვით*

ფიზიკური პირების უფლების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის დებულება, რომელსაც ერთვის დებულებები ქმედუნარიანობის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის მე-12-მე-16 მუხლები). 54

*aa) უფლებაუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის ლეგალურ დეფინიციას და შემდეგ ფიზიკური პირისთვის ადგენს უფლებაუნარიანობის დასაწყისსა და დასასრულს. 55

უფლებაუნარიანობის ლეგალურ დეფინიციასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს პირის<sup>48</sup> დეფინიციასაც, რომელიც შეესაბამება BGB-სეულ გაგებას. ამიტომ შეუძლებელია, რომ ეს დეფინიცია მხოლოდ ფიზიკურ პირს ეხებოდეს. აღნიშნული ნათლად უნდა აისახოს ფორმულირებაში და ამ შემთხვევაში მისი განთავსება „ფიზიკური პირებისთვის“ მიძღვნილ თავში აღარ მიმაჩნია პრობლემატურად. 56

შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის 10-ლი ნაწილი ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის დასაწყისად განსაზღვრავს დაბადების მომენტს. ამით უზრუნველყოფილია, რომ ფიზიკური პირის ცნება ნებისმიერ ადამიანს მოიცავს. დებულება შეესაბამება BGB-ს §1-ს, რომელიც ადამიანის უფლებაუნარიანობის დასაწყისად დაბადების დასრულებას განსაზღვრავს. ამასთან „დაბადების დასრულებაში“ იგულისხმება ის მომენტი, როდესაც ბავშვი დედის საშვილოსნოდან მთლიანად არის გამოსული.<sup>49</sup> მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ არსებობს დაბადების „მომენტი“ სამედიცინო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ, რომ რეფორმის პროცესში ჩაანაცვლოთ ეს სიტყვა ფორმულირებით - „დაბადების დასრულება“ („Vollendung der geburt“). 57

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი „მემკვიდრედ ყოფნის უფლებით“ ადგენს მოგვიანებით წარმოშობილ უფლებაუნარიანობაზე დამოკიდებულ ნაწილობრივ უფლებაუნარიანობას (Teilrechtsfähigkeit) დაუბადებელი ბავშვისთვის (nasciturus), რაც შინაარსობრივად შეესაბამება BGB-ს §1923-ის მე-2 აბზაცს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ცნებები „მემკვიდრედ ყოფნის უფლება“ და მისი „განხორციელება“ არ არის კარგად შერჩეული, რადგან როგორც ასეთი, არ არსებობს მამკვიდრებლისგან მემკვიდრეობის მიღების სუბიექტური უფლება, არამედ აქ საუბარია მემკვიდრედ ყოფნის, ანუ სამკვიდროს სახით მიღებული უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად ყოფნის შესაძლებლობის უნარზე. მემკვიდრედ ყოფნის უნარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლით არის განსაზღვრული. ამ ნორმის ა) ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის ფარგლებში დაუბადებელი ბავში მხო-

<sup>48</sup> Vgl. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 151, 154.

<sup>49</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 156.

ლოდ იმ შემთხვევაში არის მემკვიდრედ ყოფნის უნარის მქონე, როდესაც ის წარმოადგენს მამკვიდრებლის შვილს (რაც პირდაპირ ადგენს ბ) ნაწილისგან განსხვავებულ წესს). ეს აღქმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილთან, აგრეთვე BGB-ს §1923-ის მე-2 აბზაცთან შედარებით უფრო ვიწროა. ეს საკანონმდებლო გადაწყვეტილება უნდა გადაიხედოს და საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1307-ე მუხლის შინაარსობრივ კონტექსტში უნდა გადაწყდეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი კი ამოღებულ უნდა იქნეს.

59 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით ფიზიკური პირის უფლებათუნარიანობის შეწყვეტა განსაზღვრულია მისი გარდაცვალებით, რაც განმარტებულია, როგორც თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. აღნიშნული დებულების შესაბამისი დებულება BGB-ში არ არსებობს. უფლებათუნარიანობის დასასრული იქ წინაპირობის სახით ნაგულისხმევია, BGB-ს §1922-ის 1-ლი აბზაცი მემკვიდრეზე ქონების გადასვლაზე საუბრისას მხოლოდ მის ქონებრივსამართლებრივ შედეგებს ეხება. თუმცა ლიტერატურაში უფლებათუნარიანობის შეწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსად, გარდაცვალებით განისაზღვრება და იგი მეტწილად განმარტებულია როგორც ტვინის სიკვდილი.<sup>50</sup>

60 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილი გამორიცხავს სამართლებრივი აქტის (წართმევის) გზით უფლებათუნარიანობის დროზე ადრე შეწყვეტას. ეს შესაბამისობაშია გერმანულ სამართლებრივ მდგომარეობასთან.<sup>51</sup>

*bb) ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 და მე-13 მუხლების მიხედვით*

61 უფლებათუნარიანობისგან, რომელიც კერძო სამართლის ყველა სუბიექტს ეკუთვნის, უნდა განვასხვაოთ ქმედუნარიანობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის დასაწყისში არის ნორმირებული. იგი სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია როგორც ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

BGB-ში ქმედუნარიანობა პოზიტიურად რეგულირებული არ არის და მხოლოდ ირიბად იკითხება კანონის სხვადასხვა ჩანაწერიდან, განსაკუთრებით (ბიზნეს-) ხელშეკრულებათუნარიანობის (*Geschäftsfähigkeit*) სახით, რომელიც იქიდან გამომდინარეობს, რომ (ბიზნეს-) ხელშეკრულებათუნარიანობის არმქონე პირის ნების გამოვლენა ბათილია (BGB-ს §105-ის 1-ლი აბზაცი), ასევე ქორწინებისთვის ქმედუნარიანობის, ანდერძის შედგენისთვის ქმედუნარიანობის, დელიქტუნარიანობის სახით და აგრეთვე უნარით, პასუხი აგოს თავისი ვალდებულებითსამართლებრივი მოვალეობების დარღვევისთვის.<sup>52</sup> თუმცა, მასშტაბები განსხვავებულია.

დელიქტუნარიანობა, ქორწინებისთვის ქმედუნარიანობა და ანდერძის შედგენისთვის ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც ექვემდებარება უფრო სპეციალურ რეგულირებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე და შემდგომი მუხლები, 1108-ე მუხლი და 1345-ე მუხლი). ამით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედუნარიანობისთვის დადგენილი მასშტაბები მოქმედებს გარიგების სახის მოქმედების უნარის მიმართ და მათ ავსებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

<sup>50</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 154, 160; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 11 Rn. 3.

<sup>51</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 154, 160; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 11 Rn. 3.

<sup>52</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 104 Rn. 1; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 12 Rn. 1.

63-ე და შემდგომი მუხლების დებულებები. გარდა ამისა, ვინაიდან ვალდებულების შესრულების გართულების სამართალში BGB-ს §276-ის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისი მითითება დელიქტუარიაანობაზე არ გვაქვს, BGB-ში გათვალისწინებული (ბიზნეს-) ხელშეკრულებაუნარიანობისგან (*Geschäftsfähigkeit*) განსხვავებით, ისინი ასევე ვრცელდება პირის უნარზე, პასუხი აგოს თავისი ვალდებულებითსამართლებრივი მოვალეობების დარღვევისთვის.

ამ თვალსაზრისით, მართლაც უნდა გადაიხედოს, თუ რომელი უნდა იყოს გადამწყვეტი, აბსტრაქტული ქმედუნარიანობა თუ უფრო ფაქტობრივი შერაცხადობა (*Zurechnungsfähigkeit*) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-დან 996-მდე მუხლების შესაბამისად).

ქმედუნარიანობისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მნიშვნელოვანია სრულწლოვანება, რომელიც მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად 18 წლის ასაკის მიღწევასთან ერთად დგება, რაც BGB-ს §2-ის ექვივალენტურია. პირიქით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, 7 წლამდე ასაკის პირი ქმედუნაროა (BGB-ს §104-ის Nr.1-ის შესაბამისად). ვინაიდან მე-7 წელიწადი უკვე მე-6 დაბადების დღეზე იწყება (შეადარეთ, BGB-ს §187-ის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება), ფორმულირებაში ნათლად უნდა აისახოს, რომ აღნიშნული დამოკიდებულება მე-7 წლის შესრულებაზე (*Vollendung des siebten Lebensjahres*).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად „7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი“ დეფინირებულია, როგორც „მცირეწლოვანი“ (*„minderjähriger“*). აღნიშნული ლეგალური დეფინიციის საწინააღმდეგო თავისთავად არაფერი მაქვს, მაგრამ ის წინააღმდეგობაში მოდის BGB-ში დამკვიდრებულ მეტყველების სტილთან, რომლის მიხედვით მცირეწლოვანი (*„minderjähriger“*) არის ის, ვისაც 18 წელი არ შესრულებია (შეადარეთ, BGB-ს §106). აღნიშნული გასათვალისწინებელია, როდესაც რაიმე შედეგის დადგომა მცირეწლოვნებაზე (*Minderjährigkeit*) იქნება მიბმული. განსაკუთრებით, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომელიც მათლია, სცდება ჩემი დავალების ფარგლებს, შესამონმებელი იქნება, ხომ არ იგულისხმება იქ სინამდვილეში მხოლოდ ის არასრულწლოვანი (*Minderjährige*) ბავშვები, რომლებსაც 7 წელი არ შესრულებიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი პირის ქორწინებაც, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილით შესაძლებელია, იწვევს ქმედუნარიანობას. ამ წესს BGB-ში შესატყვისი არ გააჩნია, რადგან ქორწინებისთვის ქმედუნარიანობა სრულწლოვანების დაწყებასთან ერთად დგება (BGB-ს §1303-ის 1-ლი წინადადება 2017 წლის 22 ივლისიდან მოქმედი რედაქციით). მაგრამ არც მანამდე მოქმედი სამართლებრივი მდგომარეობით წარმოადგენდა (ბიზნეს-) ხელშეკრულებაუნარიანობა (*Geschäftsfähigkeit*) არასრულწლოვანი პირის ქორწინების შედეგს, არამედ პირიქით მეორე მუხლის ხელშეკრულებაუნარიანობა წარმოადგენდა წინაპირობას იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო არასრულწლოვანი პირისთვის სრულწლოვანების სავალდებულოობისგან გათავისუფლების მინიჭება (BGB-ს ძველი რედაქციის §1303-ის მე-2 აბზაცი). ეს დებულება ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ მომავალ მეუღლეთაგან ერთი მაინც უნდა ყოფილიყო ქონებრივსამართლებრივად დამოუკიდებელი და ოჯახური ცხოვრების წარმართვისთვის აუცილებელი გარეგებების დადების უნარის მქონე.<sup>53</sup> ამგვარი რეგულირების კონცეფცია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანთა შეზღუდული ქმედუნარიანობა მიზნად ისახავს მათ დაცვას გარიგებასთან დაკავშირებული, არასაკმარისად გააზრებული და ამდენად არასასურველი ვალდებულებებისგან. მართალია, ქორწინებით ჩნება სამართლებრივი დამოუკიდებლობის გაზრდილი მოთხოვნილება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასევე არსებობს გარიგებების ტიპის მოქმედებების საკმარისად გააზრებულად განხორციელების უნარიც. ამიტომ განხილულ უნდა

<sup>53</sup> Vgl. Dethloff, Familienrecht, 31. Aufl. 2015, § 3 Rn. 23.



იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის ამოღების შესაძლებლობა.

ამით, აღნიშნულთან კავშირში, მაგრამ შედეგობრივად ამისგან დამოუკიდებლად, ისმის კითხვა, ხომ არ უნდა წარმოადგენდეს არასრულწლოვან პირთან ქორწინების წინაპირობას სრულწლოვანება და ხომ არ უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისი მოდიფიცირება, თუკი არასრულწლოვანთა ქორწინების მოთხოვნილება საერთოდ კიდევ არსებობს.

**64** კერძო ავტონომიით გათვალისწინებული გარიგების სახის ქმედებების განხორციელების უნარის წინაპირობას წარმოადგენს ნების თავისუფლად შექმნის (ჩამოყალიბების) უნარი, რაც ავადმყოფობის გამო შესაძლოა ხანგრძლივი დროით იყოს შეზღუდული. ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი შეიცავს მხარდაჭერის მიმღების ლეგალურ დეფინიციას. აქ საუბარია სტატუსზე, რომლის მიღება დამოკიდებულია სასამართლოს მიერ აღიარებაზე (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი ნათლად განმარტავს, ქმედუნარიანად „ითვლება“ ასევე სრულწლოვანი მხარდაჭერის მიმღები. მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად არასრულწლოვანიც შეიძლება იყოს მხარდაჭერის მიმღები, იმ შემთხვევაში, თუ კანონი მას კანონიერი წარმომადგენლობის თანხმობისგან დამოუკიდებლად გარიგების ტიპის მოქმედებების განხორციელების უფლებას მიანიჭებს. როგორც მხარდაჭერის მიმღების ლეგალური დეფინიციის, ისე საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია არასრულწლოვანისთვის მხარდაჭერის დანიშვნა, წარმოადგენს არა მხოლოდ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებულ, არამედ უფრო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლით დასარეგულირებელ საკითხებს და ამით შინაარსობრივ კავშირშია მხარდაჭერის სამართალურ-თიერთობის წინაპირობებსა და მის ფორმულირებასთან.<sup>54</sup>

ჩემი დავალების ფარგლებს მიღმა გაკეთებული დაკვირვებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეეხება ასევე შიდა ურთიერთობას მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის, რომლის პასუხისმგებლობაც დელიქტური კუთხით არის დარეგულირებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი), მიუხედავად იმისა, რომ აქ საქმე ეხება პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი განსაკუთრებული კავშირის (ურთიერთობის (*Sonderverbindung*)) ფარგლებში.

შინაარსობრივი თვალსაზრისით მეექვსეა, რომ კრიტერიუმის სახით საკმარისი იყოს შესაძლო („შესაძლო“) ხელის შეშლაზე (ანუ არა: რეალურ გამორიცხვაზე) მითითება „საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობისთვის, სხვებთან თანაბარ პირობებში“. ჩემი აზრით, სწორი იქნებოდა, რომ აღნიშნული დამოკიდებული ყოფილიყო ნების თავისუფალი ჩამოყალიბების ხანგრძლივ (მუდმივ) გამორიცხვაზე. აღნიშნული არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და არც, მით უმეტეს, ეფექტიანი მონაწილეობის საკითხს. შედეგად, მექმნება შთაბეჭდილება, რომ შესაძლო მხარდაჭერის მიმღებთა წრე ზედმეტად ფართოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის დარჩენილი ნორმატიული შინაარსი უფრო ნათლად უნდა იქნეს წინა პლანზე წამოწეული იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არ ეხება მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების (იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ იქნება ამოღებული) დანაწესს.

**65** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი ეხება ქმედუნარიანობის შეზღუდვას. სათაურის მიხედვით, ნორმა გამორიცხავს ქმედუნარიანობის შეზღუდვას გარიგების გზით. ამით სათაურში ასახულია მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნულის საპირისპიროდ, მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი ნათლად ნორმატიული შინაარსი არ ჰპოვებს ასახვას მის სათაურში. ქმედუნა-

<sup>54</sup> კრიტიკულად, ასევე, Darjania, S. 8 f.; Chanturia/Knieper, S. 13.

რიანობის შეზღუდვის კანონის დათქმისთვის დაქვემდებარებით, იზღუდება ასევე ადმინისტრაციული აქტის საშუალებით დადგენილი შეზღუდვები. რეგულირების ორივე შინაარსი უნდა იყოს ასახული სათაურში.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, მუხლის 1-ლ წინადადებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს; მე-2 წინადადება შეესაბამება გერმანულ გაგებას, რომლის თანახმად, ქმედუნარიანობის შესახებ წესები იმპერატიულ ნორმას წარმოადგენენ.<sup>55</sup>

*cc) შეზღუდული ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14-მე-16 მუხლების მიხედვით*

მაშინ, როდესაც მე-12 მუხლის 1-ლიდან მე-4 ნაწილები ეხება პირის ქმედუნარიანობას და მე-6 ნაწილი - პირის ქმედუნარიანობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14-დან მე-16 მუხლები ანესრიგებენ შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევებს.

(1) არასრულწლოვნები, რომლებსაც შეუსრულდათ 7 წელი და ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი (აღნიშნული ასაკობრივი მონაკვეთი ენობრივად სწორად უნდა იყოს ფორმულირებული), შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონენი არიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ამასთან ნათლად უნდა განიმარტოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით (აღნიშნული ნორმის დატოვების შემთხვევაში) აღიარებულ ქმედუნარიანობას ეს ნორმა არ ეხება.

(2) მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრულწლოვნები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება) მიიჩნევიან ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ. აღნიშნულის საპირისპიროდ, არასრულწლოვანი პირისთვის მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებას (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) არავითარი შედეგი არ მოჰყვება ქმედუნარიანობის თვალსაზრისით, რომელიც ისედაც შეზღუდულად არსებობს. თუ აღნიშნული საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით უნდა იქნეს განმარტებული, საჭირო იქნება ნორმის შესაბამისი ენობრივი რედაქტირება (სხვაგვარი შედეგი გვექნებოდა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული ქმედუნარიანობის შემთხვევაში, თუმცა ის ამოღებულ უნდა იქნეს). ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შეზღუდულ ქმედუნარიანობას, ეს დებულება მე-2 ნაწილის შემადგენლობაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. მისი ფორმულირება უფრო ნათლად უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი ქმედუნარიანი გახდება, მზრუნველობის გაუქმების შესახებ გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე. გაუქმების, ისევე, როგორც დაწესების წინაპირობები სამოქალაქო კოდექსის 1275-ე და შემდგომ მუხლებთან შინაარსობრივ კავშირში უნდა იყოს მოწესრიგებული.

(3) მოვლის (მეურვეობის - *Pflegschaft*) ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირების მიმართ მოქმედებს თანხმობის დათქმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი). მეურვეობის წინაპირობები და მათი გაუქმება ასევე უნდა რეგულირდებოდეს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე და შემდგომ მუხლებთან შინაარსობრივ კავშირში. ამასთან, ასევე უნდა შემოწმდეს, მოვლის (მეურვეობის - *Pflegschaft*) შემთხვევაში, მართლაც, მზრუნველობისგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგის კონცეფცია ხომ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ უნდა არსებობდეს განსხვავება მზრუნველობასა და მოვლას (მეურვეობის - *Pflegschaft*) შორის, აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილში შეიძლება იქნეს ფორმულირებული.

<sup>55</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 104 Rn. 3.

აღნიშნულის საპირისპიროდ, უშუალოდ კანონის მიერ ავადმყოფობის საფუძველზე კერძო-ვეტონომიური, გარიგების ტიპის მოქმედების უნარის შეზღუდვა თავად ქმედუნარიანობის დონეზე კი არ ხორციელდება, არამედ პირდაპირ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის გზით. აქვე შეიძლება განთავსებულიყო BGB-ს §105a-ს შესაბამისი დებულება, რომლის თანახმად ყოველდღიური საყოფაცხოვრებო გარიგებებიც შეიძლება ნამდვილი იყოს, როდესაც ისინი ქმედუნარო სრულწლოვანი პირის მიერ ხორციელდება.

**70** შეზღუდული ქმედუნარიანობის შესახებ დებულებების მიმართ მოქმედებს ნების გამოვლენისთვის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის დათქმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი). ეს სამართლებრივი შედეგი შეიძლებოდა გარიგების ნამდვილობის პირობებთან შინაარსობრივ კავშირში ყოფილიყო ნორმირებული, ქმედუნარიანობის არარსებობის სამართლებრივი შედეგის პარალელურად. იმავდროულად შესაძლოა (ნინა რედაქციის შესაბამისად) განმარტებული ყოფილიყო, რომ საკმარისი არ არის სარგებლის (უპირატესობის) მიღება, არამედ გადამწყვეტია „მხოლოდ“ „სამართლებრივი“ სარგებელი.

*b) ფიზიკური პირების სახელის უფლება და პირადი არაქონებრივი უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17-მე-19 მუხლების მიხედვით*

**71** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17-დან მე-19-მდე მუხლები ფიზიკური პირის უფლების ნაწილის სახით ადგენენ სახელის უფლებას, აგრეთვე პირადი და სოციალური ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებას. აღნიშნული შინაარსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის სათაურში არასრულყოფილად არის ასახული; აქ უფრო შესაფერისი იქნებოდა პიროვნულ უფლებებზე (Persönlichkeitsrechte) საუბარი. ამ, უფრო ზოგად, სახელწოდებაში გაერთიანებული იქნებოდა საკუთარი სახელის უფლება, ისევე როგორც პიროვნების პატივი, პიროვნების თვითგამორკვევა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია.

**72** აღნიშნულის საპირისპიროდ, საეჭვოა, რომ აქ დაცულ სამართლებრივ სიკეთეს „ღირსება“ (Würde) შესაფერისად ასახავს; ამიტომ აღნიშნულ კონტექსტში ეს ტერმინი არ უნდა იქნეს გამოყენებული.

**73** სახელის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი) და მისი შეუფერხებლად (ხელის შეშლის გარეშე) გამოყენების უფლება, რაც უზრუნველყოფილია მოქმედების შეწყვეტის და უარის თქმის თაობაზე მოთხოვნებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილი; მაგრამ მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს ხელმყოფის წინააღმდეგ), აგრეთვე სახელის შეცვლის უფლება რაიმე განსაკუთრებულ კითხვის ნიშნებს არ წარმოშობს. ეს შეესაბამება BGB-ს §12-ს, სახელის ცვლილების შესახებ კანონის (NamÄndG)<sup>56</sup> §§ 1,3,11-ს, აგრეთვე BGB-ს §1004-თან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას.<sup>57</sup> ასევე გამართლებულად მიმაჩნია კრედიტორების და მოვალეების ვალდებულება შეტყობინების თაობაზე, როგორც ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულება.<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში ნორმირებული პირადი და სოციალური ხელშეუხებლობის დაცვის უფლება (განსაკუთრებით, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე), გარდა ამისა, შეესაბამება BGB-სეულ გაგებასაც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი იქ მხოლოდ ცალკეულ ასპექტებშია კოდიფიცირებული.<sup>59</sup>

<sup>56</sup> Gesetz über die Änderung von Familiennamen und Vornamen (Namensänderungsgesetz), BGBl. III, 401-1.  
<sup>57</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 12 Rn. 36 f.  
<sup>58</sup> შეადარეთ, Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 260 Rn. 4 ff.  
<sup>59</sup> დეტალურად, Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 13 Rn. 9 ff., 45 ff.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში სასამართლოს მეშვეობით დაცვის პროცესუალურად ფორმულირებული უფლება კი, როგორც მოქმედების შეწყვეტის მოთხოვნის სუბიექტური უფლება, მართლსაწინააღმდეგო დარღვევებთან უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.

ნორმა, როგორც ჩანს რაღაც სპეციალურ კანონთან არის დაკავშირებული, რომელიც აზრის და გამონათვის თავისუფლებას ეხება,<sup>60</sup> მაგრამ ჩემს ხელთ არ არის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის ბოლოს გათვალისწინებული უფლებების ზღვარი მხოლოდ შესაფერის საზღაურზე უნდა აკეთებდეს აქცენტს და არა განსაკუთრებულ თანამონაწილეობაზე (ქმედებაზე) გამოსახულების წარმოშობისას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადებით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დაცვა, უარის თქმის („უარყოფის“- „*Verneinung*“) და საპასუხო ცნობების გამოქვეყნების გზით, ასევე არავითარ შეკითხვებს არ წარმოშობს. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რას გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში „ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი“ და „დინტერესებული პირები“. მოსამზადებელ მასალებში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მტკიცების ტვირთის დაზარალებულისთვის დაკისრება, რომელსაც უწევს სახელის შემლახველი ცნობების სიცრუის მტკიცება, არაქონებრივი უფლების<sup>61</sup> ცნებას ცვლის, ჩემთვის კონცეპტუალური კავშირის თვალსაზრისით არ არის ნათელი. სწორია, რომ მადისკრედიტირებული მტკიცებების შემთხვევაში, რომელთა სიმართლესთან შესაბამისობა მათი გამონათვისის მომენტში გაურკვეველია, პრინციპულად, მათი ჭეშმარიტების მტკიცების ტვირთი ეკისრება მათ გამომნათველ პირს, მაშინ, როდესაც ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არსებითად ეხება საზოგადოებრიობას, მას მხოლოდ (გაფართოებული) განცხადების ტვირთი (*erweiterte Darlegungslast*) ეკისრება იმასთან დაკავშირებით, რომ მან ამ ინფორმაციის მოძიებისას შეასრულა სათანადო გულმოდგინების ვალდებულება.<sup>62</sup>

უფლებების დაცვა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით ხორციელდება, მიუხედავად დაზარალებული პირის ბრალეულობისა (*vom Verschulden des Verletzten*) (რაც ჩემთვის გაუგებარია და ისე უნდა იქნეს შეცვლილი, რომ მოთხოვნები არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელმყოფის ბრალეულობაზე), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით ფართოვდება და ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურების სახით. ეს დებულებაც არსებითად შეესაბამება BGB-ს §823-ის 1-ლ აბზაცსა და ზოგად პიროვნულ უფლებებთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკას.<sup>63</sup> აღნიშნულ საკითხზე, მოსამზადებელ მასალებში, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ სასურველი იქნებოდა არამატერიალური ზიანის ცნების უფრო დეტალურად განსაზღვრა ფსიქიკური ზიანის გაგებით (*psychischer Schaden*)<sup>64</sup>, მეორე მხრივ კი, გამონათვლია მოსაზრება, რომ სიფრთხილეა საჭირო პიროვნული უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული არამატერიალური ზიანისთვის ფართო პასუხისმგებლობის შემთხვევაში არსებულ, ბოროტად გამოყენების პოტენციალთან დაკავშირებით.<sup>65</sup> პრინციპში ორივე პოზიცია სწორია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადებაში შეიძლება შემზღუდავად იქნეს განმარტებული, რომ მოპოვებული მოგების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ,

<sup>60</sup> Vgl. Darjania, S. 10.

<sup>61</sup> Darjania, S. 10 f.; იგივე ტენდენციით ასევე Chanturia/Knieper, S. 3 (sub 11).

<sup>62</sup> BGH NJW 2013, 790 Rn. 15 f. und 26; Palandt/Sprau, BGB, 76. Aufl. 2017, § 823 Rn. 102.

<sup>63</sup> შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 12 Rn. 39, und Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, § 823 Rn. 83 ff., 129 ff.

<sup>64</sup> Chanturia/Knieper-ის მიხედვით, S. 29.

<sup>65</sup> Chanturia/Knieper, S. 36.

როდესაც დარღვეულია ქონებრივი ღირებულების მქონე ინტერესები. ამასთან, პიროვნულ უფლებასთან დაკავშირებით მოქმედი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად,<sup>66</sup> შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მე-4 წინადადებაში დაკონკრეტდეს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ზოგადი პიროვნული უფლებების ბრალეული, სერიოზული (მძიმე) დარღვევის შემთხვევაში, რომლის დროსაც დარღვევის სახეობიდან გამომდინარე წარმოშობილი ზიანი სხვაგვარად ვერ იქნება დამაკმაყოფილებლად გამოსწორებული. ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებით ისედაც იმოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. უარი უნდა ითქვას პოზიციაზე, რომლის თანახმად არამატერიალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მიუხედავად ქონებრივი ზიანის არსებობისა, ამდენად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მე-5 წინადადება ამოღებულ უნდა იქნეს.

**77** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ამ ნორმის 1-ლ და მე-2 ნაწილებში ზედმეტად მონესრიგებულად მეჩვენება, გერმანულ სამოქალაქო სამართალში პირდაპირი შესატყვისი არ გააჩნია. პირის უფლება, გაცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს, ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საერთო რეგულაციის (DSGVO) მე-15 მუხლში<sup>67</sup> მთლიანად ან ნაწილობრივ დამუშავებული პერსონალური მონაცემებისთვის, აგრეთვე მონაცემთა სისტემაში შენახული ან შესანახად განკუთვნილი პერსონალური მონაცემებისთვის (შეადარეთ, DSGVO-ს მე-2 მუხლი). მონაცემთა დაცვის სამართლის ფარგლებს გარეთ ინფორმაციის მიღების მოთხოვნა გამართლებულია, როგორც შესაბამისი განსაკუთრებული ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულება.<sup>68</sup> თუმცა, იგი BGB-ს §242-ის შესაბამისად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (რომელიც მართალია უფლების განხორციელების მიზნით მონაცემების მიღებას ეხება) დამოკიდებულია იმაზე, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა ვალდებული პირისთვის მისაღებია (აქცეპტირებადია), რადგან მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს აღნიშნული ინფორმაციის გაცემა.<sup>69</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით მონაცემების მიღება დამოკიდებულია მხოლოდ იმ პირის წერილობით თანხმობაზე, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია, რაც ერთი მხრივ, ნაკითხულ უნდა იქნეს, როგორც სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების დამცავი, 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზღვარი (შეადარეთ, DSGVO-ს მე-15 მუხლის მე-4 ნაწილი), მეორე მხრივ კი როგორც მესამე პირისთვის მოთხოვნის უფლების განხორციელების უფლებამოსილების მიმნიჭებელი დებულება.

**78** მოსამზადებელ მასალებში გამოთქმული ეჭვი იმის თაობაზე, რომ მონაცემების მოთხოვნის უფლების ფართოდ განსაზღვრამ შესაძლოა წარმოქმნას ბოროტად გამოყენების შესაძლებლობები,<sup>70</sup> არ უნდა იქნეს უკუგდებული მიუხედავად იმისა, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება გენერალური დათქმის სტილში ფორმულირებული უფლების განხორციელების ზღვრების არსებობის მიუხედავად, აღმოვჩნდეთ აღნიშნული საფრთხის წინაშე. თუმცა, შესაძლებელია, რომ მონაცემთა დამუშავების ფარგლებს მიღმა, რომლისთვისაც მონაცემთა მიღების მოთხოვნის უფლება ევროკავშირის კანონმდებლობიდან იღებს სათავეს, მონაცემთა მიღების მოთხოვნის უფლების ზღვრად ფორმულირებულ იქნეს მისაღებობა (Zumutbarkeit).

<sup>66</sup> Vgl. BGHZ 199, 237 = NJW 2014, 2029 Rn. 38; Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, § 823 Rn. 130, 132.

<sup>67</sup> ABl. L 119 v. 4.5.2016, S. 1.- Verordnung (EU) 2016/679 des Europäischen Parlaments und des Rates vom 27. April 2016 zum Schutz natürlicher Personen bei der Verarbeitung personenbezogener Daten, zum freien Datenverkehr und zur Aufhebung der Richtlinie 95/46/EG (Datenschutz Grundverordnung), ABl. L 119 v. 4.5.2016, S. 1.

<sup>68</sup> Vgl. Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 260 Rn. 4 ff.

<sup>69</sup> დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, s. BGH NJW 2014, 155 Rn. 20.

<sup>70</sup> Chanturia/Knieper, S. 9; 13.

პიროვნულ უფლებათა დაცვა მოქმედებს გარდაცვალების შემდეგაც. როდესაც აღნიშნული უფლებები კომერციულ ინტერესებს ეხება, ისინი სამკვიდროს ნაწილს წარმოადგენენ და მემკვიდრეებს გადაეცემა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, მიუხედავად მემკვიდრეობის პოზიციისა, გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირს (*Der Wahrnehmungsberechtigter*) შეუძლია არამატერიალური ინტერესების, როგორც საკუთარი უფლების გამოყენება. გამოყენების უფლებამოსილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი წინადადების თანახმად დამოკიდებულია „დაცვის ღირსი ინტერესის“ არსებობაზე. განსახორციელებელი უფლებები უნდა შემოიფარგლოს მოქმედებისგან თავის შეკავებით, დარღვევის აღმოფხვრით და გაუქმებით. აღნიშნულს მიღმა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხული უნდა იყოს, ვინაიდან მიცვალებულისთვის ზიანის კომპენსაცია უკვე შეუძლებელია. ზიანის ანაზღაურება პიროვნული უფლებების ქონებრივი ელემენტის შემცველი უფლების დარღვევისთვის, როგორც სამკვიდროს ნაწილი, ეკუთვნის მემკვიდრეს. აღნიშნული შეესაბამება პიროვნული უფლებების, გარდაცვალების შემდომი დაცვის BGB-სეულ გაგებას.<sup>71</sup>

79

*c) ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრება, თავისი ფუნდამენტური პრინციპის მიხედვით, შეესაბამება BGB-ს §§ 7-11-ში მოცემულ შეფასებებს და ამდენად არავითარ კითხვებს არ ბადებს. ამ ნორმის მე-2 ნაწილი ტერმინოლოგიურად უნდა იქნეს მისადაგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1276-ე, 1277-ე მუხლებთან, რომელთა მიხედვით 7-დან 18 წლამდე პირები არა მეურვეობას, არამედ მზრუნველობას ექვემდებარებიან.

80

*d) ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე-23-ე მუხლების მიხედვით*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-დან 23-მდე მუხლები ეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების პროცედურას. ნორმებში დიფერენცირებულია უგზო-უკვლოდ დაკარგვა, რომელიც იწვევს კანონით მემკვიდრეების მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონების მინდობილი საკუთრების სახით მართვას, და გარდაცვლილად გამოცხადება, რომელიც იწვევს მისი გარდაცვალების დღის (და ამით სამკვიდროს გახსნის) ვარაუდს და ამდენად გარდაცვალებით გამონვეულ სრულ სამართალმემკვიდრეობას. აღნიშნულის საპირისპიროდ, გერმანული სამართალი იცნობს მხოლოდ უგზო-უკვლოდ დაკარგვას, რაც წარმოადგენს საფუძველს გარდაცვლილად გამოცხადების პროცედურისთვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისი სამართლებრივი შედეგით), უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ კანონის (*VerschG*) §§1 და შემდგომი პარაგრაფები.<sup>72</sup> ამდენად, სანქცია, რომელიც პირის ადგილსამყოფელის არცოდნის უკვე ორწლიანი ვადის შემთხვევაში, მისი მართვის უფლებამოსილების დაკარგვას და 5 წლის შემდეგ უკვე გარდაცვლილად გამოცხადების შესაძლებლობას ითვალისწინებს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. აღნიშნული ეხება ასევე გარდაცვალების ვარაუდის შემდგომ გაუქმებას. მაშინ, როდესაც გერმანული სამართლის მიხედვით გარდაცვალების სამართლებრივი შედეგები (სამკვიდროს გახსნა) არ დგება,<sup>73</sup> ანუ განიხი-

81

<sup>71</sup> Vgl. Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 11 Rn. 26 ff.

<sup>72</sup> Verschollenheitsgesetz, BGBl. III, 401-6.

<sup>73</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 33 Rn. 12.

ლება მხოლოდ მეორადი შეძენა (Zweiterwerb) ნავარაუდევი სამკვიდროდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს საფასურის გადახდის საფუძველზე კეთილსინდისიერი პირველადი შეძენის შესაძლებლობასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოროტად გამოყენების შესაძლო საფრთხეების არსებობის თაობაზე დასკვნების გამოტანა მიჭირს.

- 82** ფორმულირებასთან დაკავშირებით სავარაუდოდ რეკომენდებულია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლ ნაწილში განმარტებულ იქნეს, რომ კანონით მემკვიდრეები ქონების არა მხოლოდ მინდობილი საკუთრების სახით მართვის უფლებამოსილებას მოიპოვებენ, არამედ, გარდა ამისა, მინდობილი საკუთრების სახით განკარგვის უფლებასაც. ასევე უნდა იქნეს განმარტებული, რომ სწორედ კანონით მემკვიდრეები წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია ვალდებულებებს, განსაკუთრებით რჩენის ვალდებულებას ასრულებენ და ასევე უნდა განიმარტოს, რომ ვალდებულების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს მისი შესრულების ვადის დადგომა;
- 83** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ „1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილება“ გაუქმებულ იქნეს და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან ერთად მართვისა და განკარგვის უფლებამოსილებაც გაუქმდეს. ვინაიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულს აღნიშნული უფლებამოსილება არ დაუკარგავს, არც მისი უკან დაბრუნების საჭიროება აქვს. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა, დამატებით კითხვებს წარმოშობს გაუქმების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების (Rückgewährschuldverhältnis) კონტექსტში; შეიძლება განმარტებულ იქნეს, რომ დარჩენილი გამდიდრება უკან უნდა დაბრუნდეს. გარდა ამისა, საკითხავია, ანაზღაურების ვალდებულება მაშინაც გამორიცხული უნდა იყოს თუ არა, როდესაც მემკვიდრეები არაკეთილსინდისიერად (ბოროტი განზრახვით) მოქმედებდნენ. სამკვიდროს მფლობელის მიერ სამკვიდრო ქონების გადმოცემის თაობაზე მემკვიდრის მოთხოვნის მომწესრიგებელი მოდელის შესაბამისად (Erbchaftsanspruch) (BGB §§2018 და შემდგომი პარაგრაფები), შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს გამოთხოვა (სანივთო სუროგაციის და სარგებლისა და ნაყოფის ჩათვლით) უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-981 მუხლები) შედეგებზე მითითებით ისე, რომ შესაბამისად გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული პასუხისმგებლობა.
- 84** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილი 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პარალელურად უნდა ჩამოყალიბდეს: „დანიტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით...“;
- 85** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილში: უფრო ზუსტად უნდა იქნეს ფორმულირებული „გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე“;
- 86** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაშიც უნდა გადაიხედოს, ხომ არ უნდა გამოირიცხოს დარჩენილი ქონების ფარგლებში დაბრუნების ვალდებულება (Herausgabepflicht), როდესაც უსასყიდლოდ შემძენი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. სამკვიდროს მფლობელის მიერ სამკვიდრო ქონების გადმოცემის თაობაზე მემკვიდრის მოთხოვნის მომწესრიგებელი მოდელის შესაბამისად (Erbchaftsanspruch) ((BGB §§2018 და შემდგომი პარაგრაფები) შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს გამოთხოვა (სანივთო სუროგაციისა და სარგებლისა და ნაყოფის ჩათვლით) უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-981 მუხლები) შედეგებზე მითითებით ისე, რომ შესაბამისად გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული პასუხისმგებლობა.

e) ზოგადი დებულებანი იურიდიული პირების შესახებ

მაშინ, როდესაც ფიზიკური პირების სამართალში რეფორმის საჭიროება მხოლოდ შიგადა-შიგ იჩენს თავს, იურიდიული პირების სამართალი საფუძვლიან მრავალმხრივ გააზრებას მოითხოვს. ამჟამად აქ სამი ზოგადი დებულება გვხვდება:

87

**მუხლი 24. ცნება. სახეები**

**მუხლი 25. უფლებაუნარიანობა**

**მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი**

ეს ნორმები ეხება ზოგადად იურიდიულ პირებს. ამასთან იგულისხმება საჯარო სამართლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილი [ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი]) და კერძო სამართლის იურიდიული პირები, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი):

- არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები;
- კომანდიტური საზოგადოებები;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები;
- სააქციო საზოგადოებები;
- კოოპერატივები.

ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ამ ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ის შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას. ამით იურიდიული პირისთვის დამახასიათებელია სამართლებრივი დამოუკიდებლობის სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ეფუძნება სამართლის სუბიექტის სტატუსი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადება), ანუ განსაკუთრებით რომლიდანაც გამომდინარეობს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემდგომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე-39-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 40-ე-49-ე მუხლები ამოღებულია), რომელთა რეფორმირებაც სერიოზული განხილვის საგანს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ გაკრიტიკებული<sup>74</sup> და წარუმატებლად არის მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

<sup>74</sup> ჭანტურია/კნიპერი, გვ. 9.



27-ედან 39-ემდე მუხლების სტრუქტურული აგებულება, ხოლო, მეორე მხრივ, შემოთავაზებულია, რომ ადრე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესაბამისად განსხვავებულ იქნეს ნევრობაზე დაფუძნებული არასამენარმეო გაერთიანება (კავშირი) და არასამენარმეო მიზნებისთვის შექმნილი ფონდი და ამ შემთხვევაში ასევე ჩამოყალიბდეს მთლიანად ამ თავის ახლებური სტრუქტურა.<sup>75</sup>

გერმანული კერძო სამართალი იურიდიული პირის სახით, *პირველ რიგში*, იცნობს - გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (კორპორაციები, დანესებულებები და ფონდები), რომლებიც კერძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისითაც უფლებაუნარიანები არიან,<sup>76</sup> მაგრამ რომელთა სამართლებრივი ურთიერთობები სხვა მხრივ შესაბამისი საჯარო სამართლის მიხედვით განისაზღვრება - კორპორაციას (სამართლებრივად დამოუკიდებელი პირთა გაერთიანება), რომლის პროტოტიპს წარმოადგენს უფლებაუნარიანი კავშირი.<sup>77</sup> იგი იძენს უფლებაუნარიანობას რეესტრში რეგისტრაციის შედეგად (არასამენარმეო კავშირი, BGB-ს §§21, 24-53, 55-79) ან სახელმწიფოს ნებართვის (სამენარმეო კავშირი, BGB-ს §§22, 24-53) ან ფედერალური საკანონმდებლო რეგულირების საფუძველზე (სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ამხანაგობა (კოოპერატივი - *Genossenschaft*) და ა. შ.). სამართლებრივი დამოუკიდებლობის შედეგია, რომ ნევროთა მდგომარეობის ცვლილებისას იურიდიული პირი უცვლელი რჩება<sup>78</sup> და რომ ნევრები პრინციპულად პირადად არ აგებენ პასუხს.<sup>79</sup> მეორეც, გერმანული იურიდიული პირების სამართალი იცნობს ფონდისთვის სამართლებრივად განკერძოებულ სპეციალურ ქონებას.<sup>80</sup> ფონდი იძენს უფლებაუნარიანობას დაფუძნების გარიგების (*Stiftungsgeschäft*) და სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე (*Staatliche Anerkennung*) (BGB-ს §§80-88). გერმანული სამართლის მიხედვით, იურიდიული პირისგან უნდა განვასხვავოთ თანაზიარი გაერთიანება (*Gesamthandsgemeinschaft*). მისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საზიარო უფლებამოსილება სპეციალურ ფონდზე (*Sondervermögen*).<sup>81</sup> მართალია, თანაზიარი გაერთიანება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ ზოგიერთ თანაზიარ გაერთიანებას მაინც გააჩნია უფლებაუნარიანობა („უფლებაუნარიანი ამხანაგობა“, BGB-ს §§14-ის მე-2 აბზაცი, 1059a-ს მე-2 აბზაცი; „სამართალსუბიექტობის არ მქონე ამხანაგობები“, გაკოტრების შესახებ კანონის (*InsO*) §11-ის მე-2 აბზაცის Nr. 1; შეადარეთ, გარდა ამისა სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (*GbR*)<sup>82</sup> BGB-ს §899a-ს პირველი წინადადება; ღია სავაჭრო საზოგადოების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების - *OHG*)/ კომანდიტური საზოგადოებისთვის (*KG*) სავაჭრო კოდექსის (*HGB*) §§124-ის პირველი აბზაცი, 161-ის მე-2 აბზაცი). თანაზიარ გაერთიანებას წარმოადგენს ასევე რეგისტ-

<sup>75</sup> ჭანტურია/კნიპერი, გვ. 2 (sub 1), მე-9 და მომდევნო, 13.

<sup>76</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, Rn. § 34 Rn. 4.

<sup>77</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 196; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

<sup>78</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 5; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

<sup>79</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

<sup>80</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 196 f.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 20.

<sup>81</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 194 f.; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 30 ff.

<sup>82</sup> Dazu grundlegend BGHZ 146, 341 = NJW 2001, 1056. Näher dazu Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 195a; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 32 ff.

რაციის/ნებართვის არარსებობის გამო უფლებაუნარიანობის არმქონე კავშირი,<sup>83</sup> რომელიც თავისი სტრუქტურით კორპორაციული აგებულებისაა<sup>84</sup> და ამიტომ ასევე ცალკეულ ურთიერთობებში განიხილება იურიდიულ პირად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) §§50-ის მე-2 აბზაცი, 735, გაკოტრების შესახებ კანონის (InsO) §11-ის პირველი აბზაციის მე-2 წინადადება), მაგრამ, სხვა მხრივ, მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართალი (BGB §54-ის 1-ლი წინადადება).

მიზანშეწონილობის საკითხს წარმოადგენს, თუ რა მოცულობით და რა ცნებების დონეზე იქნება მიჩნეული აუცილებლად კერძოსამართლებრივი ორგანიზაციული და მოქმედების ფორმების დიფერენცირება. ამასთან, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია თავად მონაწილეთა, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი ბრუნვის მოთხოვნილებები, განსაკუთრებით, სამართლებრივი ბრუნვის ინტერესი, სიცხადისა და პროგნოზირებადობის არსებობაში, განკარგვის უფლება მოსილებასა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი დასკვნის ფარგლებში რეკომენდაციის გაკეთება არ არის შესაძლებელი. ამიტომ შემდგომ მიმოხილვასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ უნდა დავეყრდნოთ იურიდიული პირის მთავარ დეფინიციას ყოველი სამართლებრივი ერთეულისთვის (ანუ გერმანიის გადმოსახედიდან, ისეთებისთვისაც, რომლებიც არაპერსონალური აგებულების მქონეა) და გარდა ამისა, დიფერენცირებას, მენარმებს (სანარმოებს), როგორც სამენარმეო (კომერციულ) ორგანიზაციულ და მოქმედების ფორმას და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის. ამ დროს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, როგორც სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის საგანს წარმოადგენს (1) იურიდიული პირის ცნება, ყველა იურიდიული პირის მიმართ მოქმედი (ანუ ნებისმირი იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით [ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი]) ზოგადი დებულებების ჩათვლით და (2) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ანუ ნებისმირი იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით [ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი] lit.ა. სამენარმეო (კომერციული) ორგანიზაციული და მოქმედების ფორმები კი წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ კანონის საგანს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით.

აღნიშნული კანონი მე ხელთ არ მაქვს. ამიტომ, როდესაც ქვემოთ იურიდიული პირის დეფინიციისა და ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედი ნორმების შეფასებაზე გადავალ, დავუშვებ, რომ სამენარმეო (კომერციული) ორგანიზაციული და მოქმედების ფორმების დიფერენცირება არსებითად შეესაბამება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას (GbR), ღია სავაჭრო საზოგადოებას (სპს-OHG)/კომანდიტურ საზოგადოებას (KG), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (GmbH), სააქციო საზოგადოებას (AG) და დარეგისტრირებულ ამხანაგობას (კოოპერატივს - eG) შორის არსებულს.

იურიდიული პირის ცნებას (და სახეებს) შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი. იმ ნორმებიდან, რომლებიც ნებისმიერი იურიდიული პირისთვის მოქმედებს, 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხ-

<sup>83</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 194; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 41.

<sup>84</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 219; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 41.

ლის მე-2 ნაწილი), კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლები შეიცავენ დებულებებს უფლებაუნარიანობის წარმოშობის (დასაწყისის) და დასასრულის თაობაზე, აგრეთვე იურიდიული პირის ადგილსამყოფელის შესახებ. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნებოდა ასევე სახელის უფლების, რეგისტრაციის, მართვისა და კანონიერი წარმომადგენლობის, აგრეთვე პასუხისმგებლობის, გაუქმების და ლიკვიდაციის ძირითადი სტრუქტურების ყველა იურიდიული პირისთვის ერთიანად ნორმირება.

### aa) ცნება, სახეები და უფლებაუნარიანობა

- 88** იურიდიული პირი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არის სამართლებრივად პიროვნულად განკერძოებული მოქმედების ფორმა. ამასთან, დეფინიციის თვალსაზრისით, ბოლომდე ცხადი არ არის ფორმულირებაში - „საკუთარი ქონების მქონე“, ხომ არ დევს, პიროვნული განკერძოებულობის წინაპირობის სახით, გარკვეული ოდენობის ქონებით აღჭურვის (*Vermögensausstattung*) გამოხატვის განზრახვა. გერმანული სამართლის მიხედვით, აღნიშნული მხოლოდ იმ თვალსაზრისით მოქმედებს, რომ ქონების არარსებობა საბოლოოდ იწვევს იურიდიული პირის გაუქმებას (შეადარეთ, BGB-ს §§42-ის პირველი აბზაცი, 75-ის პირველი აბზაცი). დაფუძნების პროცესში ქონების არქონა მხოლოდ ბოროტად გამოყენების ასპექტში წარმოადგენს წარმოშობისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას.<sup>85</sup>
- 89** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლ წინადადებაში გამოთქმული, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა კერძოსამართლებრივ ბრუნვაში შეესაბამება უფლებაუნარიანობის ცნების ერთიან გაგებას, რომლისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა თუ საიდან გამომდინარეობს იურიდიული პირის უნარი, იყოს უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, კერძოსამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი აქტიდან ისევე, როგორც იმ ფაქტს, თუ საიდან გამომდინარეობს უფლებები და მოვალეობები, კერძო თუ საჯარო სამართლიდან. შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავიანთი კერძოსამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების თვალსაზრისით უფლებაუნარიანნი არიან.<sup>86</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება შეიძლებოდა უფრო ნათლად ყოფილიყო ფორმულირებული შემდეგი ფრაზით: „მათი შექმნა, ორგანიზება და საქმიანობა განისაზღვრება კანონით.“
- 90** თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ისე უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას განაპირობებს საქმიანობის შესაბამისობა მიზანთან, მაშინ სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ ნორმაზე უარს ვიტყვით. მართალია, გერმანული სამართალიც იცნობს ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის ფორმას, მაგრამ მას შედეგად არ მოჰყვება უფლებებისა და მოვალეობების შექმნის ჩაშლა, როდესაც ადგილი აქვს იურიდიული პირისათვის მინიჭებული მიზნიდან გადაცდენას.<sup>87</sup> მეტიც, შესაბამისი შედეგები უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პირის ორგანოთაშორისი შიდა ურთიერთობებით და ამიტომ ისინი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის სახელმწიფო სამართლითა და ადმინისტრაციის ორგანიზების სამართლის (*Verwaltungsorganisationsrecht*) დებულებებით უნდა დარეგულირდეს. კერძო სამართ-

<sup>85</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 60 Rn. 1.

<sup>86</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 4.

<sup>87</sup> Vgl. Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 54 Rn. 2 und 7; Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, § 705 Rn. 24. ასევე, Medicus/Petersen, Allgemeiner Teil des BGB, 11. Aufl. 2016, vor Rn. 1141 und 1152a.

ლის იურიდიული პირებისთვის მე-2 ნაწილში ნორმირებული იურიდიული კონცეფციის განზოგადებით, შეიძლება განგვემარტა, რომ უფლებებისა და მოვალეობების შექმნის ჩაშლა არ არის გამონვეული იმით, რომ იურიდიული პირის საქმიანობა წესდებით განსაზღვრულ მიზანს სცდება. ამასთან, არც კანონის დარღვევა უნდა იყოს ამოღებული, ვინაიდან აკრძალული გარეგნობის ბათილობა წარმოადგენს ბევრად უფრო მიზანმიმართულ სანქციას, რომლის საშუალებითაც ხდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სისტემური რღვევის თავიდან აცილება. მეტიც, საკორპორაციო სამართალში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს საჯარო სამართლის ნორმების დამრღვევი იურიდიული პირის გაუქმება ადმინისტრაციული აქტის საშუალებით. იმავეს გირჩევდით მე-3 ნაწილისთვისაც; საქმიანობის განხორციელების უფლების საკითხი (*Handelndürfen*) დასაზუსტებელი იქნება საჯარო სამართალში (სამენარმეო სამართალში), მას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს უფლებაუნარიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეესაბამება გერმანული სამართლის წარმოდგენას.<sup>88</sup> ტერმინოლოგიურად შესაძლებელი იქნებოდა დაზუსტება, რომ იურიდიული პირი უფლებაუნარიანობას იძენს რეგისტრაციის გზით ან შესაბამისად, უქმდება მისი დასრულების რეგისტრაციის გზით (და არა: ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციით, ვინაიდან ლიკვიდაცია წარმოადგენს მხოლოდ საზოგადოების ქონების განაწილების (*Auseinandersetzung*) განსაკუთრებულ ფორმას; აღნიშნულზე დეტალურად აქვე). ეს აბზაცი ნორმის დასაწყისში უნდა განთავსდეს.

91

### bb) ადგილსამყოფელი

იურიდიული პირის ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ნორმა არ არის პრობლემატური, მაგრამ მოქმედი რედაქციიდან არ ჩანს, თუ როგორ უნდა იქნეს განსხვავებული „ადგილსამყოფელი“ 1-ლი ნაწილის გაგებით და „სხვა ადგილსამყოფელი“ მე-2 ნაწილის გაგებით. შესაძლებელი იქნებოდა პირველ ნაწილში დაზუსტება, რომ „ადგილსამყოფელი“ წარმოადგენს „მთავარი ადმინისტრაციის“ (*Hauptverwaltung*) ადგილსამყოფელს. შემდეგ შეიძლება 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების გადატანა მე-2 ნაწილის 1-ლ წინადადებად, რათა ნორმით უფრო ნათლად იყოს განცალკევებული ადგილსამყოფელის დეფინიცია (1-ლი ნაწილი) და სხვა ადგილსამყოფელების (მე-2 ნაწილი) საკითხი.

92

### cc) სახელწოდება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლი შეიცავს დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ. ნორმა ავალდებულებს სამართლებრივი ფორმის ამსახველი მითითების გამოყენებას (1-ლი ნაწილი) და კრძალავს სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით დამაბნეველი (შეცდომაში შემყვანი) აღნიშვნების გაკეთებას (მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, მე-3 ნაწილი მოითხოვს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახელწოდება განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებისგან. მე-4 და მე-5 ნაწილები ადგენენ სახელწოდების დაცვის პრინციპებს.

93

<sup>88</sup> Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 16 Rn. 2, 4.

ეს პრინციპები დიდწილად შეესაბამება სავაჭრო კოდექსის (HGB) §§17 და შემდგომ პარაგრაფებში ნორმირებულ წესებს, რომლებიც მენარმეებისთვის (და ამდენად, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (GmbH), სააქციო საზოგადოების (AG) და დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) (eG), GmbHG-ს §13-ის მე-3 აბზაცი, AktG-ს § 3-ის პირველი აბზაცი, GenG-ს §17-ის მე-2 აბზაცი), მაგრამ ასევე რეგისტრირებული კავშირებისა და ფონდებისთვისაც (შეადარეთ, BGB-ს §57-ის მე-2 აბზაცი)<sup>89</sup> მოქმედებს. შესაბამისად, მართებული იქნება, რომ არა მხოლოდ მე-4 და მე-5 ნაწილები, არამედ ყველა ეს პრინციპი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირისთვის, მოსახერხებლად იქნეს ფორმულირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდეგ, ზოგადი ხასიათის დებულებაში.

თუმცა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ნორმა ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში იყოს საქართველოს სავაჭრო და კორპორატიულ სამართალში ამჟამად მოქმედ დებულებებთან. აღნიშნულ საკითხს ამ დასკვნის ფარგლებში ვერ შევხვები, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ხელთ არ მაქვს.

ამასთან, ნაცვლად „აღნიშვნისა“ (ქართულში „სახელწოდება“- ლ.მ.) (Bezeichnung) უკეთესი იქნებოდა „სახელწოდების (სახელი)“ (Name) გამოყენება ანუ ისეთი აღნიშვნის, რომლითაც იურიდიულ პირს სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედება, სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა შეუძლია (შეადარეთ, HGB-ს §17), მაშინ, როდესაც „აღნიშვნა“ შეიძლება იყოს ასევე სარეგისტრაციო, სამენარმეო ან საგადასახადო ნომერი ან საკმარისი სიცხადის შემთხვევაში, ადგილსამყოფელიც კი.

იურიდიული პირის სახელწოდებაში მისი სამართლებრივი ფორმა ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული (შეადარეთ, HGB-ს §19). სახელი არ უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აშკარად მიზნად ისახავს დაინტერესებული წრეების შეცდომაში შეყვანას იმ სამართლებრივი ურთიერთობების თაობაზე, რომლებიც მათთვის არსებითია (HGB-ს §18-ის მე-2 ნაწილი), განსაკუთრებით არ უნდა შეიცავდეს იგი ისეთ მონაცემებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირებისთვის. სახელწოდება შესაფერისი უნდა იყოს იურიდიული პირის აღსანიშნავად და უნდა გააჩნდეს, განსაკუთრებით, იმავე ადგილზე ან იგივე მუნიციპალიტეტში უკვე არსებული და დარეგისტრირებული ყველა სახელწოდებისგან (HGB-ს §30-ის პირველი აბზაცი) განმასხვავებელი ეფექტი (შეადარეთ HGB-ს §18-ის პირველი აბზაცი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებში ნორმირებული სახელწოდების დაცვა შეესაბამება საწყის პუნქტში HGB-ს §37-ის მე-2 აბზაციით გარანტირებულ ფირმის დაცვას (Firmenschutz), მაგრამ ბრალეულობისგან დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის გამო უფრო ფართოა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფირმაზე უფლების დარღვევისთვის BGB-ს §823-ის პირველი აბზაციის ან სასაქონლო და სხვა ნიშნების დაცვის შესახებ კანონის (MarkenG) §15-ის მე-5 აბზაციის მიხედვით ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა, რომ დარღვევა ჩადენილი იყოს განზრახ ან გაუფრთხილებლობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შეფასებასთანაც, რომელზეც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილი, შესაბამისობაში იქნებოდა ზიანის ანაზღაურების შეზღუდვა მხოლოდ ბრალეული ქმედებების შემთხვევებზე.

<sup>89</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 57 Rn. 2 und § 81 Rn. 5.

## dd) რეესტრი

94

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-დან 34-მდე მუხლებში წარმოდგენილია დებულებები რეესტრში რეგისტრაციების აუცილებლობის, წინაპირობების და სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ, არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს ეხება, ნაწილობრივ კი, თავიანთი რედაქციიდან გამომდინარე, (რაც წინააღმდეგობაშია მათ სისტემურ ადგილმდებარეობასთან II ქვეთავში) ზოგადად იურიდიულ პირებს. რეკომენდებულია, რომ ეს დებულებები ერთ საერთო ნორმაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომი გაგრძელების სახით იქნეს ერთად ჩამოყალიბებული და მისი გამოყენების სფერო გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირის მიმართ:

- დებულება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- დებულება რეგისტრაციის განხორციელების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი);
- დებულება რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი). შეიძლება მისი განვრცობა ზოგადი დებულებით, რომლის თანახმად, განაცხადებები ოფიციალურად დამონმებული განაცხადების მეშვეობით უნდა იქნეს წარდგენილი (შეადარეთ, BGB-ს §77-ს პირველი ნაწილი);
- დებულება ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლი). აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება გადმოღებულ იქნეს BGB-ს §68-ის შესაბამისი წესი, რომლის თანახმად რეგისტრაციამდე, ცვლილება მესამე პირთან მიმართებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ იგი მისთვის ცნობილია და რეგისტრირებული ცვლილების შემთხვევაში, მესამე პირი არ არის ვალდებული დაუშვას აღნიშნული ცვლილების მის მიმართ გამოყენება, თუ იგი მისთვის ცნობილი არ არის, და თუ ცოდნის არარსებობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით;
- დებულება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლი). თუ იარსებებს ასეთი საჭიროება, შეიძლება დაზუსტებულ იქნეს, რომ რეგისტრაციაზე მოთხოვნის უფლება არსებობს, როდესაც დაფუძნება აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დაფუძნების მსურველი იურიდიული პირის მიზნები არ არის მიმართული მესამე პირთა უფლებების ან კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი ნაწილი და დედადების ძველი რედაქცია; ზღვრის დაწესება შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლთან დაკავშირებით წარმოდგენილ რეკომენდაციასთან), და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი უარყოფილ იქნება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ უმოქმედობის გამო რეგისტრაციის ფიქციას, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარეობდა, სამართლებრივი უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე არ არის რეკომენ-

- ნდებული. მათ ნაცვლად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაბალი ბარიერის მქონე გასაჩივრების სისტემას (*niederschwelliges Rechtsbehelfssystem*), რომელიც პირდაპირ გამოხატული უარის შემთხვევაშიც, მონოდებული იქნებოდა სამართლებრივი დაცვისკენ. გასაჩივრების სისტემა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილისგან განსხვავებით) სისტემატიკურად ნებაყოფლობითი მართლმსაჯულების საპროცესო-სამართლებრივ კავშირში უნდა იქნეს ნორმირებული. აქ კი შეიძლება დებულების დამატება, რომელშიც იქნება მითითება ზემოთ ხსენებულ ნორმაზე;
- დებულება რეესტრის მონაცემების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლი). ამასთან მონაცემი - „დამფუძნებელი/წევრ(ებ)ი“ უკვე მოქმედ სამართალშიც პრობლემატურია, ვინაიდან არ არის ნათელი, თუ რომელ შემთხვევებში უნდა იქნეს რეესტრში შეყვანილი დამფუძნებელი/ლები და რომელში - წევრთა შემადგენლობა. რეკომენდებულად მეჩვენება ამ მონაცემების ზოგადი დებულებებიდან ამოიშალოს და ცალკეული სამართლებრივი ფორმისთვის ჩამოყალიბდეს, უნდა იყოს თუ არა და ვისი მონაცემები უნდა იყოს შეტანილი რეესტრში. აღნიშნულზე მითითება შესაძლებელი იქნებოდა დათქმის - „თუ სხვა რამ არ არის დადგენილი“, გამოყენებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის (ფიზიკური და) იურიდიული პირები. აღნიშნულთან წინააღმდეგობაშია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ (რეესტრში) რეგისტრაციას სხვა ქვეყნის იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც საქართველოში გააჩნიათ ფილიალები, დამოკიდებული საწარმოო ერთეულის (*unselbständige Niederlassung*) გაგებით. ამ ფილიალების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ის სამართალი, რომელსაც ექვემდებარება ეს იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სამართალი ამ იურიდიული პირის (ფაქტობრივი) ადგილსმყოფელის თუ მისი დაფუძნების ადგილის მიხედვით განისაზღვრება.<sup>90</sup> ეს დებულებები, შესაბამისად, ამოღებულ უნდა იქნეს.

აღნიშნული მოსაზრებები შესაბამისობაშია BGB-ს ძველი რედაქციიდან §23-ის ამოღებასთან, რომელიც იძლეოდა უცხოური კავშირისთვის უფლებაუნარიანობის მინიჭების შესაძლებლობას.

*ee) ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა*

- 95** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები შეიცავენ ფუნდამენტურ დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის შესახებ. რეკომენდებულია, ამ დებულებების გადატანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომ, ერთ მომდევნო ნორმაში, რომლის გამოყენების სფერომ უნდა მოიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირი. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ შეიძლება ხორციელდებოდეს. უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობისთვის არსებობდეს ინდივიდუალური (*Einzelbefugnis*) ან ერთობლივი უფლებამოსილება

<sup>90</sup> Vgl. dazu Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 830.

(Gesamtbefugnis), ან მოქმედებდეს უმრავლესობის პრინციპი. თუ კანონი, საექვოობის შემთხვევებისთვის, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედ ერთ დებულებას უნდა ითვალისწინებდეს (Zweifelsregelung), ჩემი აზრით, რეკომენდებულია ერთობლივი უფლებამოსილება, როგორც მინიმალური თანხმობა ან შესაბამისად, ნევრების ან მენილების პოზიციიდან, როგორც ყველაზე სანდო გამოსავალი. გამორიცხულ უნდა იქნეს პასიური წარმომადგენლობა, რომლისთვისაც ინდივიდუალური უფლებამოსილება იმპერატიულ ნორმას უნდა წარმოადგენდეს (შეადარეთ, BGB-ს §§ 26-ის მე-2 აბზაცი, 40).

შესაძლებელია ასევე ზოგადი პრინციპის შემოღება იმის თაობაზე, რომ ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პრინციპში შეუზღუდავია, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი ფორმებისთვის მოქმედი დებულებებით შეიძლება იყოს შეზღუდული და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თავიდანვე (აპრიორი) არ ვრცელდება ისეთ გარიგებებზე, რომლებიც მესამე პირებისთვის შესამჩნევად, სრულიად სცდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიზანს.<sup>91</sup>

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, აქ და შემდგომშიც, უნდა განვასხვავოთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (Vertretungsbefugnis), ანუ წარმომადგენლის უნარი, „ნებართვის (dürfen)“ შედეგად გამოიწვიოს მარწმუნებლისთვის სამართლებრივი შედეგები და (შიდა ურთიერთობებში) არსებული ნებართვის გათვალისწინების გარეშე გარე ურთიერთობებში მოქმედი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

#### ff) პასუხისმგებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასამწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ, მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ეს წესი პრინციპულად შეესაბამება BGB-ს §31-ს, რომელიც გამოიყენება უშუალოდ კავშირის მიმართ, მაგრამ გარდა ამისა, მოქმედებს ყველა იურიდიული პირის (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართაც, BGB-ს §89) და ამხანაგობის (სპს-სა და კს-ს) (Personengesellschaften), აგრეთვე უფლებაუნარიანობის არმქონე კავშირის მიმართაც. ნორმა ეფუძნება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ორგანოს მოქმედება მიიჩნევა თავად კავშირის მოქმედებად ისე, რომ კავშირმა უნდა აგოს პასუხი ორგანოს მოქმედებისთვის ისევე, როგორც ფიზიკური პირი აგებს პასუხს საკუთარი ქმედებისთვის. ეს მოსაზრება ვრცელდება ყველა სამართლებრივ ფორმაზე.<sup>92</sup> გარდა ამისა, BGB-ს §31-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება BGB-ს §30-ით გათვალისწინებული სპეციალური წარმომადგენლის მიმართ. ზოგადი შეხედულების თანახმად, იგივე პასუხისმგებლობა ვრცელდება იურიდიულ პირზე მაშინ, როდესაც ზიანი გამოწვეულია იურიდიული პირის უმოქმედობით იმასთან დაკავშირებით, რომ თავის ერთ-ერთ საქმეზე დაენიშნა სპეციალური წარმომადგენელი ან დამხმარე პირი.<sup>93</sup> ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საგნობრივი და პიროვნული გამოყენების სფერო შესაბამისად უნდა გაფართოვდეს და ასევე უნდა მოიცვას პასუხისმგებლობა ორგანიზაციული ხარვეზებისთვის.

<sup>91</sup> კავშირისთვის, Palandt/Ellenberger, BGB, 78, Aufl. 2019, § 26 Rn. 6. Für die GmbH Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 775.

<sup>92</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 24; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 17 Rn. 68.

<sup>93</sup> შეადარეთ, BGH NJW 1980, 2810, 2811; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 27.



**97** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნორმირებული პრინციპის მოქმედებაც ყველა სამართლებრივ ფორმაზე ვრცელდება. გერმანულ სამართალში იგი, განსხვავებული აქცენტებით, ყოველი სამართლებრივი ფორმისთვის ცალკე რეგულირდება. ასე მაგალითად, კავშირის და ფონდის გამგეობის წევრების პასუხისმგებლობა BGB-ს § 27-ის მე-3 აბზაცის თანახმად დავალების ხელშეკრულების სამართალს ეფუძნება (BGB-ს §§ 664 და შემდგომი პარაგრაფები), სადაც საქმიანობის უსასყიდლოდ განმხორციელებელი პირებისთვის BGB-ს § 31-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სპეციალური მასშტაბი გამოიყენება, ასევე BGB-ს § 713-ის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (აგრეთვე HGB-ს §§ 105-ის მე-3 აბზაცთან, 161-ის მე-2 აბზაცთან ერთობლიობაში ღია სავაჭრო საზოგადოების (სპს - OHG) და კომანდიტური საზოგადოების (KG)) მმართველი მონაწილეების (geschäftsführende Gesellschafter) პასუხისმგებლობა, სადაც პასუხისმგებლობის სპეციალური მასშტაბი BGB-ს §§ 708, 277-დან გამომდინარეობს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და ამხანაგობის (კოოპერატივი - Genossenschaft) შემთხვევებში პასუხისმგებლობა მოწესრიგებული და კეთილსინდისიერი მენეჯერისთვის (დირექტორისთვის) დამახასიათებელი გულმოდგინეობისთვის, შესაბამისად, სპეციალურ კანონებშია ნორმირებული (GmbHG-ს §§43, AktG-ს 93, GenG-ს 34). აქაც სასურველია, ერთი, ყოვლისმომცველი ფუნდამენტური წესის არსებობა, რომელიც შემდეგ შეიძლება ცალკეული სამართლებრივი ფორმებისთვის სპეციალური კანონებით მოდიფიცირდეს. როდესაც რამდენიმე პასუხისმგებელი პირი არსებობს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი სოლიდარული პასუხისმგებლობა (შეადარეთ, GmbHG-ის §§ 43-ის მე-2 აბზაცი, AktG-ს 93-ის მე-2 აბზაცი, GenG-ს 34-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება). ამასთან, AktG-ს §§ 93-ის მე-5 აბზაცის 93, GenG-ის 34-ის მე-5 აბზაცის შესაბამისად (რომელთა ანალოგიით გამოყენება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ (GmbH), ასევე წარმოადგენს განხილვის საგანს<sup>94</sup>), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის ბათილობასთან ერთად, დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მოთხოვნის დაყენება იურიდიული პირის კრედიტორებსაც შეუძლიათ, როდესაც ისინი მისგან ვერ იღებენ თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. არა მარტო უარს, არამედ მორიგებას ან საზოგადოების ორგანოს გადაწყვეტილებასაც კი არ უნდა ჰქონდეს კრედიტორების მიმართ სამართლებრივი ძალა. თუმცა, ეს ყოველივე GenG-ის §§ 93-ის მე-5 აბზაცის მე-2 წინადადების, 34-ის მე-5 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად შეზღუდული უნდა დარჩეს კვალიფიციური მოვალეობის დარღვევების შემთხვევების მიმართ,<sup>95</sup> ამასთან, კრიტერიუმის სახით, კატალოგის ნაცვლად უფრო შესაფერისი იქნებოდა ვალდებულების უხეში დარღვევის გამოყენება. GenG-ის § 34-ის მე-5 აბზაცის მე-3 წინადადების შესაბამისი წესი, რომლის თანახმად, ამხანაგობის (კოოპერატივი - Genossenschaft) ქონების თაობაზე დაწყებული გაკოტრების საქმის წარმოებისას, მისი მიმდინარეობის პერიოდში, კრედიტორების უფლებებს მმართველი ორგანოების წინაშე გაკოტრების მმართველი ან საქმის მმართველი ახორციელებს, - სისტემატიკის თვალსაზრისით, სასურველია, ფორმულირებულ იქნეს გაკოტრების სამართალში.

*99) დაშლა და ლიკვიდაცია*

**98** დაშლასთან და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული დებულებები წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე და 38<sup>1</sup> მუხლებში. ეს დებულებები თავიანთი ძირითადი არ-

<sup>94</sup> Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 43 Rn. 31.

<sup>95</sup> MüKoAktG/Spindler, 4. Aufl. 2014, § 93 Rn. 269.

სის მიხედვით ასევე არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს მიღმაც გამოიყენება. რეკომენდებულია, რომ ეს წესები, რომელთა გამოყენების სფერო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული ყველა იურიდიული პირის მიმართ უნდა ვრცელდებოდეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის შემდგომ დამატებულ მუხლში ახლებურად იქნეს ჩამოყალიბებული. ამასთან ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, ნათლად უნდა იქნეს განსხვავებული დაშლა (*Auflösung*), ქონების განაწილება (ლიკვიდაცია) (*Auseinandersetzung (Abwicklung)*) და დასრულება (გაუქმება), (*Erlöschen*).<sup>96</sup>

დაშლა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი) იწვევს საზოგადოების მიზნის ცვლილებას, რომელიც ამიერიდან მიმართულია (ქონების) განაწილებისკენ.<sup>97</sup> საკითხი იმის თაობაზე, თუ რა წინაპირობები იწვევს დაშლას, ყოველი სამართლებრივი ფორმისთვის ცალ-ცალკე უნდა იქნეს ნორმირებული სპეციალური კანონებით. დაშლის ზოგადი საფუძვლის სახით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს:

- კანონით გათვალისწინებული საბოლოო ვადის დადგომა (ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (*OHG/KG*) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცის Nr. 1; გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (*GbR*) მიმართ;<sup>98</sup> (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (*GmbH*) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (*GmbHG*) § 60-ის პირველი აბზაცის Nr.1; სააქციო საზოგადოებისთვის (*AG*) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონისა (*AktG*) § 262-ის პირველი აბზაცის Nr.1; გამოიყენება კავშირის (შეადარეთ, *BGB*-ს § 74-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება)<sup>99</sup> და ფონდის<sup>100</sup> მიმართ; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) *GenG*-ს § 79);
- საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოების მიერ დაშლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება (ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (*OHG/KG*) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცის Nr. 2; გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (*GbR*) მიმართ;<sup>101</sup> კავშირისთვის *BGB*-ს § 41; გამოიყენება ფონდის მიმართ;<sup>102</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (*GmbH*) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (*GmbHG*) § 60-ის 1-ლი აბზაცის Nr.2; სააქციო საზოგადოებისთვის (*AG*) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის (*AktG*) § 262-ის 1-ლი აბზაცის Nr.2; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) *GenG*-ს § 78);
- სასამართლო გადაწყვეტილების, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 შემთხვევა, მე-9 ნაწილი), იურიდიული ძალა ((ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (*OHG/KG*) სავაჭრო კოდექსის § 131-ის პირველი აბზაცის Nr. 4; შე-

<sup>96</sup> Baumbach/Hopt/Roth, HGB, 38. Aufl. 2018, § 131 Rn. 2.

<sup>97</sup> BGH NZG 2016, 107 Rn. 12.

<sup>98</sup> Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.

<sup>99</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 41 Rn. 6.

<sup>100</sup> MüKoBGB/Weitemeyer, 8. Aufl. 2018, § 80 Rn. 127.

<sup>101</sup> Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.

<sup>102</sup> შეადარეთ, OLG Koblenz NZG 2002, 135, 136.

ზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) §§ 60-ის პირველი აბზაცის Nr.3 და 6, 61; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის (AktG) § 262-ის პირველი აბზაცის Nr.5; კავშირისთვის BGB-ს § 73; არ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისა (GbR) და ფონდის მიმართ).

**100** საკითხი, თუ რომელ შემთხვევებში შეიძლება საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნდა მონესრიგდეს სპეციალური კანონების საშუალებით. ზოგადად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების არარსებობის ან გაუქმების შედეგად, ორგანოს წარმოექმნება სასამართლოს გზით დაშლის მოთხოვნის უფლება (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 შემთხვევა, 38<sup>1</sup> მუხლი; შეადარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის ((GmbHG) §§ 60-ის 1-ლი აბზაცის Nr.3, 62; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81). თუმცა, ამასთან, არ არის ნათელი, თუ რა სამართლებრივი შედეგი უნდა იქნეს გამოწვეული დარეგისტრირებული მონაცემების ნამდვილობის გადავადებით. ვინაიდან რეგისტრაციებს კონსტიტუციური ეფექტი აქვთ, სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული სამართლებრივი შედეგის ასე მარტივად გადავადება არ შეიძლება. სამართლებრივ ბრუნვას უნდა შეეძლოს რეგისტრაციების ნამდვილობაზე დაყრდნობა. ამიტომ გადავადების შედეგი ამოღებულ უნდა იქნეს. საეჭვოა ასევე რამდენად შესაძლებელია ამონაწერების გაცემის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება) გადავადება ისე, რომ ამით საფრთხე არ მიადგეს მთავარ მიზანს, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრას. შესაძლოა, უფრო მისაღები იყოს ასევე, გაცემულ ამონაწერებზე შენიშვნის გაკეთება, რომელიც უწყებრივ პროცედურაზე მიუთითებს.

**101** დაშლის ზოგად საფუძველს არ წარმოადგენს:

- მიზნის მიღწევა ან მიღწევის შეუძლებლობა (სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GbR) BGB-ს § 726-ის მიხედვით; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების გზით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის (GmbHG) §§ 60-ის პირველი აბზაცის Nr.3, 61), დაშლის ეს საფუძველი ღია სავაჭრო საზოგადოების (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების)/კომანდიტური საზოგადოების (OHG/KG) მიმართ სავაჭრო კოდექსის (HGB) § 131-ში არსებული დებულების გამო, სავაჭრო კოდექსის §§ 105-ის მე-3 აბზაცის, 161-ის მე-2 აბზაცის თანახმად, არ გამოიყენება<sup>103</sup>, ისევე, როგორც კავშირის<sup>104</sup> ან სააქციო საზოგადოების<sup>105</sup> ან ფონდის მიმართ (შეადარეთ, BGB-ს § 87);
- კანონით გათვალისწინებული დაშლის პირობის დადგომა („დაშლის დათქმა“ („Auflösungsklausel“); სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GbR)<sup>106</sup>, ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება) /კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG)<sup>107</sup>; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის

<sup>103</sup> BGHZ 69, 162 = NJW 1977, 2160.

<sup>104</sup> BGHZ 49, 175 Rn. 10.

<sup>105</sup> Spindler/Stilz/Bachmann, AktG, 3. Aufl. 2015, § 262 Rn. 69.

<sup>106</sup> Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 1.

<sup>107</sup> Baumbach/Hopt/Roth, HGB, 38. Aufl. 2018, § 131 Rn. 74.

(GmbH)<sup>108</sup>; სადავო კავშირისთვის<sup>109</sup>), ვინაიდან წესდებით გათვალისწინებული დაშლის საფუძველები სააქციო საზოგადოებისთვის გამორიცხულია<sup>110</sup>;

- საზოგადოების ხელმძღვანელობის არარსებობა (შეადარეთ, BGB-ს §29).<sup>111</sup>

საზოგადოების გაკოტრება, როგორც დაშლის საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 აბზაცი, მე-3 შემთხვევა; შეადარეთ, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის BGB-ს § 728; ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სავაჭრო კოდექსის (HGB) §131-ის პირველი აბზაციის Nr.3; კავშირისთვის BGB-ს § 42; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) GmbHG-ს § 60-ის პირველი აბზაციის Nr. 4; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) AktG-ს § 262-ის პირველი აბზაცი; დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81ა-ს Nr. 1) ნორმირებული უნდა იყოს გაკოტრების სამართალთან სისტემატიკურ კავშირში, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე განსხვავებული სამართლებრივი შედეგებითურთ. იგივე უნდა მოქმედებდეს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნაზე მასის არარსებობის გამო უარის თქმისას, (რაც ყოველ შემთხვევაში, არ წარმოადგენს დაშლის ზოგად საფუძველს, შეადარეთ, ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG), სავაჭრო კოდექსის §131-ის მე-2 აბზაციის 1-ლ წინადადებას; მაგრამ ამის საპირისპიროდ, ყოველთვის არის დაშლის საფუძველი კავშირისთვის BGB-ს §42; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) GmbHG-ს § 60-ის პირველი აბზაციის Nr. 5; სააქციო საზოგადოებისთვის (AG) AktG-ს §262-ის პირველი აბზაციის Nr.4); დარეგისტრირებული ამხანაგობისთვის (კოოპერატივისთვის) GenG-ს § 81ა-ს Nr. 1).

ქონების არქონამ შეიძლება პირდაპირ გამოიწვიოს გაუქმება (erlöschen), ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს განაწილების საჭიროება. ამისათვის, ქონების არქონა მხოლოდ მაშინ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, როდესაც არ არსებობს ფიზიკური პირის პერსონალური პასუხისმგებლობა (შეადარეთ, HGB-ს § 131-ის მე-2 აბზაციის 1-ლი წინადადება). ამიტომ არც ქონების არქონა წარმოადგენს დაშლის ზოგად საფუძველს.<sup>112</sup>

დაშლის რეგისტრაციისათვის განაცხადი უნდა იქნეს შეტანილი რეესტრში ან ოფიციალურად (von Amts wegen) დარეგისტრირდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი; შეადარეთ HGB-ს §143-ის პირველი აბზაცი) ისევე, როგორც გაგრძელება (შეადარეთ, HGB-ს § 144-ის მე-2 აბზაცი), ანუ სამენარმეო საქმიანობის ხელახლა დაწყება.

ლიკვიდაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით, წარმოადგენს განაწილების ერთ-ერთ ფორმას (შეადარეთ, BGB-ს §§ 730, 731, HGB-ს 145-ის პირველი აბზაცი), სხვა ფორმას წარმოადგენს შეძენა (Übernahme) ცალკეული პარტნიორების მიერ, დანარჩენების ერთდროული დაკმაყოფილების (კომპენსაციის) გზით ან საწარმოს გასხვისება მესამე პირზე.<sup>113</sup> თუ კანონით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული (განსაკუთრებით, გაკოტრების ან რეორგანიზაციის შესახებ კანონმდებლობით), მაშინ რეკომენდებულია ლიკვი-

102

103

<sup>108</sup> Baumbach/Hueck/Haas, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 60 Rn. 89.

<sup>109</sup> MüKoBGB/Leuschner, 8. Aufl. 2018, vor § 41 Rn. 7.

<sup>110</sup> Hüffer/Koch, AktG, 13. Aufl. 2018, § 262 Rn. 7.

<sup>111</sup> შეადარეთ ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის (GmbH) Baumbach/Hueck/Haas, GmbHG, 21. Aufl. 2017, § 60 Rn. 82-88a.

<sup>112</sup> BGHZ 82, 323 = NJW 1982, 875.

<sup>113</sup> შეადარეთ, I. Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 254 (für die GbR), 321 (für die OHG), 813 ff. (für die GmbH).

დაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაგებით, როგორც განაწილების სტანდარტული შემთხვევა, რაც თავად საზოგადოების ორგანოების მიერ უნდა განხორციელდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვა ცალკე აბზაცის სახით უნდა იქნეს ნორმირებული. ლიკვიდაცია უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში (შეადარეთ, HGB-ს §148).

**104** ლიკვიდაციის სხვა დეტალები ცალკეული სამართლებრივი ფორმისთვის სპეციალურ კანონმდებლობაში უნდა ჩამოყალიბდეს. ზოგადი სახით შესაძლებელია მხოლოდ ლიკვიდაციის დასრულების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის ნორმირება: ლიკვიდაციის დასრულებით უქმდება (გაუქმება; სრული შეწყვეტა) საზოგადოება. გაუქმებაც რეესტრში უნდა იქნეს დარეგისტრირებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-10 ნაწილი; შეადარეთ, HGB-ს §157-ის 1-ლი აბზაცი), რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის (ჩემი შემოთავაზების მიხედვით, 1-ლი ნაწილის) თანახმად იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი გაუქმდება ანუ დაკარგავს უფლებაუნარიანობას. ეს არ უნდა იყოს პირდაპირ გაიგივებული ამოშლასთან ("Streichung"), ანუ (ყოფილი) იურიდიული პირის შესახებ რეესტრში შეტანილი ინფორმაციის რეესტრიდან ამოღებასთან; ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს. განაწილების სხვა სახეებისათვის შეუძლებელია დასრულების ზოგადი კრიტერიუმის პოვნა, რომელიც ლიკვიდაციის დასრულების ადგილს დაიკავებდა, ამიტომ სპეციალური კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, თუ როდის წყვეტს იურიდიული პირი მოქმედებას.

თუ არ არსებობს საზოგადოების ქონება ან საზოგადოება რეალურად არ ჩამოყალიბებულა (*nicht vollzogen worden*), მაშინ დაშლა გამოიწვევს მის გაუქმებას.<sup>114</sup> ამ შემთხვევაში განაწილების საკითხი საერთოდ არ დგება. ამიტომ შესაძლებელია კანონით განიმარტოს, რომ ასეთ შემთხვევებში დაშლასთან ერთად უნდა დარეგისტრირდეს ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი გაუქმებულია.

*f) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და სახეები*

**105** სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) lit.ა-თი გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ რომელი დებულებები უნდა მიუერთდეს ზოგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებულ, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედ დებულებებს, დამოკიდებულია პირველ რიგში იმაზე, თუ რეგულირების რომელი კონცეფცია უნდა დაედოს საფუძვლად არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნებას და ან შესაბამისად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რა სახეები უნდა იქნეს განსხვავებული.

**106** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამენარმეო ან არასამენარმეო მიზნობრიობა წარმოადგენს იურიდიული პირის მრავალი მახასიათებლიდან ერთ-ერთს. მნიშვნელობას იძენს არასამენარმეო მიზნების სასარგებლოდ გაკეთებული საწყისი გადაწყვეტილება იმის გამო, რომ იურიდიული პირი, რომელიც ასეთ საქმიანობას ისახავს მი-

<sup>114</sup> სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის, Palandt/Sprau, BGB, 78. Aufl. 2019, Vorb v § 723 Rn. 2.

ზნად, ვალდებულია დარეგისტრირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 ნაწილი). ვინაიდან იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია რეესტრში მის რეგისტრაციაზე და, ამდენად, რეგისტრაციამდე სამართლებრივად არ არსებობს პერსონალურად განკერძოებული სამართლის სუბიექტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 ნაწილის ნორმატიული შინაარსი არ მესმის ისე, თითქოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს რეგისტრაცია სავალდებულოდ ეკისრება, არამედ იმგვარად, რომ ეს რეგისტრაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებების მიხედვით ხორციელდება - და არა როგორც ეს სამენარმეო მიზნების მქონე იურიდიული პირების შემთხვევაშია, მენარმეთა შესახებ კანონის დებულებების შესაბამისად. აღნიშნული ენობრივად უნდა იქნეს დაზუსტებული.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია განცხადების საფუძველზე ხორციელდება და მის წინაპირობას წარმოადგენს სადამფუძნებლო აქტის არსებობა, რომელიც იმავდროულად, თავის მხრივ, ვინაიდან იურიდიულ პირს არ ევალება, რომ იყოს წევრობაზე დაფუძნებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტი, არაფერს მოითხოვს, გარდა მიზნობრიობისა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტი, 32-ის მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტი, 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) და აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-1) მითითებისა. ამგვარად ჩამოყალიბებული ფორმა, მიუხედავად მისი რედაქციისა, საკანონმდებლო ტექნიკის თვალისაზრისით გაკრიტიკებულია იმისი გამო, რომ კანონი არასაკმარისად გამოხატავს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტრუქტურას და ამდენად, საკმარისად ვერ გადმოსცემს მნიშვნელოვან განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სტრუქტურის თვალსაზრისით, წევრობაზე დაფუძნებულ კავშირსა და ქონებასთან დაკავშირებულ ფონდს შორის.<sup>115</sup>

იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც არასამენარმეო მიზნებს ემსახურება, გერმანული კერძო სამართალი იცნობს, განსაკუთრებით, რეგისტრირებულ კავშირს, რომლისთვისაც ეკონომიკურ საქმიანობას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს (BGB-ს § 21). სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და ამხანაგობის (კოოპერატივი - Genossenschaft) დაფუძნება შესაძლებელია როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო მიზნებისთვის (შეადარეთ, GmbHG-ის §§ 1, 4-ის მე-2 წინადადება). იგივე წესი მოქმედებს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის,<sup>116</sup> ფონდის (შეადარეთ, BGB-ს § 87-ის 1-ლი და მე-2 აბზაციები)<sup>117</sup> და უფლებაუნარიანობის არმქონე კავშირისთვის.<sup>118</sup> ღია სავაჭრო საზოგადოებისთვის (სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება)/კომანდიტური საზოგადოებისთვის (OHG/KG) სამენარმეო საქმიანობა წარმოადგენს რეგისტრაციის წინაპირობას (HGB-ს §§ 105-ის პირველი ნაწილი, 161-ის მე-2 აბზაცი), მიუხედავად ამისა, მათ შეუძლიათ ამ ფორმის ფარგლებშიც მისდიონ ისეთ საქველმოქმედო მიზნებს, რომელთა მიმართაც ვრცელდება ფისკალური კოდექსის<sup>119</sup> (AO) §§ 51-ითა და შემდგომი პარაგრაფებით გათვალისწინებული საგადა-

<sup>115</sup> ჭანტურია/კნიპერი, გვ. 2 (sub 1), მე-9 და მომდევნო, 13.

<sup>116</sup> შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისთვის (GmbH, AG und GbR) Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 18.

<sup>117</sup> BeckOK BGB/Backert, 48. Ed., § 80 Rn. 6; Saenger, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 2015, Rn. 484.

<sup>118</sup> Vgl. BeckOK BGB/Schöpfli, 48. Ed., § 54 Rn. 7.

<sup>119</sup> Abgabenordnung vom 1.10.2002 (BGBl. I S. 3866; 2003 I S. 61).

სახადო შეღავათები.<sup>120</sup> ამდენად, არასამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც კორპორაციის, ისე ფონდის ან თანაზიარი გაერთიანების (*Gesamthandsgemeinschaft*) ფორმით. ამასთან, მხოლოდ კორპორაციული საორგანიზაციო ფორმისთვის, რეგისტრირებული კავშირის სახით, გვაქვს სამართლებრივი ფორმა, რომელიც მხოლოდ არასამენარმეო მიზნებისთვის შეიძლება მოქმედებდეს. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, რომ იმდროინდელი კანონმდებლის ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო კონცესიასა და კონტროლზე დაფუძნებული სამოქალაქო გაერთიანების (*bürgerliche Vereinigung*) კონცეფცია, რომლის ლეგიტიმაცია (შესაფერისობა) დღევანდელი გადასახედიდან საეჭვო ჩანს.<sup>121</sup> ამასთან, სამოქალაქო სამართალში არსებული დებულება თავის გამართლებას პოულობს არა სამენარმეო მიზნების განხორციელებაში, არამედ იმაში, რომ რეგისტრირებული კავშირი და ფონდი პროტოტიპულად წარმოადგენენ კორპორაციულ და ქონებასთან დაკავშირებულ იურიდიულ პირებს.

**108** თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებისთვის გადამწყვეტია არა შესაბამისი სამართლებრივი ფორმის პროტოტიპული ხასიათი, არამედ არსამენარმეო მიზნების განხორციელება (მიდევნება), მაგრამ რომ ასეთი მიზნების ქონა შესაბამისად წევრთა ცვალებად შემადგენლობაზე დაფუძნებული (კორპორაციული), ქონებასთან დაკავშირებული ან ერთობლივ ქონებაზე და ამით, წევრთა უცვლელ შემადგენლობაზე დაფუძნებული (თანაზიარი (*gesamthänderisch*)) სამართლებრივი ფორმით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი - რაც თავის მხრივ ისევ მიზანშეწონილობის საკითხს წარმოადგენს, რაც ამ ნაშრომის განხილვის ფარგლებს სცილდება და მხოლოდ დაშვების სახით შეიძლება იქნეს ნავარაუდები, - მაშინ საკორპორაციოსამართლებრივი ფორმისთვის ნათელია, რომ არასამენარმეო მიზნების განხორციელების შემთხვევაში იგი განსაკუთრებულ სამართლებრივ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი ცალსახად არის მიკუთვნებული საზოგადოებრივი საქმიანობის არასამენარმეო (არაკომერციული) სფეროს, არამედ ასევე საკანონმდებლო ტექნიკა, ვინაიდან კაპიტალთან, პასუხისმგებლობასთან და განაწილებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები სამენარმეო საქმიანობის შემთხვევაში საერთოდ არ წარმოიქმნება. ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საგანს, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) ა) ქვეპუნქტით, გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პირველ სამართლებრივ ფორმას უნდა წარმოადგენდეს არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირი.

ქონებასთან დაკავშირებული იურიდიული პირისთვის ეს მიდგომა არ მოქმედებს. ამ ფორმის ჩამოყალიბებაზე, როგორც ამას BGB-ს §§ 80 და შემდგომი პარაგრაფები გვიჩვენებს, გავლენას ახდენს ქონებასთან დამოკიდებულება და არა სამენარმეო თუ არასამენარმეო საქმიანობა. ამიტომ, ფონდი არ უნდა იქნეს დაპროექტებული როგორც სპეციფიკურად არასამენარმეო (არაკომერციული) სამართლებრივი ფორმა და ამდენად, ზემოთ მოყვანილი დაშვების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ უნდა იქნეს ნორმირებული.

ამით, ფონდის, როგორც ქონებასთან დაკავშირებული იურიდიული პირის, შესახებ დებულებების შემუშავება სცდება ამ დასკვნის ფარგლებს; რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავუბრუნებოდი აღნიშნულ საკითხს სხვა კონტექსტში.

<sup>120</sup> Schauhoff/van Randenborgh, Handbuch der Gemeinnützigkeit, 3. Aufl. 2010, § 1 Rn. 3.

<sup>121</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 220.

როდესაც ამ დასკვნის დანართში მაინც გთავაზობთ დებულებებს არასამენარმეო (არაკომერციული) ფონდების თაობაზე, მე ამას ვაკეთებ მხოლოდ სრულყოფილების ინტერესებში, იმ შემთხვევისთვის, თუ სამენარმეო მიზნების მქონე ფონდი სამართლებრივი ფორმის სახით არ უნდა იქნეს წარმოდგენილი. აღნიშნულ საკითხში ვხელმძღვანელობ BGB-ს §§ 80-88 მუხლებით.

თუ გადაწყდება ფონდის, როგორც იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შემოღება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსამარტი იქნება, რომ იურიდიული პირი, საკორპორაციო ფორმის გარდა, ასევე შეიძლება იქნეს ორგანიზებული ქონებასთან დაკავშირებული ფორმით.

როგორც BGB-ს §§ 705 და შემდგომი პარაგრაფები გვიჩვენებს, არც თანაზიარი იურიდიული პირი წარმოადგენს თავისი სამენარმეო ან არასამენარმეო საქმიანობის მიხედვით გამორჩეულ პირს, მაშინაც კი, როდესაც ის სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს, არამედ იგი თავისი თანაზიარი განცალკევებული ქონებით ხასიათდება. ვინაიდან „ამხანაგობა“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის ამჟამინდელი რედაქციის გაგებით, სწორედ თანაზიარი იურიდიული პირის შემთხვევებს არ მოიცავს, ამის გამოც საჭიროებს იგი სამართლებრივი ფორმის შემუშავებას, მაგრამ ზემოთ ხსენებული დაშვების (ვარაუდის) მიხედვით, რომლის თანახმად სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროსადმი მიკუთვნების გადამწყვეტ კრიტერიუმს მხოლოდ არასამენარმეო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს, ისიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს მიღმა უნდა იქნეს ნორმირებული.

შესაძლოა ამ თვალსაზრისით მოიაზრებოდეს დებულებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ; თუმცა დებულებები საზოგადოების როგორც თანაზიარი იურიდიული პირის ჩამოყალიბების თაობაზე, ასევე სცდება ამ დასკვნის ფარგლებს; რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავეუთობ ამ საკითხს დროს სხვა კონტექსტში.

თუ არ გადაწყდება, რომ - გერმანული სამართლებრივი ვითარებისგან განსხვავებით, - ფონდი მხოლოდ არასამენარმეო მიზნების განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს, მაშინ არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთადერთი სამართლებრივი ფორმა იქნება ისე, რომ ამ შემთხვევაში ნორმა შეიძლება შესაბამისად დაკონკრეტდეს.

სხვა კონტექსტებში, რომლებშიც სამართლებრივი ფორმები ამომწურავად ჩამოთვლილი არ არის, თავს შევიკავებდი, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნების ჩანაცვლებისგან კავშირის ცნებით, თუკი საკითხი მხოლოდ კავშირებს არ ეხება; ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ კანონმდებელმა კავშირის გარდა, მოგვიანებით წარმოქმნილი შესაძლებლობისას შემოიღოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის) ა) ქვეპუნქტის გათვალისწინებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა სამართლებრივი ფორმა, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის) გ)-დან ზ) ქვეპუნქტამდე გათვალისწინებული სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირის (სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს მიღმა დასარეგულირებელი) სამართლებრივი ფორმის ცვლილებით, მიზნის არასამენარმეოთი შეცვლის გზით.

ასევე ცალკეული სამართლებრივი ფორმის დიზაინის თვალსაზრისით, უნდა განვასხვავოთ არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების მქონე იურიდიული პირების საკითხი



და საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილს) გ)-დან ზ) ქვეპუნქტამდე გათვალისწინებულ იურიდიულ პირებზე, ის ფაქტი, რომ ისინი სამენარმეო საქმიანობიდან არასამენარმეო მიზნებზე გადადიან ან შესაბამისად, თავიდანვე არ გააჩნიათ სამენარეო მიზნები. გამოიყენება თუ არა ამ შემთხვევებში და რა მოცულობით მოქმედებს სპეციალური დებულებები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისად, სამენარმეო-სამართლებრივ კონტექსტში.

**109** მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველი რედაქცია საერთო დებულებებს შეიცავდა კავშირებისა და ფონდებისთვის, როგორც არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმებისთვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-დან 39-მდე მუხლები), არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გამოყოფა ყველა სამართლებრივი ფორმისთვის საერთო დებულებებიდან, არავითარ შემთხვევაში არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების შემთხვევაში მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით) გათვალისწინებული, ყველა იურიდიული პირისთვის მოქმედი, ზოგადი დებულებები ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით უკვე ყოვლისმომცველად არის ნორმირებული. ეს დებულებები აწესრიგებს სპეციალური რეგულირების საჭიროებებს, რომლებიც გამომდინარეობს იურიდიულ პირად პერსონალური განკერძოებიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) მიზნობრიობა, როგორც ცალკეული სამართლებრივი ფორმების გამაერთიანებელი მახასიათებელი, არ ახდენს გავლენას შესაბამის ყოვლისმომცველ რეგულირების საჭიროებებზე. აღნიშნული ნათალად ჩანს იქიდანაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-დან 39-მდე მუხლებში სამართლებრივი ნორმების მხოლოდ უმცირესი ნაწილი გამოვიდა კავშირსა და ფონდს შორის დიფერენცირების გარეშე; მაგრამ ამ შემთხვევაში, არ გვაქვს შინაგანი გამართლება „საერთო“ დებულებების არსებობისთვის.

მეტიც, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო შესაფერისი სამართლებრივი ფორმები, რომლებიც BGB-ს §§ 54-ის და 86-ის რეგულირების მოდელის მსგავსად, შერჩევითად მიუთითებდნენ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის ან შესაბამისად, კავშირის სამართალზე.

*g) კავშირი, როგორც კორპორაციული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი*

**110** ამიტომ, „I. ზოგადი დებულებანი“-ს მომდევნო II ქვეთავი უნდა ეძღვნებოდეს არასამენარმეო (არაკომერციულ) კავშირს. შესაბამისად, თავი 2-ის სათაური მრავლობით რიცხვში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული: „არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირები“.

შემდგომი რეგულირების პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- კავშირის ცნებას
- მის რეგისტრაციას
- მის ორგანოებს (გამგეობა, წევრთა კრება) და სხვა ორგანოები
- წევრობის შექენას, დაკარგვასა და შინაარსს
- კავშირის, წევრთა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას
- კავშირის გარდაქმნას, დაშლასა და ლიკვიდაციას.

არ საჭიროებს რეგულირებას

- კავშირის ადგილსამყოფელი. იგი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით და ამით არის მისი მთავარი ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი (BGB-ს § 24-ის შესაბამისად);
- კავშირის სახელწოდება. იგი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, შემოთავაზებული ახალი რედაქციით;
- დამატებითი ორგანოების შექმნა, რომლებიც ემსახურება კავშირის საქმიანობის შიდა დიზაინს (კომისიები, სამეთვალყურეო საბჭო, საბჭო და ა. შ.; შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 42-ე და 43-ე მუხლები). ასეთი ორგანოები შეიძლება გათვალისწინებული იყოს წესდებით ან კავშირის გადანყვეტილებით იქნეს ჩამოყალიბებული თავის ფარგლებში, ვინაიდან ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო დებულებები აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება; მაგრამ სპეციალური ორგანოები, სტანდარტულ შემთხვევაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დისპოზიციური სამართლით.

დაბოლოს, თავი სისტემატიკური კონტექსტის მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს დებულებას დაურეგისტრირებელი კავშირების მიმართ მოქმედ სამართალთან დაკავშირებით.

#### aa) კავშირის ცნება

ქვეთავი, რომელიც კავშირს ეხება (BGB-ს § 21-ისგან განსხვავებით) უნდა იწყებოდეს კავშირის ლეგალური დეფინიციით. კავშირისთვის, როგორც კორპორაციისთვის, დამახასიათებელია სამართლებრივი დამოუკიდებლობა (განკერძოებულობა), რომელიც გარკვეული დროით შექმნილ გაერთიანებაში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისგან დამოუკიდებლად იჩენს თავს.<sup>122</sup> ასეთი გაგება შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლს. მეტიც, კავშირის სამართლებრივი იდენტობა წარმოიჩნდება სრული სახელწოდების საშუალებით, ხოლო მოქმედების ძალაუფლება კი ხორციელდება გამგეობის მიერ წარმომადგენლობის საშუალებით.<sup>123</sup> ამით, გამგეობისთვის წინაპირობას წარმოადგენს წევრთა მინიმალური რაოდენობის არსებობა. ეს მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს ორზე ნაკლები, რადგან ერთი წევრის შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს გაერთიანება. დასაშვებია იქნება თუ არა უკვე ორი პირისგან შემდგარი კავშირი, წარმოადგენს მიზანშეწონილობის საკითხს. BGB-ს § 73-ის თანახმად, წევრთა მინიმალური რაოდენობა არის სამი. BGB-ს § 56 დაფუძნებისთვის ითხოვს შვიდ პირს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ითვალისწინებდა 5 პირს.

ვინაიდან სამენარმეო იურიდიული პირების დაფუძნება მენარმეთა შესახებ კანონით განისაზღვრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილი), ამ ქვეთავში ნორმირებული კავშირი შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ არასამენარმეო მიზნების მქონე იურიდიულ პირს. სამენარმეო მიზნების მქონე „კავშირი“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არ არსებობს. აღნიშნულიც თავიდანვე უნდა იქნეს განმარტებული.

<sup>122</sup> შეადარეთ, ზემოთ.

<sup>123</sup> შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 21 Rn. 14.

იმავდროულად უნდა განიმარტოს, რომ ეკონომიკური საქმიანობა (*wirtschaftlicher Geschäftsbetrieb*), რომელიც არასამენარმეო მიზნობრიობის ფარგლებში მხოლოდ დამხმარე ხასიათის მიზანია, არ აზიანებს კავშირის არასამენარმეო ხასიათს (დამხმარე მიზნის პრივილეგია, შეადარეთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდებულია მითითება, რომ კავშირის სახსრები მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული და წევრები კავშირის სახსრებიდან თანხებს (*Zuwendungen*) არ ღებულობენ. ასევე, არცერთ პირს არ აქვს უფლება, მიიღოს სარგებელი კავშირის მიზნებთან შეუსაბამო გადახდებიდან ან შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურებებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად კავშირის ქონება შეიძლება იქნეს გასხვისებული, თუ გასხვისება კავშირის საქმიანობის, მისი ორგანიზაციული განვითარების, მიზნის განხორციელების ან საქველმოქმედო ინტერესებში ხორციელდება. აღნიშნულს ასევე შეიძლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, დაემატოს შესაძლებლობა, რომ გასხვისება ხორციელდებოდეს ქონების სხვა არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირისთვის გადაცემის მიზნით, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი კვლავინდებურად არასამენარმეო მიზნობრიობას ექვემდებარება.

#### *bb) კავშირის რეგისტრაცია*

**112** კავშირის რეგისტრაციისას, ცვლილებების შემოთავაზებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ზოგადი დებულებანი, ისე, რომ კავშირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახალი რედაქციის თანახმად, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციით იძენს უფლებაუნარიანობას, რომლის წინაპირობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს ოფიციალურად დამონმებული განცხადების შეტანა. ფუნქციონალურ და ადგილობრივ ქვემდებარეობასთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 31-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები) დაკავშირებული დებულებები ამით ზედმეტად იქცევა.

**113** აღნიშნულის საპირისპიროდ, რეგულირებას საჭიროებს რეგისტრაციის სპეციალური წინაპირობები და სარეგისტრაციო დოკუმენტის მოცულობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 34-ე მუხლის 1-1 ნაწილის გაგებით. რეგულირების ეს საგნები კავშირის ცნების შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ერთ დებულებაში.

კავშირის რეგისტრაციისთვის განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს გამგეობის მიერ, ანუ გამგეობა, წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე შემადგენლობით უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი. აღნიშნული შეესაბამება BGB-ს § 59-ის პირველ აბზაცს.<sup>124</sup>

განცხადებას უნდა ერთვოდეს კავშირის სტატუტი (ანუ წესდება), აგრეთვე საბუთები გამგეობის დანიშვნის შესახებ, შესაბამისად, ორიგინალში ან ოფიციალურად დამონმებული ასლის სახით (BGB-ს § 59-ის მე-2 აბზაცი). აქედან გამომდინარეობს წესდებისთვის წერილობითი ფორმის სავალდებულობა. დებულება, რომლის თანახმად წესდება, ამის გარდა, ნოტარიულ დამონმებას საჭიროებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 32-ე მუხლის მე-

<sup>124</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 59 Rn. 1.

5 ნაწილი), არ მიმაჩნია აუცილებლად. გარდა ამისა, BGB-ს §§ 59-ის მე-3 აბზაცისა და §§ 60-ის თანახმად, წესდება საჭიროებს დამფუძნებელი წევრების მიერ ხელმოწერას - (თუ მოთხოვნა, რომლის თანახმადაც წესდება ნოტარიულად დამოწმებული უნდა იყოს, ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ დამფუძნებელი წევრების მიერ წესდების დადგენა საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას, მიმაჩნია, რომ ამ მოთხოვნის აუცილებლობაც არ არსებობს) - და მითითებას მიღების თარიღის შესახებ. დამატებით მიმაჩნია, რომ სასურველი იქნება განმარტებულ იქნეს, რომ წესდებამ დამფუძნებელი წევრები პირდაპირ უნდა მიუთითოს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) ქვეპუნქტი მოითხოვდა გვარის, სახელის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებას).

წესდება უნდა შეიცავდეს: დებულებებს კავშირის სახელწოდების, ადგილსამყოფელისა და მიზნის შესახებ, აგრეთვე მითითებას, რომ კავშირი დარეგისტრირდეს (BGB-ს § 57-ის პირველი აბზაცი). გარდა ამისა, წესდება BGB-ს § 58-ის თანახმად „უნდა“ შეიცავდეს დებულებებს შემდეგი საკითხების შესახებ:

- წევრობის შექმნა და დაკარგვა
- მათი შინაარსი
- გამგობის შექმნა
- წევრთა კრების მოწვევა.

თუ წესდება არ შეიცავს დებულებებს აღნიშნულ საკითხებზე, BGB-ს § 60-ის თანახმად ეს ინვეს უარს განცხადების მიღებაზე. რეგულირების ამ ტექნიკის საპირისპიროდ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისპოზიციურ საკანონმდებლო დებულებებს, რომლებიდან გადახვევაც წესდებას შეუძლია, მაგრამ რომლებიც ზედმეტს ხდიან განცხადებაზე უარის თქმას წესდების დებულებების არასაკმარისად დაკმაყოფილების გამო. ეს დისპოზიციური დებულებები უნდა სცდებოდეს BGB-ს § 58-ით დასახელებული რეგულირების საგნებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 34-ე მუხლის 1-1 ნაწილის მონაცემების გარდა (სახელი, ადგილსამყოფელი, ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, წარმომადგენლობის ურთიერთობები), სარეგისტრაციო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს კავშირის წესდებას (შეადარეთ, BGB-ს §§ 59-ის მე-2 აბზაცი, 71, 79-ის პირველი აბზაცი). ვინაიდან დამფუძნებელი წევრები უკვე მითითებულია წესდებაში, საჭირო აღარ არის მათი სპეციალურად მითითება სარეგისტრაციო დოკუმენტში. რადგან კავშირი არ არის დამოკიდებული შესაბამის წევრთა შემადგენლობაზე, იგი არც წევრთა მითითებას საჭიროებს.

საჭიროებს თუ არა იგი, გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მენარმეთა შესახებ კანონზე მითითებას, ვერ იქნება გადაწყვეტილად შეფასებული, ვინაიდან მე ხელთ არ მაქვს ეს კანონი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი აღნიშვნა არ მიმაჩნია რაიმე ზიანის მომტანად.

### cc) კავშირის ორგანოები (წევრთა კრება)

რომელი ორგანოები გააჩნია კავშირს, რომელ ორგანოს რა კომპეტენციები აქვს და რომელი პროცედურა მოქმედებს ნების ჩამოყალიბებისა და ორგანოების მოქმედებების მიმართ, განისაზღვრება წესდებაში ამისათვის არსებული დებულებებით და დამატებით, დისპოზიციური

სამართლის მიხედვით, თუ კანონი არ შეიცავს რაიმე დამავალდებულებელ ნორმას, ვინაიდან კავშირის ორგანოთა მუშაობის წესი განეკუთვნება კავშირის კონსტიტუციას **BGB-ს § 25**.<sup>125</sup>

კავშირის, როგორც კორპორაციული გაერთიანების აუცილებელ ორგანოებს წარმოადგენს წევრთა კრება - შიდა ნების ჩამოყალიბებისთვის და გამგეობა - მართვისთვის (ანუ საქმეების გაძღოლისთვის (**Geschäftsführung**)) და კავშირის წარმომადგენლობა.<sup>126</sup>

- 115** მოქმედი სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში შეიცავს მხოლოდ დებულებებს, რომლებიც ეხება გამგეობას, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ორგანოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის შემოთავაზებული ახალი რედაქციის მიხედვით, იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, ამასთან საეჭვოობისას მოქმედებს ერთობლივი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, გამონაკლისს წარმოადგენს პასიური წარმომადგენლობა. კავშირისთვის, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აქტიური წარმომადგენლობის მიმართ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების შეზღუდვის შესაძლებლობა (**BGB-ს § 26-ის** პირველი აბზაცის მე-2 წინადადება), აგრეთვე ზოგადი წესის სახით უმრავლესობის პრინციპი (**BGB-ს § 26-ის** მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება). უმრავლესობის პრინციპი ასევე უნდა წარმოადგენდეს ზოგად წესს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისთვის. გამგეობის შექმნისთვის, ზოგადი წესის სახით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამი პირისგან შემდგარი გამგეობა, რომელიც თანაბრად არის უფლებამოსილი განხორციელოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. გამგეობის დანიშვნაც შეიძლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის მე-40 მუხლის შესაბამისად იქნეს მოწესრიგებული (შეადარეთ, **BGB-ს § 27**). თუმცა 4 წლიანი უფლებამოსილების ვადა ძალიან ხანგრძლივად მეჩვენება; უფლებამოსილების ზოგადი ვადის სახით გათვალისწინებულ უნდა იქნეს 2 წლიანი ვადა. დამატებით შეიძლება დარეგულირდეს, რომ როდესაც წესდება სხვას არ ითვალისწინებს, დასაშვებია ხელახლა დანიშვნა და რომ გამგეობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ კავშირის წევრი, შედეგად, კავშირის წევრობის დასრულებით წყდება გამგეობის წევრად ყოფნის უფლებამოსილებაც. შიდა ურთიერთობისთვის შესაძლებელია, **BGB-ს § 27-ის** მე-3 აბზაცის შესაბამისად, ზოგადი წესის სახით გათვალისწინებულ იქნეს დავალების ხელშეკრულების სამართალი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-დან 722-მდე მუხლები) და აღნიშნულისგან განსხვავებით, უსასყიდლოა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კავშირის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ მოქმედებს მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის დებულებები. მე არ მაქვს სრულყოფილი სურათი, რომ შემოთავაზებული ახალი რედაქციების ფონზე ვიმსჯელო, შეიძლება თუ არა ამ მითითების დატოვება თუ უნდა მოხდეს მისი ადაპტირება, ვინაიდან მენარმეთა შესახებ კანონზე ხელი არ მიმინვდება.

- 116** რადგანაც წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი) კონფლიქტში იქნებოდა გამგეობის მიერ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის განხორციელებასთან, ამიტომ **BGB-ს § 30-ის** შესაბამისად იგი საჭიროებს

<sup>125</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 25 Rn. 1.

<sup>126</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 17; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 17 Rn. 37.

უფლებამოსილების სპეციალურად მინიჭებას, თუკი კავშირს წარმომადგენლობის ორგანიზაციის ასეთი დიფერენცირებული მოდელის შემუშავების შესაძლებლობა უნდა მიეცეს.<sup>127</sup>

წევრთა კრებასთან დაკავშირებულ დებულებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე და შემდგომი მუხლების ამჟამად მოქმედი რედაქცია არ შეიცავს. გამგეობის დანიშვნისთვის ორგანოთა კომპეტენციებით, გამგეობისთვის მიძღვნილი მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, წევრთა კრების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უკვე ნორმირებულია. ის შეტანილ უნდა იქნეს გენერალურ დათქმაში, რომლის თანახმად წევრთა კრება იღებს გადაწყვეტილებას კავშირის ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს გადასაწყვეტი (BGB-ს §32-ის 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადება; შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება). მაგალითის სახით შეიძლება ჩამოვთვალოთ წევრთა კრების შემდგომი ფუნქციები:

- სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა, თუკი გათვალისწინებულია წესდებით
- სალაროს აუდიტზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შერჩევა, თუ იგი წესდებით წესდებით არ არის გაუქმებული,
- გამგეობის ანგარიშების მიღება და მის მიერ განეული სამუშაოს დადებითად შეფასება (Entlastung).

გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილებები ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასაწყვეტი საგანი დღის წესრიგში იყო შეტანილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება) კრების მონვევისას (BGB-ს §32-ის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადება). გადაუდებლობის მოტივით განაცხადების დამუშავება არ უნდა იყოს დაშვებული ჩვეულებრივი წესის სახით.

გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით (BGB-ს § 32-ის პირველი აბზაცის მე-3 წინადადება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადება). ამასთან გადამწყვეტ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადებისგან განსხვავებით) მიცემულ ხმათა უმრავლესობა (BGB-ს § 32-ის 1-ლი აბზაცის მე-3 წინადადება, ასევე AktG-ს §§ 133-ის 1-ლი აბზაცი, GmbHG-ს 47-ის 1-ლი აბზაცი, GenG-ს 43-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება), ვინაიდან თავის შეკავებას და გაბათილებულ ხმებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ ნეიტრალური მოქმედება და არ მიიჩნევიან წინააღმდეგ მიცემულ ხმებად (Nein-Stimmen).<sup>128</sup> ზოგადად საკმარისი უნდა იყოს ხმათა უბრალო უმრავლესობა, ხმათა სპეციალური უმრავლესობის მოთხოვნა უნდა არსებობდეს წესდების ცვლილების შემთხვევებისთვის (BGB-ს § 33-ის 41-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები; ამასთან მიზნის ცვლილების წინაპირობას, BGB-ს § 33-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილების ერთხმად მიღება), ასევე კავშირის დაშლასთან ფაქტობრივ კავშირში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-4 წინადადების შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს წერილობით ხმის მიცემა. დამატებით შეიძლება დარეგულირდეს:

- რომ ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა;

<sup>127</sup> შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 30 Rn. 1.

<sup>128</sup> შეადარეთ, BGHZ 106, 179 = NJW 1989, 1090.

- რომ ნევრისთვის ხმის მიცემის უფლება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი მინდობილობის წარდგენის გზით.

კრების მოწვევა უნდა შედიოდეს გამგეობის ორგანოს კომპეტენციაში მისი ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება). გათვალისწინებული უნდა იყოს კრების მოწვევა წლიური სიხშირით, აგრეთვე მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს კავშირის ინტერესი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). მოწვევის ფორმა უნდა წარმოადგენდეს ყველა წევრის მიმართ დასაცავ წერილობით ფორმას, 2-კვირიანი შეტყობინების ვადით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კრების მოწვევა, კავშირის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების გზით, არ უნდა მოქმედებდეს ზოგადი წესის სახით (თუმცა ამას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შეიძლება განისაზღვროს, რომ ვადა (ვადის ათვლა) იწყება მოწვევის გაგზავნის შემდგომი დღიდან და მოწვევა მიიჩნევა წევრთან მისულად, თუ მოწვევა გაგზავნილია კავშირისთვის შეტყობინებულ უკანასკნელ მისამართზე.

წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანად უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც წევრთა სულ მცირე ნახევარი ესწრება კრებას ან წერილობით მონაწილეობს ხმის მიცემაში. ის უნდა ივარაუდებოდეს მანამ, სანამ არცერთი დამსწრე წევრი მასში ეჭვს არ შეიტანს. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული საკითხი გადაწყვეტილებაუნარიანობის არარსებობის გამო გადაიდება, გათვალისწინებულ უნდა იყოს წევრთა კრების ხელახალი მოწვევის შესაძლებლობა, ამ საკითხის თავიდან განსახილველად და ამ შემთხვევაში, იგი გადაწყვეტილებაუნარიანად იქნება მიჩნეული მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა. აღნიშნული შედეგი ხელახალ მოწვევაში მითითებული უნდა იყოს.

გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ

- წევრთა კრებას ხსნის გამგეობის წევრი;
- წევრთა კრების დასაწყისში არჩეულ უნდა იქნეს კრების თამჯდომარე და მდივანი (Schriftführer/in);
- წევრთა კრების გადაწყვეტილებების შესახებ უნდა მომზადდეს ოქმი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ კრების თამჯდომარემ და მდივანმა.

ეს დებულებები დისპოზიციური ხასიათის უნდა იყოს ისე, რომ შემდგომი დებულებების დადგენა წესდებით იყოს შესაძლებელი (შეადარეთ, BGB-ს §§ 32, 40; სხვაგვარად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლით).

სავალდებულო უნდა იყოს კრების მოწვევის ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც წევრთა 10%, მოწვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით (და არა უბრალოდ: კრების დღის წესრიგის მითითებით, როგორც ამას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება), BGB-ს § 37-ის 1-ლი ნაწილის შესაბამისად წერილობით ითხოვს ამას. დისპოზიციური ქვორუმი ( ასე, BGB-ს § 37-ის 1-ლი აბზაცი) აუცილებლად არ მიმაჩნია.

**118** BGB-ს § 34-ის შესაბამისად, რომელიც სავალდებულოა (BGB-ს § 40), შეიძლება დამატებით მოწესრიგდეს, რომ წევრს კავშირის ორგანოში არ აქვს ხმის უფლება, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ეხება მასთან დასაბუთებ გარიგებას ან მასსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი დავის წამოწყებას ან მოგვარებას.

119

დამატებით შეიძლება ასევე გათვალისწინებულ იქნეს, რომ როდესაც წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, წევრთა კრება ერთი წლის ვადით (ამასთან, ხელახალი არჩევა დასაშვებია) ირჩევს სალაროს აუდიტორს, რომელიც არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი და რომელმაც ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ანგარიში წევრთა კრებას, გამგეობის და სპეციალური წარმომადგენლების მიერ სალაროს და მეურნეობის მართვის შესახებ.

#### *dd) წევრობის შექმნა, დაკარგვა და შინაარსი*

120

წევრობა, როგორც წევრსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, მოიცავს წევრის, როგორც ასეთის, ყველა უფლებასა და მოვალეობას. მისი შექმნა ხდება კავშირის დაფუძნებაში მონაწილეობის ან მოგვიანებით განწევრიანების გზით, რომლისთვისაც, ზოგადი წესის სახით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამგეობის მიმართ გაკეთებული განცხადება მიღების თაობაზე და გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მიღების სავალდებულოობისთვის მკაცრი მოთხოვნები უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. მოთხოვნით უნდა იქნეს ერთი მხრივ, კავშირის მნიშვნელოვანი როლი განმცხადებლისთვის არსებითი სოციალური, კულტურული ან სხვა ამოცანების განხორციელებისას და მეორე მხრივ, რომ კავშირისთვის ასეთი განწევრიანება მისაღებია (*zumutbar*).

წევრობა წყდება გასვლით, გარდაცვალებით ან გარიცხვით. გასვლის უფლების წესდებით შეზღუდვა მხოლოდ გასვლის ვადის დანესებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა იყოს შესაძლებელი, ამასთან, თავის მხრივ, არ უნდა იქნეს გადაცილებული გასვლის ვადის (BGB-ს § 39-ის მე-2 აბზაცი) ერთი ან ორი წლით განსაზღვრული მაქსიმალური ხანგრძლივობა. თუ წესდება სხვა დებულებებს არ შეიცავს, გასვლა უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე გამგეობის წევრის მიმართ, წერილობითი განცხადების საფუძველზე.

გარიცხვა დამოკიდებული უნდა იყოს იმ წინაპირობების არსებობაზე, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც წესდება გარიცხვას ითვალისწინებს, ან - ამ შემთხვევაში არ არსებობს წესდებით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის საჭიროება<sup>129</sup> - მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე, რაც სასამართლოს მიერ შეუზღუდავად შეიძლება იქნეს გადამოწმებული (ასე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევას და მნიშვნელოვან საფუძველს კუმულაციურად ითვალისწინებს). შემდგომი დეტალების ნორმირება შესაძლებელის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

წევრობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, როგორც უაღრესად პერსონალური სამართლებრივი პოზიცია, პრინციპში, არ გადაეცემა სხვა პირებს (და ამით ასევე: არ ექვემდებარება დაყადაღებას) და არც მემკვიდრეობით გადადის. წევრობის უფლებები პერსონალურად უნდა იქნეს განხორციელებული.<sup>130</sup> BGB-ს § 38-თან ახლო შესაბამისობაში მყოფი დებულება არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილშიც.

<sup>129</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 25 Rn. 28.

<sup>130</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 38 Rn. 1 und 3.



გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შესაძლებელია წევრებისთვის შენატანების დაწესება, რომელთა ოდენობას და გადახდის ვადის დადგომას წყვეტს წევრთა კრება, თუ წესდება სხვაგვარ დებულებას არ შეიცავს.

გარდა წევრთა ზოგადი სამართლებრივი მდგომარეობისა, შესაძლებელია, რომ წევრობას ეფუძნებოდეს წევრის განსაკუთრებული უფლებები, როდესაც წესდება შეიცავს ამის საფუძველს და ეს განსაკუთრებული უფლება იქ შეუქცევადად არის ფორმულირებული.<sup>131</sup> ამ გზით მინიჭებული სამართლებრივი მდგომარეობა, BGB-ს § 35-ის თანახმად, მხოლოდ წევრის თანხმობით შეიძლება შეილახოს.

### ee) პასუხისმგებლობა

**121** იურიდიული პირის პერსონალური დამოუკიდებლობა (განკერძოებულობა) მისი წევრების, პარტნიორების, ხელმძღვანელებისგან მდგომარეობს იმაში, რომ მას საკუთარი ქონება გააჩნია, რომელიც მისი წევრების და ა. შ. ქონებისგან უნდა იქნეს განსხვავებული და რომ ის საკუთარ ვალდებულებებს აფუძნებს, რომლებიც მისი წევრების და ა. შ. ვალდებულებებისგან უნდა იქნეს განსხვავებული და რომლისთვისაც ეს პირები აუცილებლად კი არ აგებენ პასუხს, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არსებობს. და პირიქით, იურიდიული პირი სხვა პირების ვალდებულებებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისთვის განსაკუთრებული საფუძველი არსებობს.

თანამშრომლობის სამენარმეო ფორმებისგან განსხვავებით, არასამენარმეო საქმიანობის განმხორციელებელი კორპორაციებისთვის (გაერთიანებებისთვის) არ არსებობს გაყოფის ამ პრინციპის (*Trennungsgrundsatz*) საეჭვოდ მიჩნევის საბაზი. სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, დღეისათვის გაბატონებული შეხედულებით, ინვეს არა გაყოფის პრინციპის თელეოლოგიურ რედუქციას, არამედ პერსონალურ დელიქტურ პასუხისმგებლობას.<sup>132</sup> ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებამ მხოლოდ უნდა განმარტოს, რომ გაყოფა არა მარტო ორგანოს, არამედ ყველა ხელმძღვანელს ეხება. სათაურში უნდა აისახოს, რომ დებულება ეხება არა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, არამედ პასუხისმგებლობას ყველა სახის ვალდებულებებისთვის.

**122** პერსონალური დამოუკიდებლობის კიდევ ერთ შედეგს წარმოადგენს იურიდიული პირის წინაშე წევრის (პარტნიორის და ა. შ.) ან ხელმძღვანელის შიდა პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. იგი ძირითადად განისაზღვრება წევრობის, ან შესაბამისად, დანიშვნის ურთიერთობის მიხედვით და იმ სამართლებრივი შედეგებით, რომლებიც გამომდინარეობს ამ ურთიერთობებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევიდან. შეიძლება განხილულ იქნეს, ხომ არ უნდა მოხდეს აღნიშნულიდან გამომდინარე ზოგადი შედეგის, რომლის თანახმად ყოველი ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 719-ე მუხლით გათვალისწინებულ რწმუნებულის პასუხისმგებლობის პრივილეგიას BGB-ს §§ 31a-ს 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადების და 31b-ს 1-ლი აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად გამორიცხავს, წვრილმანი სფეროსთვის მოდიფიცირება და ამ ნორმების 1-ლი აბზაცის მე-3 წინადადების შესაბამისი მტკიცების ტვირთის შებრუნების გათვალისწინება. ასევე შეიძლება იქნეს განხილული, რომ ხელმძღვანელი პირების (*Amtswalter*) პასუხისმგებლობის პრეროგატივა არა მარტო კავშირის მიმართ დავალების ურთიერთობებში უნდა მოქმედებდეს, არამედ ასევე, როგორც წევრების მიმართ არ-

<sup>131</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 35 Rn. 1.

<sup>132</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Einf v § 21 Rn. 12.

სებული პასუხისმგებლობა (BGB-ს § 31a-ს პირველი აბზაცის მე-2 წინადადება). და ბოლოს, შესაძლებელია განხილულ იქნეს საკითხი იმის თაობაზე, რომ უსასყიდლოდ ან მცირე საზღაურის სანაცვლოდ მოქმედი წევრების ან ხელმძღვანელი პირების გარე პასუხისმგებლობის (სხვა პირების მიმართ პასუხისმგებლობის) შემთხვევისთვის, გათვალისწინებულ იქნეს მათი კავშირის მიმართ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, რადგან ამ შემთხვევებში მათი შიდა პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის პრეროგატივის გამო, გამორიცხული იქნებოდა (BGB-ს §§ 31a-ს მე-2 აბზაცი, 31b-ს მე-2 აბზაცი).

*ff) კავშირის რეორგანიზაცია, შეწყვეტა (Auflösung) და ლიკვიდაცია*

კავშირის რეორგანიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად აკრძალულია, გაყოფა და შერწყმა 1<sup>1</sup> ნაწილის თანახმად სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება. აღნიშნული სამართლებრივი ვითარება სისტემატიკური ამოსავალი წერტილის თვალსაზრისით, შესაბამისობაშია გერმანულთან, რომლის თანახმად კავშირის რეორგანიზაციის მიმართაც მოქმედებს კანონი რეორგანიზაციის შესახებ (Umwandlungsgesetz).<sup>133</sup> ამ თვალსაზრისით, ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ არსებობს. 123

კავშირის შეწყვეტისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის დებულებები შემოთავაზებული ახალი რედაქციით. მათ მიხედვით, შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს სტატუტურად (ანუ კავშირის შემთხვევაში: წესდებაში) გათვალისწინებული საბოლოო ვადა, უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მანამდე არსებული 38<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, სამართლებრივი ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში. შესაბამისად კავშირის სამართალში ნორმირებულ უნდა იქნეს შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო, აგრეთვე შეწყვეტის სხვა საფუძველები ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შეწყვეტის დამატებითი პროცედურები. 124

ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ კავშირი შეიძლება დაიშალოს წევრთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე და რომ ამ გადაწყვეტილებისთვის საჭიროა მიცემული ხმების ¾ -ის ქვორუმის (სხვაგვარად არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 39-ე მუხლში) არსებობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შემდეგ, უნდა არსებობდეს შეწყვეტის განსაკუთრებული პროცედურა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო განახორციელებს არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირების ზედამხედველობას. ამასთან, შესაძლებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის ძველ რედაქციაზე დაყრდნობით, გათვალისწინებულ იქნეს, რომ უფლებამოსილმა უწყებამ სასამართლოს მიმართოს კავშირის შეწყვეტის მოთხოვნით, როდესაც კავშირი თავისი საქმიანობის საგანს მნიშვნელოვნად ცვლის, განსაკუთრებით როდესაც იგი სამენარმეო მიზნებს მისდევს ან როდესაც წესდებით გათვალისწინებული მიზნების შემდგომი განხორციელება შეუძლებელია. თუ კავშირს აკრძალული ან ანტიკონსტიტუციური მიზნები გააჩნია, ამით რეგისტრაციის წინაპირობა უქმდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და მის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-1 მუხლით გათვალისწინებული დაშლის პროცედურა. გაკოტრების ან ქონების არქონის სამართლებრივი შედეგები ნორმირებულ უნდა იქნეს გაკოტრების სამართლებრივ კონტექსტში.

<sup>133</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 41 Rn. 8.

ვინაიდან კავშირის შემთხვევაში, ფიზიკური პირი პერსონალურად არ აგებს პასუხს კავშირის ვალდებულებებისთვის, ამიტომ ქონების არქონა წარმოადგენს შეწყვეტის საფუძველს.<sup>134</sup> ამ თვალსაზრისით, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შეწყვეტის პროცედურა. ვინაიდან ქონების არქონის შემთხვევაში შეუძლებელი ხდება წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება, აღნიშნული არ საჭიროებს სპეციალურ განკარგულებას (**Anordnung**).

**125** სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლი, შემოთავაზებული ახალი რედაქციით, ლიკვიდაციას განსაზღვრავს, როგორც ქონების განაწილების ზოგად წესს, რაც კავშირისთვისაც უპრობლემოდ შეიძლება იქნეს შენარჩუნებული. კავშირის სამართლით უნდა განისაზღვროს დარჩენილი ქონების გამოყენების საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრას სარეგისტრაციო განაცხადში და კავშირის ქონების გასხვისებას ზღვრებს უწესებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილისთვის შემოთავაზებული ახალი რედაქციით გათვალისწინებულ გასხვისების ზოგად ზღვრებს, რომელთა საშუალებითაც გარანტირებულია კავშირის არასამენარმეო ხასიათი. აღნიშნულის საპირისპიროდ, ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები წესდებით უნდა განისაზღვროს და კანონი უნდა ითვალისწინებდეს ამის შესახებ დისპოზიციურ დებულებას, რომელიც BGB-ს § 45-ის მსგავსად შეიძლება ჩამოყალიბდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებების სუბსიდიურად გამოყენების შესაძლებლობა კვლავინდებურად უნდა შენარჩუნდეს. ქონების გასხვისების ზღვრებთან დაკავშირებით, შესაძლებელია მითითების გაკეთება 36-ე მუხლის ახალ რედაქციაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული განაწილების აკრძალვა (**Verteilungsverbot**) გამოღებულ უნდა იქნეს.

**126** ჩემთვის ბოლომდე გასაგები არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის მე-3 წინადადება. თუ მისი მიზანია, კავშირის ქონების განცალკევება ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის (**Anfallberechtigter**) ქონებისგან, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება (BGB-ს § 51-ის შესაბამისად), მაშინ იგი უნდა მოქმედებდეს მიუხედავად იმისა, დანიშნულია თუ არა სასამართლო ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის დასადგენად და მაშინ მისთვის გადამწყვეტი უნდა იყოს არა რეგისტრაცია, არამედ ლიკვიდაციის დასრულება. ვინაიდან ლიკვიდაცია დარჩენილი ქონების განაწილებაზე მოიცავს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დარჩენილი ქონება 6 თვის ვადით დეპონირებულ იქნეს სასამართლოში. ამის გაკეთება შესაძლებელია მე-6 ნაწილის მე-2 წინადადებაში. თუ დებულების მიზანია, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ გადანყვეტილება ჯერ დროებით გაურკვევლად უნდა დარჩეს (**in der Schwebe zu halten**), მაშინ ვადაზე დამოკიდებული უნდა გახდეს ეს გადანყვეტილება და არა ქონების განაწილება.

*gg) დაურეგისტრირებელი კავშირების მიმართ მოქმედი სამართალი*

**127** არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირისთვის, როგორც იურიდიული პირისთვის, რეესტრში რეგისტრაცია კონსტიტუციურ ხასიათს ატარებს (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად კავშირი, რომელიც არ არის დარეგისტრირებული, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. მაგრამ მიუხედავად ამისა, წევრების ფაქტობრივი

<sup>134</sup> იხილეთ ზემოთ.

გაერთიანება მაინც იწვევს ქონების შექმნას, რომელიც მართალია პერსონალურად განკერძოებული (დამოუკიდებელი) ვერ იქნება, მაგრამ ექვემდებარება სამართლებრივ ბოჭვას, რომელიც წევრების მიერ მიღებული შეთანხმებებიდან გამომდინარეობს.

ამისათვის **BGB** ადგენს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის (**GbR**) სამართლის მოქმედებას, ანუ განიხილავს ამ ქონებას, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ ბოჭვას დაქვემდებარებულ, საერთო თანაზიარ სპეციალურ ქონებას და ამატებს მხოლოდ კავშირისთვის მოქმედი პირის პერსონალურ პასუხისმგებლობას (**BGB-ს § 54**). რეგულირების ეს მოდელი მოძველებულად არის მიჩნეული. ივარაუდება, რომ მოქმედი პირის პერსონალური პასუხისმგებლობით ხდება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის პარტნიორის აქცესორული პასუხისმგებლობის ჩანაცვლება ისე, რომ წევრები კავშირის ვალდებულებებისთვის აქცესორულად არ აგებენ პასუხს. შიდა ურთიერთობებში უნდა მოქმედებდეს კავშირის სამართლის დებულებები, რომლებიც წინაპირობის სახით უფლებაუნარიანობას არ ითვალისწინებენ. კავშირის ქონების მატარებელი არის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობის მქონე პირთა ჯგუფი, რომელიც ქმნის არარეგისტრირებულ კავშირს.<sup>135</sup> ამ დებულებებს ძირითადად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **39-ე** მუხლის დებულებები. განმარტებულ შეიძლება იქნეს, რომ კავშირისთვის მოქმედი დებულებები გამოიყენება შესაბამისად. მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის შესაძლებლობა, რომ გარდა შენატანებიდან შეიძენილი ქონებისა, სხვა ქონებაც შეიძლება იქცეს კავშირის ქონებად. სისტემატიკის მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **39-ე** მუხლის მე-3 ნაწილის დებულებები ამოღებულ უნდა იქნეს და მხარედ გამოსვლის, პროცესუნარიანობის და მოსარჩელედ გამოსვლის უნარიანობის პროცესუალურ-სამართლებრივ კონტექსტში უნდა იქნეს დარეგულირებული. არც კავშირის სამართალი შეიცავს დებულებებს სასამართლო პროცესში კავშირის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მხარედ არსებობის უნარიანობა უკვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **24-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის შესაბამისი გამოყენებიდან გამომდინარეობს. მე-4 ნაწილში განმარტებული უნდა იქნეს, რომ კავშირის ქონებაზე პასუხს აგებენ კრედიტორები და იმ (მისთვის) მოქმედი პირის ქონება, რომელმაც წარმოშვა შესაბამისი ვალდებულება.

### 3. გარიგების დოქტრინა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **50-დან 114-მდე** მუხლებში მოცემულია დებულებები გარიგებების შესახებ. **128**

*a) გარიგების ცნება და ნამდვილობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-დან 62-მდე მუხლების მიხედვით*

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **50-ე** მუხლი შეიცავს დეფინიციას, რომლითაც ხდება გარიგებისა და ნების გამოვლენის იდენტიფიცირება. მათ, ხშირად, **BGB-ც** ასევე სინონიმებად იყენებს. მიუხედავად ამისა, ეს ორი ცნება ტერმინოლოგიურად ნათლად უნდა იქნეს განსხვავებული ერთმანეთისგან.<sup>136</sup> აღნიშნულის მიხედვით, არსებობს გარიგება ერთი ან მეტი **129**

<sup>135</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 218 ff.; Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 42. Aufl. 2018, § 34 Rn. 49 ff.; Palandt/ Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 54 Rn. 1, 7, 12.

<sup>136</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 399. არა იმიტომ, რომ ნების გამოვლენის გარდა ასევე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ნამდვილობის წინაპირობები (აღნიშნულის შესახებ ტექსტში), თუმცა ამ პოზიციას ემხრობა Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 19. Aufl. 2017, § 16 Rn. 1 f.

ნების გამოვლენიდან, რომლებიც მარტო ან ფაქტობრივი შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთად გარკვეულ შედეგს იწვევს იმიტომ, რომ არსებობს მისი დადგომის სურვილი.<sup>137</sup> ფაქტობრივი შემადგენლობის ამ ნიშნებისგან უნდა განვასხვავოთ კანონით გათვალისწინებული ნამდვილობის წინაპირობები: მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, გარიგება სამართლებრივი ძალის მქონეა. თუკი ისინი არ არსებობს, მაშინ გარიგება საცილოა ან სამართლებრივი ძალის არმქონეა, და კერძოდ, ან საბოლოოდ ბათილი (სამართლებრივი ძალის არმქონე) (*wirkunglos (nichtig)*), ან მერყევად ბათილი (დროებითი ბათილობა (*vorläufige Wirkungslosigkeit*)), ბათილობა ასევე შეიძლება იყოს უბრალოდ ფარდობითი.<sup>138</sup> ტერმინოლოგიის თვალსაზრისით რეკომენდებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლში ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნახსენები იყოს არა ნების გამოვლენასთან, არამედ გარიგებასთან მიმართებაში.<sup>139</sup>

**130** შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი ეხება არა ცალმხრივ, არამედ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, რაც სათაურში შესაბამისად დასაზუსტებელი იქნება. ამ ნორმის 1-ლი და მე-2 ნაწილები შეესაბამება BGB-ს § 130-ის პირველ აბზაცს, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილში, როგორც მოსამზადებელ მასალებში უკვე აღნიშნულია, „მეორე“ უნდა ნაიშალოს, რადგან გაუქმება არა ნების გამოვლენის მიმღებისგან, არამედ ნების გამოვლენის განმხორციელებელი პირისგან გამომდინარეობს.<sup>140</sup> 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი შემთხვევა შეესაბამება BGB-ს § 13-ის მე-2 აბზაცის პირველ შემთხვევას. მითითებას, „1293-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ“ შემთხვევაზე, ვერ ჩავწვდით. აქ შეიძლება, BGB-ს § 130-ის მე-2 აბზაცის მე-2 შემთხვევის შესაბამისად, გადამწყვეტად მიჩნეულ იქნეს ისეთი შემთხვევები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ქმედუნარიანობის დაკარგვას იწვევს.

BGB-ს §131-ის შესაბამისი დებულება არ გვხვდება. მიმაჩნია, რომ ქმედუნარიანობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შედეგები მხოლოდ ნების გამომვლენისა და არა ნების გამოვლენის მიმღები პირის როლში უნდა იქნეს შემუშავებული. შესაბამისი დაზუსტების აუცილებლობის თაობაზე შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებები.

**131** განმარტებისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი ადგენს BGB-ს §§ 133, 157-ის შესაბამის მასშტაბს. დაზუსტების მიზნით, შეიძლებოდა ფრაზის შემდეგნაირად ფორმულირება „...არ ჩავებლაუჭოთ ...“ „am... zu haften.“ ფორმულირება და ამით იმის ხაზგასმა, რომ დადგენის საგანს „ნამდვილი“ ნება წარმოადგენს.

**132** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის დებულება გვთავაზობს დამაჯერებელ ძირითად მოსაზრებას: ნების გამოვლენას, რომლის შინაარსის დადგენა შეუძლებელია, სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.<sup>141</sup> ასევე სამართლებრივი ძალის არმქონეა ნების გამოვლენა შინაგანი წინააღმდეგობრიობის (დილემის) არსებობისას, როდესაც ამ წინააღმდეგობრიობის გამოსწორება განმარტების საშუალებით შეუძლებელია.<sup>142</sup> ამასთან, სიტყვა „ზუსტად“ ამოღებულ უნდა იქნეს. გადამწყვეტია, რომ განმარტების საშუალებით შესაძლებელი იყოს ნების გამოვლენის საფუძვლად არსებული ნების დადგენა და მისი

<sup>137</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 395; Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, Überbl v § 104 Rn. 2; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 28 Rn. 2.

<sup>138</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 404, 1204; Wolf/Neuner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 11. Aufl. 2016, § 55 Rn. 1. Vgl. auch Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. II, 4. Aufl. 1992, § 30 2 (S. 548 f.).

<sup>139</sup> Vgl. Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 19. Aufl. 2017, § 16 Rn. 4 ff.

<sup>140</sup> Darjanja, S. 11; ეთანხმება Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>141</sup> Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. II, 4. Aufl. 1992, § 4 5 (S. 52 f.).

<sup>142</sup> Medicus/Petersen, Bürgerliches Recht, 26. Aufl. 2017, Rn. 133.

განსხვავება არასასურველისგან. თუ განმარტებით ვერ დგინდება ნების გამოვლენის გონივრული შინაარსი, მაშინ გარიგება არ არის სამართლებრივი ძალის მქონე.<sup>143</sup>

ამით გადავდივართ გარიგების ბათილობის საფუძვლებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონს ან ზნეობის ნორმებს, შეესაბამება BGB-ს §§ 134, 138-ის პირველ აბზაცს. შეიძლება, რომ ამ დებულებას ჰქონდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად სტრუქტურირებული დასათაურება („გარიგების ბათილობა კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევის გამო“) და ენობრივად დახვეწა (გასუფთავება), ვინაიდან „კანონით დადგენილი წესს“ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. სხვა მხრივ, შესაძლებელია აქ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ზღვარზე „სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და საჯარო წესრიგზე“ დაყრდნობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის გარდა, რომელიც იმპერატიული ნორმების საწინააღმდეგო გარიგებებს პრინციპულად ბათილობის შედეგს უკავშირებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ვინაიდან ამკრძალავი კანონებიდან გადახვევა მხარეებს კერძო ავტონომიის ფარგლებშიც არ შეუძლიათ, ამიტომ ამ თვალსაზრისით იგი წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას, რაც, მე-10 მუხლის მე-3 ნაწილისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ბათილობის შედეგის გამამართლებელ საფუძველს. აღნიშნულის გამართლებას უფრო წარმოადგენს სამართლებრივი „შეუძლიას (ნებართვის ქონის)“ (dürfen) არარსებობა, მაგრამ არ არის აუცილებლად დაკავშირებული მასთან. შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ბათილობა დგება, როდესაც კანონისმიერი აკრძალვიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (შეადარეთ, BGB-§ 134; მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შემთხვევაში ბათილობის შედეგი მხოლოდ მაშინ არ დგება, როდესაც კანონი სხვა შედეგს ითვალისწინებს).

133

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი ადგენს ძირითადად ამორალური გარიგების სპეციალურ შემთხვევას.<sup>144</sup> გარდა ამისა, მოსამზადებელ მასალაში მითითებულია, რომ საჭიროა ნორმაში აღდგენილ იქნეს თავდაპირველი რედაქციის 1ლი ნაწილი.<sup>145</sup> ამით ნორმა არსებითად შესაბამისობაში იქნებოდა BGB-ს § 138-თან.

134

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი, რომლის სათაურიც შეიძლება იქნეს მისადაგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების სტრუქტურასთან („მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების ბათილობა“), შეესაბამება BGB-ს § 117-ში არსებულ წესს. BGB-ს § 117-ისთვის ნორმის დისპოზიციური ელემენტი - თანხმობა, გვხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შეთანხმებაში დაფარვის თაობაზე, თუმცა შეიძლებოდა ასევე 1-ლ ნაწილში ყოფილიყო განმარტების სახით ნახსენები.

135

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლი შეესაბამება BGB-ს §§ 118, 122-ს. ნების გამოვლენის ბათილობა ისეთი ხარვეზის გამო, რომელსაც მიმღები ვერ მიხვდა, მძიმე სანქციაა, ასე რომ BGB-ს § 118 სისტემის საწინააღმდეგო გამონაკლის დებულებად არის მიჩნეული და იმ შემთხვევისთვის, თუ ნების გამომვლენი მიხვდება, რომ მიმღები ნების გამოვლენას სერიოზულად სასურველად მიიჩნევს, პოსტულირებულია სანქცია, რომელიც

136

<sup>143</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 543.

<sup>144</sup> შეადარეთ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ემოციური კავშირიდან გამომდინარე თავდებობების ამორალურობის შესახებ, BGH NJW-RR 2002, 1130. ასევე, ამორალურობის შესახებ პირის მძიმე მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას: Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 138 Rn. 35.

<sup>145</sup> Darjanja, S. 11 f.; ეთანხმება Chanturia/Knieper, S. 8, 13, 22.

სცდება BGB-ს § 122-ის ფარგლებს.<sup>146</sup> თუმცა ბოროტად გამოყენების პოტენციური მცირე მეჩვენება.

- 137** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე და 58<sup>1</sup>-ე მუხლების სამართლებრივი ძალის დაბრკოლებები ეხება ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუუნარობის შედეგებს და ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი ადგილი ქმედუუნარობის შინაარსობრივ კონტექსტს განეკუთვნება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე და შემდგომი მუხლები).
- 138** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლში, მისი სათაურის საპირისპიროდ, ერთი მხრივ, ფორმულირებულია ბათილობის საფუძვლები (1-ლი ნაწილი) და კერძოდ ფორმის დარღვევა და ნებართვის არარსებობა. ფორმის დარღვევის და ნებართვის არარსებობის სამართლებრივი შედეგები შესაბამისად სათანადო სისტემატიკურ კავშირში უნდა იქნეს ნორმირებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე და შემდგომი მუხლები, 99-ე და შემდგომი მუხლები). მეორე მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს შეცილების სამართლებრივ შედეგებს. ეს სათაურშიც უნდა იქნეს შესაბამისად ასახული.
- 139** ამ დებულების პირველი წინადადება შეესაბამება BGB-ს § 142-ის პირველ აბზაცს და იზიარებს მის ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებას: შეცილება ხდება არა გარიგების, არამედ ნების გამოვლენის (შეადარეთ, BGB-ს §§ 119, 120, 123).<sup>147</sup> ამიტომ სწორი იქნება: „შეცილების შემთხვევაში“ („wenn angefochten wird“).
- 140** შეცილების ადრესატის (ხელშეკრულების მეორე მხარის) განსაზღვრა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში მოიცავს მხოლოდ ორმხრივი/მრავალმხრივი ნების გამოვლენის, აგრეთვე ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის<sup>148</sup> შემთხვევებს და შეესაბამება BGB-ს § 143-ის 1-დან 3-მდე აბზაცებს. BGB-ს § 143-ის მე-4 აბზაცში, სხვა სახის ცალმხრივი გარიგების შემთხვევისთვის დამატებით დარეგულირებული შეცილების შემთხვევის გადმოლება შესაძლებელია ფრაზის: „გარდა ამისა ნებისმიერის (ნებისმიერი პირის) მიმართ, ვინც უშუალოდ მიიღო უფლებრივი სარგებელი გარიგების საფუძვლზე“ დამატების გზით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით შეცილების უფლების მინიჭება „ყველა“ ბათილობაში „დაინტერესებული პირისთვის“ მიმაჩნია შეცდომად: შეცილების უფლების არსი მდომარეობს იმაში, რომ ნების გამოვლენ პირს მიეცეს არჩევანის უფლება, რომ მან გადაწყვიტოს სურს მის მიერ გამოვლენილი, მაგრამ არასასურველი, სამართლებრივი ძალის მქონე, მაგრამ საცილო ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგების საკუთარი თავის მიმართ იურიდიულ ძალაში დატოვება თუ არა.<sup>149</sup> ამიტომ შეცილების უფლება შეიძლება მხოლოდ ნების გამოვლენ პირს ეკუთვნოდეს. შესაბამისად უნდა იქნეს შესწორებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი. არ მიმაჩნია აუცილებლად 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება და მე-3 ნაწილი.<sup>150</sup> მკაცრი სტრუქტურის ინტერესიდან გამომდინარე მე-3 ნაწილი ინტეგრირებულ უნდა იქნეს მე-2 ნაწილში.
- 141** შეიძლება განხილულ იქნეს BGB-ს § 142-ის მე-2 აბზაცის შესაბამისი დებულების გადმოლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლში.
- 142** კონვერსიის დებულება შეესაბამება BGB-ს § 140-ს და საჭიროებს მხოლოდ ენობრივ დახვეწას, ფრაზის - „გარიგების“ (eines Rechtsgeschäfts)“, ნაშლის გზით, იმისათვის, რომ „მისი ნამდვილობა“ „სხვა გარიგებას“ შეეხებოდეს.

<sup>146</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 118 Rn. 2.

<sup>147</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 915 m.w.N.

<sup>148</sup> ამიტომ, კრიტიკულად, Darjania, S. 13.

<sup>149</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 818. 822.

<sup>150</sup> აშკარად სხვაგვარად, Darjania, S. 13 und Chanturia/Knieper, S. 13.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი შეიცავს დებულებებს გარიგების დადასტურების შესახებ, რომლებიც სათაურის სანიხააღმდეგოდ, რომელიც ამ თვალსაზრისით მისადაგებულ უნდა იქნეს, შეეხება არა მხოლოდ ბათილ, არამედ ასევე საცილო, აგრეთვე შეუცილებელ გარიგებებს, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი გარიგების ნაწილის ბათილობას არეგულირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც მოსამზადებელი მასალების თანახმად გაუგებრობებს იწვევს,<sup>151</sup> არ განეკუთვნება დადასტურების შინაარსობრივ კონტექსტს. ის, რომ ბათილი გარიგებები თავიდანვე ბათილია, შეესაბამება ზოგად გაგებას.<sup>152</sup> რაიმე განმარტებით დებულებას ის თავის მხრივ არ საჭიროებს.

თუ გარიგება ბათილია, მის ბათილობაში ვერაფერს შეცვლის ის ფაქტი, რომ იგი დამატებით ასევე საცილოა, მიუხედავად იმის, იქნება ის შეცილებული თუ არა.<sup>153</sup> ამიტომ უცილობლობა, როგორც გამოყენების წინაპირობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებში ამოღებულ უნდა იქნეს.

ის, რომ როგორც ამას 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, ბათილი გარიგების დადასტურება გარიგების ხელახლა დადებად ითვლება და შედეგად მოჰყვება მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებითსამართლებრივი კომპენსაციის მოვალეობა (რაც არა „ურთიერთ... (gegenseitige)“, არამედ ორმხრივ გარიგებებს უნდა ეხებოდეს), შეესაბამება BGB-ს § 141-ს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეესაბამება BGB-ს § 144-ის 1-ლ ნაწილს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-5 ნაწილს მხოლოდ განმარტების ფუნქცია გააჩნია, რადგან დადასტურებული გარიგება ისედაც არ არის ამოღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენების სფეროდან და შეიძლება ამოღებულ იქნეს.

მიუხედავად ფორმულირების ნეგატიური რედაქციისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლში არსებული დებულება გარიგების ნაწილის ბათილობის შესახებ, შესაბამება BGB-ს § 139-ს, რომლის თანახმად ნაწილის ბათილობა საეჭვოობისას მთლიანად გარიგების ბათილობას იწვევს. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის მიხედვითაც, რადგან მტკიცებულება, რომ გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა, პოზიტიურად უნდა იქნეს წარმოდგენილი იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, კერძოდ გამოირიცხოს მთლიანი ბათილობა.

*b) ქმედუნარიანობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე, 58<sup>1</sup>-ე, 63-დან 67-მდე მუხლების მიხედვით*

ქმედუნარიანობა არის გარიგების ნამდვილობის წინაპირობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე, 58<sup>1</sup>-ე, 63-67 მუხლებით ნორმირებული უნდა იყოს (მთლიანი ან ნაწილობრივი) ქმედუნარიანობის სამართლებრივი შედეგები, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 და შემდგომი მუხლების რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელ შემთხვევებში არ არის სახეზე შეუზღუდავი ქმედუნარიანობა.

ამ კუთხით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს, რომ პირები 7 წლის ასაკის შესრულებამდე ქმედუნაროები არიან.

<sup>151</sup> Chanturia/Knieper, S. 10 (sub c).

<sup>152</sup> Vgl. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 1207.

<sup>153</sup> Vgl. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 927 ff.



აღნიშნულთან უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად 63-ე მუხლის წინ დასამატებელ ნორმაში ჩამოყალიბებული ზოგადი სამართლებრივი შედეგი, რომ ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგებები ბათილია. ამით იმავდროულად ხაზგასმული იქნება, რომ ქმედუუნარიანობა გარიგების ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს.

- 149** ამ ნორმის მე-2 ნაწილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ნორმირებულ უნდა იქნეს დროებითი ქმედუუნარობის შემთხვევები. აღნიშნულის საპირისპიროდ, მე-3 ნაწილი ეხება ხანგრძლივ სულიერ დაავადებას, რომელიც არ იწვევს მზრუნველობის ან მეურვეობის საშუალებით ქმედუუნარიანობის შეზღუდვას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში ბათილობის შედეგი უნდა დადგეს, როდესაც ნების გამოვლენა ეფუძნება დამახინჯებულ ალქმას. ბათილობის შედეგი უნდა დადგეს მიუხედავად მხარდაჭერის დანიშვნისა. ამასთან განსამარტი იქნება, რომ მხოლოდ სამართლებრივად სასარგებლო გარიგებები რჩება ნამდვილი. აღნიშნული შესაბამისობაში იქნება BGB-ს §105-ის ტელეოლოგიურ რედუქციასთან. რადგანაც ნების გამოვლენები, რომლებიც დამახინჯებული ალქმის საფუძველზე არ არის წარმოქმნილი, ნამდვილი რჩება, ამიტომ BGB-ს § 105a-ს შესაბამისი ნორმის საჭიროება იმისათვის, რომ სულიერად დაავადებულებსაც მიეცეთ დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა, არ არსებობს.
- 150** მეურვეობისა და მზრუნველობისგან განსხვავებით, მხარდაჭერის დანიშვნას არანაირი გავლენა არ აქვს ქმედუუნარიანობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი). მხარდაჭერის ფარგლების, ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული, მხარდამჭერის უფლებებისა და მოვალეობების დადგენისას, ასევე განიხილება ნებართვის დათქმა ისეთი გარიგებებისთვის, რომელთა საშუალებით მხარდაჭერის მიმღები არა მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს იძენს. სამართლებრივი შედეგი შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე პირების გარიგებების სამართლებრივი შედეგის შესაბამისად უნდა იქნეს შემუშავებული. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ხელშეკრულებების დადებას, არამედ ცალმხრივ გარიგებებსაც.
- 151** ამის შემდეგ, შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე დამოკიდებული უნდა გახდეს (შეადარეთ, BGB-ს § 107), როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი.<sup>154</sup>
- 152** აღნიშნულის შემდეგ ნორმირებულ უნდა იქნეს თანხმობის გარეშე დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-დან 66-მდე მუხლების დებულებები არსებითად შეესაბამება BGB-ს §§ 108-დან 11-მდე და მხოლოდ ადგილ-ადგილ იწვევს შეკითხვებს. შესაბამისად, არასრულწლოვნება, რაზეც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-66 მუხლები, ამ წესების გამოყენებისთვის არ არის საკმარისი, არამედ გადამწყვეტია შეზღუდული ქმედუუნარიანობა. შესაძლებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველ ნაწილში, ახალი რედაქციის მე-15 მუხლის გამო, ამოღებულ იქნეს მითითება მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტან გარიგებაზე, ვინაიდან ამ შემთხვევებში უკვე თანხმობის საჭიროება არ არსებობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 აბზაცში ტერმინოლოგიურად უნდა იქნეს განმარტებული, რომ გარიგება კვლავინდებურად საჭიროებს ნებართვას, მაგრამ ამჯერად ქმედუუნარიანი პირის მხრიდან. შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს BGB-ს § 108-ის მე-2 ნაწილის შესაბამისი დებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 64-ე მუხლში შესაძლებელია დამატებულ იქნეს BGB-ს § 109-ის პირველი აბზაცის მე-2 წინადადებასა და მე-

<sup>154</sup> იხილეთ, უკვე ზემოთ.

2 აბზაცის წინადადების მე-2 ნაწილში ნორმირებული წესები. ბოლოს, ასევე შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლში BGB-ს § 113-ის შესაბამისი დებულების დამატების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 67-ე მუხლი შესაბამისი შეზღუდვის საფუძველთან, მაგალითად, მხარდამჭერის დანიშვნასთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1294-ე და შემდგომი მუხლები), შინაარსობრივ კავშირში უნდა დარეგულირდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვისთვის მეჩვენება, რომ უკუქცევითი ძალა ძალიან დიდ დანაკარგს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისთვის. უფრო მართებული იქნება, რომ შესაბამისი გარიგებები, რომლებიც იდება ფაქტობრივი, მაგრამ ჯერ კიდევ იურიდიულად შეუზღუდავი ქმედუნარიანობის ბოროტად გამოყენებით, მოგვარებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით.

*c) გარიგების ფორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-დან 71-მდე მუხლების მიხედვით*

გარიგების ფორმა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-71-მდე მუხლების საგანს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის შესავალ დებულებაში ჩართულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი შემთხვევის ბათილობის სანქცია. სათაური უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად. შემდეგ შეიძლება განხილულ იქნეს BGB-ს § 125-ის საფუძველად არსებული შეფასებების გათვალისწინების საკითხი, რომლის თანახმად კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა გარიგების ბათილობას იწვევს, მაშინ როდესაც გარიგებით დადგენილი ფორმის დაუცველობა - ხელშეკრულების თავისუფლება თავისუფლად ვრცელდება ასევე ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნის მიმართ - მხოლოდ საეჭვოობისას იწვევს ბათილობას. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება მაშინ არის ნამდვილი (ფორმის შემდგომი გამოსწორების თაობაზე მოთხოვნის უფლებით), როდესაც შეთანხმებული ფორმა მხოლოდ მტკიცებულებების უზრუნველყოფის ან განმარტების მიზანს ემსახურება.<sup>155</sup> განსაკუთრებით კი შეიძლება, რომ „ფორმის დაუცველად“ განხორციელებულ შეთანხმებაში მოიაზრებოდეს ფორმაზე შეთანხმების კონკლუდენტური გაუქმება.<sup>156</sup> ფორმულირებაში „ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმის .... დაუცველობა“ ეს საკმარისად არ არის ასახული, რადგან სავალდებულობის საყრდენი პუნქტი, რომელიც ადგილს იკავებს გარიგებით დადგენილი ფორმის სავალდებულობის გვერდით, ნათელი არ არის.

ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად, გარიგების ფორმა თვითონ განისაზღვრება, როდესაც არც კანონით, არც გარიგებით განსაკუთრებული ფორმა დადგენილი არ არის.<sup>157</sup> ვინაიდან გარიგება ასევე შეიძლება იყოს ცალმხრივიც, ამიტომ ფორმის განმსაზღვრელი (ანუ ნების გამოვლენის გამომვლენის გამომხატველი (der die Form bestimmende (d.h. der die Willenserklärung Erklärende) მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს ხოლმე ნახსენები.

<sup>155</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 125 Rn. 17.

<sup>156</sup> დეტალურად დასაბუთებულია: Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. II, 4. Aufl. 1992, § 15 III 2 und 3 a (S. 264 ff.); ferner Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 125 Rn. 19.

<sup>157</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 1044; Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. II, 4. Aufl. 1992, § 15 I 5 (S. 249).

**155** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-დან 71-მდე მუხლები ეხება ფორმის სახეებს და ფორმის დაცვის შესაბამის წინაპირობებს. ამასთან უპირველს ყოვლისა განსხვავებულია ზეპირად და წერილობით დადებული გარიგებები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). შემდეგ, წერილობითი ფორმის კონტექსტში საუბარია საჯარო დამონმებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილი). დებულებები ელექტრონული ფორმის, ტექსტური ფორმის, ასევე სანოტარო წესით დამონმების შესახებ, გვხვდება არა მოცემულ მარეგულირებელ კონტექსტში, არამედ, როგორც მოსამზადებელ სამუშაო შეხვედრაზე იქნა გაჟღერებული, ხელმოწერის შესახებ კანონსა (საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ) (ელექტრონული ფორმა) და ნოტარიატის შესახებ კანონში (საჯარო დამონმება, სანოტარო წესით დამონმება).

ეს კანონები მე ხელთ არ მაქვს. შემდგომში შესაბამისი სახეობები აღქმული მაქვს ისე, როგორც ეს BGB-ს გაგებას შეესაბამება. ამიტომაც ასევე ვვარაუდობ, რომ ელექტრონული ფორმის დიზაინი ხელმოწერის შესახებ დირექტივის<sup>158</sup> მე-5 მუხლის პირველი აბზაცის და ელექტრონული საქმიანი ბრუნვის შესახებ დირექტივის<sup>159</sup> მე-9 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება.

**156** დასაშვები ფორმების ამომწურავი ჩამოთვლა, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის 1-ლ ნაწილშია მოცემული, არ არის რეკომენდებული. ფორმის თავისუფალი არჩევის პრინციპი უკვე ისედაც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის პირველი წინადადებიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილს აღნიშნულის საპირისპიროდ, არავითარი დამოუკიდებელი ნორმატიული შინაარსი არ გააჩნია და ამიტომ შეიძლება ამოღებულ იქნეს.<sup>160</sup>

**157** თუმცა, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი ფორმების სახეობები, თუ ისინი, როგორც ეს ზემოთ იყო ნახსენები, - სპეციალურ კანონში არ არის ნორმირებული. ამდენად, კანონიდან, პირველ რიგში, უნდა ჩანდეს, თუ როდის არის დაცული კანონით დადგენილი ფორმა. ამასთან, შესაბამისი შემთხვევებისთვის გადასაწყვეტია, დასაშვები უნდა იყოს თუ არა განსხვავებული მოთხოვნები, როდესაც შესაბამისი ფორმის აუცილებლობა გარიგებით არის შეთანხმებული. აღნიშნული ეხება, პირველ რიგში, წერილობით ფორმას, რომლის ძირითად სტრუქტურას შეიძლება დაეთმოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელსაც შემდეგ დაემატება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე და 71-ე მუხლები. დამატებულ უნდა იქნეს ერთი დებულება ტექსტური ფორმის შესახებ.

ამასთან, ვვარაუდობ, რომ BGB-ს §§ 127a-ს, 128-ის, 129-ის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ეხება ნოტარიული წესით და საჯარო დამონმების ფორმების სახეობებს, უკვე არსებობს სპეციალური კანონდებლობით გათვალისწინებული წესების სისტემატიკურ კონტექსტში.

**158** (კანონით დადგენილი, აგრეთვე გარიგებით შეთანხმებული) წერილობითი ფორმისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს მხარეთა ხელმოწერებს, რომლებიც, მე-5 ნაწილის თანახმად, საჯარო დამონმებას საჭირობენ. მე-4 ნაწილი განსაკუთრებით ფასიანი ქალაქებისთვის უშვებს გამონაკლისს საკუთარი ხელით

<sup>158</sup> Richtlinie 1999/93/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 13. Dezember 1999 über gemeinschaftliche Rahmenbedingungen für elektronische Signatur, ABl. L 13 v.19.1.2000, S. 12.

<sup>159</sup> Richtlinie 2000/31/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 8. Juni 2000 über bestimmte rechtliche Aspekte der Dienste der Informationsgesellschaft, insbesondere des elektronischen Geschäftsverkehrs, im Binnenmarkt (Richtlinie über den elektronischen Geschäftsverkehr), ABl. L 178 v. 17.7.2000, S. 1.

<sup>160</sup> ასევე, Darjania, S. 14 f.

შესრულებული ხელმოწერის სავალდებულოობიდან. მე-3<sup>1</sup> ნაწილი მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში განავრცობს ხელმოწერის აუცილებლობის მოთხოვნას მხარდაჭერის მიმართაც.

აღნიშნული გაგება შეესაბამება თავის ამოსავალ წერტილში BGB-ს § 126-ის გაგებას, რომლის მიხედვით წერილობითი ფორმის დაცვა შესაძლებელია საკუთარი ხელით შესრულებული ხელმოწერის ან სანოტარო წესით განხორციელებული დამონმების გზით; თუმცა ეს ვარიანტები წარმოდგენილია ალტერნატივების სახით და არა კუმულაციურად, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილში. ამიტომ მეექვსეა, რამდენად მართებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება ასეთი ფორმით. მიუხედავად ყველაფრისა, ისეთ შემთხვევებისთვის, რომლებშიც წერილობითი ფორმა მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე აუცილებელია, მიმაჩნია, რომ ეს ძალიან ფართო სამართლებრივი შედეგია. ჩემი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დიფერენცირებას, ერთი მხრივ, (კერძო-) წერილობით ფორმასა და, მეორე მხრივ, სანოტარო წესით დამონმებულს (Beglaubigung/Beurkundung) შორის (BGB-ს §§ 126, 128 და შემდგომის შესაბამისად).<sup>161</sup>

ფარგლების გაფართოება მხარდაჭერის შემთხვევაში უპრობლემოდ მიმაჩნია ისევე, როგორც - გერმანულ სამართალში სპეციალური კანონით ნორმირებული - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დებულება გამონაკლისის თაობაზე. მაგრამ, ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 და მე-3<sup>1</sup> ნაწილების საწყისი შემთხვევა უნდა ეხებოდეს ცალმხრივ გარიგებას ანუ წერილობითი ფორმის დაცვა „ნების გამომვლენის“ ხელმოწერით.

გარიგებით შეთანხმებული წერილობითი ფორმის შემთხვევებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს BGB-ს § 127-ის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების, 1-ლი შემთხვევის და მე-2 წინადადების შესაბამისი წესი. **159**

შესაძლებელია ასევე დაფიქრება იმაზე, რომ BGB-ს §§ 126-ის მე-3 ნაწილის აბზაცის, 126a-ს და ხელმოწერის შესახებ დირექტივის<sup>162</sup> მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მქონე ელექტრონული ფორმა გათანაბრებულ<sup>163</sup> იქნეს წერილობით ფორმასთან, ისევე, როგორც BGB-ს § 126-ის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სანოტარო წესით დამონმება. ასევე მასთან გათანაბრებული შეიძლება იყოს სასამართლოს ოქმი.<sup>164</sup> **160**

მართებულად მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისი წესის არსებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლ წინადადებაში, ვინაიდან აქ არსებობს ნების გამომვლენის პიროვნების შესახებ ეჭვების გაქარწყლების საჭიროება. იქ უნდა იყოს ფორმულირებული „საჯარო დამონმების საჭიროება“. მე-2 წინადადებაში ნაცვლად სიტყვისა „განმცხადებლმა“ (der Antragende) შეიძლება სავარაუდოდ უფრო ზუსტი იყოს „ნების გამომვლენი“-ს გამოყენება. **161**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლი შეესაბამება BGB-ს §126-ის მე-2 აბზაციის მე-2 წინადადებას და, ჩემი აზრით, არავითარ შეკითხვებს არ წარმოშობს. უფრო ნათლად შეიძლება ხაზგასმა, რომ ნორმა ეხება წერილობითი ფორმის აუცილებლობას ხელშეკრულების დადებისას. განმარტების მიზნით მას ასევე წინ უნდა უძღოდეს BGB-ს § 126-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისი წესი. ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, გარიგებით შეთანხმებული წერილობითი ფორმის შემთხვევისთვის BGB-ს § 127-ის მე-2 **162**

<sup>161</sup> Darjania, S. 15 ff., და Chanturia/Knieper, S. 11 (sub d).

<sup>162</sup> Richtlinie 1999/93/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 13. Dezember 1999 über gemeinschaftliche Rahmenbedingungen für elektronische Signatur, ABl. L 13 v. 19.1.2000, S. 12.

<sup>163</sup> ასევე, Darjania, S. 14.

<sup>164</sup> Vgl. Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 126 Rn. 15.

აბზაცის 1-ლი წინადადების 1-ლი შემთხვევისა და მე-2 წინადადების გადმოღების მიზანშეწონილობა (რაც შეეხება მე-3 აბზაცის შესაბამის ნებს, იგი ელექტრონული ფორმის სისტემატიკურ კავშირში უნდა უნდა იქნეს ჩამოყალიბებული).

**163** შემდეგ დასამატებელი იქნება ტექსტური ფორმის განმსაზღვრელი დებულება, რომელიც შეიძლება BGB-ს § 126b-ს შესაბამისად იქნეს ჩამოყალიბებული.

*d) საცილო გარიგებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-დან 89-მდე მუხლების მიხედვით*

**164** საცილო გარიგება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, ბათილია შეცილების შემთხვევაში. ამით, შეცილების უფლება გარიგების ნამდვილობას აყენებს შეცილების უფლებამოსილების მქონე პირის განკარგულებაში.<sup>165</sup> მაშინ, როდესაც შეცილების უფლების განხორციელების ზოგადი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლში და დადასტურების საკითხი, როგორც საცილო გარიგების სპეციალური პრობლემა, ზოგადად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლში არის მოწესრიგებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-დან 89-მდე მუხლები ეხება შეცილების საფუძვლებს - და ამით საცილო გარიგებების ტიპოლოგიას - ისევე, როგორც სხვა სპეციალურ ანუ შესაბამისი შეცილების საფუძველზე დამოკიდებულ წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს.

BGB-ს დებულების შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც არის საკანონმდებლო რეაქცია ნებასა და გამოვლენას შორის არსებულ შეუსაბამობაზე, რამდენადაც ეს საერთოდ საყურადღებოა, აგრეთვე ნების ჩამოყალიბებაში არსებულ განსაკუთრებულ შეცდომებზე. ნების (ჩამოყალიბების) ეს ხარვეზები ნაკლები შეიძლება ეფუძნებოდეს შეცდომებს, მოტყუებას ან მუქარას.<sup>166</sup>

**165** ამასთან, ტერმინოლოგია „საცილო გარიგებანი“ გულისხმობს, რომ საუბარია ისეთ გარიგებებზე, რომლებიც შეცილების გზით შეიძლება იქცეს ბათილად. მაგრამ შეცილების საგანს ყოველთვის წარმოადგენს ნების (ჩამოყალიბების) ნაკლზე დაფუძნებული ნების გამოვლენა.<sup>167</sup> ამიტომ შეცილების საფუძვლები, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ნების გამოვლენას უნდა ეხებოდეს.

*aa) შეცდომები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-დან 80 მუხლამდე*

**166** შეცილების საფუძველი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს შეცდომა, ანუ ნებასა და გამოვლენას შორის შეუსაბამობა. ქვეთავის სათაურში „შეცდომით დადებული გარიგებანი“, ეს ნათლად არ არის ასახული, ვინაიდან არ არის აუცილებელი, რომ ყოველი შეცდომა გარიგების დადებას (Vornahme des Rechtsgeschäfts) ეხებოდეს. მას უნდა ერქვას უბრალოდ: „შეცდომები“.

**167** ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლი წინაპირობის სახით ითვალისწინებს, რომ ნების გამოვლენა „არსებითი შეცდომის“ საფუძველზე მოხდა. ამდენად აუცილებელია, ერთი მხრივ, განსაკუთრებული სახეობის ნების (ჩამოყალიბების) ნაკლი, როგორც ისინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-დან 76-მდე, 78-ე და მე-80 მუხლებში უფრო დეტალურად არის განსაზღვრული, მეორე მხრივ, ნების (ჩამოყალიბების) ნაკლის

<sup>165</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 818.

<sup>166</sup> Vgl. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 818, 824.

<sup>167</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 915; Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Bd. II, 4. Aufl. 1992, § 19 (S. 399) und § 21 6 (S. 421).

მიზეზობრიობა (კაუზალურობა) იმისათვის, რომ ნების გამოვლენა ასეთი სახით მოხდა. ეს სათაურშიც უნდა იქნეს ასახული.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლი, პირველ რიგში, ადგენს (ტერმინოლოგიური თვალსაზრისით დახვეწილი რედაქციით) შეცდომის სამ სახეობას: ა) ქვეპუნქტი: შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პირი ავლენს სხვა ნებას, როგორც მისთვის სასურველს; ბ) ქვეპუნქტი: შეცდომა განსახორციელებელი ნების გამოვლენის შინაარსის შესახებ, გ) ქვეპუნქტი: ერთობლივი შეცდომა გარიგების საფუძველთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ა ქვეპუნქტში არსებითად მიჩნეული შეცდომა ტერმინოლოგიურად შეესაბამება შეცდომას გამოვლენის ქმედებაში (გამოვლენის შეცდომა) BGB-ს § 119 I, მე-2 შემთხვევის გაგებით: ნების გამოვლენა, რომლის გაკეთების განზრახვა პირს საერთოდ არ ჰქონია. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ბ ქვეპუნქტში ნორმირებული შეცდომა შეესაბამება შეცდომას, შინაარსთან დაკავშირებით, შეადარეთ, BGB-ს § 119-ის I პირველი შემთხვევა. ამასთან, შეცდომის ამოსავალ წერტილს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს განხორციელებული და არა განზრახული ნების გამოვლენის შინაარსი. სხვა შემთხვევაში ამ ჯგუფში მოექცეოდა ნების ჩამოყალიბების ყველა შეცდომა, რაც არ შეიძლება წარმოადგენდეს კანონმდებლის განზრახვას; შეცდომები მოტივში, ანუ ნების ჩამოყალიბებისას დაშვებული შეცდომები, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იძლევიან შეცდომების უფლებას.<sup>168</sup>

ის, რომ შეცდომები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ა) ქვეპუნქტის გაგებით არსებითად არიან მიჩნეული და ამიტომ შესწევთ იმის უნარი, რომ წარმოადგენდნენ შეცდომების საფუძველს, გერმანული BGB-ს გადმოსახედიდან არ წარმოადგენს პრობლემას. შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ა) ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს ნების გამოვლენის ნიშნებს (Erklärungszeichen),<sup>169</sup> მე არ ვიზიარებ: მიუხედავად იმისა ნების გამოვლენის განხორციელებელი პირი შეცდომით დაწერს, შეცდომით გამოთქვამს თუ შეცდომით გაიგებს, იგი (შინაარსობრივად) მაინც ახორციელებს სხვა და არა იმ ნების გამოვლენას, რომლის განხორციელებაც მას სურდა. თუ იგი ნების გამოვლენისთვის იყენებს ისეთ ნიშნებს, რომლებსაც სხვა მნიშვნელობა გააჩნია და არა ის, რაც მას ეგონა, მაშინ მას საქმე აქვს შინაარსის შეცდომასთან და შეუძლია, ბ ქვეპუნქტის თანახმად, ისარგებლოს შეცდომების უფლებით.

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ა) და ბ) ქვეპუნქტებში ზემოთ თქმულის მსგავსად, შესაბამისად, განხორციელებულ ნების გამოვლენასთან და არა გარიგებასთან კავშირში უნდა იყოს ჩამოყალიბებული და, რა თქმა უნდა, არც გარიგების დადებასთან დაკავშირებულ თანხმობასთან (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე და შემდგომი მუხლები).

თუმცა პრობლემატურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის გ) ქვეპუნქტზე დაფუძნებული ნების გამოვლენის შეცდომების ურთიერთმიმართება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ მისადაგების მოთხოვნასთან ან შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან, შეცვლილი გარემოებებისათვის ხელშეკრულების მისადაგების გამო.<sup>170</sup> მე მოგიწოდებთ, რომ ამ საკითხში გერმანულ სამართალს დაეყრდნოთ, რომელიც საერთო (ერთობლივ) შეცდომას ასევე შეცვლილი გარემოებებისთვის ხელშეკრულების მისადაგების წესებით აწესრიგებს და ამ კუთხით

<sup>168</sup> Vgl. Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 844, 853.

<sup>169</sup> ასე, Darjanja, S. 19; zustimmend Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>170</sup> ასე, როგორც ჩანს („Art. 298“) აგრეთვე, Darjanja, S. 19 f.

შეცვილების უფლებას გამოორციხავს.<sup>171</sup> სხვა შემთხვევაში ის მხარე, რომელიც პირველი განახორციელებს შეცვილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის საფრთხის წინაშე აღმოჩნება, მაშინ როდესაც იგი პასუხისმგებლობისგან თავისუფალი იქნებოდა სხვა მხრივ თანაბარ გარემოებებში, მეორე მხარეს რომ პირველს განხორციელებინა შეცვილება, რისთვისაც არავითარი გამამართლებელი საფუძველი არ არსებობს. იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე ახორციელებს შეცვილებას, შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ გარიგების მავალდებულებელი ძალის აღმოფხვრა სწორედ ამ მხარის გადაუდებელ ინტერესს წარმოადგენს, რისთვისაც მას შეიძლება დაეკისროს სამართლიანი საფასური ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის სახით. შეცვილების თაობაზე ნების გამოვლენების თანმიმდევრობა მხოლოდ გვიჩვენებს თუ რომელმა განახორციელა პირველად შეცვილების უფლება.

**170** ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 74-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული შეცდომებიც არსებითია, მაგრამ ისინი არ ჯდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ა)-დან გ) ქვეპუნქტამდე ჩამონათვალში, სათაურში დასახელებული უნდა იყოს 73-ე მუხლით არსებითად მიჩნეული შეცდომები იმისათვის, რომ განმარტებულ იქნეს შემდგომ დებულებებთან სისტემატიკური დამოკიდებულება.

**171** თავისი სათაურის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლი ეხება შეცდომას არა მხოლოდ კონტრაქტის პიროვნებაში, არამედ ასევე შეცდომას საგნის ძირითად თვისებებში. სათაური შესაბამისად უნდა იქნეს მისადაგებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი - ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ასევე უნდა ეხებოდეს ნების გამოვლენას, - და მე-2 ნაწილები აკონკრეტებენ, ერთი მხრივ, ნების გამოვლენისას გარიგების შინაარსთან დაკავშირებულ შეცდომას (Inhaltsirrtum) და ამით ზღუდავენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის ბ ქვეპუნქტით ჩამოყალიბებულ შეცვილების საფუძველს, ვინაიდან ნებასა და გამოვლენას შორის შეუსაბამობები (წინააღმდეგობები) უმნიშვნელოა, თუკი ეს ნების გამოვლენის „არაარსებით“ ასპექტებს ეხება. მეორე მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლი იძლევა შეცვილების უფლებას იქაც, სადაც წინააღმდეგობა არსებობს არა გამოვლენასა და მიმდინარე ნებას (aktueller Wille), არამედ გამოვლენასა და რეალურ ნებას (eigentlicher Wille) შორის, ანუ შეცდომას უკვე ნების ჩამოყალიბების ეტაპზე აქვს ადგილი. აღნიშნული წარმოადგენს მოტივებში შეცდომის სპეციალურ შემთხვევას, რომელიც უფრო ზოგადად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლშია ნორმირებული.

**172** შესაბამისად არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლში ნორმირებული სამართლებრივი შედეგით განპირობებული შეცდომა (Rechtsfolgenirrtum) (რაც სათაურსა და ნორმის ტექსტში შესაბამისად უნდა იქნეს ასახული). ერთი მხრივ, იგი ზღუდავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლს და, მეორე მხრივ, აღიარებს სამართლებრივი შედეგით განპირობებულ შეცდომას ნების ჩამოყალიბების ეტაპზე, გამონაკლისის სახით. გამოსავალი - ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ასევე უნდა ეხებოდეს ნების გამოვლენას - შეესაბამება გერმანულ სასამართლო დოქტრინას, რომლის თანახმად ნების გამოვლენისას გარიგების შინაარსთან დაკავშირებული შეცდომის არსებობა აღიარებულია, როდესაც გარიგება არა სასურველ, არამედ მისგან არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მაშინ, როდესაც შეცდომა უმნიშვნელოა, როდესაც ის ამოუცნობ და არასასურველ გვერდით შედეგებს ეხება, თუმცა დეტალები სადავოა.<sup>172</sup>

<sup>171</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 119 Rn. 30.

<sup>172</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 119 Rn. 15.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლის დებულება, რომელიც მოტივში შეცდომას, ზოგადად, არაარსებითად მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა, ჩემთვის გაუგებარია. ფრაზა - „შეთანხმების საგანს“, ნიშნავს, რომ მოტივი უკვე არა მოტივს, არამედ გარიგების საფუძველს წარმოადგენს,<sup>173</sup> ეს კი გამოიწვევდა შეცილების უფლების გაუმართლებლად შეზღუდულად განვრცობას ხელშეკრულების სხვადასხვა კონსტელაციის მიმართ.

თუ აქაც გერმანული სასამართლო დოქტრინის შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ მნიშვნელოვანია განსაზღვრა, ხომ არ იქცა მოტივი ნების გამოვლენის შინაარსად, რაც გერმანულ სამართალშიც სადავო საკითხს წარმოადგენს. სხვები ცდილობენ, რომ ხელშეკრულების დადების მიზნით მოლაპარაკებებისას ბრალეულობის გამო პასუხისმგებლობა ან BGB-ს §242-ის ინტერესების შესაბამისამისი რისკების განაწილება განმარტების გზით უზრუნველყონ.<sup>174</sup>

განსამარტი იქნება, რომ შეცილების უფლების შეზღუდვა არ გამოორიცხავს შეცილებას მცდარი (შეცდომით განპირობებული) მოტივების გამო, რომლებიც კონტრაქტს ან საგანს უკავშირდება, რისი უფლებაც ნების გამოვლენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლით გააჩნია.

წვრილმანი შეცდომებისთვის, რომელთა შემთხვევაშიც შეუსაბამო სასურველსა და გამოვლენილ ნებას შორის ვერ აღწევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე და შემდგომ მუხლებში ნორმირებული ჯგუფებისთვის დადგენილ სიმძიმეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლი შეიცავს დებულებას, რომელიც შეუსაბამობის არასაკმარისი არსებითობის გამო შეცილებას გამოორიცხავს და მის ნაცვლად გთავაზობს მოთხოვნის უფლებას, ნების გამოვლენის საგნის (მაგალითად, ხელშეკრულების დოკუმენტის) შესწორების თაობაზე. ეს წესი უნდა ჩაისვას უშუალოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, შეცილების უფლება ფართოვდება და ვრცელდება, BGB-ს §120-ის შესაბამისად, არასწორად შეტყობინების შემთხვევებზე. ეს დებულება ასევე უნდა იქნეს დამატებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლზე (BGB-ს §120-ის შესაბამისად, რომელიც BGB-ს §119-ის პირველი აბზაცის მე-2 შემთხვევაზე მიუთითებს) მითითების შედეგად, შესაძლებელია ნების გამოვლენის შეცილება, როდესაც გამოვლენს არ სურდა ნების გამოვლენა შეტყობინებული შინაარსით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შეცდომა არ წარმოადგენდა წვრილმან შეცდომას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლის გაგებით.

ერთი შეხედვით გასაკვირი სათაური, რომელიც ყურადღების ცენტრში აქცევს არა არასწორ შეტყობინებას, არამედ შეცდომას შუამავლის მიზეზით, სწორად არის შერჩეული, ვინაიდან შეგნებულად (ანუ არა შეცდომით) არასწორად შეტყობინებული ნების გამოვლენა ნების გამოვლენს ისედაც არ შეერაცხება და ამდენად მას ვერ დაავალდებულებს.<sup>175</sup> მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ნების გამოვლენა სწორედაც რომ საცილო უნდა იყოს, ამიტომაც ნორმის ტექსტში ფრაზაზე - „გაუცნობიერებლად არასწორი“, მითითების საჭიროება არ არსებობს.

შეცდომის შეცილების სპეციალურ სამართლებრივ შედეგებს ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლები. ამასთან დასაფიქრებელია, რომ შეცილების გამოორიცხვას, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 77-ე მუხლი ითვალისწინებს,

<sup>173</sup> ასე, Darjania, S. 20 ff.

<sup>174</sup> დეტალურად, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 119 Rn. 17 ff.

<sup>175</sup> Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 120 Rn. 4.



თავისთავად, არ მივყავართ სასურველის ამოქმედებამდე, არამედ ის გულისხმობს არასასურველის შესრულების დაგაღმდებულებას. გამოსავალი გერმანულ სამართალშიც არ არის ნათელი. უფრო მისაღებად მიმართა ბათილობის შედეგზე ორიენტირება და შეცვლების განცხადების მიჩნევა სასურველი შინაარსით ჩამოყალიბებული, აღსადგენი (დასაბრუნებელი) ახალი ხელშეკრულების შეთავაზებად (*Zurückziehenden Neuvertrages*) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329-ე, 330-ე და 61-ე მუხლის მე-4 ნაწილების შესაბამისად)<sup>176</sup> ან შესაბამისად, უფრო ზოგადად, ვინაიდან მიღებასავალდებულო ნების გამოვლენები ასევე მხოლოდ ცალმხრივი გარიგებების (მაგალითად, ხელშეკრულების შეწყვეტა) შემადგენელ ნაწილს შეიძლება წარმოადგენდნენ, ამიტომ ასეთი განცხადების მიჩნევა შეთავაზებად, რომელიც ითვალისწინებს აღდგენის გზით (*unter Rückbeziehung*) გარიგების სასურველი შინაარსით ამოქმედებას.

**177** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან დაკავშირებით, 1-თვიანი ვადა ზედმეტად ხანგრძლივად არის მიჩნეული, იმ მიზეზით, რომ იგი იძლევა შეცვლების უფლების მქონე პირის მხრიდან შეცვლების ადრესატის მიმართ სპეკულაციის შესაძლებლობას.<sup>177</sup> განხილვის საგანს წარმოადგენს ერთკვირიანი ვადა.<sup>178</sup> გერმანულ სამართალში კომბინირებულია შესაფერისი ხანგრძლივობის მქონე მოქნილი მოსაფიქრებელი ვადა (დაუყოვნებლივ, ანუ ბრალეული გაჭიანურების გარეშე BGB-ს § 121-ს პირველი აბზაცის 1-ლი წინადადება), რომლის მაქსიმალური ზღვარი 10 წელია. ვადის დასაწყისი 84-ე მუხლის მე-2 წინადადების შესაბამისად უნდა იქნეს ფორმულირებული.

**178** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ბუნდოვნად არის მიჩნეული.<sup>179</sup> შეცვლების უფლება, ეკონომიკური შედეგის თვალსაზრისით არაფრის მომტანი იქნებოდა, შეცვლების უფლების მქონე პირისთვის რომ სავალდებულო ყოფილიყო შეცვლების ადრესატის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, თითქოს გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე იყო. ამიტომ, „გარიგების ბათილობიდან წარმოქმნილი ზიანი“ შეიძლება მხოლოდ ისეთი ზიანი იყოს, რომელიც ეყრდნობა არგუმენტს, რომ თავიდან სამართლებრივი ძალის მქონე გარიგება შეცვლების შედეგად ბათილი გახდა, და არა იმას, რომ იგი თავიდანვე არ იყო მავალდებულებელი. BGB-ს § 122-ის პირველი აბზაცის შესაბამისად, პასუხისმგებლობა შეიძლება მიმართული იყოს ნების გამოვლენის კანონიერი ძალის მიმართ ნდობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისკენ და ასევე მოიცვას ყოველი მესამე პირი. პასუხისმგებლობა არ უნდა გასცდეს პოზიტიურ ინტერესს.

*bb) მოტყუება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-დან 84-მდე მუხლები*

**179** სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების ჩამოყალიბების ხარვეზი (*Störung der Willensbildung*) სახეზეა ასევე მაშინ, როდესაც მართალია ნება და გამოვლენა ერთმანეთს შეესაბამება, მაგრამ ნება მოტყუების ან იძულების გამო შეცვლილ იქნა (*gebeugt wurde*); შესაბამისად, მოტყუება და იძულება წარმოადგენენ საცილო გარიგებების შემდეგ ჯგუფს. აქაც, შეცვლება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ნების გამოვლენაზე უნდა იყოს მიბმული.

**180** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიძლება შემდეგი ფრაზით იქნეს ოპტიმიზებული: „არაკეთილსინდისიერად ... დუმს“ (*„Verschweigt... wider Treu und Glauben“*).

<sup>176</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 953 ff.

<sup>177</sup> Darjanian, S. 22.

<sup>178</sup> ასე, Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>179</sup> Darjanian, S. 22 f.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 82-ე მუხლიც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შეცილების უფლებას უნდა ეხებოდეს, იგივე ვრცელდება მის სათაურზეც. ამასთან, თუ რა შედეგების დადგომას ისახავს მიზნად სისხლისსამართლებრივად დასჯადი თაღლითობისგან გამიჯვნა,<sup>180</sup> ჩემთვის გაუგებარია.

მესამე პირის მხრიდან მოტყუების შემთხვევისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილი საცილობის წინაპირობად ადგენს, რომ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირს, რომელიც სარგებელს იღებს გარიგებიდან. შეცილების უფლების ეს შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენებით უნდა შემოიფარგლოს (BGB-ს § 123-ის მე-2 აბზაცი); ისეთი ნების გამოვლენებისთვის, რომლებისთვისაც სავალდებულო არ არის მიღება, შეცილების უფლება არსებობს ყოველი მოტყუებისას, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლი არ ამახვილებს ყურადღებას ტყუილის მთქმელის პიროვნებაზე.

BGB-ს § 123-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „მესამე პირი“ ამ ნორმის გაგებით არის ნებისმიერი, ვინც არ წარმოადგენს ნების გამოვლენის მიმღებს და მას არც შეიძლება მიეკუთვნოს (*nicht zuzurechnen ist*). თუ მოტყუება ხდება მესამე პირის მიერ, მაშინ ნების გამოვლენის მიმღებმა მაინც უნდა დაუშვას თავის წინააღმდეგ შეცილების უფლების გამოყენება, როდესაც ის დაცვას არ იმსახურებს, რადგან მან თავად იცოდა მოტყუების შესახებ. ეს წესი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საპირისპიროდ, მაშინაც უნდა მოქმედებდეს, როდესაც გარიგების შედეგად სარგებლის მიმღებმა (მაგალითად, მესამე პირების სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება) მოტყუების შესახებ არ იცოდა. მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, შეცილების უფლების გამორიცხვა (BGB-ს § 123-ის მე-2 აბზაციის მე-2 წინადადება), როდესაც უცხო პირმა, მოატყუა ნების გამოვლენი ისე, რომ ამის თაობაზე არ იცოდა ნების გამოვლენის მიმღებმა და სარგებლის მიმღებმა. თუ უცხო პირი ატყუებს ისე, რომ ამის თაობაზე ცნობილია სარგებლის მიმღებისთვის, ეს უკანასკნელი ვერ მიუთითებს ნების გამოვლენის მიმღების არცოდნაზე, არამედ მან უნდა დაუშვას თავის წინააღმდეგ შეცილების უფლების გამოყენება. აღნიშნულის საპირისპიროდ განმარტებულ უნდა იქნეს, რომ თავად სარგებლის მიმღების მხრიდან მოტყუებისას (რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ წარმოადგენს შეცილების მეორე მხარეს (*Anfechtungsgegner*)), ვინაიდან მან თავის მხრივ იცის ნების გამომვლენი პირის ნების ჩამოყალიბების ნაკლის შესახებ, შეცილება (მით უმეტეს) არ შეიძლება იქნეს გამორიცხული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლით მინიჭებული გარიგებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება (*Entschließungsfreiheit*) არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ მოტყუებული, თავის მხრივ, თავის კონტრაჰენტს აზიანებს.<sup>181</sup> ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს (შედეგად სათაური ისევ შესაფერისი იქნება). სხვა შემთხვევაში, საჭირო იქნება სათაურის მისადაგება.

### cc) იძულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-დან 89-მდე მუხლები

მოტყუების მსგავსად, იძულებაც იძლევა ნების გამოვლენის შეცილების უფლებას, რაც, თავის მხრივ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უნდა იქნეს განმარტებული. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი, 86-ე მუხლის პირველი ნაწილი

<sup>180</sup> ასე, Darjania, S. 23.

<sup>181</sup> კრიტიკულად ასევე, Darjania S. 23 f.

ტერმინოლოგიურად არა გარიგების ბათილობაზე, არამედ ნების გამოვლენის ბათილობაზე უნდა აკეთებდეს მითითებას.

**185** სასურველია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლში ვადის დენის დასაწყისი 84-ე მუხლის შესაბამისად იქნეს ფორმულირებული; გადამწყვეტი უნდა იყოს მომენტი, როდესაც იძულების ქვეშ ყოფნის მდგომარეობა შეწყდება (BGB-ს § 124-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადება); მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების ქმედების დასრულება ამისთვის ყოველთვის გადამწყვეტი არ იქნება.

*e) პირობითი გარიგებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-დან 98-მდე მუხლების მიხედვით*

**186** გარიგების სამართლებრივი შედეგები ზოგადად დგება მაშინ, როდესაც დაიდება გარიგება და ისინი ჩვეულებრივ მოქმედებს. მაგრამ სამართლებრივი შედეგები შეიძლება ასევე გადავადებულ იქნეს ან შეიზღუდოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-დან 98-მდე მუხლები ეხება ამ თემატიკის ერთ მონაკვეთს, კერძოდ, გადავადებას ან შეზღუდვას, რომელიც დამოკიდებულია გარკვეული მოვლენის დადგომაზე, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს და რომლის დადგომა ობიექტურად გაურკვეველია. შესაძლებელი იქნებოდა დაფიქრება იმაზე, რომ შესაბამისი გამოყენებით დარეგულირდეს ასევე მომავალში არსებულ დროის მომენტზე (რომელიც კალენდრის საშუალებით ან უეჭველად მოსახდენი მოვლენის საშუალებით შეიძლება იქნეს განსაზღვრული; ვადის დაწესება<sup>182</sup>) გადავადების ან შეზღუდვის შემთხვევებიც (შეადარეთ, BGB-ს § 163).

**187** პირობის ცნებასთან დაკავშირებით, როგორც მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი განმარტავს, განხილვის საგანს წარმოადგენდა საკითხი იმის თაობაზე, მოვლენა „სამომავლო და უცნობი“ თუ „სამომავლო ან უცნობი“ უნდა იყოს,<sup>183</sup> გერმანული პერსპექტივიდან ამ კითხვას ცალსახად პირველი მიმართულებით უნდა გაეცეს პასუხი. აქ „ან“-ის გამოყენება გამოიწვევდა ვადის შეყვანას პირობის ცნებაში, რაც ტერმინოლოგიურად ფორმასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გამო არ არის რეკომენდებული.

**188** პირობის ცნებას არაპირდაპირ განავრცობს 96-ე მუხლი, რაც სისტემატიკის თვალსაზრისით შეუფერებელია: ობიექტურად გარკვეული, სუბიექტურად გაურკვეველი მოვლენა 90-ე მუხლში უნდა იქნეს დამატებული.

**189** ცხადია, რომ არ არის შესაძლებელი ყოველი გარიგების ერთი პირობის ქვეშ გაერთიანება და რომ არც ყოველი პირობა არის მისაღები. ამას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლიც. ზღვრის სახით, შესაძლებელია, 54-ე მუხლის შესაბამისად, კანონის აკრძალვის, აგრეთვე ზოგადად აღიარებული ზნეობის ნორმების და საჯარო წესრიგის გამოყენება და შეუძლებელი პირობის შემთხვევის დამატება. თუმცა, დებულება სამართლებრივი შედეგების დაწესების შესახებ შეუსაბამოდ მიმაჩნია. აქ სწორი იქნებოდა დიფერენცირება, რადგან მხარეებს გადავადების პირობით დადებული გარიგება, როგორც წესი, პირობის გარეშე არ სურთ, მაშინ, როდესაც ეს გაუქმებადი პირობისას სავსებით დასაშვებია ისე, რომ გარიგება პირობის გარეშე დარჩებოდა ძალაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი, BGB-ს §139).<sup>184</sup>

<sup>182</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 1284.

<sup>183</sup> აღნიშნულის შესახებ, Chanturia/Knieper, S. 22.

<sup>184</sup> Staudinger/Bork, BGB, 2015, წინასწარი შენიშვნები შემდეგ მუხლებთან დაკავშირებით: §§ 158-163 Rn. 12, 30, 33, 44.

ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 92-დან 98-მდე მუხლებში, დიფერენცირება უნდა მოხდეს, შესაბამისად, პირობის დადგომის და შეწყვეტის მიხედვით და შემდეგ ყურადღება მიექცეს იმას, რომ პირობის სახით შესაძლებელი იყოს შესაბამისად, მოვლენის დადგომის ან არდადგომის დაყენება. შინაარსობრივად ეს დებულებები არავითარ შეკითხვებს არ წარმოშობს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 95-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ამოღებულ უნდა იქნეს ვალდებულების შესრულება და BGB-ს §161-ის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ორიენტირებული უნდა იყოს პირობაზე დამოკიდებული მოქმედების ხელის შეშლაზე ან მის მიმართ უარყოფითად მოქმედებაზე. შესაძლებელია ასევე დაფიქრება, უნდა არსებობდეს თუ არა BGB-ს § 161-ის შესაბამისად, პირობიდან სარგებლის მიმღები პირის აბსოლუტური დაცვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილში ნორმირებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ იგი დამოკიდებული იყოს ბრალის არსებობაზე (შეადარეთ, BGB-ს §160). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 95-ე მუხლის სათაური უფრო ზუსტად უნდა ჩამოყალიბდეს (პირობის დადგომაზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლის საგანს).

*f) თანხმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-დან 102-მდე მუხლების მიხედვით*

თანხმობასთან (წინასწარი თანხმობა (ნებართვა) და შემდგომი თანხმობა (მოწონება)) დაკავშირებული ეს დებულებები შინაარსობრივი თვალსაზრისით მხოლოდ შიგადაშიგ იწვევს შეკითხვებს. თუ ეს აუცილებლად იქნება მიჩნეული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლში უნდა იქნეს გადატანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 შემთხვევით გათვალისწინებული დებულება, რომლის თანახმად გარიგება, რომელიც თანხმობაზეა დამოკიდებული და ნებართვის გარეშეა დადებული, ბათილია, თუ იგი მოწონებული არ იქნება. ჩემი აზრით, ეს აუცილებელია, ვინაიდან ის, რომ გარიგება თანხმობაზეა დამოკიდებული სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ იგი თანხმობის გარეშე ვერ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე. თუ ეს თანხმობა ნებართვის სახით არ არსებობს, მაშინ მისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭება მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული მოწონების გამოყენებითაა შესაძლებელი. აღნიშნული არ საჭიროებს განმარტებას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, გაუგებარია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-100 მუხლში შეტყობინების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი, განსხვავებით ისეთი კონსტრუქციისგან, რომლის თანახმად გაუქმება ორივე მხარის მიმართ უნდა იქნეს გაცხადებული, ანუ სამართლებრივ ძალას იძენს როდესაც გაუქმების განცხადება ორივე მხარეს მიუვა. უფრო მისაღები იქნებოდა, რომ გაუქმების განცხადება იმ მხარის მიმართ იყოს სავალდებულო, რომლის წინაშეც იქნა გამოხატული ნებართვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით შემოთავაზებულია, რომ ნორმა კიდევ უფრო დაუახლოვდეს BGB-ს § 185-ის მე-2 აბზაცის 1-ლ ნაწილს, იმით, რომ მან განმკარგავი პირის მიერ საგნის მოგვიანებით შეძენის შემთხვევაში მოიცვას.<sup>185</sup> სისტემატიკის თვალსაზრისით ეს ლოგიკური იქნებოდა. ამ შემთხვევაში, განსამარტი იქნება, რომ ერთმანეთთან შეუთავსებელი რამდენიმე განკარგვისას მხოლოდ უფრო ადრე განხორციელებული იქნება სამართლებრივი ძალის მქონე (BGB-ს § 185-ის მე-2 აბზაცის მე-2 ნაწილად იქნება).

<sup>185</sup> ასე, Darjania, S. 24 f.

g) წარმომადგენლობა გარიგებებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-დან 114-მდე მუხლების თანახმად

- 194** გარიგების ეფექტი ეხება ძირითადად იმ პირს, რომელმაც გარიგებითი ხასიათის მოქმედება განახორციელა. გარიგებებში წარმომადგენლობის შედეგად, სამართლებრივი შედეგები, უფრო დეტალურად განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილებისას, არა გარიგებითი ხასიათის მოქმედების განხორციელებელს (წარმომადგენელს), არამედ წარმოდგენილ პირს ეხება. ეს ხდება იმის საშუალებით, რომ ნების გამოვლენა, რომელიც ხორციელდება დეტალურად განსაზღვრული პირობების ქვეშ, შეერაცხება წარმოდგენილ პირს.<sup>186</sup> ამასთან, ურთიერთობა წარმომადგენელსა და წარმოდგენილ პირს შორის განისაზღვრება მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთობის შესაბამისად. ამ დოგმატურ გაგებასთან უნდა იქნეს ტერმინოლოგიურად მისადაგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-დან 114-მდე მუხლები. ეს მიკუთვნება თავის გამართლებას პოულობს წარმომადგენლის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში, რომელიც კანონიდან ან წარმოდგენილი პირის გარიგებიდან გამომდინარეობს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, წარმომადგენლობითი ძალაუფლების ცნებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებამოსილებასთან შედარებით, რადგან წარმომადგენლობითი ძალაუფლების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს წარმოდგენილი პირის მიმართ არსებული წარმომადგენლობითი ძალაუფლების გამოყენების უფლებამოსილებისგან. გარიგებით დაფუძნებული წარმომადგენლობითი ძალაუფლება ტერმინოლოგიურად დიფერენცირებულ უნდა იქნეს მინდობილობისგან, რომელიც ნიშნავს საკუთარი სახელით სხვისი უფლების განკარგვის უფლებამოსილებას და დავალებისგან, რომელიც (შეადარეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე და შემდგომი მუხლები) აღნიშნავს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წარმომადგენელი.
- 195** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილში უნდა განიმარტოს, რომ წარმოდგენილი პირი ვერ გამოიყენებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლს, თუ მან წარმომადგენლობითი ძალაუფლების მოჩვენებითი უფლება (უფლების შთაბეჭდილება) შექმნა. მოსამზადებელ მასალებში შემოთავაზებული დიფერენცირების გამოყენება, თმენის საფუძველზე მოქმედ და მოჩვენებით მინდობილობას შორის, აქ აუცილებლად არ მიმარტნია. სათაური მისადაგებულ უნდა იქნეს ნორმის შინაარსთან.
- 196** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 106-ე მუხლი უფრო ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს და BGB-ს § 166-ის შესაბამისად უნდა ეხებოდეს მხოლოდ ნების გამოვლენის ნაკლსა და ცოდნას და არა შეცილებადობას.
- 197** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილი ნების გამოვლენის ნაცვლად უნდა ეხებოდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებას. მე-2 წინადადების მნიშვნელობა ჩემთვის გაუგებარია. თუ ამით იგულისხმება, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება შეიძლება სხვა მიზეზებით საჭიროებდეს სპეციალურ ფორმას, ეს ნათლად უნდა იქნეს განმარტებული.
- 198** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლში უნდა განიმარტოს, რომ შეტყობინების ვალდებულება ეხება იმას, ვის წინაშეც გაკეთდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 შემთხვევით გათვალისწინებული ნების გამოვლენა.
- 199** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლი ტერმინოლოგიის თვალსაზრისით უფრო ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს და მხოლოდ მინდობილობას უნდა ეხებოდეს. გადამწყვეტი უნდა იყოს მის საფუძველად არსებული სამართლებრივი ურთიერთობა

<sup>186</sup> Bork, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 4. Aufl. 2016, Rn. 1289, 1321 ff.

(შეადარეთ, BGB-ს § 168-ის 1-ლი წინადადება). განხილვის საგანს წარმოადგენს, უნდა შეინარჩუნოს თუ არა მინდობილობამ მოქმედება გარდაცვალების შემდეგ.<sup>187</sup> ესეც მინდობილობის საფუძველად არსებულ ურთიერთობაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილში თანხმობის შესახებ ცნობების ნაცვლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ „მონონება მხოლოდ მის მიმართ“ შეიძლება განხორციელდეს. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნის საფუძველზე წარმომადგენლის მიმართ უკვე განცხადებული მონონების (BGB-ს §177-ის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების მე-2 ნაწილი) სამართლებრივი ძალის დაკარგვა და საერთოდ, სასურველია, რომ აქ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 112-ე მუხლსა და 113-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ტერმინოლოგიური სიზუსტის მიზნით, გამოყენებულ იქნეს მონონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლი დამოკიდებული უნდა იყოს არა დადასტურების შესაძლებლობაზე, არამედ მტკიცებულებაზე. 201

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლში გათვალისწინებული გამონაკლისი ენობრივად ბუნდოვანია. თუ აქ უნდა იგულისხმებოდეს, რომ გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობს (შეადარეთ, BGB-ს § 181-ის ბოლოს), ეს ნათლად უნდა იქნეს განმარტებული. 202

#### 4. უფლებების განხორციელება

უფლებების განხორციელების შესახებ დებულებები არსებითად შეესაბამება BGB-ს §§ 226-დან 231-მდე და მხოლოდ შიგადაშიგ წარმოშობს გარკვეულ შეკითხვებს. 203

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი, როგორც უფლების განხორციელების ზღვარი, წინააღმდეგობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლთან, რომლის თანახმად სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის თავისუფლება უზრუნველყოფილია, თუ ამას არ ეწინააღმდეგება სხვათა უფლებები ან კონსტიტუციური წესრიგი. არც ერთ მათგანთან არ გვაქვს საქმე საკუთარი უფლებების განხორციელებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 წინადადებაში აღწერილ ვითარებაში. ამიტომ, ძირითადად უნდა გავითვალისწინოთ, რომ უფლების განხორციელება ექვემდებარება იმანენტურ ზღვრებს, რომლებიც კეთილსინდისიერების ფარგლებით განისაზღვრება. ეს იმანენტური ზღვარი აუცილებლად მაშინ კი არ არის დარღვეული, როდესაც უფლება „მხოლოდ“ ზიანის მიყენების მიზნით ხორციელდება, არამედ ასევე შეიძლება უკვე დარღვეული იყოს, როდესაც ზიანის მიყენება უფლების განხორციელების ნამყვან მიზანს წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, განხილვის საგანს წარმოადგენს, არის თუ არა პასუხისმგებლობა „ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით“ საკმარისად განსაზღვრული.<sup>188</sup> ამ თვალსაზრისით ეჭვის საფუძველი არ გამაჩნია. მართალია, გენერალური დათქმის ტიპის პასუხისმგებლობის წინაპირობა ზოგადი წესი არ არის, მაგრამ სისტემატიკის თვალსაზრისით არც უცხო სხეულია. 204

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მისადაგებულ უნდა იქნეს აღსრულების სამართალთან. 205

<sup>187</sup> შეადარეთ, Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>188</sup> Chanturia/Knieper, S. 13.

## 5. ვადები

**206** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-დან 146-მდე მუხლები ეძღვნება ვადებს, და, კერძოდ, პირველ რიგში, ვადის გამოთვლას, შემდეგ ხანგრძლივობასა და ხანდაზმულობის სამართლებრივ შედეგებს.

*a) ვადის გამოთვლა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-დან 127-მდე მუხლების მიხედვით*

**207** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-დან 127-მდე მუხლებში წარმოადგენილი დებულებები ვადების გამოთვლასთან დაკავშირებით, დიდწილად შეესაბამება BGB-ს §§ 186-დან 193-მდე და ჩემთვის რაიმე კითხვის ნიშნებს არ წარმოშობს. სასურველია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-ე მუხლი BGB-ს § 186-ის შესაბამისად უფრო ნათლად იყოს ჩამოყალიბებული.

*b) ხანდაზმულობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-დან 146-მდე მუხლების მიხედვით*

**208** დებულებები ხანდაზმულობის შესახებ მოსამზადებელ მასალებში კრიტიკის საგანს წარმოადგენს, რომელიც ქვემოთ დანვრილებით იქნება აღწერილი, მაგრამ ძალიან ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ის მიმართულია მოქმედი დებულებების წინააღმდეგ: ისინი მიჩნეულია ძალიან ზოგადად, განსაკუთრებით ვადის დენის, ვადის დენის შეჩერების და თავიდან დაწყებისთვის დადგენილი საფუძვლები, შეფასებულია არასაკმარისი კონტრკრეტიკის მქონედ.<sup>189</sup>

*aa) ცნება, ხანგრძლივობა და დასაწყისი*

**209** ხანდაზმულობის დასაწყისი განისაზღვრება გამოყენების სფეროთი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები) და სამართლებრივი შედეგით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლით). ხანდაზმულობა ვრცელდება „სხვა პირისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის“ უფლებაზე ანუ მოთხოვნებზე (ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები). ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი არიან კრედიტორი და მოვალე. ეს თავი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, აღნიშნულთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი.

**210** ვინაიდან ხანდაზმულობის სახეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლში არ არის წარმოდგენილი, სათაურიც შესაბამისად უნდა იქნეს შესწორებული. ხანდაზმულობის გამოყენების სფერო შეიძლება იქნეს განვრცობილი BGB-ს §§ 902-ის 1-ლი აბზაცისა და 924-ის შესაბამისად ისე, რომ დარეგისტრირებული მოთხოვნები არ დაექვემდებაროს ხანდაზმულობას, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება დავალიანების თანხების პერიოდულ გადახდებს ან ზიანის ანაზღაურებას, აგრეთვე მოთხოვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ სამეზობლო-სამართლებრივ მოთხოვნებს.

**211** არ ვარ დარწმუნებული, ისე უნდა იქნეს თუ არა გაგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მესამე ნაწილი, თითქოს ვალდებულ პირს შეუძლია უარი იქნას

<sup>189</sup> Darjania, S. 25 f.; შეადარეთ, Chanturia/Knieper, S. 30.

მოქმედების შესრულებაზე მაშინაც, თუ მის მიმართ წაყენებული იქნება მოთხოვნა აღიარებიდან ან უზრუნველყოფიდან გამომდინარე. უკანასკმელი თვალსაზრისით, სავარაუდოდ, ნორმა ტერმინოლოგიურად მისადაგებულ უნდა იქნეს აღნიშნულთან დაკავშირებით განსახილველ უზრუნველყოფებთან. მაგრამ BGB-ს § 214-ის მე-2 აბზაცის მე-2 ნინადადებასთან სტრუქტურული მსგავსების გამო, ვვარაუდობ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილში ხსენებული „იგივე წესი“ მე-2 ნაწილში აღნიშნულ სამართლებრივ შედეგს ანუ შესრულების დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვას გულისხმობს. ეს საკითხი ენობრივად უფრო ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს.

ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლში BGB-ს § 218-ის შესაბამისი ნორმის დამატების საკითხი, რომელიც პირველადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლას მეორად აღმჭურველ უფლებებზე განავრცობს.

განხილვის საგანს წარმოადგენს ასევე, ხომ არ არის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ზედმეტად ხანგრძლივი.<sup>190</sup> ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რომელი ცალკეული მოთხოვნები ექვემდებარება ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის მოქმედებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: რომელი მოთხოვნების მიმართ მოქმედებს უფრო სპეციალური (უფრო მოკლე) ვადები. სახელშეკრულებო მოთხოვნებისთვის უფრო მოკლე ვადები გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლიდან და ამასთან შესაძლებელია მათი მოდიფიცირება სპეციალური კანონმდებლობის საშუალებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოსამართლებრივ მოთხოვნათა მთელი სისტემის კვლევა, სპეციალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების<sup>191</sup> თვალსაზრისით, ყველანაირ ფარგლებს სცდება, მით უმეტეს, რომ მოთხოვნათა ამ სისტემის შემუშავების შესახებ გადწყვეტილება წინასწარ უნდა იქნეს მიღებული. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დებულებების აუცილებელი შეთანხმებულობა, ხანდაზმულობის სამართალი რეფორმის მთელი პროცესის განმავლობაში უნდა იყოს ყურადღების ქვეშ.

აღნიშნულთან არის დაკავშირებული ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე და 131-ე მუხლებში ჩამოყალიბებული დებულებები ხანდაზმულობის ვადის დაწყების შესახებ; განსაკუთრებით 131-ე მუხლის შეფასება ითვალისწინებს საკმარისად ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადის არსებობას იმ მოთხოვნების ადრეული მომენტიდან (Vorverlegt) დაწყებასთან დაკავშირებით, რომელთა შესრულების ვადა დგება გარიგების გაუქმების შესახებ კრედიტორის განცხადების საფუძველზე (Verjährung verhaltener Ansprüche).<sup>192</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლში მოცემული ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი არა მხოლოდ „უფლებების დარღვევას“ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ ზოგადად დამოკიდებული უნდა იყოს კრედიტორის მიერ მოთხოვნის საფუძველად არსებული გარემოებების და მოვალის პიროვნების ცოდნაზე ან შესაბამისად უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნაზე (შეადარეთ, BGB-ს § 199-ის პირველი აბზაცის Nr. 2).

### *bb) ვადის დენის შეჩერება*

შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-დან 136-მდე მუხლები ეხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. ისინი ეხება ისეთ ერთობლიობებს, რომლის დროსაც მიმდინარე ხანდაზმულობის ვადა დროის გარკვეული პერიოდით გრძელდება.

<sup>190</sup> Darjanian, S. 25 f.

<sup>191</sup> შეადარეთ, Chanturia/Knieper, S. 29, 30, მეორე მხრივ, S. 36.

<sup>192</sup> შეადარეთ, Palandt/Ellenberger, BGB, 78. Aufl. 2019, § 199 Rn. 8.



ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იცნობს ასევე BGB. თუმცა, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მოქმედებს არა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დროის თვალსაზრისით ახლო პერიოდში (გარდა: ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისა (Ablaufhemmung), შეადარეთ BGB-ს §§ 210, 211), არამედ მიუხედავად დარჩენილი დროისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-დან 134-მდე მუხლებში დასახელებული ვადის დენის შეჩერების საფუძვლები, ნაწილობრივ, შეესაბამება BGB-ს §§ 203 და შემდგომი პარაგრაფებით დადგენილს, განსაკუთრებით როდესაც საკითხი ეხება დაუძლეველ ძალასა და ოჯახურ კავშირს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლებში არ არის გათვალისწინებული მოთხოვნის უფლების განხორციელება და გადავადების ისეთი შემთხვევები, რომლებიც BGB-ს §§ 203-დან 205-მდე მუხლების თანახმად იწვევენ ვადის დენის შეჩერებას, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-დან 141-მდე მუხლებით კი ვადის დენის შეწყვეტას, რასაც შედეგად მოჰყვება ხანდაზმულობის ახალი ვადის დაწყება (რასაც ახლავს მივუბრუნდებით). იმ შემთხვევებში, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებულია, გერმანული სამართალი ყოველთვის კი არ გააგრძელებდა ხანდაზმულობის ვადას მისი დენის შეჩერების გზით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მოსალოდნელი ვადის გასვლის გამორიცხვა. მაგრამ, ჩემი გადმოსახედიდან, აქედან ცვლილების საჭიროება არ გამოდინარეობს.

არსებობს მოთხოვნა, რომ განმარტებულ იქნეს 135-ე მუხლის დამოკიდებულება (პრინციპი) 136-ე მუხლთან (lex specialis).<sup>193</sup> თუმცა, ჩემთვის არ არის ნათელი, თუ რა თვალსაზრისით ხედავენ აქ განმარტების საჭიროებას.

- 215** გასწორებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლის სათაური, რომელიც რეგულირების მხოლოდ ერთ ნაწილს ასახავს. საკითხავია, ხომ არ შეესაბამება მხარდაჭერის მიმდინარეობის პერიოდში მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის ურთიერთობა, მეურვეს/მზრუნველს და სამეურვეო პირს შორის მეურვეობის/მზრუნველობის დროს არსებულს.

### cc) შეწყვეტა

- 216** აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-დან 141-მდე მუხლები ეხება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, რაც იწვევს ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყებას. შესაბამისად, ვადის შეწყვეტის წინაპირობაა, რომ მოთხოვნის უფლება აღიარებული ან სასამართლოს წესით რეალიზებულია. შესაბამისად, 137-ე მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს „... აღიარების გზით“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის ფარგლებში შეიძლება ნახსენები იყოს სასამართლოს წესით დავის ალტერნატიული მოგვარების წამოწყება. აღნიშნულის საპირისპიროდ, პირობითი შეთანხმება მოთხოვნის უფლების თაობაზე არ იწვევს არც ვადის დენის შეჩერებას და არც შეწყვეტას (Schwebende Verhandlungen über den Anspruch (სხვაგვარად არის BGB-ს § 203-ში).
- 217** დეფინიციის მიხედვით ვადის დენის შეწყვეტა წარმოადგენს კონკრეტულ მომენტთან დაკავშირებულ მოვლენას (punktuelles Ereignis), ამიტომ მიმდინარე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა და ხანდაზმულობის ვადის (თავიდან) დაწყება ერთ მომენტს ემთხვევა. აღიარების შემთხვევაში, ეს მომენტია აღიარება. სარჩელის შეტანის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი ითვალისწინებს შეწყვეტის პერიოდის განგრძობადობას. ამასთან, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ნაცვლად ძალაში შესვლისა, გადამწყვეტი უნდა იყოს გადამწყვეტილების იურიდიული ძალა (statt auf ein In-Kraft-Treten auf die Rechtskraft der

<sup>193</sup> შეადარეთ, Chanturia/Knieper, S. 14.

Entscheidung abgestellt werden). მაგრამ სხვა მხრივაც, შეწყვეტის ფაქტობრივი შემადგენლობების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ისინი პროცესუალური აღიარების პროცედურის სტრუქტურასთან უნდა იქნეს მისადაგებული, რაც მოცემული დასკვნის ფარგლებში ვერ განხორციელდება და მხოლოდ ჩანიშნული შეიძლება იქნეს სამომავლოდ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი არ მოქმედებს, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვა სარჩელის გამოთხოვის საშუალებით სრულდება, ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი არის სპეციალური კანონი (*lex specialis*), რომელიც მე-2 ნაწილის მიხედვით, საბოლოო ჯამში, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ადგენს.

#### dd) დისპოზიციურობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის სამართალი წარმოადგენს იმპერატიულ სამართალს და მისი დათმობა ან მოდიფიცირება მხარეთა შეთანხმებით შეუძლებელია. აღნიშნული დებულება კრიტიკის საგანს წარმოადგენს.<sup>194</sup> BGB-ს § 202 აქ არსებითად განსხვავებულ გზას ირჩევს, რადგან მხარეთა შეთანხმება სანყისი პუნქტის სახით დასაშვებია და მხოლოდ ორი თვალსაზრისით არის გამორიცხული: ისეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა, რომელიც განზრახვისთვის პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს, არ შეიძლება წინასწარ შემსუბუქდეს (BGB-ს § 202-ის პირველი აბზაცი); ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება გაგრძელდეს 30 წელზე მეტ ხანს (BGB-ს § 202-ის მე-2 აბზაცი). განხილულ შეიძლება იქნეს მხარეთა შეთანხმების გამორიცხვის ამოღება და მის ნაცვლად, ზოგადად დასაშვები მხარეთა შეთანხმებებისთვის მხოლოდ BGB-ს § 202-ის შესაბამისი ზღვრების დანესება. სხვა ზღვრები გამომდინარეობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობებიდან და აგრეთვე მომხმარებელთა დაცვის სამართლიდან, მაგრამ ისინი არ იღებს სათავეს ხანდაზმულობის ინსტიტიდან.

### III. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

ქვემოთ მსჯელობა შეეხება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებს.

#### 1. ზოგადი დებულებანი ვალდებულებითი ურთიერთობების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 316-დან 318-მდე მუხლებით ზოგადი ნაწილის დასაწყისში ადგენს ვალდებულების ცნებას, წარმოშობის საფუძვლებსა და ინფორმაციის მოთხოვნის ზოგად უფლებას. ეს გამართლებულია 316-ე და 317-ე მუხლების თვალსაზრისით იმიტომ, რომ ეს მუხლები ცნებების დონეზე აყალიბებენ შემდგომი დებულებების საგანს. 318-ე მუხლისთვის ასეთი საფუძველი არ არსებობს, მით უმეტეს, რომ 326-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობების შესახებ დებულებების გამოყენება ასევე შესაძლებელია არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ. აქედან, ჩემი აზრით, გამომდინარეობს, რომ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, რომელიც BGB-ს § 242-თან დაკავშირებულ გერმანულ სასამართლო პრაქტიკას შეესაბამება, მაგრამ რომლის შევსებაც შესაძლებელია მოსალოდნელობის კრიტერიუმით (*Zumutbarkeitskriterium*),<sup>195</sup> უნდა მიეკუთვნოს ვალდებულების შეს-

<sup>194</sup> შეადარეთ, Chanturia/Knieper, S. 30, 36.

<sup>195</sup> აღნიშნულის შესახებ იხ. BGHZ 95, 285 = NJW 1986, 1247; BGH NJW-RR 2005, 1408.

რულების შესახებ ზოგად დებულებებს, ანუ იგი უნდა იქნეს ნორმირებული 382-ე მუხლის შემდეგ.

- 221** 316-ე მუხლი, რომელიც BGB-ს § 241-ს შეესაბამება, ჩემი აზრით, რაიმე შეკითხვებს არ წარმოშობს.
- 222** 317-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიძლება უფრო ნათელი სტრუქტურით ჩამოყალიბებულიყო: „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.
- 223** 317-ე მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, გაკრიტიკებულია, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულებამ შეიძლება მხოლოდ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული, ანუ არა შესრულების, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული გულისხმიერების, ვალდებულებები წარმოშვას.<sup>196</sup> აღნიშნული უდავოდ მართალია.<sup>197</sup>
- 224** ასევე არსებობს მოსაზრება რომ 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 394-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითების საშუალებით, უნდა გავრცელდეს სხვა წინასახელშეკრულებო ზიანის მიმართ.<sup>198</sup> ამ თვალსაზრისით, მიმაჩნია, რომ აუცილებელია კარგად იქნეს გააზრებული 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი 316-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის ზოგადი სამართლებრივი შედეგები. ჩემი გაგებით, აქ საუბარია 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულების დარღვევაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალესაც ეკისრება წინასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა, თუ იგი ამ ვალდებულებით ურთიერთობასთან დაკავშირებულ განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობას დაარღვევს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის.<sup>199</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს ხარჯების ანაზღაურების სახით მინიმალური ზარალის ანაზღაურებას განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის სპეციალური შემთხვევისას, კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ მოლაპარაკებების ბრალეული ჩაშლისას (განყვეტისას) - რაც დისპოზიციურად უნდა იქნეს განმარტებული<sup>200</sup>. ამდენად, უცილობლად ივარაუდება, რომ ეს ხარჯები ხელშეკრულებით ამორტიზებულ იქნა და ხელშეკრულების არდადება ადექვატურად კაუზალურ კავშირშია ამ ოდენობის ზარალთან. ამდენად, მიმაჩნია, რომ 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამ თვალსაზრისით ხელშეუხებლად უნდა დავტოვოთ.
- 225** თუ განხილულ იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მესამე პირთა დაცვის მიზნით დადებული ხელშეკრულების კოდიფიცირების საკითხი, შესაძლებელი იქნებოდა, სისტემატიკური განლაგების თვალსაზრისით, ერთი აბზაცის ჩასმა 317-ე მუხლის მე-3 აბზაცის შემდეგ. მესამე პირთა დაცვის მიზნით დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა, განსაკუთრებული გულისხმიერების მოვალეობების,<sup>201</sup> ანუ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობების, დარღვევისას. ამ თვალსაზრისით, ეს დებულება შეიძლება 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის პარალელურად ჩამოყალიბდეს. მონაწილე პირთა წრე,<sup>202</sup> ერთი მხრივ, განისაზღვრება მათი დაცვის საჭიროებით, ანუ იმით, რომ გარკვეულ პირთა წრე მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის რისკის ქვეშ უექველად და სრულიად იმავე მოცულობით იმყოფება, როგორც კრედიტორი (პირის ახლო კავში-

<sup>196</sup> *Vashakidze*, Bericht S. 1, Chart S. 1; zustimmend *Chanturia/Knieper*, S. 16.

<sup>197</sup> *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 8 Rn. 8.

<sup>198</sup> *Vashakidze*, Bericht S. 1, Chart S. 1 f.; außerdem vgl. und dort dazu kritisch *Chanturia/Knieper*, S. 22.

<sup>199</sup> შდრ. *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 8 Rn. 4.

<sup>200</sup> *MuKoBGB/Emmerich*, 7. Aufl. 2016, § 311 Rn. 162 ff.; *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 8 Rn. 11.

<sup>201</sup> BGHZ 61, 227 = NJW 1973, 2059, 2061.

<sup>202</sup> BeckOK BGB/Janoschek, 48. Ed., BGB § 328 Rn. 53 ff.

რი ვალდებულებასთან (*Leistungsnähe*) და კრედიტორის კანონიერი ინტერესი (*Gläubigerinteresse*). მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გამართლებულ იქნეს დაცვის სფეროში შეყვანა, არამედ ამას უნდა დაემატოს, რომ ეს, ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით არის მიზანშეწონილი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ არავითარი საკუთარი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება მესამე პირთა მიმართ არ არსებობს (დაცვის საჭიროება). გარდა ამისა, დაცვის სფეროში შეყვანა არ შეიძლება იმიტომ იყოს გამორიცხული, რომ ამ მასშტაბის პასუხისმგებლობა მოვალისთვის მიუღებელი იქნებოდა. აღნიშნული სახეზე იქნებოდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფ პირთა წრისადმი დაზარალებულის კუთვნილება და შესრულების კავშირი მესამე პირებთან (*Drittbezogenheit*), მოვალისთვის წინასწარ განჭვრეტადი არ იყო (შეცნობადობა).

## 2. სახელშეკრულებო სამართალი

პირველი კარი „სახელშეკრულებო სამართლის“ სახით განიხილავს ხელშეკრულების თავისუფლებას, ხელშეკრულების დადებას, ასევე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებით, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. სხვა საკითხები განხილულია შესაბამის კონტექსტში, განსაკუთრებით ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს, სკ-ის 405-ე და შემდგომ მუხლებში, აგრეთვე პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია სკ-ის 416-ე და შემდგომ მუხლებში. ასეთი საკანონმდებლო ტექნიკა გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ამისათვის თემასთან სიახლოვის კარგი მიზეზები არსებობს. 226

### a) ზოგადი დებულებანი სკ-ის 319-დან 326-მდე მუხლების მიხედვით

319-დან 326-მდე მუხლების ზოგადი დებულებანი, პირველ რიგში, 316-ე მუხლს უძღვნის ხელშეკრულების თავისუფლების ცნებას, როგორც ის ასახულია სკ-ის მე-9 და მე-10 მუხლებში და აკონკრეტებს მას.<sup>203</sup> ეს დებულებები საკმაოდ განონასწორებულია. სასურველია 319-ე მუხლის 1-ელი ნაწილის ზღვრების მისადაგება გარიგების დოქტრინის ზოგად წესებთან. განსაკუთრებით, სკ-ის 54-ე და 55-ე მუხლების ფონზე, მიმაჩნია, რომ კანონის სპეციალური დათქმა ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვებისთვის შეუფერებელია. 227

319-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ნაცვლად სიტყვისა - „უსაფუძვლოდ“, გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო ზუსტი ფორმულირება: „არაკეთილსინდისიერად“ - იმის დასაზუსტებლად, რომ გადაწყვეტია არა ის, რომ დასახელდეს საფუძვლები, არამედ ის ფაქტი, შესაძლებელია თუ არა ამ საფუძვლებით მართლწესრიგის დაცვით სარგებლობა. 228

320-დან 323-მდე მუხლები BGB-ს § 311 b-ის შესაბამისად გამორიცხავენ ხელშეკრულების ცალკეულ შინაარსებს უფრო მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე ან შესაბამისად ადგენენ ამ ხელშეკრულებისთვის სავალდებულო ფორმას. ამდენად ეს სათაურები ერთგვაროვნად უნდა იქნეს ფორმულირებული: 229

მუხლი 320 მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება  
 მუხლი 321 მთელ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება  
 მუხლი 322 სამკვიდრო ქონებაზე დადებული ხელშეკრულება  
 მუხლი 323 უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულება

<sup>203</sup> შდრ. *Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil*, 16. Aufl. 2018, § 6 Rn. 3 ff.

- 230** უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულებებისთვის განსაკუთრებული წერილობითი ფორმის მოთხოვნა გერმანულ სამართალშიც აღიარებულია (BGB-ს § 311 b). კანონით გათვალისწინებული ფორმების სახეობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, აქ სასურველია დასახელდეს სანოტარო წესით დამონშების შესაბამისი (და არა უბრალოდ ხელმოწერის დამონშება, ვინაიდან აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იდენტიფიცირება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საუბარია დაცვაზე კონსულტაციის და მტკიცებულების გზით<sup>204</sup>) ექვივალენტი.<sup>205</sup>
- 231** ასევე განხილულ უნდა იქნეს, მიუხედავად იმისა, რომ მე აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ცვლილების შემოთავაზება არ შემოიძლია, ხომ არ უნდა გაფართოვდეს ფორმის სავალდებულოება უძრავი ნივთების განკარგვის სხვა სახეებზეც და შეესაბამება თუ არა იგი სამართლებრივი ბრუნვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამართლის სხვა ობიექტებთან დაკავშირებით არსებული ფორმის სავალდებულოების შემთხვევებს (წილები კომპანიაში, პატენტები).
- 232** 324-ე მუხლის დებულება არავითარ შეკითხვებს არ წარმოშობს. სასურველია მხოლოდ, რომ მისი სათაური უფრო ლაკონიურად ჩამოყალიბდეს (ფარგლები და საკუთვნებელი).
- 233** 325-ე მუხლის დებულებაში შეიძლება განიმარტოს, რომ სასამართლოს მიერ განხორციელებულ განსაზღვრას სავალდებულო ძალა აქვს (და არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ მიღებული განსაზღვრის სამართლებრივი ძალით ან მხოლოდ გაჭიანურების არსებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით). შემონშების მასშტაბი, გარდა სამართლიანობისა (არა სამართლიანად), უნდა მოიცავდეს „კეთილსინდისიერების“ ფაქტორს.<sup>206</sup>
- 234** 326-ე მუხლის დებულების სისტემატიკური მნიშვნელობა ჩემთვის ცალსახად ნათელი არ არის, ვინაიდან იგი, როგორც ვხედავ, გამოყოფს ფორმულირებებში შესაბამის ვალდებულების შესრულების გართულების სამართალს ვალდებულების წარმოშობის საფუძვლიდან. იმავდროულად, ეს დებულება უპრობლემოდ მიმჩნია.

*b) ხელშეკრულების დადება 327-დან 341-მდე მუხლების და 360-ე მუხლის მიხედვით*

*aa) ხელშეკრულების დადება*

- 235** 327-დან 334-მდე მუხლების დებულებები ხელშეკრულების დადების შესახებ, შეესაბამება BGB-ს §§ 145 და შემდგომ პარაგრაფებს და მათთან დაკავშირებულ დოგმატიკას და, ჩემი გადმოსახედიდან, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ინვევენ გარკვეულ კითხვებს.
- 236** 327-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩემთვის ნათელი არ არის, თუ რა იგულისხმება ფრაზაში: „... მიჩნეულია კანონის მიერ“; ყოველ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის კანონში ვერ ვხედავ რაიმე დებულებას, რომელიც უშუალოდ ასახავს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილებს (*essentialia negotii*). დებულება ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოვალეობების შესახებ (როგორც ეს სკ-ის 477-ე მუხლშია მოცემული) არ მიმჩნია იმავე მნიშვნელობის მატარებლად. განსამარტი იქნება, რომ გადამწყვეტი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულების სახეობისთვის დამახასიათებელი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები.
- 237** ნაწილობრივ საუბარია იმაზე, რომ 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი ბესთან დაკავშირებით ბუნდოვან ზღვარს ადგენს.<sup>207</sup> ამ შეხედულებას მე არ ვიზიარებ.

<sup>204</sup> შდრ. Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 7 Rn. 4.

<sup>205</sup> Chanturia/Knieper, S. 11.

<sup>206</sup> შდრ. BGHZ 41, 271 = NJW 1964, 1617, 1619.

<sup>207</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 30, 37.

- 328-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ უნდა იქნეს; შესაბამისი მოთხოვნები ნორმირებულია სკ-ის 71-ე მუხლში. **238**
- 329-ე მუხლის 1-ელ ნაწილში, ნაცვლად სიტყვისა „წინადადება (განმარტება - *Erklärung*)“, გამოყენებულ იქნეს „ნების გამოვლენაში...., თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი ვალდებულება“. **239**
- 329-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩემთვის გაუგებარია „პირდაპირ-ის“ მნიშვნელობა. უფრო მისაღები იქნებოდა შემდეგი ფორმულირება: „თუ წინადადებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“. **240**
- 332-ე, 333-ე მუხლების სათაურები შეიძლება უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს, შესაბამისად, როგორც „დაგვიანებით მისული აქცეპტი“ და „დაგვიანებული ან შეცვლილი აქცეპტი“. **241**
- სასურველია, რომ 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი ენობრივად უფრო დახვეწილად ჩამოყალიბდეს: „თანხმობა სხვა პირობებით, ვიდრე ... მიიჩნევა...“. **242**
- 334-ე მუხლის გამოყენების სფერო ჩემთვის ნათელი არ არის. დასაზუსტებელია, ვარაუდის გამოყენება სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ გამორიცხულია თუ გადამწყვეტი უნდა იყოს „არსებული საქმიანი ურთიერთობა“, როგორც ვარაუდის საფუძველი. **243**
- სავარაუდოდ, სასურველია BGB-ს § 151-ის შესაბამისი წესის დამატება, რომლის თანახმად, ხელშეკრულება მაშინაც შეიძლება დაიდოს, როდესაც აქცეპტანტი, მართალია აქცეპტს აკეთებს (ანუ, განსაკუთრებით: კონკლუდენტურად იქცევა), მაგრამ ეს აქცეპტი ოფერენტს არ მიუვა (რადგან ის ამ ქცევას არ ხედავს). BGB-ს §130 ზოგადი წესის თანახმად, ამით აქცეპტი არ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე, რაც, განსაკუთრებით დისტანციურ გარიგებებში, არ იქნებოდა სასურველი სამართლებრივი შედეგი. **244**
- 336-ე მუხლის თავისებურებებზე (უცაბედად დადებული ხელშეკრულებები), ისევე, როგორც ელექტრონულ საქმიან ურთიერთობებში არსებულ მოვალეობებზე, ვისაუბრებ მომხმარებელთა დაცვის კონტექსტში. **245**
- ონლაინ-აუქციონებისთვის სახელშეკრულებო-სამართლებრივი სპეციალური დებულებების შემოღების<sup>208</sup> ინიციატივის მიმართ სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ასეთი დებულებები გამოიწვევდნენ რისკების განაწილებას სპეციალური დოგმატიკის გამოყენებით, რომლის შესაბამისობა ზოგად დებულებებთან შეიძლება ვერ იქნეს უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, ისინი უნდა ადგენდნენ სტანდარტებს ამგვარი აუქციონების პლატფორმებისთვის (მაგრამ ამ თვალაზრისით უნდა მოქმედებდეს ელექტრონული საქმიანი ურთიერთობების ზოგადი დებულებები) ან უნდა ადგენდნენ ნდობაზე დაფუძნებულ ფაქტობრივ შემადგენლობებს ხელშეკრულების მხარეთა ქცევის მიმართ. თუმცა, ცალკეული ქცევის მნიშვნელობა ონლაინ-აუქციონის პლატფორმის ფარგლებში, დამოკიდებული უნდა იყოს მათ (მათ შორის: ტექნიკურ) სტრუქტურაზე (დიზაინზე). ამდენად, მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნება შესაბამისი დაცვა უზრუნველყოფილ იქნეს გარიგების ზოგადი დოქტრინის ყურადღებით გამოყენების და შემდგომი განვითარების გზით. **246**
- bb) განმარტება*
- 337-დან 340-მდე მუხლების დებულებები ეხება ხელშეკრულების განმარტებას. ისინი გაკრიტიკებულია ბუნდოვანების და არაპრაქტიკულობის გამო და საჭიროებს განმარტების წესის სახით *contra proferentem* პრინციპის დამატებას.<sup>209</sup> ამ კრიტიკას ნაწილობრივ ვეთანხმები, როდესაც საუბარია 338-ე და 339-ე მუხლებზე. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ხელშეკრულების სწორედ რომ ბუნდოვანი შინაარსი, წარმოადგენდეს საზომს იმისათვის, თუ როგორ უნდა იქნეს განმარტებული ხელშეკრულების ესა თუ ის დებულება. ზოგადად გირჩევდით, რომ **247**

<sup>208</sup> შდრ. *Chanturia/Knieper*, S. 34, 42.

<sup>209</sup> შდრ. *Chanturia/Knieper*, S. 30, 37.

337-ე და 338-ე მუხლები დაუკავშიროთ არა „გამონათქვამებს“, ანუ ნების გამოვლენის ფაქტობრივ შემადგენლობას, არამედ „ხელშეკრულების პირობას“, ანუ განმარტების საგანს. ასევე გაუგებარია ჩემთვის, რა პრობლემის დარეგულირებას ემსახურება სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მხედველობაში მიღების შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში განმარტებულ უნდა იქნეს, რომ სავაჭრო ჩვეულებების და ტრადიციების მხედველობაში მიღება არა ზოგადად ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრისას, არამედ მხოლოდ ამხსნელი (და არა: შემვსები) განმარტების ფარგლებში შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან სხვა შემთხვევაში დისპოზიციურ კანონის სამართალთან ურთიერთობის ბალანსი შეიძლება დაირღვეს.

**248** სხვა მხრივ, 337-დან 340-მდე მუხლების მიმართ გამოთქმულ კრიტიკას არ ვიზიარებ. მიმაჩნია, რომ ეს ნორმები დაბალანსებულია. განსაკუთრებით, განმარტების „*contra proferentem*“ პრინციპისთვის ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს, რადგან გაუმართლებელია, რომ ცალმხრივად შედგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიღმა ხელშეკრულების პროექტში წვლილის შემტან მხარეს დაეკისროს ყველა ბუნდოვანების ტვირთი. მეტიც, ინდივიდუალურად შეთანხმებული ხელშეკრულების პირობების ნათლად ჩამოყალიბებაზე ორივე მხარე ერთნაირად არის პასუხისმგებელი.

*cc) ვალის აღიარება და მორიგება*

**249** თავი სრულდება 341-ე მუხლის დებულებით ვალის აღიარების თაობაზე, რომელიც ვალის აღიარების სამართლებრივ ძალას ფორმაზე დამოკიდებულს ხდის.

აღნიშნულთან შინაარსობრივ კავშირშია დებულება მორიგების საფუძველში შეცდომის შესახებ (360-ე მუხლი), რომელსაც მე ამიტომაც არ მივაკუთვნებ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს (!), როგორც ეს 352-ე და შემდგომ მუხლებშია. ამ ნორმის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მორიგების ბათილობა.

**250** ჩემი აზრით, ორივე დებულება ეხება არა ხელშეკრულების დადებას, არამედ გამოხატავს ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს 320-ე და შემდგომი მუხლების გაგებით, ამდენად მე მათ, შესაბამისად, 322-ე მუხლს (მორიგება) ან 324-ე მუხლს (ვალის აღიარება) მივაკუთვნებდი. ვინაიდან ვალის აღიარება და მორიგება სახელშეკრულებო სამართლის საკითხებს წარმოადგენს, არ იქნებოდა გამართლებული მათ გადატანა სკ-ის ზოგადი დებულებების ნაწილში.<sup>210</sup>

**251** ვალის აღიარებასთან დაკავშირებით, დამატებით, 358-ე მუხლის შესაბამისად, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კონდიციის გზით უკან დაბრუნების შესაძლებლობის (*Kondizierbarkeit*) განმარტება ფულის გადახდის შემთხვევებისთვის და შესაგებელი გათავისუფლების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის შემთხვევისთვის (*BGB*-ს §§ 812-ის მე-2 აბზაცი, 821).

*c) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 342-დან 348-მდე მუხლების თანახმად*

**252** ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალი 342-დან 348-მდე მუხლებში თავისი ძირითადი სტრუქტურით შეესაბამება *BGB*-ს §§ 305 და შემდგომ პარაგრაფებს. იგი განეკუთვნება განხილვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს ჩემს ხელთ არსებულ მასალებში. ამასთან, ერთმანეთს უკავშირდება წინასწარ ფურმულარის სახით ჩამოყალიბებული დათქმების ჩართვის და შინაარსის კონტროლის საკითხები (გარიგების დოქტრინის ზოგადი საკითხი) და უსამართლო დათქმებისგან მომხმარებელთა დაცვის საკითხები.<sup>211</sup> გერმანული სამართალი ამ კავშირს ასა-

<sup>16</sup> მაგრამ ამ მოსაზრებას იზიარებს, *Vashakidze*, Chart S. 20.

<sup>211</sup> *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 4 Rn. 33.

ხავს იმით, რომ BGB-ს § 305 და შემდგომი პარაგრაფები ზოგადად ყველა ხელშეკრულებას ეხება, მათი გამოყენების სფერო კი ერთი მხრივ, მენარმეების მიმართ იზღუდება (ასე მაგალითად, BGB-ს § 310-ის 1-ელი აბზაცი), მეორე მხრივ კი მენარმეებსა და მომხმარებლებს შორის არსებული ხელშეკრულებებისთვის, ფართოვდება (მაგალითად, BGB-ს § 310-ის მე-3 აბზაცი). რეგულირების ეს ტექნიკას სკ-ისთვის არ იქნებოდა გამოსადეგი. პირიქით, ქვემოთ განვიხილავ იმ დებულებებს, ისე, როგორც უნდა იქნეს გამოყენებული მენარმეების მიმართ. საკითხი იმის თაობაზე, მიუღებელია თუ არა მათგან ცალკეული დებულებები მომხმარებლების მიმართ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისთვის ისე, რომ სპეციალურმა სამომხმარებლო ნორმებმა ცალკეული წესების გამოყენება შეიძლება გამორიცხონ და უნდა მოხდეს თუ არა მათი ჩანაცვლება სხვა წესებით, განხილული იქნება მოგვიანებით, სამომხმარებლო-სამართლებრივ კონტექსტში. სამომხმარებლო-სამართლებრივ კონტექსტში განვიხილავ ასევე, სხვა მასშტაბები ხომ არ უნდა განისაზღვროს მომხმარებლის მიერ გამოყენებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისთვის.

უმჯობესია ერთიანი ტერმინოლოგიის დამკვიდრება, კერძოდ, „პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (Verwender)“ - იმ მხარის აღსანიშნავად, რომელიც ადგენს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, და „კლიენტი“ - მეორე მხარისთვის. ტერმინი „შემთავაზებელი“, 327-ე და შემდგომი მუხლებისთვის მიმაჩნია გაუგებრად (ბუნდოვნად).

253

#### aa) ცნება

ამასთან, 342-ე მუხლში ფორმულირებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება, ჩემი გადმოსახედიდან, არ არის პრობლემური. 342-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეიძლება და ნაცვლად სიტყვისა „უშუალოდ“, გამოყენებული ყოფილიყო „ინდივიდუალურად“.

254

#### bb) შემადგენელ ნაწილად გადაქცევა

343-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევის წინაპირობაა, რომ ისინი თვალსაჩინო ადგილას იყოს წარმოდგენილი, მათზე გაკეთებული იყოს მითითება, რომ არსებობდეს მათი გაცნობისა და „მიღების“ შესაძლებლობა (თუმცა აქ ჩემთვის გაუგებარია, თუ რა იგულისხმება). ჩემი აზრით, შემადგენელ ნაწილად გადაქცევისთვის, ზოგადი წესის სახით, საკმარისია, რომ კლიენტს, სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი მზრუნველობის შემთხვევაში უნდა ჰქონოდა მათი არსებობის მოლოდინი, როდესაც, სულ მცირე, დუმილით გამოსატყულები სახელშეკრულებო თანხმობა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებაზეც ვრცელდება. ამ უკანასკნელში მოიაზრებოდა ასევე ის შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შეთავაზების („მავალდებულებელი შეკვეთა“/„დავალების დადასტურება“) უკანა მხარეს არის ამობეჭდილი. საკითხი იმის თაობაზე, სხვა მასშტაბი უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული მომხმარებლების მიმართ, განხილული იქნება მომხმარებელთა დაცვის სამართლის კონტექსტში.

255

344-ე მუხლთან დაკავშირებით სწორად არის გაკეთებული მითითება იმაზე, რომ გადამწვეტი ვერ იქნება ფორმის მიხედვით უჩვეულობა, არამედ, რომ ეს ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს დათქმის შინაარსიდანაც, როდესაც ის იმდენად უჩვეულო და, შესაბამისად, მოულოდნელია, რომ მისი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მიჩნევით სახეზე იქნებოდა ხელშეკრულების შედგენის ძალაუფლების ცალმხრივად ბოროტად გამოყენება.<sup>212</sup>

256

<sup>212</sup> Vashakidze, Bericht S. 1, Chart S. 2 f.; Chanturia/Knieper, S. 16.



## cc) განმარტება

**257** 345-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად, ბუნდოვანებები - BGB-ს § 305 c-ს მე-2 აბზაცის შესაბამისად - კლიენტის სასარგებლოდ უნდა იქნეს აღმოფხვრილი, არ არის პრობლემური.

## dd) შინაარსის კონტროლი

**258** ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ვერ იქნება ხელშეკრულების იურიდიული ძალის მქონე შემადგენელი ნაწილი, როდესაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების შედგენის ძალაუფლების ცალმხრივად ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი ქცევის აკრძალვიდან გამომდინარე პრინციპს. ამიტომ, დოგმატურად სწორია, რომ 346-ე მუხლი საწყის პუნქტში, შინაარსის კონტროლის მასშტაბის სახით - კეთილსინდისიერებას, ხოლო სამართლებრივი შედეგის სახით - დათქმის ბათილობას ითვალისწინებს, მიუხედავად ამ დათქმის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევის იურიდიული ძალისა. შეიძლება განმარტებულ იქნეს, რომ, სხვა მხრივ, ხელშეკრულების იურიდიული ძალა არ განისაზღვრება სკ-ის 62-ე მუხლის ზოგადი წესის შესაბამისად. უფრო მისაღებია, რომ გამოყენებულ იქნეს BGB-ს § 306-ის შესაბამისი წესი. მას შეიძლება დაემატოს მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია (*Geltungserhaltende Reduktion*): თუ დათქმის შემადგენელ ნაწილად გადაქცევა არ გამოდის იმიტომ, რომ ამ დათქმის ერთ ნაწილს უჩვეულო ფორმა ან შინაარსი აქვს ან თუ დათქმის შინაარსი ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს შინაარსის კონტროლის მასშტაბებს, მაშინ ეს დათქმა პრინციპულად მთლიანად სამართლებრივი ძალის არმქონეა. ხელშეკრულების იურიდიული ძალის არმქონე სტანდარტული პირობების გამოყენების ხელშეწყობა არ უნდა მოხდეს იმით, რომ ისინი შესაფერის ზომამდე რედუქციის შედეგად ნაწილობრივ იქნეს შენარჩუნებული.<sup>213</sup>

**259** 347-ე მუხლი ითვალისწინებს დებულებების კატალოგს, რომლებიც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ბათილად არის მიჩნეული, როდესაც შემთავაზებლის ხელშემკვრელი მხარე არის არამენარმე ფიზიკური პირი. საერთო ნიშანი, რაც ამ დებულებებს 348-ე მუხლში დასახელებული დებულებებისგან განსხვავებით გააჩნიათ, არის ის, რომ ბათილობის დებულების ამოქმედება მხოლოდ თავად დებულების რეგულირების შინაარსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მისი „შეუფერებლად“, „არასაკმარისად“, „გაუმართლებლად“, „მიუღებლად“ შეფასებიდან. ამ შეფასებისთვის გადამწყვეტია ორმხრივი ინტერესები, საქმიან ბრუნვაში გაბატონებული შეხედულება, ცალკეული შემთხვევის გარემოებები.<sup>214</sup>

**260** 347-ე მუხლის გ) ქვეპუნქტს აკლია „ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის“ კრიტერიუმთან დაკავშირებით ასეთი ნიშანი; მას უნდა დაემატოს „...საკმარისად მითითებული საფუძველი...“.

**261** აღნიშნული შეფასება იძლევა შესაძლებლობას, რომ საკმარისად იქნეს გათვალისწინებული, ხელშეკრულება სამენარმეო საქმიან ბრუნვაში დაიდო თუ არა და რამდენად (რა მოცულობით) წარმოადგენს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩართვა ხელშეკრულების შედგენის ძალაუფლების ცალმხრივად ბოროტად გამოყენებას.<sup>215</sup> ამიტომ არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო, რომ 347-ე მუხლის კატალოგი პრინციპში იმ შემთხვევებზეც ვრცელდებოდეს, როდესაც კლიენტი თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში მოქმედებს.<sup>216</sup> ამდენად, სამენარ-

<sup>213</sup> Jauernig/Stadler, BGB, 17. Aufl. 2018, § 306 Rn. 3. MuKoBGB/Basedow, 8. Aufl. 2019, § 306 Rn. 17 ff.

<sup>214</sup> შდრ. § 308 Nr. 1 BGB: Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 308 Rn. 4.

<sup>215</sup> შდრ. BGH NJW 2016, 1230.

<sup>216</sup> ერთიან კატალოგს ემხრობა ასევე, Vashakidze, Bericht S. 2, Chart S. 9 ff., Chart S. 5.

მეო ხელშეკრულებების მიმართ 347-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა (სკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიუხედავად)<sup>217</sup> აღარ იქნებოდა სადავო.

ამ არგუმენტაციის შედეგად, არ ვიზიარებ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ დებულებების კატალოგის ორ დანაწესად დაყოფას ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია.<sup>218</sup>

ამასთან, 347-ე მუხლის ა) ქვეპუნქტში ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული „შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ“ ვადაზე, რომელსაც შემთავაზებელი უწესებს საკუთარ თავს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ან იტოვებს მისი მოგვიანებით დაწესების უფლებას. **262**

შემთავაზებას, რომ 347-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტში წაიშალოს მეორადი მოთხოვნების შესრულებისთვის დაწესებული ვადების მიმართ არსებული შეზღუდვა,<sup>219</sup> არ ვემხრობი, რადგან პირველად შესრულებასთან დაკავშირებული ვადების მიმართ ისედაც უკვე მოქმედებს ა) ქვეპუნქტი. პირიქით, განმარტებულ უნდა იქნეს, რომ „ვადა“ 347-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის გაგებით დამატებით ვადას წარმოადგენს (კერძოდ, 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილის გაგებით), რომელსაც შემთავაზებელი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში თავისთვის აწესებს ან იტოვებს მისი მოგვიანებით დაწესების უფლებას. **263**

347-ე მუხლის დ) ქვეპუნქტს უნდ ეწოდოს „შესრულების ცვლილების დათქმა“. **264**

347-ე მუხლის ე) ქვეპუნქტში, სავარაუდოდ საქმე გვაქვს BGB-ს § 308-ის Nr. 7-ის არასწორ თარგმანთან, რომელიც ეხება საკომპენსაციო შესრულების დადგენას ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში.<sup>220</sup> რეკომენდებულია, რომ დებულება აღნიშნულთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი. **265**

ასევე სხვა, BGB-ს § 308-ში მოცემულ შეფასების შესაძლებლობის შემცველ აკრძალვის დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც 347-ე მუხლში არ იქნა გადმოღებული, კარგი იქნებოდა კიდევ ერთხელ დაფიქრება აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე. ამასთან BGB-ს § 308-ის Nr. 1a და 1b ციფრები შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც Nr. 1-ით გათვალისწინებული შესრულების ვადის დათქმის დაკონკრეტება ისე, რომ ამ თვალსაზრისით, ყველა შემთხვევაში იკვეთება შემონმებისა და მიღების ვადის განმარტების საჭიროება. **266**

BGB-ს § 308-ის Nr. 3-ის შესაბამისი გამონაკლისის არარსებობა გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებისთვის, არ მიმაჩნია პრობლემატურად, თუ ხელშეკრულებით მოთხოვნილია ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის მხოლოდ „საკმარისად“ წარმოდგენა, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებისას კრიტერიუმ „საკმარისი“-ს მიმართ შესაძლებელია დაყენებულ იქნეს შესაბამისად შემცირებული მოთხოვნები. **267**

რეკომენდებულია BGB-ს § 308-ის Nr. 5, Nr. 6 და Nr. 8-ის შესაბამისი დებულებები. **268**

უნდა განიმარტოს, რომ დათქმა მაშინაც შეიძლება იყოს საზიანო 346-ე მუხლის გენერალური დათქმის გაგებით, როდესაც იგი 347-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის დებულებების მოქმედების სფეროშია მოქცეული და ამ დებულების მასშტაბის მიხედვით შემონმებას გაუძლებს.<sup>221</sup> **269**

ჩემს მოსაზრებას, 348-ე მუხლის შესახებ, გაგაცნობთ მომხმარებელთა დაცვის საკითხის განხილვისას. **270**

<sup>217</sup> *Vashakidze*, Bericht S. 2, Chart S. 5 f.

<sup>218</sup> *Vashakidze*, Bericht S. 2, Chart S. 12.

<sup>219</sup> *Vashakidze*, Bericht S. 1, Chart S. 4.

<sup>220</sup> *Vashakidze*, Bericht S. 1 f., Chart S. 4 f.

<sup>221</sup> *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 16 Rn. 24.

d) მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 349-დან 351-მდე მუხლების მიხედვით

- 271 დებულებები მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესახებ (349-დან 351-მდე მუხლები), ჩემი აზრით, არ საჭიროებს დეტალურ გამოკვლევას. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით შესაძლებელია, რომ 349-ე და 351-ე მუხლებში მითითებული ზღვარი, შესაბამისად (362-ე მუხლის მიხედვით), შემდეგნაირად გამოიხატოს: „თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდან გამომდინარეობს“. ამისთვის 349-ე მუხლში არა მხოლოდ შესრულება, არამედ ასევე ვალდებულების ფარგლებში დასაბრუნებელი აქტივიც შეიძლება იყოს გადამწყვეტი და 351-ე მუხლიდან ვერ გამოვიტანე რაიმე დასკვნა, თუ სხვა რა იგულისხმება ფრაზაში „ვალდებულების არსიდან“.
- 272 შეიძლება განხილულ იქნეს დებულების დამატება შესაგებლის (Einwendungen und Einreden) წარდგენის შესახებ, რომელიც შეიძლება BGB-ს § 334-ის მსგავსად ჩამოყალიბდეს.
- 273 გარდა ამისა, შეიძლება განხილულ იქნეს ვალდებულების შესრულების გართულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების კოდიფიცირების საკითხი. BGB-ს § 328-სთან დაკავშირებით, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული უფლებები (განსაკუთრებით, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება) საეჭვოობისას, შეპირების მიმღებს ეკუთვნის. ამასთან ყურადსაღებია, რომ ხელშეუვალი უფლების (unentziehbares Recht) შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების გართულებიდან გამომდინარე უფლებები, რომლებიც ამ პოზიციას ანადგურებს, მხოლოდ მესამე პირის თანხმობით შეიძლება იქნეს რეალიზებული.<sup>222</sup>

e) ხელშეკრულებიდან გასვლა (Rücktritt) 352-დან 359-მდე მუხლების მიხედვით

- 274 352-დან 359-მდე მუხლები ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს, სკ-ის 405-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევისთვის. სამართლებრივი შედეგების მხრივ, მასში იგულისხმება სახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის გარდაქმნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებით ურთიერთობად, განხორციელებული შესრულებ(ებ)ის თვალსაზრისით.<sup>223</sup> ეს განასხვავებს ხელშეკრულებიდან გასვლას შეცილებისგან (Anfechtung), რომელიც ex tunc ძალით ხელშეკრულების ბათილობასა და უსაფუძვლო გამდიდრების სამართლით გათვალისწინებულ კომპენსაციას იწვევს<sup>224</sup>, რომელიც მიმართულია არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ, არამედ ჯერ კიდევ არსებული და უკვე სამართლებრივი საფუძვლის არმქონე გამდიდრების ამოღებისკენ. ამდენად, განმდიდრების (Entreicherung) რისკი სხვანაირად არის გადანაწილებული. ეს განასხვავებს ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლას ხელშეკრულების შეწყვეტისგან (Kündigung), რომელიც ex nunc (ამ მომენტიდან) მოქმედებს და რომელიც წარსულში განხორციელებულ შესრულებას ხელშეუხებლად ტოვებს<sup>225</sup> (399-ე მუხლის მე-4 აბზაცის განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამიტომ სწორად არის გაკეთებული მითითება ხელშეკრულებიდან გასვლის დებულებებზე). სწორად არის დაყენებული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ტერმინოლოგიურად მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ცნებები ხელშეკრულებიდან გასვლა (Rücktritt), ხელშეკრულების შეწყვეტა (Kündigung) (და ასევე გაუქმე-

<sup>222</sup> Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 51 Rn. 15 ff.; Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 328 Rn. 5 ff. Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 32 Rn. 16 f.

<sup>223</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 18 Rn. 2.

<sup>224</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 18 Rn. 3.

<sup>225</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 18 Rn. 5.

ბა (Widerruf), რომელსაც სამომხმარებლო სამართლის კონტექსტში დავუბრუნდები).<sup>226</sup> შესაძლებელია, რომ 359-ე მუხლს დაემატოს ხელშეკრულების შეწყვეტის ლეგალური დეფინიცია.

ფაქტობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით, სამივე ინსტიტუტი (ისევე, როგორც გაუქმება, მომხმარებელთა დაცვის სამართლის ნორმების შესაბამისად, რაზეც აქ არ არის ყურადღება გამახვილებული) წარმოადგენს აღმჭურველ უფლებას, ანუ ერთ ხელშემკვრელ მხარეს განსაკუთრებული საფუძვლის არსებობის გამო (ხელშეკრულებიდან გასვლის, შეცვილების ან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი) აქვს შესაძლებლობა, რომ მეორე ხელშემკვრელი მხარის მიმართ ცალმხრივი გარიგების გზით, სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე განაცხადით (Gestaltungserklärung), შეცვალოს სამართლებრივი ვითარება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

ამ ფუნდამენტურ გაგებას შეესაბამება 352-ე და შემდგომი მუხლები. ფაქტობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით, ისინი, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებიდან გასვლას ეხება, არამედ მათი გამოყენება ასევე გამართლებულია მაშინ, როდესაც ერთი ხელშემკვრელი მხარე ხელშეკრულებიდან გადის, რაც მას სხვა ადგილზე კანონით ან სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე (ხელშეკრულებიდან გასვლის დათქმა) ეკუთვნის.<sup>227</sup>

გარდა ამისა, შემიძლია მხოლოდ ზოგადად შემოგთავაზოთ გარკვეული მითითებები.

352-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტებული უნდა იქნეს, როგორც „ნატურით დაბრუნება“ (Rückgewähr in Natur). მე-3 ნაწილში შესაძლებელია განმარტებულ იქნეს, რომ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული სამაგიერო შესრულება იწვევს იმას, რომ იგი ღირებულების ანაზღაურების გაანგარიშებას უნდა დაედოს საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი კონტრაქტის მიერ თავისი მოვალეობების დარღვევის გამო უფლებამოსილი იყო გასულიყო ხელშეკრულებიდან.<sup>228</sup>

ვერ დავეთანხმები წინადადებას, რომ 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ უკან დაბრუნების მოვალეობას, არამედ მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ღირებულების ანაზღაურების მოვალეობასაც, ანუ ღირებულების ანაზღაურების მოვალეობების დარღვევის შემთხვევისთვის უნდა მიუთითებდეს ასევე 394-ე მუხლზე<sup>229</sup>. ვერ ვხვდები, როგორ უნდა მიიღოს სარგებელი ხელშეკრულებიდან გასვლის მეორე მხარემ ღირებულების ანაზღაურების მოვალეობის შეუსრულებლობის შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან; მან უნდა მოითხოვოს ღირებულების ანაზღაურება სასამართლო წესით. დაგვიანებით გამონვეული ზიანის დაფარვა შესაძლებელი იქნებოდა სკ-ის 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტის საშუალებით, როგორც კი ხელშეკრულებიდან გასვლის მეორე მხარე ღირებულების ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებით სკ-ის მე-400 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს.

353-ე მუხლის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც „სარგებლობის ანაზღაურება“, ხოლო 355-ე მუხლის სათაური - „ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება“.

### 3. შესრულების ვალდებულების შინაარსი

361-დან 393-მდე მუხლები სათაურით „ვალდებულების შესრულება“ ეხება ზოგად დებულებებს შესრულების ადგილისა და დროის შესახებ, სათანადო შემსრულებელს, სათანადო მიმღებს, ალტერნატიული შესრულების განსაზღვრას, ნაწილობრივი შესრულების საკითხსა და

<sup>226</sup> Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 17; Chanturia/Knieper, S. 3, 16 f.

<sup>227</sup> შდრ. Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 40 Rn. 1.

<sup>228</sup> შდრ. Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 40 16.

<sup>229</sup> Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 18 f.; Chanturia/Knieper, S. 17.

შესრულებაზე პასუხისმგებლობას. შემდეგ მოდის უფრო სპეციალური დებულებები ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ, ანუ სახეობის მიხედვით სპეციალური შესრულების საგნის შესახებ. ამასთან საუბარია (გარდა 387-ე და 388-ე მუხლებისა, რომლებიც დაფარვის რიგითობას ეხება) პრინციპში, არა მხოლოდ „შესრულებაზე“ სკ-ის 427-ე მუხლის გაგებით, ანუ ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტაზე ვალდებულების შესრულების გზით, არამედ ასევე იმის სწორად განსაზღვრაზე, თუ საერთოდ რისი მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს ვალდებულებითი ურთიერთობის ძალით. ტერმინოლოგიური თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, უმჯობესია, რომ კარის სათაური შეიცვალოს სათაურით „შესრულების ვალდებულების შინაარსი“ ან შესაბამისად „ფულადი შესრულების ვალდებულების შინაარსი“ (ამ ტერმინს მივანიჭებდი უპირატესობას „ფულად ვალდებულებებთან“ შედარებით) და 387-ე და 388-ე მუხლები სკ-ის 427-ე და შემდგომი მუხლების კონტექსტში განთავსდეს.

**281** იმავდროულად ისმის კითხვა, ხომ არ საჭიროებს ამ კარში ასეთ სპეციალურ დებულებას, ფულადი შესრულების მოვალეობის გარდა, სხვა შესაძლო შესრულების შემადგენლობები. ამასთან, პირველ რიგში, ვგულისხმობ დებულებებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც ამჟამად მე-4 კარშია განთავსებული. შეიძლებოდა მათი ამ კარისთვის დამატება მე-3 თავის სახით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გარდა ამისა, იცნობს შესრულების სხვა შემადგენლობებსაც, რომლებიც სპეციალურად არის დარეგულირებული, ასეთებია განუღი ხარჯების ანაზღაურება (BGB-ს §§ 256, 257), ნივთის თან ნალების უფლება (BGB-ს § 258) და სხვა (BGB-ს §§ 259, 260). შესაძლებელია, რომ ამ კარის მე-4 თავი მათ დაეთმოს.

**282** დებულებები კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების თაობაზე, პრინციპში, არასწორად არის განთავსებული თავში „ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი“. შეიძლებოდა მათი ცალკე კარის სახით განთავსება, მოვალეობების დარღვევის შესახებ ნესების შემდეგ.

*a) ზოგადი დებულებანი 361-დან 382-მდე მუხლების მიხედვით*

**283** 361-ე მუხლთან დაკავშირებით შემოთავაზებულია, რომ ნორმა თავიდან იქნეს ჩამოყალიბებული,<sup>230</sup> თუმცა ჩემთვის არ არის ნათელი, თუ რეგულირების რა პრობლემას ეხება აღნიშნული ინიციატივა. ასევე არ არის ჩემთვის ნათელი, თუ რა მიზანს ემსახურება მოსაზრება, რომ ვალდებულების შემსრულებელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, თუ რომელ ვალდებულებას ასრულებს იგი.<sup>231</sup>

*aa) შესრულების ადგილი*

**284** 362-ე და 363-ე მუხლებში მხოლოდ 362-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ხომ არ უნდა იყოს აქ „საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი (Sitz)“, იმისათვის, რომ მოიცვას ის იურიდიული პირებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი დანესებულება. შემდეგ, შეიძლებოდა დამატება, რომ საქმიანობის ადგილი (Betriebsort) არ არის გადამწყვეტი, როდესაც ვალდებულებითი ურთიერთობა სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით არ არის წარმოშობილი.<sup>232</sup> სხვა მხრივ, შეიძლება დამატებით, ვალდებულებითი ურთიერთობის დებულებებსა და ბუნებასთან ერთად, გადამწყვეტი იყოს „გარემოებები“.<sup>233</sup>

**285** ჩემი აზრით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ბოლოს, განმარტებულ უნდა იქნეს, რომ რისკის გაზრდის შემთხვევაში, მისი მატარებელი უნდა იყოს კრედიტორი.

<sup>230</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 17.

<sup>231</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 22.

<sup>232</sup> შდრ. Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 12 Rn. 15 f.

<sup>233</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 12 Rn. 15.

**bb) შესრულების დრო**

ეს ნორმები, ჩემი აზრით, არ არის პრობლემური. მხოლოდ, 365-ე მუხლი შეიძლება უფრო მკაფიოდ და 362-ე მუხლის შესაბამისად ჩამოყალიბდეს. ზღვრების საკითხს, შესრულების დროის შეთანხმებასთან დაკავშირებით, გადახდის ვადის გადაცილების შესახებ დირექტივის კონტექსტში, მომხმარებელთა დაცვის საკითხის განხილვისას შევხვები.

368-ე მუხლში უფრო ნათლად შეიძლება ჩამოყალიბდეს: როდესაც გარიგება გადადების პირობით იდება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება პირობის დადგომისთანავე. გადადების პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში შესრულების დროის საკითხი არ დგება.

**cc) სამომხმარებლო კრედიტი**

370-ე მუხლის დებულება სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, არ განეკუთვნება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხს. უმჯობესია, რომ სამომხმარებლო კრედიტის სამართლის განსაკუთრებული შედეგები სესხის სამართალთან კავშირში, ანუ, შესაბამისად, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში იქნეს დარეგულირებული. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, იქვე უნდა იყოს ნორმირებული, თუ რა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს დაფინანსების ხელშეკრულების გაუქმებას გავლენა მასთან დაკავშირებულ დაფინანსებულ გარიგებაზე და რა სამართლებრივი შედეგები შეუძლია დაუპირისპიროს დაფინანსებული გარიგებიდან (გაუქმება, ვალდებულების შესრულების გართულება) მომხმარებელმა გამსესხებელს.<sup>234</sup>

**dd) შემსრულებელი და შესრულების მიმღები**

371-ე მუხლთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამ ნორმაშიც 362-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება იქნეს ფორმულირებული: „თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს“.

373-ე მუხლის 1-ელი ნაწილი უნდა მოიცავდეს კრედიტორის მიერ წინასწარი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას. გამართლებულია, რომ კანონის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარდა, ვალის დაფარვის ეფექტის გამონვევა შეუძლია მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ კრედიტორის მოწონებას (ანუ რომელიც მესამე პირის მიერ შესრულების საგნის მიღების შემდეგ ხორციელდება) ან წინასწარ თანხმობას. საეჭვოა, რომ მეორე ნაწილი მხოლოდ მოწონებას მოიცავდეს. ეს თუ ასეა, მაშინ 1-ელ ნაწილს უნდა დაემატოს კრედიტორის მხრიდან უფლებამოსილების წინასწარ მინიჭების შესაძლებლობა.<sup>235</sup>

**ee) ალტერნატიული შესრულებები**

374-ე მუხლში კიდევ ერთხელ უნდა იქნეს ფორმულირებული „თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს“.

სკ-ის 375-ე მუხლი არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ ორი შესრულების შემთხვევით.

<sup>234</sup> Meller-Hannich, S. 16 f.; Chanturia/Knieper, S. 8.

<sup>235</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 12 Rn. 8.

*ff) ნაწილობრივი შესრულება, პასუხისმგებლობა შესრულებაზე*

**293** 378-დან 382-მდე მუხლებიც, ჩემი აზრით, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში საჭიროებს გარკვეულ განხილვას.

**294** 378-ე მუხლი ასევე უნდა მოიცავდეს (ხელშეკრულებით ან კანონით) განსაზღვრული ან ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარე ნაწილობრივი შესრულების შემთხვევას.

**295** 379-ე მუხლში უფრო ღიად უნდა იქნეს ფორმულირებული: „მიიღოს სხვა შესრულება, გარდა ვალდებულებით გათვალისწინებულისა“, ვინაიდან შესრულების პროგრამა ყოველთვის არ გამომდინარეობს უშუალოდ ხელშეკრულებიდან. ჩემთვის ბოლომდე გასაგები არ არის, რომელი განსაკუთრებული შემთხვევის რეგულირებას ისახავს მიზნად მე-2 წინადადება: თუ აქ იგულისხმება, რომ კრედიტორი მაშინაც არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, როდესაც იგი ვალდებულებით გათვალისწინებულის ღირებულებას აღემატება, მაშინ საუბარი უნდა იყოს „შეთავაზებულ“ შესრულებაზე. თუ საუბარია იმ შემთხვევაზე, რომ მოვალე, მაშინაც ვალდებულია ზუსტად შეასრულოს ვალდებულება, როდესაც ის მაღალი ღირებულების მქონეა, მაშინ უნდა იყოს „ვალდებულებით გათვალისწინებული“. თუ იგულისხმება ორივე შემთხვევა, მაშინ შეიძლება განმარტებულ იქნეს, რომ ნორმის 1-ელი წინადადება გამოყენებულ უნდა იქნეს მიუხედავად შესრულების საგნებს შორის არსებული ღირებულებითი დამოკიდებულებისა.

**296** 381-ე მუხლი უფრო ნათლად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფრაზით: „თუ ვალდებულების საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი“ და, შესაბამისად, 382-ე მუხლი - ფრაზით: „თუ ვალდებულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება“. ჩემთვის გაუგებარია, თუ რა თვალსაზრისით სცდება 381-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი 379-ე მუხლისას. ფორმულირება „თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე“, საჭიროების შემთხვევაში, მისადაგებულ უნდა იქნეს 379-ე მუხლის ფორმულირებასთან.

382-მუხლის სამართლებრივი შედეგი ასახავს შესყიდვის (მოვნის) მოვალეობას, რომლის შესრულებაც მოვალემ გარანტიის დონეზე უნდა უზრუნველყოს. ეს ფორმულირებაში: „ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს“ ამ თვალსაზრისით არ ჩანს, ვინაიდან გარანტიით გათვალისწინებული პასუხისმგებლობაც არ არის შეუზღუდავი. უფრო ზუსტად ნათქვამი იქნებოდა, რომ მოვალემ შესყიდვის დაბრკოლების დაძლევისთვის მაშინაც უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, როდესაც მას აღნიშნულში ბრალი არ მიუძღვის. თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას იმიტომ, რომ სხვა რისკების რეალიზება მოხდა (მაგალითად, მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას იმიტომ, რომ საგნო უბედური შემთხვევის გამო კომპი იმყოფება), მაშინ გვაროვნული ნივთის შესახებ ვალდებულების არსებობა არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მასშტაბისთვის.<sup>236</sup>

**297** შეიძლება განხილულ იქნეს ნორმისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესაძლებლობის საკითხი, რომელიც BGB-ს § 243-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად მოვალის პასუხისმგებლობას ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნით ზღუდავს, როდესაც მოვალემ შესრულებისთვის აუცილებელი ყველა ღონე იხმარა.

*b) ფულადი ვალდებულების შესრულების შინაარსი 383-დან 389-მდე მუხლების მიხედვით*

**298**

<sup>236</sup> შდრ. Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 20 Rn. 46 ff.

ამის შემდეგ, 383-ე, 385-ე, 386-ე, 389-ე მუხლები, ფულადი შესრულებისკენ მიმართული ვალდებულებით, ეხება მოთხოვნის შინაარსის სპეციალურ შემთხვევას და ამიტომ ითვალისწინებს შინაარსობრივი რეგულირების განსაკუთრებულ დებულებებს.

ამასთან, ჩემთვის გაუგებარია 385-ე მუხლის რეგულირების შინაარსი. თუ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ არსებობს, არ არის სასურველი ისეთი თავისთავად ცხადი ფაქტის სპეციალურად ნორმირება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლება არსებობს „ასეთის არსებობის შემთხვევაში“. თუ აქ საუბარია (შინაარსობრივად მნიშვნელოვან) სამართლებრივ შედეგზე მითითებაზე, მაშინ ჩემთვის ასეთის საფუძველი არ არის ნათელი. **299**

386-მუხლის 1-ელი ნაწილი, 362-ე მუხლის პრინციპზე დაყრდნობით წინაპირობად უნდა ადგენდეს, რომ „სხვა რამ არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს“. გადამწყვეტი უნდა იყოს ტერმინოლოგიურად უფრო ნათლად, კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი. აქაც, საჭიროების შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მუდმივ დანესებულებას. **300**

ჩემთვის გაუგებარია ამ ნორმის მე-2 ნაწილის დოგმატური კლასიფიკაცია. მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, შემდგომ მოთხოვნას არ უნდა მიექცეს ყურადღება. ამიტომ სწორი ფორმულირება იქნებოდა: „ამის წინააღმდეგი იყო“. **301**

შემოთავაზებულია, თუ სწორად აღვიქვამ, რომ შემოღებულ იქნეს დებულება კანონით გათვალისწინებული (დასაშვები უმაღლესი) საპროცენტო განაკვეთის თაობაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება ეროვნული ბანკის რეგულაციებზე.<sup>237</sup> ის შეიძლება ასევე მოიცავდეს სკ-ის 403-ე მუხლით გათვალისწინებულ საპროცენტო განაკვეთს ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის და ყოველ შემთხვევაში, გამოიყენებოდეს მაშინ, როდესაც მხარეთა მიერ საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული არ არის.<sup>238</sup> ეს გონივრულად მიმაჩნია. აღნიშნულის შესაბამისი დებულებები მოცემულია BGB-ს §§ 246-248-ში. **302**

389-ე მუხლთან დაკავშირებით შემოთავაზებულია, რომ ეს დებულება თავიდან იქნეს ფორმულირებული ისე, რომ მოვალე ვალდებული იყოს, დაფაროს ფულადი ვალდებულება მისი დაფარვისას მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.<sup>239</sup> აღნიშნული შესაბამისობაში იქნებოდა BGB-ს § 244-ის მე-2 აბზაცთან. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, 389-ე მუხლის მე-2 წინადადება შეიძლება ამოღებულ იქნას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სურვილი, რომ ვალუტის შეცვლის შემთხვევაში მოგვიანებით კურსის ცვლილების რისკი ჩვეულებრივი წესისგან განსხვავებულად იქნეს გადანაწილებული. **303**

### c) ზიანის ანაზღაურება სკ-ის 408-ე-415-ე მუხლების მიხედვით

სკ-ის 408-ე-415-ე მუხლების დებულებები ადგენენ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის ფარგლებს. ამიტომ, ჩემი აზრით, სისტემური თვალსაზრისით სწორი იქნებოდა ამ ნორმების იმ კარში მოთავსება, რომელიც ეხება შესრულების მოვალეობის შინაარსს. შინაარსობრივი თვალსაზრისით, იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც არსებითად BGB-ს §§ 249 და შემდგომ პარაგრაფებს შეესაბამება, ბევრი არაფერია სათქმელი: **304**

ჩემთვის ბუნდოვანია სკ-ის 410-ე მუხლში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმისთვის დადგენილი ფარგლების დანიშნულება. კერძოდ, 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამო ის ველარ გავრცელდება განზრახვი ქმედებით გამონეული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებზე (რაც უნდა განიმარტოს). ასევე ბუნდოვანია საკითხი, ამჟამინდელ რედაქციაში წინასწარ უარის თქმა კანონით უნდა იყოს დაშვებული და ასეთის შემთხვევაში, ის მაშინ **305**

<sup>237</sup> Chanturia/Knieper, S. 17, 22, 30 f. und 37.

<sup>238</sup> Chanturia/Knieper, S. 12, 22.

<sup>239</sup> Chanturia/Knieper, S. 22.



მხარეთა შეთანხმებით განხორციელდება თუ არა, თუ ეს ასევე მხოლოდ მხარეთა შეთანხმებითაც უნდა იყოს შესაძლებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ამ მითითებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ განმარტებითი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან კერძოავტონომიური კონსტრუქციის შეზღუდვა კანონის იმპერატიული დებულებების საშუალებით თავად ნორმიდან ისედაც გამომდინარეობს, როდესაც ის კერძო ავტონომიაზე დაფუძნებულ შეთანხმებას გამოირიცხავს.

**306** თუ სკ-ის 408-ე და შემდგომი მუხლები მხოლოდ 394-ე მუხლით გადასახდელ ზიანის ანაზღაურებას არ უნდა შეეხოს, მაშინ სკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავალი უნდა უკავშირდებოდეს არა ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებას, არამედ ურთიერთობების ჩვეულებრივ განვითარებას ზიანის ანაზღაურების მოვალეობის გამომწვევი ქმედების არარსებობის დროს.<sup>240</sup>

**307** სკ-ის 414-ე მუხლის სახელწოდება შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც „ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად“.

**308** სკ-ის 415-ე მუხლი ისე შეიძლება იქნეს გაგებული, თითქოს ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის წინაპირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის უფრო მეტი ბრალის არსებობა - დაზარალებულის საკუთარი ბრალი გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას, როდესაც საკუთარი ბრალი ზიანის მიმყენებლის ბრალზე უფრო მეტია.<sup>241</sup> ფორმულირება „და ... მოცულობა“, ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა. შეიძლება განმარტებულ იქნეს რეგულირების მიზანი, რომ როგორც თავად დაზარალებულის უფრო მეტი ბრალეულობის, ასევე უფრო მეტი ან თანაბარი ბრალეულობის შემთხვევისთვის დასაფარი ზიანის ანაზღაურების მოცულობა ბრალის შესაბამისად უნდა იქნეს განსაზღვრული, რისთვისაც, ნაცვლად ფრაზისა „უფრო მეტად“, გამოყენებულ უნდა იქნეს სიტყვა „რამდენად“.

**309** განხილულ შეიძლება იქნეს, ხომ არ უნდა დაემატოს კიდევ ერთი დებულება მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ ნორმებს, რომლებიც კრედიტორთან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას შეეხება. დაზარალებულის ქონებაში წარმოშობილი ზიანი ზიანის მიმყენებელმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აანაზღაუროს, თუ დაზარალებულს ამისთვის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (*Anspruchsgrundlage*) გააჩნია. მესამე პირების ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომლებსაც ზიანის მიმყენებლის მიმართ პირადად მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ, როგორც წესი, არ ანაზღაურდება. არსებობს გამონაკლისები ამ პრინციპიდან. კერძოდ, როდესაც მიყენებული ზიანის მესამე პირზე გადასვლა შემთხვევით მომხდარად უნდა იქნეს მიჩნეული, ანუ როდესაც ზიანის მიმყენებელს ზიანის გადასვლიდან არავითარი სარგებელი არ ეკუთვნის. ამ შემთხვევაში არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა წარმოადგენდეს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლის ვალდებულებას. შედეგად, ზიანის ანაზღაურების შესრულებით არა კრედიტორმა, არამედ მესამე პირმა უნდა ისარგებლოს, რომლის ქონებასაც მიაღდა ზიანი.<sup>242</sup> ამიტომ, საკითხი, თუ რა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება ზიანის ანაზღაურების შესრულება მესამე პირის ქონებაში, განისაზღვრება მესამე პირსა და კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით და ამიტომ არ შეიძლება წარმოადგენდეს ზოგადი რეგულირების საგანს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირს შეუძლია განახორციელოს კრედიტორის მოთხოვნის უფლება, თუ ეს მოთხოვნა მიმართულია ამ მესამე პირთან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისკენ. ამ შემთხვევაში მესამე პირის თანაბრალეულობამ ზიანის მიმყენებელი ისევე უნდა გაათავისუფლოს, როგორც კრედიტორის თანაბრალეულობამ.

<sup>240</sup> შდრ. BeckOK BGB/Flume, 48. Ed., § 252 Rn. 11.  
<sup>241</sup> Vashakidze, Bericht S. 4, Chart S. 27 f.; Chanturia/Knieper, S. 17 f.  
<sup>242</sup> Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 29 Rn. 14 f.

#### 4. ვალდებულების დარღვევა

310

394-ე-407-ე მუხლები ადგენენ ვალდებულების შესრულების გართულების სამართლის ძირითად წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც მოჰყვება ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების სრულ, რაოდენობრივ ან ხარისხობრივ განუხორციელებლობას ან ვადის გადაცილებას და გარიგების საფუძვლის ცვლილებას. მოსამზადებელ მასალებშიც ეს დებულებები კრიტიკულად არის შეფასებული.<sup>243</sup> ზოგადად, ვფიქრობ, რომ აღნიშნული გამართლებული არაა. დისპოზიციურ წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს შორის არსებული სისტემატიკური ურთიერთკავშირების მრავალგანზომილებიანობის გამო, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია აუცილებლად, რომ ვალდებულების შესრულების გართულების სამართლის სტრუქტურას საფუძვლად დაედოს ზოგადი (ყოველსიმომცველი) კლასიფიკაციის კრიტერიუმი, ვინაიდან, ყველა სხვა პერსპექტივიდან ასეთი სტრუქტურა სისტემატიკურად არათანმიმდევრული და ზედმეტი იქნებოდა. ამიტომ, ვერანაირ უპირატესობას ვერ ვხედავ ვალდებულებით ურთიერთობაში დარღვევის ცნების (ვალდებულების შესრულების გართულება) ანალიზის საფუძველზე სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. პირიქით, გადამწყვეტი უნდა იყოს, თუ რამდენად ნათლად განმარტავს გამოყენებული ტერმინოლოგია და შესაბამის შინაარსობრივ კავშირში შერჩეული სისტემატიკა ვალდებულების შესრულების გართულების სამართლის ნორმატიულ შინაარსს.<sup>244</sup>

ამ თვალსაზრისით, უნდა დავეთანხმოთ, რომ ზოგადი ცნება „ვალდებულების დარღვევა“ განსხვავებულად შეიძლება იქნეს აღქმული. თუ მას ასევე მივაკუთვნებთ გარიგების საფუძვლის ცვლილებას (398-ე მუხლი) და უარს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე (399-ე მუხლი), მაშინ ყოველ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველსიმომცველი კლასიფიკაციის კრიტერიუმი არ მდგომარეობს, ჰიპოთეტურად, მოვალის მიზეზით სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაში, არამედ (თავდაპირველად) კანონის ან ხელშეკრულების ძალით გათვალისწინებულიდან შესრულებულის ობიექტურ გადახრაში.<sup>245</sup> ამიტომ, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ვალდებულებით ურთიერთობაში ვალდებულების შესრულების გართულების შეძლებისდაგვარად ფართო გაგება, რომელიც ასევე მოიცავს 399-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას, შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით.<sup>246</sup>

შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის ცნება, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას უკავშირებს - გარდა შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის - უფრო ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული, ვიდრე ვალდებულების დარღვევის ცნება კარის სათაურის გაგებით.

კარის საფუძვლად არსებული შემდგომი სტრუქტურა განასხვავებს ზოგად დებულებებს მოვალის მიერ ვადის გადაცილებისა და ორმხრივი ხელშეკრულებისთვის არსებული სპეციალური წესებისგან. სტრუქტურულად დაყოფის პრინციპს ამით, ერთი მხრივ, წარმოადგენს განსაკუთრებული გამოყენების სფერო, რომლისთვისაც მოქმედებს სპეციალური წესები, რომლებიც ავსებს ზოგად დებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, განსაკუთრებული ფაქტობრივი შემად-

<sup>243</sup> *Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 19 ff.; Chanturia/Knieper, S. 17.*

<sup>244</sup> შდრ. ვალდებულების შესრულების გართულების გერმანული სამართლის სტრუქტურის შესახებ („შერეული სისტემა“) *Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 20 Rn. 19 ff.*

<sup>245</sup> *Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, vor § 20 Rn. 1.*

<sup>246</sup> BGB-ს § 314-ის ამ განმარტების შესახებ იხ. *Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 17 Rn. 19.*

გენლობა, რომელსაც დამატებითი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. ასეთი სტრუქტურული დაყოფა მიმართულია კონსტრუქციულად და დამაჯერებლად.

a) ზოგადი დებულებანი

**311** საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხილული ვალდებულების დარღვევები წარმოადგენს, ერთი მხრივ, „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას“, მეორე მხრივ, გარიგების საფუძვლის ცვლილებას ან, შესაბამისად, გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმისთვის მნიშვნელოვანი მიზეზის დადგომას. აღნიშნულს ემატება მოვალის მიერ ვადის გადაცილება, როგორც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა, რომელიც ცალკე არის ნორმირებული. ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება და ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულებიდან გასვლა. გარიგების საფუძვლის ცვლილების სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება ან, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების შეწყვეტა. მოვალის დასაცავად, ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დიფერენცირებულია, როდესაც ვალდებულების დარღვევა შეუსრულებლობაში მდგომარეობს:

- კრედიტორს აქვს (მხოლოდ იმის) უფლება, რომ მოითხოვოს ვადის გადაცილების (*Verzug*) შედეგად (არა უბრალოდ: დაგვიანების შედეგად) წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ე.ი. ვადის გადაცილების არსებობის გარეშე დაგვიანებაზე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს. აღნიშნული გამომდინარეობს სკ-ის 404-ე მუხლიდან, რომელსაც, როგორც სპეციალურ ნორმას (*lex specialis*), უპირატესი ძალა გააჩნია 394-ე მუხლის მიმართ.
- კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, მხოლოდ ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი დროის დანიშვნის შემდეგ, ანუ მოვალეს აქვს შესაძლებლობა, რომ დამატებითი ვადის ფარგლებში სანქციის გარეშე (გარდა ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისა) გამოასწოროს დარღვეული ვალდებულება.
- შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში კრედიტორსაც მხოლოდ შესრულებისთვის აუცილებელი ვადის დანიშვნის შემდეგ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ისე, რომ მოვალის მოთხოვნის უფლება საპასუხო შესრულებაზე შენარჩუნებულია, თუ იგი მისთვის დანიშნული ვადის ფარგლებში დარღვეულ ვალდებულებას გამოასწორებს.
- თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში უქმდება ძირითადი შესრულების მოვალეობა, მაშინ საპასუხო შესრულებაზე მოთხოვნის უფლება მხოლოდ გამონაკლისის სახით ნარჩუნდება (სკ-ის 406-ე მუხლი).

**312** ეს დოგმატური ფუნდამენტური გაგება შეესაბამება ვალდებულების შესრულების გართულების როგორც ევროპული სახელმწიფოებო სამართლის, ისე გერმანული სამართლის გაგებას. შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგის სახით შეიძლება ასევე განხილულ იქნეს ბრალეულობისგან დამოუკიდებელი სუროგატის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების გათვალისწინება BGB-ს § 285-ის პირველი აბზაცის შესაბამისად. თუ კრედიტორი გამოთხოვნის თაობაზე ამ მოთხოვნის უფლებას განახორციელებს ზიანის ანაზღაურების უფლებასთან ერთად, გასათვალისწინებელი იქნება, რომ BGB-ს § 285-ის მე-2 აბზაცის შესაბამისად ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა შემცირდება. სისტემატიკის თვალსაზრისით, მიმართულია, რომ ამ წესს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან კავშირში უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

- ამასთან, დისპოზიციური წინაპირობა სუროგატის მოთხოვნის უფლებისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სკ-ის 406-ე მუხლით გათვალისწინებული საპასუხო შესრულების მოვალეობისგან გათავისუფლება. ამდენად იკვეთება ზოგად დებულებებში წინაპირობების ერთი ყოვლისმომცველი წესის ჩამოყალიბების საჭიროება, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულება BGB-ს § 275-ის შესაბამისად გამორიცხულია. BGB-ს § 275-ის მე-4 აბზაცისგან განსხვავებით, კრედიტორის უფლებების ჩამოთვლა ზედმეტად მიმარტია; განსამარტი იქნება მხოლოდ, რომ შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლება არ გამორიცხავს კრედიტორის სხვა მოთხოვნებსა და აღმჭურველ უფლებებს.
- მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ზოგადი შედეგის სახით 394-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებას. BGB-ს § 280-ის 1-ელი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნის უფლება არ არსებობს, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის.
- როგორც წესი, ვალდებულების ნებისმიერ დარღვევას, რომლისთვისაც მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა, შედეგად მოჰყვება მეორადი ვალდებულება, ადექვატურად კაუზალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ეს ფუნდამენტური პრინციპი მოდიფიცირებულ უნდა იქნეს სამი თვალსაზრისით: (1) თუ ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე ვალდებულებას არ ან ხელშეკრულების შესაბამისად არ ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის გათავისუფლებული შესრულების ვალდებულებისგან შეუძლებლობის გამო, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულების ინტერესის ანაზღაურება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან მოვალეს ვალდებულების შესრულებისთვის გონივრული დრო დაუნიშნა. (2) თუ ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე (ხელშეკრულების შესაბამისად) დროულად არ ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს შეუძლია არა შეფერხების, არამედ მხოლოდ მოვალის მიერ ვადის გადაცილებაზე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. (3) თუ ვალდებულების დარღვევა გარკვეული ხელშეკრულების შემთხვევაში, მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებისას არსებული დაბრკოლების გამო არ ასრულებს ვალდებულებას, რისი შესრულებაც მას, ბუნებრივად, არასდროს ევალეობოდა, მაშინ მოვალის პასუხისმგებლობისთვის გადამწყვეტია არა ის ფაქტი, ეკისრება თუ არა (შეერაცხება თუ არა) მოვალეს პასუხისმგებლობა შესრულების დაბრკოლებისთვის, არამედ იცოდა თუ არა ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას შესრულების დაბრკოლების არსებობის შესახებ. აღნიშნულის მიხედვით, იკვეთება 394-ე მუხლის მცირედით მოდიფიცირების საჭიროება.
- მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისთვის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამჟამინდელი რედაქცია ითვალისწინებს შესრულებისთვის აუცილებელი ვადის დანიშვნის შემდეგ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია სკ-ის 404-ე მუხლის მიხედვით. და პირიქით, აქედან გამომდინარეობს, რომ ზიანი, რომელიც უბრალო შეყოვნებას წარმოადგენს ისე, რომ მოვალის მიერ ვადის გადაცილების სპეციალური წინაპირობები დაკმაყოფილებული არ არის, არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების შესახებ დებულებების შემდეგ განმარტებულ იქნეს, რომ 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენება შეფერხების შედეგად გამონვეული ზიანის მიმართ გამორიცხულია და რომ ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა პოზიტიურად, მაგრამ უკვე მხოლოდ შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში სკ-ის 404-ე მუხლიდან გამომდინარეობს.
- ძირითადი იდეა, რომ მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ სკ-ის 404-ე მუხლის მიხედვით და, სხვა მხრივ, მხოლოდ შესრულებისთვის აუცილებელი ვადის დანიშვნა შეუძლია, აუცილებლად უნდა იქნეს განზოგადებული. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ 394-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული

მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა (ანუ განსაკუთრებით: წინასწარი გაფრთხილება) აყვანილ იქნეს იურიდიული ძალის მქონე ვადის დანიშვნისთვის წინაპირობის,<sup>247</sup> აგრეთვე 394-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების გამოყენების სფეროების გამიჯვნის კრიტერიუმის რანგში. პირიქით, 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვის წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს „შეუსრულებლობა“. თუ საჭიროდ იქნება მიჩნეული, შესაძლებელია დაკონკრეტდეს, რომ ვადა ჩვეულებრივ მაშინ არის გონივრული, როდესაც მოვალე უკანასკნელ შანსს იძლევა დაწყებული შესრულების დასასრულებლად.<sup>248</sup> ასევე შეიძლება კანონში გაინეროს, რომ გონივრული ვადის დენა იწყება, როდესაც კრედიტორი ძალიან მოკლე ვადას ადგენს.

**317** საფუძვლებს, რომლებისთვისაც ვადის დანიშვნა აუცილებელი არ არის, იმავდროულად შედეგად მოჰყვება ის, რომ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში, რომლებშიც ასევე სახეზეა „შეუსრულებლობა“, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება ნაცვლად შესრულებისა ისე, რომ არ არის საჭირო დამატებითი ვადის დანიშვნა, ვინაიდან მას არავითარი აზრი არ აქვს. ხელშეკრულებიდან გასვლისთვის მსგავსი მიზეზები, რომელთა გამოც არ არსებობს დამატებითი ვადის დანიშვნის საჭიროება, ოდნავ განსხვავებულად და უფრო კონკრეტულად ფორმულირებულია სკ-ის 405-ე მუხლში. აღნიშნული შეესაბამება BGB-ს §§ 281-ის მე-2 აბზაცს, 323-ის მე-2 აბზაცსა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივის (VerbrRRL)<sup>249</sup> მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის 1-ელი წინადადების დანერგვაზე დაფუძნებულ შეფასებას, დაგვიანების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის დასაშვებობის თაობაზე, როდესაც დაკმაყოფილებულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აუცილებლად შესაძლებელი არ არის. ეს შეფასება დამაჯერებელია, თუმცა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.<sup>250</sup> თუ ისეთი გარიგების გამარტივებული წინაპირობების შემთხვევისთვისაც, რომელიც დათქმულ დროს უნდა შესრულდეს (Fixgeschäft), გადანყდება, რომ გამოყენებულ იქნეს დაუყოვნებლივი ზიანის ანაზღაურება ნაცვლად შესრულებისა, მაშინ 394-ე მუხლის მე-3 ნაწილში დასახელებულ უნდა იქნეს კატალოგი, რომელზეც არის მითითება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილში. სხვა შემთხვევაში, საჭირო გახდება სკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული კატალოგის მისადაგება 394-ე მუხლის მე-3 აბზაცთან. ყოველ შემთხვევაში, ეს კატალოგი მხოლოდ ვადის დანიშვნას უნდა ეხებოდეს, გაფრთხილების არასავალდებულოობა ცალკე ნორმირებას არ საჭიროებს, როდესაც გაფრთხილება ვადის დანიშვნის ნაცვლად არის მოთხოვნილი. ბ) ქვეპუნქტის რედაქცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივის (VerbrRRL) მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის 1-ელ წინადადებასთან უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი (შდრ. BGB-ს § 323-ის მე-2 აბზაცის Nr. 2). თარიღსა (Termin) და ვადას (Frist) შორის დიფერენცირების საჭიროებას ვერ ვხედავ. ხელშეკრულებით დადგენილთან ერთად გადამწყვეტია ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებები. ამასთან, კრედიტორის შეტყობინება ხელშეკრულების დადებისას, არ საჭიროებს ხაზგასმას. გ) ქვეპუნქტი უფრო ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული და აქცენტს უნდა აკეთებდეს „გამამართლებელ გარემოებებზე“ და არა საფუძვლებზე, რომლებიც ამართლებს გასვლას.

**318** რა თქმა უნდა, შეუსრულებლობა არ წარმოადგენს ერთდერთ შემთხვევას, როდესაც შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება გამართლებულია. თუ დამატებითი ვალდებულების და-

<sup>247</sup> *Vashakidze*, Bericht S. 3, Chart S. 23 f.; *Chanturia/Knieper*, S. 17.

<sup>248</sup> BGH NJW 1985, 320, 323.

<sup>249</sup> Richtlinie 2011/83/EU des Europäischen Parlaments und des Rates vom 25. Oktober 2011 über die Rechte der Verbraucher, zur Abänderung der Richtlinie 93/13/EWG des Rates und der Richtlinie 1999/44/EG des Europäischen Parlaments und des Rates sowie zur Aufhebung der Richtlinie 85/577/EWG des Rates und der Richtlinie 97/7/EG des Europäischen Parlaments und des Rates, ABl. L 304 v. 22.11.2011, S. 64.

<sup>250</sup> შდრ. *Vashakidze*, Bericht S. 3, Chart S. 21 f.

რღვევა იწვევს იმას, რომ კრედიტორისთვის მოვალის მიერ განხორციელებული ძირითადი შესრულება აღარ არის მისაღები, ვინაიდან ის თავისი მთლიანობის ინტერესის დარღვევის საფრთხის წინაშე დგას ან რადგან მოვალის შესრულების უნარისა და სურვილის მიმართ ნდობას საფუძველი გამოეცალა, მაშინ კრედიტორს უნდა შეეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ეს ზიანის ანაზღაურება უნდა მოიცავდეს შესრულების ინტერესს. აღნიშნულისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს 394-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამჟამინდელ რედაქციაში სამართლებრივი შედეგის საბოლოო სპეციალური წესი „შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება“. ამიტომ რეკომენდებულია, რომ 394-ე მუხლის მე-6 ნაწილის შემდეგ დამატოს BGB-ს § 282-ის შესაბამისი დებულება.

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის საფუძველებში განმარტებულ უნდა იქნეს, რომ არც ეს მოთხოვნა არ არსებობს, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის. სკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დაგვიანებით გამონეული ზიანის (*Verzögerungsschaden*) ანაზღაურებისთვის ასეთი წესის საჭიროება არ არსებობს, რადგან შესრულების ვადის გადაცილების საკითხი არ დგება, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისთვის (სკ-ის 401-ე მუხლი). ეს კრიტერიუმი შეუსრულებლობის შემთხვევისთვის უფრო ზუსტია, რადგან ამით გათვალისწინებულია დაგვიანებაში არსებული ვალდებულების დარღვევის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. არც ის წესი არ საჭიროებს დაკონკრეტებას, რომელიც ზღუდავს დამატებითი ვალდებულების დარღვევისთვის შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, რადგან მოთხოვნის ეს უფლება პოზიტიურად მხოლოდ ამ ნორმისა და 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის ერთობლიობიდან გამომდინარეობს, რომელიც შეიცავს დებულებას მოვალის ბრალეულობის არსებობის საჭიროების თაობაზე (*das Vertretenmüssen*).

სკ-ის 405-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები (გაფრთხილება, დამატებითი ვადის დანიშვნის ნაცვლად), მე-3 ნაწილის ა) ქვეპუნქტი (ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვა ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევისთვის; ეს ჯგუფი არაჯეროვანი შესრულებით უნდა შეიზღუდოს) და მე-4 აბზაცის დებულებები (ხელშეკრულებაზე უარი შესრულების ვადის დადგომამდე, რომელიც BGB-ს § 323-ის მე-4 აბზაცით არის გათვალისწინებული და რომელიც ასევე ანალოგიით გამოიყენება BGB-ს §281-ის მიმართ<sup>251</sup>) 394-ე მუხლში უნდა იყოს წარმოდგენილი. ამით გათვალისწინებულია ის მოთხოვნაც, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევისთვის გამორიცხული უნდა იყოს.<sup>252</sup>

იმ შემთხვევებში, როდესაც კრედიტორს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, ზოგჯერ ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა იქნეს თანხობრივად გაანგარიშებული კრედიტორის შესრულების ინტერესი, რომელიც ცდება დაზოგილ საპასუხო შესრულებას. ამ თვალსაზრისით, რენტაბელობის (მომგებიანობის) ვარაუდი იძლევა შესაბამისად იმ ხარჯების ანაზღაურების უფლებას, რომლებიც კრედიტორმა შესრულების მიღების იმედით განია და რისი უფლებაც მას სამართლიანად ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიზანი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის გარეშეც ვერ იქნებოდა მიღწეული.<sup>253</sup> 394-ე მუხლის შემდეგ შეიძლება დამატებულ იქნეს BGB-ს 284-ე მუხლის შესაბამისი წესი.

395-ე მუხლის დებულება, პასუხისმგებლობის მასშტაბის თაობაზე, ეხება მოვალის პასუხისმგებლობას ზოგადად, და არა მხოლოდ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, საკითხს. ეს სათაურშიც („მოვალის პასუხისმგებლობა“) უნდა აისახოს. „არსის“ ნაცვლად, აქ მითითება უნდა გაკეთდეს „ვალდებულების ბუნებასა“ და „გარემოებებზე“.

<sup>251</sup> Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 281 Rn. 8a.

<sup>252</sup> Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 22.

<sup>253</sup> Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 284 Rn. 1.

- 323** შესაძლოა მსჯელობა, ხომ არ უნდა იყოს სკ-ის მე-12 მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული ქმედუნარიანობის ნაცვლად, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოყენებული ფაქტობრივი შერაცხადობა, სკ-ის 994-დან 996-მდე მუხლების გაგებით, და ხომ არ უნდა დაემატოს 395-ე მუხლს BGB-ს § 276-ის 1-ელი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისი წესი.
- 324** ასევე შეიძლება დამატებულ იქნეს BGB-ს § 277-ის შესაბამისი წესი, რომელიც განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვა საკუთარი საქმიანობის სფეროში გამოჩენილი შესაბამისი წინდახედულობისას არ გამორიცხავს უხეში გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობას.
- 325** 396-ე მუხლი უფრო ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, როგორც „ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ქმედებებისთვის“.
- 326** 397-ე მუხლში არსებული ზღვარი, მიღებული ფორმულირების შესაბამისად, შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „თუ სხვა რამ განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს“.

*b) გარიგების საფუძვლის ცვლილება (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი) 398-ე, 399-ე მუხლების მიხედვით*

- 327** 398-ე და 399-ე მუხლებში კოდიფიცირებულია, BGB-ს §§ 313, 314-თან მჭიდრო შესაბამისობაში, გარიგების საფუძვლის ცვლილება. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რის გამოხატვას ცდილობს კანონმდებელი 398-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადებაში ფრაზით, „წინააღმდეგ შემთხვევაში“. 1-ელი ნაწილის 1-ელ წინადადებაში ნაცვლად, „აშკარად“, უკეთესი იქნება სიტყვის „მნიშვნელოვნად“ გამოყენება. ჩემი შეხედულებით, უფრო ნათლად უნდა იქნეს წარმოჩენილი, რომ ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, „თუ ისინი შეიძლება მოეთხოვოს მეორე მხარეს, ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების, განსაკუთრებით სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო რისკების განაწილების გათვალისწინებით [ან კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით].“
- 328** სისტემატიკის თვალსაზრისით, ბუნდოვნად მეჩვენება მე-3 ნაწილის სამართლებრივი შედეგების განლაგება. ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობისთვის აკლია ნორმატიული მასშტაბი. თუ კანონის მიზანია, ხელშეკრულების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება, მაშინ ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება უნდა დარჩეს. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან, მაშინ მხარემ, რომელიც ახორციელებს მისადაგებას სარჩელის საშუალებით, უნდა მოითხოვოს ხელშეკრულებაში მის მიერ შეთავაზებული ცვლილებების მიღება (ან: შეცვლილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულება). ამდენად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მისადაგებით საფუძვლის ცვლილების შედეგად დაზარალებული მხარის დაცვის ღირსი ინტერესი ამონურული არ არის. შემდეგ შესაძლებელია, რომ მე-3 ნაწილი დაეყრდნოს იმას, რომ ერთ ნაწილს (მხარეს), 1-ელი ნაწილის შემთხვევაში, შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე არ შეიძლება მოეთხოვოს. ამის შემდეგ შეუძლია ამ ნაწილს (მხარეს) ხელშეკრულებაზე უარის თქმა.<sup>254</sup> აღნიშნულის გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება მეორე ხელშემკვრელი მხარისთვის, რომელსაც ამ შემთხვევაში შეეძლება ხელშეკრულების ცვლილების შემოთავაზების მიღება და მე-3 ნაწილზე მითითებით ხელშეკრულებაზე უარის თქმა. შემდეგ, ხელშეკრულებაზე უარის სამართლებრივი ძალის თაობაზე დავისას, უნდა დადგინდეს შეიძლება თუ არა მოეთხოვოს მას მისადაგებული ხელშეკრულების დაცვა. ეს იმავდროულად ადგენს საპირისპირო სტიმულს ხელშეკრულების მისადაგების განმარტებული მხარისთვის, რომ არ მოითხოვოს ზედმეტად მა-

<sup>254</sup> BeckOK BGB/Lorenz, 48. Ed., § 313 Rn. 89.

კომპენსირებელი მისადაგება, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს შექმნიდა.

399-ე მუხლის 1-ელ ნაწილში სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის დაუშვებლობა/არასავარაუდოობა (*Unzumutbarkeit*) დაკავშირებული უნდა იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებასთან შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. ვადის დანიშნვის არასავალდებულობისთვის უნდა მოქმედებდეს 394-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

399-ე მუხლის მე-4 ნაწილში ინტერესის დაკარგვა უნდა უკავშირდებოდეს მიღებულ შესრულებას. თუ გადამწყვეტი უნდა იყოს განხორციელებული შესრულება, მაშინ უნდა დაისვას კითხვა უკვე შესრულებულის დაბრუნების მიმართ კანონიერი ინტერესის თაობაზე.<sup>255</sup> მე-4 ნაწილის სამართლებრივი შედეგი არ უნდა იყოს სამართლებრივ შედეგებში ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მოშლა, არამედ უბრალოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მოშლის ადგილს იკავებს. შესაბამისად მე-4 ნაწილის 1-ელი წინადადება უნდა უკავშირდებოდეს ფრაზას „ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში“. მე-2 წინადადება შეიძლება ამოღებულ იქნეს.

*c) მოვალის მიერ ვადის გადაცილება სკ-ის 400-დან 404-მდე მუხლების მიხედვით*

დებულებები მოვალის მიერ ვადის გადაცილების თაობაზე თავისი სტრუქტურით არსებითად შეესაბამება BGB-ს §§ 286-სა და შემდგომ პარაგრაფებს.

სკ-ის მე-400 მუხლის ა) ქვეპუნქტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფორმულირება: „კალენდარულად განსაზღვრული“, იმისათვის, რომ გაფრთხილების საშუალებით განისაზღვროს ვადის გადაცილების გამოყენების დამოუკიდებელი სფერო.<sup>256</sup>

სკ-ის 401-ე მუხლთან დაკავშირებით მოთხოვნილი ვადის გადაცილების გამორიცხვა შესრულების ისეთი შეუძლებლობისას<sup>257</sup>, რომელზეც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, არ მიმაჩნია აუცილებლად.

სკ-ის 402-ე მუხლის სათაური უფრო კონკრეტულად უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც „პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვის“.

სკ-ის 403-ე მუხლში პროცენტის გადახდის ვალდებულების ხანგრძლივობის განმარტება<sup>258</sup> არ მიმაჩნია საჭიროდ. პროცენტის დარიცხვის მოცულობა უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებით შეთანხმებულის შესაბამისად ან 383-ე და შემდგომ მუხლებში განსაზღვრი კანონისმიერი პროცენტის მიხედვით. უფრო მაღალი პროცენტების გამორიცხვა სხვა სამართლებრივი საფუძველით<sup>259</sup> გამოიწვევდა ყოვლისმომცველი ანაზღაურების პრინციპის (*Grundsatz der Totalreparation*)<sup>260</sup> დარღვევას: მოვალემ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ყოველი დადასტურებული ზიანი; აღნიშნული არ არის შეზღუდული მხოლოდ მიუღებელი მოგებით (სკ-ის 411-ე მუხლი), საპროცენტო ზიანის იმ გაგებით, რომლითაც მისი ოდენობა შეზღუდულია წინასწარ შეთანხმებული პროცენტით.

პროცენტის გამორიცხვა BGB-ს § 248-ის<sup>261</sup> შესაბამისად გონივრულად მიმაჩნია, მაგრამ ის დარეგულირებულ უნდა იქნეს 383-ე და შემდგომ მუხლებში და არავითარ შემთხვევაში არ უნ-

<sup>255</sup> BeckOK BGB/Lorenz, 48. Ed., § 313 Rn. 89.

<sup>256</sup> GH NJW 2002, 1870; Palandt/Grüneberg, BGB, 78. Aufl. 2019, § 314 Rn. 12.

<sup>257</sup> Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 25 f.; Chanturia/Knieper, S. 18.

<sup>258</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 22.

<sup>259</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 32 und 38.

<sup>260</sup> BeckOK BGB/Flume, 48. Ed., § 249 Rn. 43 ff.

<sup>261</sup> Chanturia/Knieper, S. 17.



და შეიზღუდოს მხოლოდ ვადის გადაცილებისთვის დარიცხული პროცენტით. შესაბამისად, სკ-ის 403-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოსაღები იქნება.

d) ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს სკ-ის 405-ე-407-ე მუხლების მიხედვით

- 337** კრედიტორს ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაშიც შეუძლია, რომ ვალდებულების დარღვევისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, 394-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. თუ იგი აღნიშნულს გამოიანგარიშებს, როგორც ზიანის ანაზღაურებას მთელი შესრულების ნაცვლად, რომელიც გამოიანგარიშება როგორც სხვაობა ვალდებულებით გათვალისწინებულ შეუსრულებელ ნაწილსა და დაზოგილ საკუთარ შესრულებას შორის, მაშინ აღნიშნულის სამართლებრივი შედეგები იქნება შესრულების გაცვლამდე წარმოშობილი უკან დაბრუნების ურთიერთობის (Rückgewährschuldverhältnis) მსგავსი. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მან თავისი ფულადი შესრულება უკვე განახორციელა. თუ მან ისეთი შესრულება განახორციელა, რომლის საგანს ნივთი წარმოადგენს, მაშინ ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ამ შემთხვევაში, ასევე მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურება ბრალის არარსებობის გამო გამორიცხულია, ორმხრივ ხელშეკრულებაში მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულებიდან გასვლას (Rücktritt). მისი წინაპირობები მისადაგებული უნდა იყოს (მთლიანი) შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების წინაპირობებთან. აღნიშნულს არსებითად ადგილი აქვს სკ-ის 405-ე მუხლში, რომლისთვისაც უფრო შესაფერისი სათაური იქნებოდა „ხელშეკრულებიდან გასვლა“. მოსაზრებას, თითქოს ნათლად არ ჩანს, იძლევა თუ არა სკ-ის 405-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას,<sup>262</sup> არ ვიზიარებ. კორექტირებები უკვე შემოთავაზებულ იქნა 394-ე მუხლთან კავშირში.
- 338** ნორმებში თავიდან უნდა იქნეს არიდებული მოვალისა და კრედიტორის ხსენება და ტერმინოლოგიურად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ცნებებს - ხელშეკრულებიდან გასვლის განმცხადებელი და გასვლის ადრესატი (Rücktrittgegner). სკ-ის 405-ე და 407-ე მუხლებთან დაკავშირებით შემოთავაზებულია, რომ ისინი სისტემატიკის მოსაზრებებიდან გამომდინარე, განთავსდეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ დებულებებთან, რადგან სამართლებრივი შედეგების ფაქტობრივ წინაპირობებამდე რეგულირება არადაამაჯერებლად არის მიჩნეული.<sup>263</sup> აღნიშნულს არ ვეთანხმები, მით უმეტეს, რომ ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტობრივი წინაპირობები თავის მხრივ წარმოადგენენ ვალდებულების დარღვევის განსაკუთრებულ შედეგებს და ამდენად ობიექტურად ამ კონტექსტში უნდა იქნენ დარეგულირებული.
- 339** სკ-ის 406-ე მუხლის კონტექსტში, შეფასებულ უნდა იქნეს, საკმარისად ნათლად არის თუ არა ასახული კანონში ის შემთხვევები, რომლებშიც არსებობს 1-ელი ნაწილის წინაპირობით გათვალისწინებული, დაკისრებულ ვალდებულებაზე უარის თქმის უფლება. არ არის გასაგები, თუ რატომ არ უნდა მოქმედებდეს ძირითადი წესი, რომლის თანახმად მოვალე საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებს, როდესაც კრედიტორი (!) შესრულების მიღების ვადას გადააცილებს. სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს გადამწყვეტი „საპასუხო შესრულების საფუძველთან“ დაკავშირებითაც. შესრულების მიღების შეყოვნება მოვალის მდგომარეობას კი არ უნდა ასუსტებდეს, არამედ, პირიქით, უნდა ამყარებდეს. საინტერესოა, ხომ არ უნდა მიეთითოს მე-2 ნაწილში, რომ 1-ელი ნაწილი მაშინაც მოქმედებს, როდესაც კრედიტორი, მართალია, არ არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისთვის, რომლის გამოც მოვალეს უფლება აქვს

<sup>262</sup> Meller-Hannich, S. 14 f.

<sup>263</sup> Vashakidze, Chart S. 20.

უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, მაგრამ იგი (კრედიტორი) აყოვნებდა შესრულების მიღებას, როდესაც ეს გარემოება დადგა. შემდეგ წინაპირობას BGB-ს § 326-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად უნდა წარმოადგენდეს ის, რომ არც მოვალე არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ გარემოებაზე. ასევე განხილულ უნდა იქნეს, BGB-ს § 326-ის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადების მსგავსად, ანგარიშში ჩათვლის წესის გათვალისწინება. გარდა ამისა, მოვალემ, ყოველ შემთხვევაში პროპორციულად, უნდა შეინარჩუნოს მოთხოვნის უფლება, როდესაც კრედიტორი სუროგატს ღებულობს. BGB-ს § 326-ის მე-4 აბზაცის შესაბამისად, შესრულებულის უკან მოთხოვნის წესის საჭიროება არ იკვეთება, ვინაიდან კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება და შემდეგ განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნების მოთხოვნა შეუძლია.

სკ-ის 407-ე მუხლი, როგორც ცალკე მოთხოვნის წარდგენის საფუძველი, პრინციპში არ არის საჭირო, ვინაიდან ხელშეკრულების მხარეს, რომელიც მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო სკ-ის 405-ე მუხლის შესაბამისად გადის ხელშეკრულებიდან, შეუძლია ამ ვალდებულების დარღვევის საფუძველზე მოითხოვოს 394-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება. განმარტებითი ხასიათის დებულება იმის თაობაზე, რომ ასეთი ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლით არ გამოირიცხება, ისედაც რეკომენდებული იყო. ამდენად შეიძლება, რომ არსებული დებულება შენარჩუნებულ იქნეს.

340

### 5. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება 390-დან 393-მდე მუხლების მიხედვით

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვალდებულების დარღვევის ცნება, როგორც მე-3 კარისთვის დამახასიათებელი კონცეფცია, ფართოდ არის აღქმული და მასში თავდაპირველად გათვალისწინებული ვალდებულებიდან შესრულების ნებისმიერი ობიექტური გადახრა იგულისხმება, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები მაინც არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს, რადგან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისთვის გადამწყვეტი არ არის ის ფაქტი, არსებობდა თუ არა გარკვეულ მომენტში კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვალდებულება. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები შეიძლება იქნეს აღქმული როგორც მოვალეობის დარღვევა (Obliegenheitsverletzung). ამდენად ეს დებულებები არა მე-3, არამედ ცალკე კარში უნდა იქნეს დარეგულირებული.

341

სხვაგვარი გადანყვეტილება იქნებოდა მისაღები, მე-3 კარისთვის დამახასიათებელი ასპექტი რომ ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევა ყოფილიყო - აღნიშნულის ქვეშ იქნებოდა დასაკვალიფიცირებელი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება.<sup>264</sup>

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან დაკავშირებული ნორმები მხოლოდ უმნიშვნელო შემთხვევებში საჭიროებენ განხილვას:

342

390-ე მუხლი ტერმინოლოგიურად დასახვეწია: „კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია.“ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ შესრულების განხორციელების დროის დადგომა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობის რანგში იქნეს აყვანილი; გადამწყვეტი უნდა იყოს, რომ შემოთავაზებული შესრულება სათანადოდ ხორციელდება; ამასთან, სათანადოდ დრო წარმოადგენს მრავალი კრიტერიუმიდან მხოლოდ ერთ-ერთს.<sup>265</sup> კრედიტორის მიერ თანამშრომლობასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ქმედებასთან დაკავშირებითაც იგივე წესი უნდა მოქმედებდეს.

343

<sup>264</sup> შდრ. Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 42. Aufl. 2018, § 21 Rn. 3.

<sup>265</sup> შდრ. BeckOK BGB/Lorenz, 48. Ed., § 293 Rn. 4.

- 344** მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 391-ე მუხლი ამოღებულ უნდა იქნეს, იმიტომ, რომ სკ-ის 404-ე, მე-400 მუხლებიდან უკვე ისედაც გამომდინარეობს ზიანის ანაზღაურების შესაბამისი ვალდებულება<sup>266</sup>, არ ვიზიარებ. ზემოთ ხსენებული წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულების არმიდება ვალდებულების დარღვევად არის მიჩნეული 394-ე მუხლის გაგებით; მაგრამ სტანდარტულ შემთხვევაში, კრედიტორს არ ეკისრება მიღების ვალდებულება, არამედ მას ამ თვალსაზრისით მხოლოდ ისეთი მოვალეობები გააჩნია (*Obliegenheiten*), რომლებიც არ წარმოშობს საპასუხო მოთხოვნის უფლებას. ამიტომ 391-ე მუხლი შენარჩუნებულ უნდა იქნეს. თუმცა, 391-ე მუხლში უნდა გაკეთდეს მითითება 395-ე, 396-ე მუხლებზე. ვინაიდან კრედიტორს არ ეკისრება მიღების ვალდებულება, აქედან თავისთავად, არც პასუხისმგებლობის მასშტაბი გამომდინარეობს.
- 345** 393-ე მუხლში, ბრალისგან დამოუკიდებლობა უფრო ზუსტად უნდა იქნეს გამოხატული მე-2 ნაწილში: „ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინ, როდესაც კრედიტორს მიღების ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის“.

## 6. მოთხოვნის უზრუნველყოფა

- 346** სკ-ის 416-დან 426-მდე მუხლები ეხება შესრულების დამატებითი უზრუნველყოფის სამ ინსტრუმენტს.
- a) პირგასამტეხლო სკ-ის 417-დან 420-მდე მუხლების მიხედვით
- 347** ისმის კითხვა, არის თუ არა საკმარისად ნათელი სკ-ის 417-დან 420-მდე მუხლებში მოცემული დებულებები პირგასამტეხლოს შესახებ.<sup>267</sup> აღნიშნულ შეკითხვას დადებითად ვუპასუხებდი. კერძოდ:
- სკ-ის 418-ე მუხლის 1-ლ ნაწილში შეიძლება უფრო ზუსტად იქნეს ფორმულირებული: „ასანაზღაურებელ ზიანს“.
  - სკ-ის 419-ე მუხლის სახელწოდება შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც: „პირგასამტეხლო და ვალდებულების შესრულება“
- b) ბე, სკ-ის 421-დან 423-მდე მუხლების თანახმად
- 348** სკ-ის 421-დან 423-მდე მუხლებთან დაკავშირებით შემოთავაზებულია, რომ ხაზგასმულ იქნეს, რომ ბე არ ანაცვლებს ფორმასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებს, რომლებზეც არის დამოკიდებული ხელშეკრულების დადება.<sup>268</sup> აღნიშნული არ მეჩვენება აუცილებლად, მაგრამ ასევე არც პრობლემურად. ასევე შეიძლება განმარტებულ იქნეს, რომ ბე შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც უკვე დადებული ხელშეკრულების, ასევე მომავალში დასადები ხელშეკრულების დასადასტურებლად.<sup>269</sup>
- სკ-ის 423-ე მუხლი არის დებულება არა მხოლოდ ჩათვლის, არამედ აგრეთვე გამოთვლის შესახებაც, რაც სათაურშიც უნდა იქნეს ასახული. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც: „ბე და ზიანის ანაზღაურება“.

<sup>266</sup> *Vashakidze, Bericht S. 3, Chart S. 25. Chanturia/Knieper, S. 17.*

<sup>267</sup> შდრ. *Chanturia/Knieper, S. 23.*

<sup>268</sup> შდრ. *Chanturia/Knieper, S. 23.*

<sup>269</sup> ბე-ს ისტორიული წანამძღვრების შესახებ იხილეთ, *MüKoBGB/Gottwald, 7. Aufl. 2016, § 336 Rn. 1.*

c) მოვალის გარანტია სკ-ის 424-დან 426-მდე მუხლების თანახმად

სკ-ის 424-დან 426-მდე მუხლები ეხება მოვალის გარანტიას. ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, იგი უნდა გაგვიჩვენოს გარანტიის ხელშეკრულებისგან, რომელიც გულისხმობს მესამე პირის მიერ მოვალის მიერ ნაკისრის შესრულებისთვის პასუხისმგებლობის აღებას (საბანკო გარანტია, სკ-ის 879-ე მუხლი), აგრეთვე გარანტიისგან, შესრულების თაობაზე განსაკუთრებული დაპირებების გაგებით (*Leistungszusagen*) (ვარგისიანობა, ხარისხი, შდრ. სკ-ის 653-ე მუხლი ნარდობის ხელშეკრულებისთვის (*Dienst- und Werkvertrag*)). მათგან განსხვავებით, აქ საუბარია, ერთი მხრივ, ბრალის მიუხედავად პასუხისმგებლობის დაკისრებაზე 395-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან კავშირში, მეორე მხრივ, დამატებითი შესრულებების დაპირებაზე. უკანასკნელი შემთხვევისთვის, წერილობითი ფორმა ფორმის თავისუფლების პრინციპის თვალსაზრისით, არ არის დამაჯერებელი. რაიმე მიზეზი, რის გამოც ვალდებულების შესრულების დაპირება მხოლოდ იმიტომ უნდა დაექვემდებაროს წერილობით ფორმას, რომ ის შინაარსობრივ კავშირშია სხვა შესრულების დაპირებასთან, არ იკვეთება.<sup>270</sup>

პირიქით, კითხვა იმის თაობაზე, უნდა იქნეს თუ არა ასეთი საგარანტიო შესრულება ვალდებულების შესრულებასთან ერთად განხორციელებული, არ ისმის: ასეთი რამ გვხვდება იმ შემთხვევებში, როდესაც ამას გარანტიის წინაპირობები ითვალისწინებენ.<sup>271</sup>

მეექვსეა, წარმოადგენს თუ არა სკ-ის 425-ე მუხლის მე-2 შემთხვევაში გათვალისწინებული კრიტერიუმი „ზედმეტად დავალდებულება“, შესაფერის კრიტერიუმს კერძო ავტონომიური დამოკიდებულების ზოგადი ზღვრების დაკონკრეტებისთვის. მართალია, შეუსაბამო ხარჯი წარმოადგენს საფუძველს მოვალის მიერ შესრულებაზე უარის თქმის უფლების წარმოშობისთვის, მაგრამ ეს კრედიტორის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს არ გამორიცხავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს არ ეკისრება ბრალი შესრულების ხელშეშლაში. ის, რომ მოვალე შესრულებისთვის ბრალის მიუხედავად აგებს პასუხს, ამდენად წარმოადგენს გარანტიის დამახასიათებელ თვისებას. ამასთან, სწორია, რომ მოვალეს გარანტიის შემთხვევაშიც არ ეკისრება შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. თუ შესრულების ხელშეშლა იმდენად დიდია, რომ მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს გარანტიით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაშინ შედეგად მივიღებთ იმას, რომ წარმოქმნილი დარღვევა ნაკისრი რისკის ქვეშ ექცევა.<sup>272</sup> აღნიშნული შეიძლება განმარტების სახით იქნეს ფორმულირებული. სკ-ის 425-ე მუხლის პირველი შემთხვევა (ნამდვილობა, თუ ადგილი არ აქვს კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევას) კი - პირიქით, თავისთავად ცხად ფაქტს წარმოადგენს და ამიტომ შესაძლებელია მისი ამოღება.

## 7. ვალდებულების შეწყვეტა

მე-6 კარი ეძღვნება შეწყვეტის საფუძველებს: შესრულება, დეპონირება, გაქვითვა, ვალის პატიება და სხვა.

a) შესრულება სკ-ის 427-დან 433-მდე მუხლების მიხედვით

შესრულება სკ-ის 427-ე და შემდგომი მუხლებით არის მოწესრიგებული. შინაარსობრივად რეგულირების ამ კომპლექსს ასევე განეკუთვნება სკ-ის 387-ე, 388-ე მუხლები. ისინი სკ-ის 428-ე მუხლის შემდგომ უნდა იქნეს განთავსებული. დებულებები მეტწილად შეესაბამება

<sup>270</sup> BeckOK BGB/Faust, 48. Ed., § 443 Rn. 16 f.

<sup>271</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 23.

<sup>272</sup> BGH NJW 1972, 1702, 1703; 1994, 515, 516.

BGB-ს § 362 და შემდგომი პარაგრაფების დებულებებს და მხოლოდ ცალკეულ შეკითხვებს წარმოშობენ.

- 354** სკ-ის 429-ე მუხლის პირველ აბზაცში შეიძლება დაზუსტების სახით დამატებულ იქნეს „(ქვითარი)“.
- 355** სკ-ის 429-ე მუხლის მე-2 ნაწილში ფრაზა „რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის გადახდის შესახებ“, შეიძლება ამოღებულ იქნეს ჩანაცვლების გარეშე; ენობრივი თვალსაზრისით, ფორმულირება ბუნდოვანია; თუ იგულისხმება მონაცემები პროცენტის გადახდის შესახებ, მაშინ ისინი სკ-ის 429-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს თავისუფლად გააბათილებდნენ. სხვა მხრივ, არ არის სწორი, რომ ძირითადი ვალდებულების სრულყოფილი გადახდის შესახებ ვარაუდი დამოკიდებული იყოს იმაზე, შეიცავს თუ არა დოკუმენტი პროცენტის გადახდის შესახებ მონაცემებს - ყოველ შემთხვევაში, ამ შემთხვევისთვის ეს დებულება ისედაც ვერ იმოქმედებს.
- სკ-ის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილში, ფორმულირება „ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულა“, შეიძლება ამოღებულ იქნეს; ის ისედაც იგულისხმება ვარაუდის ცნებაში. თუ ეს უკანასკნელი უდავოდ არის მიჩნეული ისე, რომ საპირისპიროს დასამტკიცებლად საჭიროებს კანონის მიერ მტკიცებულების მოწოდებას, მაშინ შესაბამისი შეზღუდვა მე-2 ნაწილშიც (ისევე, როგორც ვარაუდის ყველა შემთხვევაში) უნდა გაკეთდეს; მაგალითად, ფრაზის „საცილოდ ივარაუდება“, დამატების გზით.
- 356** სკ-ის 430-ე მუხლში უნდა წაიშალოს ფრაზა, „ან საამისოდ უფლებამოსილი პირის“. მოვალეს შეუძლია მოითხოვოს კრედიტორისგან ქვითარი. მხოლოდ განცხადებით, რომელიც კრედიტორმა „თავისად“ უნდა მიიჩნიოს, შეუძლია მოვალეს დაიცვას თავი მის მიმართ ხელახალი მოთხოვნის წაყენებისგან. მოვალის გადასაწყვეტი უნდა იყოს, დაკმაყოფილდება თუ არა იგი ქვითრით, რომელიც კრედიტორისგან არ მომდინარეობს.
- 357** სკ-ის 431-ე მუხლის მე-2 წინადადებაში სავარაუდოდ იგულისხმება აღიარების ოფიციალურად დამონმების ფორმა, ანუ გარანტირებულად მოვალისთვის მისაკუთვნიებული<sup>273</sup> განცხადება.
- 358** სკ-ის 432-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიძლება ასევე ეხებოდეს იურიდიულ პირებს, ამიტომ ფორმულირებულ უნდა იქნეს, როგორც „საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი“.
- 359** სკ-ის 433-ე მუხლის მე-2 წინადადებაში განმარტებულ უნდა იქნეს, რომ დაბრუნების შეუძლებლობა ეხება სავალო საბუთს და არა შესრულებას, და რომ კრედიტორმა გადააცილა შესრულების მიღების ვალდებულების (და არა მხოლოდ ქვითრის მიღების მოვალეობის) ვადას.

*b) დეპონირება, სკ-ის 434-დან 441-მდე მუხლების მიხედვით*

- 360** შემდეგ, შესრულების სუროგატის სახით,<sup>274</sup> სკ-ის 434-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებულია დეპონირება. ეს დებულებები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი, ამ თვალსაზრისით არსებით, დეპონირების ადგილის პროცედურულ სამართალთან,<sup>275</sup> რომელთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ გამაჩნია.
- 361** სკ-ის 434-ე მუხლის მე-2 ნაწილი გათავისუფლებას უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალემ უკან გამოთხოვაზე უარი განაცხადა.<sup>276</sup> უკან გამოთხოვა, სკ-ის 440-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როგორც აღნიშნულის შედეგი, ასევე უნდა იყოს შესაძლებელი წინასწარი უარის შემთხვევაში.

<sup>273</sup> შდრ. MuKoBGB/Einsele, 8. Aufl. 2018, § 129 Rn. 1.

<sup>274</sup> BeckOK BGB/Dennhardt, 48. Ed., § 372 Rn. 1.

<sup>275</sup> BeckOK BGB/Dennhardt, 48. Ed., § 372 Rn. 4 ff.

<sup>276</sup> BeckOK BGB/Dennhardt, 48. Ed., § 372 Rn. 1; MuKoBGB/Fetzer, 7. Aufl. 2016, § 378 Rn. 6.

## c) გაქვითვა, სკ-ის 442-დან 447-მდე მუხლების მიხედვით

შესრულების სუროგატ დეპონირებასთან შედარებით გაქვითვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ აღმჭურველი უფლების განხორციელებას შედეგად მოჰყვება ორი ვალდებულების შეწყვეტა. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, საუბარი უნდა იყოს ძირითად მოთხოვნასა და საპირისპირო მოთხოვნაზე: ძირითადია კრედიტორის მოთხოვნა გაქვითვის თაობაზე შეტყობინების განმახორციელებელი მოვალის მიმართ, საპირისპიროა - გაქვითვის თაობაზე შეტყობინების განმახორციელებელი მოვალის მოთხოვნა. საპირისპირო მოთხოვნასთან გაქვითვის გზით მას სურს ძირითადი მოთხოვნის შეწყვეტა, საპირისპირო მოთხოვნის შეწყვეტის ფასად, რომელიც გაქვითვის საშუალებით, თვითდახმარების გზით ხორციელდება.<sup>277</sup>

სკ-ის 442-ე და შემდგომი მუხლები მეტწილად შეესაბამება BGB-ს §§ 387 და შემდგომ პარაგრაფებს და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას. თავის სათაური უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც „ვალდებულების შეწყვეტა გაქვითვით“.

სკ-ის 442-ე მუხლი წინაპირობად ასახელებს ორივე მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კრედიტორის თანხმობა. ეს არასწორია ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, არ არსებობს საფუძველი, რის გამოც გაქვითვა უნდა გახდეს დამოკიდებული ასევე ძირითადი მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომაზე. თუ ძირითადი მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია, მაგრამ კრედიტორი არ თანხმდება, მოვალეს არ უნდა დასჭირდეს ლოდინი ძირითადი მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომამდე, იმისთვის, რომ სამართლებრივად ძალის მქონე გაქვითვა განახორციელოს (გამოაცხადოს).<sup>278</sup> აღნიშნულის საპირისპიროდ, შეუძლებელია ისეთი საპირისპირო მოთხოვნის გაქვითვა,<sup>279</sup> რომლის შესრულების ვადაც ჯერ არ დამდგარა - მაშინაც კი, როდესაც საპირისპირო მოთხოვნის მფლობელი ამას დათანხმდება; მაშინ ასეთ შემთხვევასთან გვექნებოდა საქმე, საპირისპირო მოთხოვნის მფლობელი არის მოვალე, რომელსაც უნდა გაქვითვა. მაგრამ მაშინ, გადამწყვეტი უნდა იყოს ის, რომ საპირისპირო მოთხოვნის მოვალე განაცხადებს თანხმობას, რომ იგი დაკარგავს ძირითად მოთხოვნას შესრულების მოვალეობისგან (*Leistungspflicht*) გათავისუფლების ფასად, რომლის შესრულება მას (ჯერ) საერთოდ არ ევალეობდა. მაშინ, როდესაც გადამწყვეტი უნდა იყოს მოთხოვნების მსგავსება (*Gleichartigkeit*).<sup>280</sup>

სკ-ის 444-ე მუხლში განმარტებულ უნდა იქნეს, რომ უფრო დიდი მოთხოვნა იმ მოცულობით წყდება, რამდენადაც ეს მოთხოვნები ერთმანეთს ფარავს.<sup>281</sup>

სკ-ის 445-ე მუხლში ასევე დარეგულირებულ უნდა იქნეს შემთხვევა, როდესაც გაქვითვის განმახორციელებელ მხარეს რამდენიმე მოთხოვნის უფლება ეკუთვნის. ამოსავალი წერტილი უნდა იყოს, რომ გაქვითვის განმახორციელებელი მხარე წყვეტს, თუ რომელი საპირისპირო მოთხოვნით რომელი ძირითადი მოთხოვნა უნდა გაიქვითოს. თუ იგი არ ღებულობს გადამწყვეტილებას, მაშინ შესაბამისად მოქმედებს 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება, მე-2, და მე-3-მდე ნაწილები.<sup>282</sup>

სკ-ის 447-ე მუხლის ბ) და გ) ქვეპუნქტები ტერმინოლოგიურად ბუნდოვანია. სავარაუდოდ იგულისხმება,

<sup>277</sup> ე. წ. „კომბინაციის თეორია“, MuKoBGB/Schluter, 7. Aufl. 2016, § 387 Rn. 1.

<sup>278</sup> შდრ. BGHZ 17, 19 = NJW 1955, 745; BGHZ 103, 362 = NJW 1988, 2542, 2543.

<sup>279</sup> BGHZ 2, 300 = NJW 1951, 599; MuKoBGB/Schluter, 7. Aufl. 2016, § 387 Rn. 36.

<sup>280</sup> MuKoBGB/Schluter, 7. Aufl. 2016, § 387 Rn. 29 ff.

<sup>281</sup> BeckOK BGB/Dennhardt, 48. Ed., § 389 Rn. 2.

<sup>282</sup> BGHZ 179, 1 = NJW 2009, 1071.

- ძირითადი მოთხოვნა არ შეიძლება ეხებოდეს კრედიტორის ისეთ ქონებას, რომელიც არ ექვემდებარება დაყადაღებას,<sup>283</sup> განსაკუთრებით, მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნას სარჩოს გადახდის თაობაზე (კერძოდ, გაქვითვის საბოლოო შედეგად მივიღებთ, რომ მოვალე კრედიტორს ართმევს ძირითად მოთხოვნაში მოქცეულ ქონებრივ აქტივს კრედიტორის მიმართ არსებული სავალო საპირისპირო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად);

- არ შეიძლება, გამომდინარეობდეს ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებიდან ან სიკვდილიდან (ვინაიდან კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც არ იქნება დატვირთული საპირისპირო მოთხოვნებით და, ამასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საპირისპირო მოთხოვნის მფლობელს შეეძლებოდა სანქციების გარეშე პირადი შურისძიება).<sup>284</sup>

*d) ვალის პატიება, სკ-ის 448-ე-451-ე მუხლების მიხედვით*

**368** სკ-ის 448-ე და შემდგომი მუხლები, ჩემი აზრით, არავითარ კითხვებს არ წარმოშობს; ისინი არსებითად შეესაბამება BGB-ს § 397-ს.

**369** სკ-ის 449-ე მუხლის - BGB-ს § 423-სგან განსხვავებული - წესი, თავისი შეფასებებით, შეესაბამება სკ-ის 472-ე მუხლს, რომელიც უფლებათა და მოვალეობათა დამთხვევის (კონფუზიის) შემთხვევისთვისაც ითვალისწინებს შეზღუდულ მთლიან ეფექტს. მოსაფიქრებელია, უკეთესი ხომ არ იქნებოდა სკ-ის 449-ე მუხლის დებულებების გადატანა სოლიდარულ ვალდებულებებთან სისტემატიკურ კავშირში (სკ-ის 459-ე მუხლის შესაბამისად სოლიდარული კრედიტორების მიერ ვალის პატიებისთვის).

**370** ასევე გადასაწყვეტია, უკეთესი ხომ არ იქნებოდა სკ-ის 450-ე მუხლის გადატანა თავდებობასთან სისტემატიკურ კავშირში. ეს დებულებები შეესაბამება თავდებობის აქცესორულ ბუნებას (სკ-ის 893-ე მუხლის 1-ლი წინადადება).

**371** სკ-ის 451-ე მუხლის რეგულირების შინაარსი ჩემთვის გაუგებარია. თუ რეგულირების საგანს წარმოადგენს ვალის პატიება სინალაგმატური ვალდებულების შემთხვევაში, რომლისთვისაც საპირისპირო მოთხოვნა უცვლელი რჩება,<sup>285</sup> ეს შესაბამისად უნდა იქნეს განმარტებული.

*e) სხვა საფუძვლები, სკ-ის 452-დან 454-მდე მუხლების თანახმად*

**372** სკ-ის 452-ე მუხლის ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მოთხოვნა და ვალი ერთმანეთს ემთხვეოდეს (შდრ. სკ-ის 472-ე მუხლის უფრო ზუსტი რედაქცია).

**373** სკ-ის 453-ე მუხლის დებულება არ მიმაჩნია პრობლემატურად. აქ უნდა განიმარტოს, რომ შესრულების პირადი ხასიათის დადგენა<sup>286</sup> არ წარმოადგენს მოვალის სურვილისამებრ გადასაწყვეტ საკითხს.

**374** სკ-ის 454-ე მუხლი ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი კორპორატიული სამართლის დებულებებთან ლიკვიდაციის თაობაზე. აქ შემოთავაზებული ახალი რედაქციის მიხედვით, იურიდიული პირის ლიკვიდაცია რეესტრში უნდა იქნეს დარეგისტრირებული.

**8. კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე**

<sup>283</sup> BeckOK BGB/Dennhardt, 48. Ed., § 394 Rn. 1.

<sup>284</sup> MuKoBGB/Schluter, 7. Aufl. 2016, § 393 Rn. 1.

<sup>285</sup> MuKoBGB/Schluter, 7. Aufl. 2016, § 397 Rn. 7.

<sup>286</sup> MuKoBGB/Fetzer, 7. Aufl. 2016, vor § 362 Rn. 5.

სკ-ის 455-ე და შემდგომი მუხლების მიმართ გამოთქმული კრიტიკის საპირისპიროდ, თითქოს ისინი არასაკმარისად მოქნილი და არასაკმარისად დეტალურია,<sup>287</sup> მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება მათ დასაცავად.

*a) სოლიდარული კრედიტორები სკ-ის 455-დან 462-მდე მუხლების მიხედვით*

სკ-ის 455-ე და შემდგომი მუხლები, პირველ რიგში, ეხება სოლიდარულ კრედიტორებს. აქაც, შემოიძლია მხოლოდ მცირე შენიშვნებით შემოვიფარგლო: **376**

ჩემთვის ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება სკ-ის 457-ე მუხლის ფრაზაში: „შესაგებელი 455-ე მუხლით“. ეს შესაბამისობაში იქნებოდა BGB-ს § 428-სთან, თუ ერთ-ერთი კრედიტორის მიერ მოთხოვნის რეალიზებაც ვერაფერს შეცვლიდა იმაში, რომ მოვალეს თავისი სურვილისამებრ ერთ-ერთი კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება შეეძლებოდა.<sup>288</sup> **377**

როდესაც სკ-ის 459-ე მუხლში საუბარია ვალის პატიების ინსტიტუტზე, კრედიტორის „უარი“ ფორმულირებულ უნდა იქნეს, როგორც „ვალის პატიება“. კანონის კონცეფციის მიხედვით, ვალის პატიებას აქვს შეზღუდული ერთობლივი ეფექტი (*beschränkte Gesamtwirkung*): კრედიტორი, რომელიც მოთხოვნას პატიობს, კარგავს უფლებას, მოითხოვოს მოვალისგან შესრულება და ასევე დანარჩენ კრედიტორებსაც არ ეკუთვნით შესრულება სრული მოცულობით, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შიდა ურთიერთობაში იმ კრედიტორის წილს წარმოადგენდა, რომელიც ვალს პატიობს.<sup>289</sup> ეს სამართლებრივი შედეგი ისე უნდა იქნეს ფორმულირებული, რომ დანარჩენ კრედიტორებს ევალეობდეს მოთხოვნის ნაშთის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცება, ვინაიდან მოვალეს, სავარაუდოდ, არ ექნება კრედიტორების შიდა ურთიერთობებში ჩახედვის შესაძლებლობა. **378**

სკ-ის 460-ე მუხლის საფუძვლად არსებული რეგულირების განზრახვა ფაქტების, პრინციპის სახით, ცალკეული კრედიტორის მიმართ მოქმედების თაობაზე, შეიძლება უფრო ნათლად იქნეს ფორმულირებული. **379**

განსაკუთრებულ შემონმებას საჭიროებს სკ-ის 461-ე მუხლი, რომელიც ეხება უფლებამონაცვლეობას ცალკეული სოლიდარული მოვალის კუთვნილ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელთანაც არის მისადაგებული უფლებამონაცვლეობა მემკვიდრეთა სიმრავლისას (თანამემკვიდრეობა).

სკ-ის 462-ე მუხლის მე-2 ნაწილი ფორმულირებულ უნდა იქნეს ან როგორც: „თუ სხვა რამ დადგენილი არ არის“ ან „მათ შორის სხვა წესი არ მოქმედებს“, ვინაიდან შიდა ურთიერთობებისთვის გადამწყვეტი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, ანუ ის, რაც მათ შორის იქნა განსაზღვრული. **380**

*b) სოლიდარული მოვალეები, სკ-ის 463-დან 476-მდე მუხლების მიხედვით*

ბოლოს, სკ-ის 463-ე და შემდგომ მუხლებთან დაკავშირებითაც მხოლოდ მცირე შენიშვნები გამაჩნია. ვფიქრობ, რომ სოლიდარული ვალდებულების ცნება სკ-ის 463-ე მუხლში არასაკმარისად ზუსტად არის ფორმულირებული. ის აქცენტს უნდა აკეთებდეს არა თითოეული მოვა-

<sup>287</sup> შდრ. Chanturia/Knieper, S. 31, aber kritisch S. 37.

<sup>288</sup> BeckOK BGB/Gehrlein, 48. Ed., § 428 Rn. 1.

<sup>289</sup> შდრ. BGHZ 40, 108 = NJW 1963, 2223, 2224.



ლის მონაწილეობის მოვალეობაზე მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, არამედ იმაზე, რომ თითოეული მოვალე ვალდებულია, შეასრულოს მთლიანი ვალდებულება.<sup>290</sup>

**382** სკ-ის 466-დან 470-მდე მუხლები, 472-ე და 476-ე მუხლები ეხება ფაქტებს, რომლებიც თითოეულის მიმართ და ერთობლივად ყველას მიმართ მოქმედებს. როგორც ეს სკ-ის 466-ე მუხლში სოლიდარული მოვალეობის კუთვნილი შესაგებლების ჩამონათვალიდან გამომდინარეობს, ფაქტებს პრინციპულად ინდივიდუალურად მოქმედების ეფექტი (*Einzelwirkung*) გააჩნიათ, ანუ სოლიდარულ მოვალეს შეუძლია მათი გამოყენება, თუ ისინი (ასევე) მის პიროვნებასთანაც არიან დაკავშირებული (შდრ. BGB-ს § 425). ერთობლივი მოქმედების ეფექტი გააჩნია ისეთ ფაქტებს, რომლებიც მთლიანად ვალდებულებით ურთიერთობას ეხება. როგორც ეს სკ-ის 468-ე მუხლში საპირისპირო საკითხისთვის (ფაქტების გამოყენება ერთი მოვალის მიმართ) არის დარეგულირებული, სხვა ფაქტების გამოყენება პრინციპულად, შესაძლებელია მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომლის პიროვნებასაც უკავშირდება ისინი. აუცილებელ გამოწვევას წარმოადგენს შესრულება (სკ-ის 467-ე მუხლი, შდრ. BGB-ს § 422-ის 1-ლი აბზაცი),<sup>291</sup> აგრეთვე შესრულების მიღების დაყოვნება (სკ-ის 470-ე მუხლის პირველი ნაწილი, შდრ. BGB-ს § 424).<sup>292</sup> სარჩელი (სკ-ის 469-ე მუხლი),<sup>293</sup> მოვალის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება (სკ-ის 470-ე მუხლის მე-2 ნაწილი)<sup>294</sup> და ხანდაზმულობის ვადა (სკ-ის 476-ე მუხლი)<sup>295</sup> მოქმედებს შესაბამისად მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ ან შესაბამისად, წინააღმდეგ, რომლის პიროვნებასაც ის უკავშირდება. უფლებათა და მოვალეობათა დამთხვევას (კონფლიქტის) (სკ-ის 472-ე მუხლი) აქვს შეზღუდული ერთობლივი ეფექტი, იმდენად, რამდენადაც მოთხოვნა დანარჩენი სოლიდარული მოვალეობის მიმართაც წყდება, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც შიდა ურთიერთობაში კონფლიქტის შედეგად გათავისუფლებულ მოვალეს ეკუთვნოდა.<sup>296</sup>

**383** ზემოთ განხილული მოსაზრებების ფონზე, სასურველია, უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს, რომ სკ-ის 466-ე მუხლით გათვალისწინებული გამოსაყენებელი შესაგებლები, განსაკუთრებით „რომლებიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ“.

**384** სკ-ის 467-ე მუხლს შეიძლება დაემატოს BGB-ს § 422-ის მე-2 აბზაცის შესაბამისი ნაწილი.

**385** სკ-ის 470-ე მუხლიც ენობრივად უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს. სახელწოდება არ უნდა ასახავდეს მხოლოდ შესრულების მიღების დაყოვნებას.

**386** სკ-ის 471-ე მუხლი საეჭვოდ მეჩვენება. ნორმის შედეგად გამოდის, რომ თავად მემკვიდრეები არ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, ვინაიდან უკვე არც ერთი მათგანისგან არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მთლიანი შესრულება. თუმცა, ჩვეულებრივ, სამკვიდრო წილები კრედიტორისთვის არ არის ცნობილი. ეს დებულება შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მემკვიდრეთა პასუხისმგებლობისა და თანამემკვიდრეების მიმართ ვალდებულებების რეალიზების შესახებ დებულებებთან, რის შესახებაც აქ მხოლოდ აღნიშვნა შეგვიძლია.

**387** სკ-ის 472-ე მუხლი ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს და იმავდროულად გადმოიღოს სკ-ის 449-ე მუხლის წესი ვალის პატიების შეზღუდული ერთობლივი ეფექტის შესახებ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კრედიტორისთვის, შესაძლოა, უცნობი იყოს სოლიდარულ მოვალეებს შორის არსებული შიდა ურთიერთობა ისე, რომ გამოკლება - სკ-ის 459-ე მუხლისგან განსხვავებით, რომელიც ეხება ვალის პატიებას სოლიდარული კრედიტორების შემთხვევაში - უნდა

<sup>290</sup> Jauernig/Sturner, BGB, 17. Aufl. 2018, § 421 Rn. 1, 11.

<sup>291</sup> BGHZ 207, 378 = NJW 2016, 1020 Rn. 17.

<sup>292</sup> BeckOK BGB/Gehrlein, 48. Ed., § 424 Rn. 1.

<sup>293</sup> ანუ, სამართალწარმოებაში მიღება, BeckOK BGB/Gehrlein, 48. Ed., § 425 Rn. 9.

<sup>294</sup> MuKoBGB/Bydlinski, 7. Aufl. 2016, § 425 Rn. 13.

<sup>295</sup> BeckOK BGB/Gehrlein, 48. Ed., § 425 Rn. 7; MuKoBGB/Bydlinski, 7. Aufl. 2016, § 425 Rn. 22.

<sup>296</sup> შდრ. BGH NJW 2000, 1942, 1943; MuKoBGB/Bydlinski, 7. Aufl. 2016, § 422 Rn. 7.

განხორციელდეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიერ და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ეკისრებათ მტკიცების ტვირთიც.

სკ-ის 473-ე მუხლი ასევე უნდა მოიცავდეს ნაწილობრივი შესრულების საკითხს და ამდენად **388**  
BGB-ს § 462-ის მე-2 აბზაცის 1-ლი წინადადების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს.

სკ-ის 474-ე მუხლი აქცენტს უნდა აკეთებდეს არა ვალაუფალობაზე, არამედ გადაუხდელო- **389**  
ბასა და არა თანაბარ განაწილებაზე, არამედ განაწილებაზე სკ-ის 473-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.<sup>297</sup>

#### IV. მომხმარებელთა დაცვის განვითარება

ბოლოს, გადავდივარ სკ-ის ზოგადი დებულებებისა და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი **390**  
დებულებების რეფორმის საჭიროებაზე მომხმარებელთა დაცვის სფეროში მოქმედი ევროპის სამართლის შესაბამისად, სავარაუდოდ, აუცილებელი განვითარების კონტექსტში.

##### 1. ევროპის სამართლით გათვალისწინებული საფუძვლები

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებულ მასალაში უკვე ნახსენებია, თუ რა მიმართულებით არის საჭირო ასოცირების შეთანხმების ფონზე<sup>298</sup> შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია:<sup>299</sup> **391**

(1) დებულებები მომხმარებელთა დაცვის შესახებ ელექტრონული ბრუნვის სფეროში (128-ე მუხლის პირველი აბზაცის lit. d AA), კერძოდ, ევროკავშირის დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ (E-Commerce-RL) (ევროპარლამენტის და საბჭოს 8.6.2000-ის დირექტივა 2000/31/EG შიდა ბაზარზე საინფორმაციო საზოგადოების, განსაკუთრებით ელექტრონული ბრუნვის მომსახურების განსაზღვრული სამართლებრივი ასპექტების შესახებ, AB1. EG L 178 v. 17.7.2000, გვ.1);

(2) დებულებები დათქმების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (KlauselRL) დანერგვის თაობაზე (საბჭოს 9.4.1993-ის 93/11/EWG დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებების პირობების ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ, AB1.EG L 95 v. 21.4.1993, გვ. 29; ცვლილებები შეტანილ იქნა 2011/83/EU დირექტივით; დანართი XXIX AA);

(3) დებულებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დირექტივის (verbrRRL) დანერგვის თაობაზე (ევროპარლამენტის და საბჭოს 25.10.2011-ის 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ (...), AB1. EU L 304 v. 22.11.2011, გვ. 64, რომელმაც ჩაანაცვლა დანართი XXIX AA დანართში ხსენებული 85/577/EWG და 97/7/EG დირექტივები);

(4) დებულებები გადახდის დაგვიანების შესახებ დირექტივის დანერგვის შესახებ (ევროპარლამენტის და საბჭოს 16.2.2011-ის დირექტივა 2011/7/EU საქმიან ურთიერთობებში გადახდის დაგვიანების თავიდან აცილების შესახებ, AB1. EU L 48 v. 23.2.2011, გვ. 1);

(5) დებულებები სამომხმარებლო-სამართლებრივი დავების ალტერნატიული მოგვარების შესახებ დირექტივის (ADR-RL) (ევროპარლამენტის და საბჭოს 21.5.2013-ის 2013/11/EU დირექტივა სამომხმარებლო-სამართლებრივი დავების (...) ალტერნატიული მოგვარების შესახებ, AB1. EU L 165 v. 18.6.2013, გვ. 63) დანერგვის შესახებ.

<sup>297</sup> MuKoBGB/Bydlinski, 7. Aufl. 2016, § 426 Rn. 35, მაგრამ გამიჯვრით 37-ე ველში იმ შემთხვევისთვის, თუ გათანაბრების ვადლებულების მქონე ერთადაერთი პირი ამოვარდება.

<sup>298</sup> Assoziierungsabkommen zwischen der Europäischen Union und der Europäischen Atomgemeinschaft und ihren Mitgliedstaaten einerseits und Georgien andererseits, ABl. L 261 v. 30.8.2014, S. 4.

<sup>299</sup> შდრ. Meller-Hannich, S. 2 ff.

როგორც ჩანს, ასოცირების შეთანხმების საგანს არ წარმოადგენს ბოლოს დასახელებული ამ ორი დირექტივის დანერგვა.<sup>300</sup>

(6) მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელ მასალებში არ ყოფილა განხილული, მინდა გავითვალისწინო დებულებები „საგადახდო მომსახურების შესახებ-2-დირექტივის დანერგვის თაობაზე (ევროპარლამენტის და საბჭოს 25.11.2015-ის (EU) 2015/2366 დირექტივა შიდა ბაზარზე საგადახდო მომსახურების შესახებ (...), AB1. EU L 337 v. 23.12.2015, გვ. 35).

## 2. რეგულირების ტექნიკა

**392** ამ სამართლებრივი აქტების დანერგვა, მოქმედი სამოქალაქო სამართლის ფარგლებში, სხვადასხვანაირად შეიძლება განხორციელდეს. თუ ადრე გერმანელი კანონმდებელი დანერგვას BGB-ს დამატებითი კანონების საშუალებით ახორციელებდა, ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების პროცესში შემუშავდა რეგულირების ახალი კონცეფცია, რომელიც რეგულირების მოთხოვნებს BGB-ს ფარგლებში აწესრიგებს და იქ ფართო მოცულობით ამატებს სპეციალურ დებულებებს სამომხმარებლო ხელშეკრულებისთვის, რომლებიც ნაწილობრივ ზოგად დებულებებზე მიუთითებს და მათ ცვლის, ნაწილობრივ კი შესაბამისი რეგულირების საგანს დამოუკიდებლად, ალტერნატიულად აწესრიგებს.

აღნიშნული არ ეხება იმ საკითხებს, რომლებშიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება დანერგვის საჭიროება,

საილუსტრაციო მაგალითი: BGB-ს § 288-ის 1-ლი და მე-2 აბზაცების თანახმად, გადახდის ვადის გადაცილებისთვის საპროცენტო განაკვეთის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მონაწილეობს თუ არა ვალის საფუძვლად არსებულ გარიგებაში მომხმარებელი. ჩნდება ერთ ნორმაში საერთო წესის ჩამოყალიბების საჭიროება.

არსებობს კარგი არგუმენტები როგორც დამატებითი კანონების მიღების, ისე არსებულ კოდიფიკაციაში დამატების სასარგებლოდ: მომხმარებელთა დამცავი დებულებების დამატებით კანონებში არსებობა ათავისუფლებს კოდიფიკაციას სპეციალური გამოყენების სფეროს მქონე შესაბამისი წესებისგან. პირიქით, სამართლებრივი მდგომარეობის და მთლიანი რეგულირების კონტექსტის თანმიმდევრულობის აღქმა რთულდება, როდესაც მომხმარებელთა დაცვის დებულებები, რომლებიც მხოლოდ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს კი არ ეხება, არამედ ზოგადად გამოსაყენებელი სამოქალაქო სამართლის მოდიფიცირებას ახდენს, კოდიფიკაციიდან დამატებით კანონებში გადადის.

ამ გადასახედიდან განვიხილავ, პირველ რიგში, ჩემს ხელთ არსებულ 10.8.2018-ის პროექტს ინგლისურ ენაზე, სახელწოდებით „The Law of Georgia/On Protection of Consumer Rights” (კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ; შემდგომში მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტი, VSGE). ეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევას (შდრ. მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) 1-ლი მუხლი) სამომხმარებლო სამართლის დამატებითი კანონის საშუალებით, მოიცავს 10 კარს და შესავალი კარის (I) შემდეგ ეძღვნება მომხმარებლის უფლებებსა და მოვალეობებს (II), ქუჩაში (მოვაჭრის სარენის ფარგლებს გარეთ) დადებულ და დისტანციური ხელშეკრულებას (III) აგრეთვე მასში მოქმედ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას (IV), სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობას (V), სამართლებრივი ძალის არმქონე დებულებებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში (VI), არაკეთილსინდისიერ კონკურენციას (VII), აგრეთვე დანერგვას, კონკურენციის სააგენტოს (VIII) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (IX) მიერ და დასკვნით დებულებებს (X).

<sup>300</sup> შდრ. Meller-Hannich, S. 4 f., 7 ერთი მხრივ, S. 14, 17 - მეორე მხრივ.

ჩემი დასკვნა შემოიფარგლება რეფორმის საჭიროებებით ზოგად დებულებებსა და ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში. მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტს გამოვიყენებ ამ პროცესში იმდენად, რამდენადაც ეს აღნიშნულ საკითხებს ეხება, თუმცა მოცემულ დროში ყოვლისმომცველი შეფასების გაკეთებას ვერ მოვახერხებ.

კოდიფიკაციის ფარგლებში მომხმარებელთა დამცავი დებულებებისთვის ყურადღება უნდა მიექცეს თემასთან მიახლოებულ სისტემატიკას, ანუ მომხმარებელთა დაცვის დებულებები შეძლებისდაგვარად ხელშეკრულებისთვის დამახასიათებლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული, ანუ მათი, შეძლებისდაგვარად მცირე, ნაწილი უნდა განთავსდეს სკ-ის ზოგად დებულებებსა თუ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში.

სრული პაკეტით მოგზაურობის სამართლის, სამომხმარებლო კრედიტის სამართლის, დროის განაწილების (Time-Sharing) შესახებ ევროპული დირექტივების დანერგვამ, რამდენიმე მათგანი რომ დავასახელოთ, BGB-ს §§ 312 და შემდგომ პარაგრაფებში ანუ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, არ შეუწყო ხელი მის სტრუქტურაში სიცხადის შეტანას.

### 3. სკ-ის ზოგადი დებულებანი

სკ-ის ზოგადი დებულებების განხილვისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის პირთა მიმართ მოქმედების სფერო და მის დასახასიათებლად შემოღებული ტერმინოლოგია („მომხმარებელი“ და „მოვაჭრე“). ამასთან, დეფინიცია „მოვაჭრე“ მესმის, როგორც („ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს თავისი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და მიზნებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მის ვაჭრობასთან, ბიზნესთან, ხელობასთან ან პროფესიასთან, ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მისი სახელით ან მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით“) აქამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული მენარმის ცნების მსგავსი, სიტუაციაზე მორგებული (ანუ კონკრეტული გარიგებით და არა ეკონომიკური საქმიანობის ზოგადი ფორმირებით<sup>301</sup> გამორჩეული) გამოხატულება.

BGB-ს § 13-ის შესაბამისად, „მომხმარებელი“ განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური პირი, „რომელსაც შესთავაზეს ან რომელიც გეგმავს, რომ შეიძინოს ან გამოიყენოს პროდუქტები ძირითადად პირადი გამოყენებისთვის და ისეთი მიზნებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენს მის სავაჭრო საქმიანობას, ბიზნესს, ხელობას ან პროფესიას“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აქამდე გამოყენებული არამენარმე პირის (nicht-gewerblich Handelnden) ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ეს ცნება არა მხოლოდ სიტუაციიდან გამომდინარე ანუ კონკრეტული გარიგებიდან გამომდინარეა ფორმულირებული,<sup>302</sup> არამედ ფიზიკურ პირებზე შეზღუდვით,<sup>303</sup> უფრო ვინროა ვიდრე არამენარმე პირის ცნება, როგორც იგი ამჟამად სკ-ის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილში (ხელშეკრულების დადების ვალდებულება), აგრეთვე სკ-ის 349-ე მუხლისთვის შემოთავაზებულ ახალ რედაქციაში (არამენარმე მომხმარებლების მიმართ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლები) არის ჩამოყალიბებული. აქ გამოყენების სფერო ასევე მოიცავს არასამენარმეო საქმიანობის განმასხვრციელებელ იურიდიულ პირებს.

იქნება თუ არა მიღებული გადანყვეტილება ასეთი დიფერენცირების თაობაზე, განეკუთვნება სამართლებრივი პოლიტიკის საკითხს. თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უნდა იყოს დებულებები, რომლებიც არასამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით იურიდიული პირებისთვისაც შეიცავს სპეციალურ წესებს, მაშინ ზოგადი დეფინიციის შეტანა საქართველოს სამო-

<sup>301</sup> BeckOGK BGB/Alexander, 1.12.2018, § 14 Rn. 13; შდრ. § 13 BGB BeckOK BGB/Bamberger, 48. Ed., § 13 Rn. 30; BeckOGK BGB/Alexander, 1.12.2018, § 13 Rn. 87 f.

<sup>302</sup> BeckOK BGB/Bamberger, 48. Ed., § 13 Rn. 30; BeckOGK BGB/Alexander, 1.12.2018, § 13Rn. 87 f.

<sup>303</sup> MuKoBGB/Micklitz, 8. Aufl. 2018, § 13 Rn. 13 ff.

ქალაქო კოდექსში საკანონმდებლო შემოთავაზების მიხედვით შეუძლებელი იქნებოდა ისევე, როგორც სკ-ის შესაბამისი ნორმების სათანადო ტერმინოლოგიური მისადაგება მომხმარებელთა დაცვის კანონის პროექტში გამოყენებულ ტერმინოლოგიასთან.

ამ გადმოსახედიდან, კითხვას იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დებულების შეტანა, რომელიც მენარმისა და მომხმარებლის დეფინიციების საშუალებით მომხმარებელთა დაცვის დებულებების გამოყენების სფეროს განსაზღვრავს (BGB-ს §§ 13, 14-ის შესაბამისად),<sup>304</sup> უარყოფითად ვუპასუხებდი. თუმცა, დებულებებში, სადაც საუბარია „მენარმე“-ზე, სავარაუდოდ, უნდა განიმარტოს, რომ აქ გადამწყვეტია ქმედების სამენარმეო ხასიათი კონკრეტულ სიტუაციაში. არა ის, ზოგადად ახორციელებს თუ არა პირი სამენარმეო საქმიანობას. ეს, ჩემი აზრით, არ გამოორიცხავს, რომ სკ-ის ცალკეული დებულებები მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტში დეფინირებულ მომხმარებლის ცნებაზე მიუთითებდეს.

**394** მაშინ, როდესაც სკ-ის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილში უკვე ნათლად არის გამოხატული, რომ გადამწყვეტია კონკრეტული გარიგების არამომხმარებლური (*nicht-konsumtive Charakter*) ხასიათი, შეიძლებოდა სკ-ის 349-ე მუხლშიც (კონკრეტულად) მოქმედის დახასიათების ნაცვლად, კონკრეტული ხელშეკრულების არასამენარმეო ხასიათზე ყოფილიყო აქცენტი გაკეთებული. ამით განმარტებულ იქნებოდა, რომ, როგორც ასეთი, სამენარმეო მიზნების მქონე იურიდიულ პირსაც შეუძლია არასამენარმეო მიზნების მქონე ხელშეკრულების შემთხვევაში, მოიშველიოს შესაბამისი დათქმების აკრძალვები. ჩემი აზრით, ეს სწორია, რადგან დაცვის გაფართოებული მოთხოვნილება გამომდინარეობს გარიგების არასამენარმეო ხასიათიდან და არა, კლიენტის მხარეს მონაწილე პირის განსაკუთრებული დაცვის საჭიროებიდან.

**395** როგორც ვხედავ, ამით სკ-ის ზოგად დებულებებში სამომხმარებლო-სამართლებრივი დავების ალტერნატიული მოგვარების შესახებ დირექტივის (ADR-RL) დანერგვის მხოლოდ ნაწილობრივი ასპექტი უნდა იქნეს დარეგულირებული და კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა დავის მოგვარების პროცედურის საშუალებით. უფრო დეტალური დიზაინი, რა თქმა უნდა, დამოკიდებული უნდა იყოს დავების ალტერნატიული მოგვარების საპროცესოსამართლებრივ სისტემაზე და ამიტომ აქ ვერ იქნება წინასწარ განხილული.

#### 4. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

**396** რეგულირების სფეროები მეტწილად შეესაბამება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს.

##### a) ვალდებულებები ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში

**397** ელექტრონული კომერციის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის<sup>305</sup> შესახებ დირექტივების შესაბამისად, ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში არსებულმა ვალდებულებებმა უნდა შეავსონ ხელშეკრულების დადების შესახებ დებულებები. როგორც ვხედავ, მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტი აღნიშნულთან დაკავშირებულ დებულებებს არ შეიცავს. ეს გამართლებულია, რადგან აქ საუბარია ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ნორმებზე, რომელთა წინაპირობას, მართალია ყოველთვის, მენარმისთვის დამახასიათებელი (სამენარმეო) მოქმედება წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვენ BGB-ს § 13-ით გათვალისწინებული მომხმარებლის მონაწილეობას.

<sup>304</sup> Darjania, S. 6 f.; Chanturia/Knieper, S. 13.

<sup>305</sup> Meller-Hannich, S. 9 f., 11 f., 16 f.; Chanturia/Knieper, S. 8, 32, 39.

ჩემი აზრით, ცალკე შეიძლება მოვიშველიოთ გერმანელი კანონმდებლის მიერ BGB-ს §§ 312i-სა და 312j-ს დანერგვა BGB-ს შესავალი კანონის 246a მუხლის § 1-ის პირველი აბზაცის პირველი წინადადების Nr. 1, 4, 5, 11 და 12 და 246c მუხლთან ერთობლიობაში. იმ პირობით, რომ გამოყენების სფეროები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ იქნება მოდიფიცირებული, აქაც სასურველია, რომ პირადი გამოყენების სფერო აღწერილ იქნეს ცნებით „მენარმე (Gewerbetreibendes)“, მიუხედავად BGB-ს § 312j-ს მე-2 აბზაცისა, რომელიც წინაპირობად სამომხმარებლო ხელშეკრულებას ითვალისწინებს, ანუ კლიენტს, რომელიც ფიზიკურ, არასამენარმეო მიზნებისთვის მოქმედ პირს წარმოადგენს. მიჩნეულ იქნება თუ არა ასეთი დიფერენცირება მიზნის შესაფერისად, რა თქმა უნდა, უკვე ცალკე საკითხია.

რეგულირების ადგილის სახით, ჩემი აზრით, ცალკე თავი უნდა ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლისთვის განკუთვნილი მე-3 თავის (სკ-ის 342-ე და შემდგომი მუხლები) შემდეგ.

*b) ქუჩაში (მოვაჭრის სარენის ფარგლებს გარეთ) დადებული და დისტანციური ხელშეკრულება*

მომხმარებელთა დაცვის შესახებ დირექტივის შესაბამისად, ქუჩაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში შეტყობინების და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებები, სკ-ის 336-ე მუხლის შემდგომი გაფართოების ნაცვლად მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტში არის დარეგულირებული. იგივე ეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებსაც. სისტემატიკის თვალსაზრისით ეს გონივრულად მიმაჩნია.

398

*c) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალი*

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალი წარმოადგენს სკ-ის 342-ე და შემდგომი მუხლების საგანს. ჩემი შემოთავაზების მიხედვით, იქ წარმოდგენილ ნორმებს საწყის პუნქტში აქვთ ყოვლისმომცველი პერსონალური მოქმედების სფერო. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული წესები, დათქმების შესახებ დირექტივის დანერგვის შედეგად,<sup>306</sup> მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტშიც არის შესული. ამ შემოთავაზებების შეფასებისთვის, პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს იმის თაობაზე, თუ რომელი სფეროების დაცვას ისახავს მიზნად კანონმდებელი. შემდეგ, კი საკითხს, თუ შესაბამისად რეგულირების რომელ ადგილს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

399

შემოთავაზება სკ-ის 348-ე მუხლის ახლებურად ჩამოყალიბების შესახებ ვრცელდება პერსონალური გამოყენების სფეროზე, რომელიც მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) გამოყენების სფეროს სცდება, რადგან კლიენტის მხარეს იურიდიულ პირებსაც ითვალისწინებს, რომლებიც მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) მე-3 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება წარმოადგენდნენ მომხმარებელს. უკვე ნახსენებ მიზეზთა გამო, აღნიშნული გონივრულად მიმაჩნია.

თუ სასურველია, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალში სპეციალური წესები არა ხელშეკრულების არასამენარმეო ხასიათს, არამედ კლიენტის, როგორც მომხმარებლის მახასიათებელს უკავშირდებოდეს, მაშინ სკ-ის 348-ე მუხლი უნდა წაიშალოს და ეს კომპლექსი - რა თქმა უნდა, სკ-ის 342-ე და შემდგომი მუხლების რეფორმის შესაძლო შედეგებთან შესაბამისობაში - ყოვლისმომცველად იქნეს ნორმირებული მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონში.

400

<sup>306</sup> შდრ. Meller-Hannich, S. 12, 16; Chanturia/Knieper, S. 8, 16.

- 401** თუ სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით გამართლებულად არის მიჩნეული, რომ დარჩეს ხელშეკრულების სამენარმეო ხასიათსა და არა მომხმარებლის მახასიათებელზე დაფუძნებული დაცვის სფეროს განსაზღვრება, მაშინ განხილულ უნდა იქნეს მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) მე-18 მუხლის ცალკეული წესების დაცვის ამ სფეროში შეყვანის საკითხი. კერძოდ, გასათვალისწინებელია მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც სპეციალური წესის სახით უნდა იქნეს დამატებული სკ-ის 342-ე მუხლში. მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) მე-18 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები ისედაც ყოველისმომცველად მოქმედებს (სკ-ის 346-ე მუხლის პირველი ნაწილი და 344-ე მუხლი; ამ უკანასკნელ ნორმაში მომხმარებელთა დაცვის შესახებ კანონის პროექტის (VSGE) მე-18 მუხლის მე-3 პუნქტიდან შეიძლება გადმოღებულ იქნეს ნათელი და გასაგები ფორმის მოთხოვნა).
- 402** შესაძლებელია, პირიქით იქნეს დამტკიცებული, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლის გამოყენება გამარტივდებოდა, თუ ყველა წესი, გამოყენების განსხვავებული სფეროს მიუხედავად, ერთ ადგილზე იქნებოდა განთავსებული; მაშინ ზემოთ ნახსენები შემოთავაზებული ცვლილებების, ისევე, როგორც სკ-ის 348-ე მუხლის, გამოყენების სფერო, მომხმარებელს უნდა დაუკავშირდეს.
- 403** ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისას შინაარსის კონტროლის განსაკუთრებული მასშტაბები, დათქმების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (KlauselRL)<sup>307</sup> თანახმად, 348-ე მუხლში უნდა დარეგულირდეს. ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრების შესაბამისად, გამოყენების სფერო ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ „პირი, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (Verwender) იყენებს არასამენარმეო მიზნებისათვის მოქმედი პირის მიმართ“, და უნდა დაემატოს ასევე, „მაშინაც, როდესაც ისინი მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისთვის არის განსაზღვრული“.<sup>308</sup>
- 404** სამართლებრივი პოლიტიკის შემდეგი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელთან დაკავშირებითაც მე ჩემს პოზიციას ვერ დავაფიქსირებ და აქ წინასწარ ვერც განვჭვრეტ, არის კითხვა იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა სკ-ის 348-ე მუხლის დათქმების კატალოგი მისადაგებული დათქმების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (KlauselRL) დანართში მოცემულ ჩამონათვალთან,<sup>309</sup> თუ პრინციპულად უნდა შემოიფარგლოს სკ-ის 348-ე მუხლში ხსენებული შემთხვევებით. ამასთან, განმარტებულ უნდა იქნეს, რომ „ხელშემკვრელი მხარე“ შესაბამისად „მეორე ხელშემკვრელი მხარე“, ანუ კლიენტია. სხვა მხრივ, სკ-ის 348-ე მუხლი მეტწილად შეესაბამება BGB-ს §309-ე მუხლს, ამდენად დათქმების შესახებ ევროკავშირის დირექტივის (KlauselRL) გარდა, თითქმის არ არსებობს ცვლილებების შემოთავაზების საჭიროება:
- სკ-ის 348-ე მუხლის ა) ქვეპუნქტთან დაკავშირებით BGB-ს § 309-ე მუხლის Nr. 1-ის შესაბამისი გამონაკლისი, ისეთი შესრულებებისთვის, რომელთა მიზნობა ან შესრულება გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში ხორციელდება, საჭირო არ არის, რადგან „გაუმართლებლად მოკლე ვადების“ კრიტერიუმის შესაბამისად განმარტება შესაძლებელია.
- სკ-ის 348-ე მუხლის ე) ქვეპუნქტი გამორიცხავს ზიანის ოდენობაზე მეტი ერთიანი თანხის მოთხოვნის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობას და ამით ფართოდ სცილდება BGB-ს § 309-ის Nr. 5-ს, რომლის წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ საერთო თანხა ზედმეტად გადაჭარბებული არ არის, და რომ მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ შეუძლებელია ზიანის უფრო დაბალი ოდენობის არსებობის დამტკიცება.

<sup>307</sup> შდრ. Meller-Hannich, S. 12, 16; Chanturia/Knieper, S. 8, 16.

<sup>308</sup> შდრ. Meller-Hannich, S. 12.

<sup>309</sup> ემხრობა, Vashakidze, Bericht S. 2, Chart S. 6 ff.

405

სკ-ის 348-ე მუხლის ვ) ქვეპუნქტი გამორიცხავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ზიანისთვის, რაც გამონვეულია შემთავაზებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უხეში გაუფრთხილებლობით. არ არის ნახსენები პასუხისმგებლობა განზრახ მიყენებული ზიანისთვის, რომელიც, სკ-ის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ისედაც არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს.

ვინაიდან სკ-ის 395-ე მუხლის მე-2 პუნქტში არ არსებობს BGB-ს § 278-ის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისის შესაბამისი ნორმის შესატყვისი, იმ პირობებთან მიმართებით, რომლებსაც მოვალე იყენებს საკუთარი ვალდებულების შესრულებისთვის და მის კანონიერ წარმომადგენლებთან დაკავშირებით, ამდენად არც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში არსებობს გათავისუფლების გამორიცხვის საჭიროება.

შეიძლება განხილულ იქნეს, შესაძლებელია თუ არა ან რა გარემოებების არსებობისას არის შესაძლებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საშუალებით პასუხისმგებლობის წინასწარი გამორიცხვა უხეში გაუფრთხილებლობით გამონვეული სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის დაზიანებისთვის (სხვაგვარად არის BGB-ს § 309-ის Nr. 7 lit. a).

406

BGB-ს § 309-ის Nr. 8 lit. a გამორიცხავს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ისეთ დებულებებს, რომლებიც ნაკლისთვის პასუხისმგებლობის მიღმა, გამორიცხავს ან ზღუდავს მეორე ხელშემკვრელი მხარის უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე შემთავაზებლის პასუხისმგებლობით გამონვეული ზიანის გამო. ამ წესს ნაწილობრივ შეესაბამება სკ-ის 348-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტის 1-ლი შემთხვევა იმდენად, რამდენადაც იქ უზრუნველყოფილია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ძირითადი ვალდებულების დარღვევისთვის. ეს გამორიცხვა, ნაწილობრივ, სცილდება BGB-ს § 309-ის Nr. 8 lit. a-ს ფარგლებს (იქ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების ბრალეული დარღვევა), ნაწილობრივ კი ჩამორჩება მას (დამატებითი ვალდებულების დარღვევა არ არის საკმარისი). განხილულ უნდა იქნეს საკითხი, ამ თვალსაზრისით ნორმის BGB-ს § 309-ის Nr. 8 lit. a-სთან მისადაგების თაობაზე.

სკ-ის 348-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტის მე-2 შემთხვევას BGB-ს § 309-ში პირდაპირი შესატყვისი არ გააჩნია (არამედ ეყრდნობა ზოგადი საგადასახადო კოდექსის (ABGB) § 11 Nr. 8b-ს) ძველი რედაქციის მაგალითს).

სკ-ის 348-ე მუხლის თ) ქვეპუნქტი თითქოს ზედმეტად არეგულირებს ზ) ქვეპუნქტის ერთ ნაწილს (შესაძლოა, ზოგადი საგადასახადო კოდექსის (ABGB) § 11 Nr. 9-ს) ძველი რედაქციის მაგალითზე დაყრდნობით). - სკ-ის 348-ე მუხლის ი) ქვეპუნქტი შეესაბამება BGB-ს § 309-ის Nr. 8-ის lit. b-ს, მაგრამ უფრო ფართოა, ვინაიდან ის კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სამართლიდან ნებისმიერ გადახრას გამორიცხავს.

407

შეიძლება განხილულ იქნეს, BGB-ს § 309-ის Nr. 9-დან 14-მდე წესების შესაბამისი დებულებების გადმოღების საკითხი. ამასთან, შესაძლებელია, რომ BGB-ს § 309-ის Nr. 13-ის ამსახველი დებულება, გენერალური დათქმის ტიპის კრიტერიუმის („შეუსაბამოდ მკაცრი ფორმა“) ნაცვლად, ასევე ხელშეკრულებისთვის არსებული ფორმის მოთხოვნების მიხედვით დიფერენცირებულად ჩამოყალიბდეს („უფრო მკაცრი ფორმით, ვიდრე ხელშეკრულებაში არსებული წერილობითი ფორმა, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სანოტარო წესით დამონმებას ან უფრო მკაცრი ფორმით, ვიდრე სხვა ხელშეკრულებებში არსებული ტექსტური ფორმა“).

BGB-ს § 309-ის Nr. 15-ის შესაბამისი წესი (საავანსო გადახდები და უზრუნველყოფა ნარდობის ხელშეკრულებაში) შესაბამისობაში იქნება მოსაყვანი ნარდობის ხელშეკრულების სამართალთან.



## d) გადახდის დაგვიანება

**408** სპეციალური დებულებები გადახდის დაგვიანების და საგადახდო მომსახურების შესახებ - 2 დირექტივების მიხედვით, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს მიჩნეული მხოლოდ მომხმარებელთა დამცავი მოქმედების მქონედ, უნდა განთავსდეს თავში „შესრულების ვალდებულების შინაარსი“ და „მოვალის მიერ ვადის გადაცილება“. ამასთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს BGB-ს §§ 271 a, 288-ის მე-2-დან მე-5-მდე აბზაცები, 308-ის Nr. 1-ის a და b, გარდა ამისა, ვადის გადაცილების განსხვავებული დასაწყისი BGB-ს § 286-ის მე-3 და მე-5 აბზაცების შესაბამისად.<sup>310</sup> გადამწყვეტ საკითხს, იმის თაობაზე, თუ რა მოცულობით უნდა დაედოს საფუძვლად წარმოდგენილი შეფასებები საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსს, მე ვერ განვჭვრეტ.

ბერლინი/ჰამბურგი, 2019 წლის 11 სექტემბერი

პროფ. ოლაფ მუტჰორსტი

<sup>310</sup> შდრ. *Looschelders*, Schuldrecht Allgemeiner Teil, 16. Aufl. 2018, § 26 Rn. 15 ff.

**წინადადებები ცვლილებების შესახებ**

<p>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, 2015 წლის 11 დეკემბერს შესრულებული თარგმანი</p>	<p>ცვლილებების შემოთავაზებები</p>	<p>დასაბუთება, ტექსტის ველის ნომერი</p>
<p>წიგნი პირველი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი</p>	<p>წიგნი პირველი სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი</p>	
<p>შესავალი დებულებანი</p>	<p>შესავალი დებულებანი</p>	
<p><b>მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო</b> ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.</p>	<p><b>მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო</b> ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დაყრდნობით [პირთა თანასწორი თავისუფლების საფუძველზე], მათ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პიროვნულ სამართლებრივ ურთიერთობებს ერთმანეთს შორის.</p>	<p><b>23, 24</b></p>
<p><b>მუხლი 2. სამოქალაქო კანონმდებლობა</b> 1. სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. 2. ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. 3. სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქ-</p>	<p><i>შეიძლება წაიშალოს</i></p>	<p><b>26, 27</b></p>

<p>მედებს კანონი.</p> <p>4. ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.</p>		
<p><b>მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში</b></p> <p>1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.</p> <p>2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.</p> <p>3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.</p> <p>4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.</p> <p>5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.</p>	<p><i>შეიძლება ნაიშალოს</i></p>	<p><b>26, 28</b></p>
<p><b>მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა</b></p> <p>1. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.</p>	<p><i>შეიძლება ნაიშალოს; ან:</i></p> <p><b>მუხლი 4. დამოკიდებულება კანონსა და სამართალზე</b></p> <p>1. სასამართლო სამოქალაქო საქმეებში დამოკიდებულია კანონსა და სამართალზე.</p> <p>2. მოქმედი კანონები, საკონსტიტუციო დებულებების გათვალისწინებით უნდა</p>	<p><b>32</b></p>

<p>2. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.</p>	<p>იქნეს გამოყენებული, მაშინაც კი, როდესაც ეს სასამართლოს ნებას ეწინააღმდეგება.</p>	
<p><b>მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია</b></p> <p>1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსანესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).</p> <p>2. თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).</p> <p>3. სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.</p>	<p><i>შეიძლება წაიშალოს; ან:</i></p> <p><b>მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია</b></p> <p>1. ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, რომლებიც კანონში, გეგმის საპირისპიროდ, მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).</p> <p>2. თუ ასეთი ურთიერთობა არ არსებობს, მაშინ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).</p> <p>3. სპეციალური ფაქტობრივი გარემოებების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.</p>	<p><b>34</b></p>
<p><b>მუხლი 6. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა</b></p> <p>კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან</p>	<p><i>შეიძლება წაიშალოს; ან:</i></p> <p><b>მუხლი 6. სამართლებრივი ნორმების უკუქცევითი ძალა</b></p> <p>კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მკაფიოდ არის გათვალისწინებული ან მათი არსიდან და მიზნიდან გამომდინარეობს და მხოლოდ, რამდენადაც უკუქცევით ძალას არ ეწინააღმდეგება დაცვის ღირსი ნდობა.</p>	<p><b>26, 29, 30</b></p>

<p>აუარესებს პირის მდგომარეობას.</p>		
<p><b>.მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები</b></p> <p>კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.</p>	<p><b>მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები</b></p> <p>კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების სხეულებრივი და უსხეულო სიკეთე, რომელიც კანონის საფუძველზე ან ნივთის ბუნებიდან გამომდინარე ბრუნვიდან არ არის ამოღებული. გარიგების საშუალებით ქონების ბრუნვიდან ამოღება დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. ეს ნორმა არ ეხება გარიგებით გათვალისწინებულ პირის ვალდებულებას, რომ არ განკარგოს ქონება.</p>	<p><b>36, 38</b></p>
<p><b>მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები</b></p> <p>1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.</p> <p>2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.</p>	<p><b>მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები</b></p> <p>1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის, კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ.</p>	<p><b>43</b></p>
<p><b>მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები</b></p> <p>2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება:</p> <p>ა) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;</p> <p>ბ) (ამოღებულია - 14.12.2006, №3967);</p> <p>გ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;</p>	<p><i>დაემატოს 1509-ე მუხლიდან - „კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები“:</i></p> <p>2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება:</p> <p>ა) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები</p> <p>ან:</p> <p>ა) არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირები</p>	<p><b>41</b></p> <p><b>108</b></p>

<p>დ) კომანდიტური საზოგადოება;</p> <p>ე) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;</p> <p>ვ) სააქციო საზოგადოება;</p> <p>ზ) კოოპერატივი.</p>	<p>ბ) (ამოღებულია - 14.12.2006, №3967);</p> <p>გ) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები</p> <p>დ) კომანდიტური საზოგადოებები</p> <p>ე) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები</p> <p>ვ) სააქციო საზოგადოებები</p> <p>ზ) კოოპერატივები.</p>	
<p><b>მუხლი 1509. კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები</b></p> <p>(1) სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან:</p> <p>ა) სახელმწიფო;</p> <p>ბ) თვითმმართველი ერთეული (14.12.2006 N3967-RS);</p> <p>გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული</p> <p>პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონით</p> <p>განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;</p> <p>დ) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;</p> <p>ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა); (06.04.2005 N1233-Is);</p> <p>ვ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმად-</p>	<p><i>დაემატოს 1509-ე მუხლიდან, „კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები“:</i></p> <p>(3) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განეკუთვნება:</p> <p>ა) სახელმწიფო;</p> <p>ბ) ყოველი თვითმმართველი ერთეული (14.12.2006 N3967-RS);</p> <p>გ) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;</p> <p>დ) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არის შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;</p> <p>ე) საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა); (06.04.2005 N1233-Is);</p> <p>ვ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მარ-</p>	<p><b>43</b></p>

<p>დიდებული ეკლესია; (06.04.2005 N1233-Is).</p>	<p>თლმადიდებული ეკლესია; (06.04.2005 N1233-Is).</p>	
<p><b>მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები</b></p> <p>3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.</p>	<p><b>მუხლი ## კეთილსინდისიერება</b></p> <p>სამართლებრივ ბრუნვაში მონაწილე პირები ვალდებული არიან კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ჩულები ნორმების გათვალისწინებით განახორციელონ და შეასრულონ თავიანთი თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.</p>	<p><b>46</b></p>
<p><b>მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი</b></p> <p>სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს.</p>	<p><b>მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი</b></p> <p>სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამას არ ეწინააღმდეგება მესამე პირთა უფლებები ან საკონსტიტუციო წესრიგი.</p>	<p><b>48</b></p>
<p><b>მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან. სამოქალაქო</b></p> <p><b>სამართლის იმპერატიული ნორმები</b></p> <p>1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.</p>	<p><b>მუხლი 10. სამოქალაქო-სამართლებრივი მოქმედების თავისუფლება. სავალდებულო ნორმები</b></p> <p>1. თავისუფლება სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაში არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.</p>	<p><b>49</b></p>
<p>2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.</p>	<p>2. სამართლებრივ ბრუნვაში მონაწილე პირებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, ნებისმიერი მოქმედება. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ასეთი მოქმედება კანონით მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული.</p>	<p><b>50</b></p>
<p>3. უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კო-</p>	<p>3. სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონები იმპერატიული ნორმების საშუალებით. გარიგებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, თუ კანონი სხვაგვარ შედეგებს არ ითვალისწინებს. მეორე წინადადება მოქმედებს ასევე გარიგებებისთვის, რომელთა საშუალებითაც ხდება იმპერატიული ნორ-</p>	<p><b>51, 52</b></p>

ნკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.	მების გვერდის ავლა. ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ისინი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოცემული.	
<b>კარი პირველი</b>	<b>კარი პირველი</b>	
<b>პირები</b>	<b>პირები</b>	
<b>თავი პირველი</b>	<b>თავი პირველი</b>	
<b>ფიზიკური პირები</b>	<b>ფიზიკური პირები</b>	
<b>მუხლი 11. უფლებაუნარიანობა</b>	<b>მუხლი 11. უფლებაუნარიანობა</b>	<b>56, 57</b>
1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.	1. უფლებაუნარიანობა – ფიზიკური პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების დასრულების მომენტიდან.	
2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.	<i>ნაიშალოს და დარეგულირდეს 1307-ე მუხლში</i>	<b>58</b>
3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ნყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.	3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ნყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.	
4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.	4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.	
<b>მუხლი 12. ქმედუნარიანობა</b>	<b>მუხლი 12. ქმედუნარიანობა</b>	
1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.	1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.	
2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.	2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.	
3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.	<i>ნაიშალოს</i>	<b>63</b>
4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ	4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით [მე-2 და მე-3 ნაწილებით] გათვალისწინებული წინაპი-	<b>64</b>



<p>– მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.</p>	<p>რობების შესაბამისად ქმედუნარიანად ითვლება ასევე მხარდაჭერის მიმღები (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	
<p>5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება. (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p>წაიშალოს და დარეგულირდეს 1277-ე მუხლში</p>	
<p>6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუნაროდ ითვლება.</p>	<p>6. 7 წლის ასაკის შესრულებამდე (მცირეწლოვანი) პირი ქმედუნაროდ ითვლება.</p>	<p><b>62</b></p>
<p><b>მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით</b></p> <p>ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.</p>	<p><b>მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით</b></p> <p>ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.</p>	<p><b>65</b></p>
<p><b>მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა</b></p> <p>1. არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.</p>	<p><b>მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა</b></p> <p>1. არასრულწლოვანი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. [მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი უცვლელი რჩება].</p>	<p><b>67</b></p>

<p>2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუნესა მზრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.</p> <p>3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.</p>	<p>2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუნესა მზრუნველობა. სამეურვეო პირი ქმედუნარიანი გახდება, მეურვეობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე. [1-ლი და მე-2 წინადადებები მოქმედებს ასევე მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედუნარო პირის მიმართ.] 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედუნარიანობის შეზღუდვაზე გავლენას არ იქონიებს მზრუნველობის დანიშვნა ან გაუქმება.</p>	<p><b>68</b></p>
	<p>ან:</p> <p>2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუნესა მზრუნველობა ან მეურვეობა. მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი ქმედუნარიანი გახდება, როდესაც მზრუნველობის ან მეურვეობის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა. [1-ლი და მე-2 წინადადებები ასევე მოქმედებს მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედუნარო პირის მიმართ]. მზრუნველობის ან მეურვეობის გაუქმება არ იმოქმედებს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედუნარიანობის შეზღუდვაზე .</p>	<p><b>69</b></p>
<p><b>მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას</b></p> <p>შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.</p>	<p><i>წაიშალოს და დარეგულირდეს 63-ე და შემდგომ მუხლებთან.</i></p>	<p><b>70</b></p>
<p><b>მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო</b></p> <p>1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუნესდეს სრულწლოვან პირს,</p>	<p><i>წაიშალოს და დარეგულირდეს 1275-ე და შემდგომ მუხლებთან.</i></p>	<p><b>69</b></p>

<p>რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.</p> <p>2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა ინვეს მზრუნველობის გაუქმებას.</p>		
<p><b>მუხლი 17. სახელის უფლება</b></p> <p>1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.</p> <p>2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.</p> <p>3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შექმნილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.</p>	<p><b>მუხლი 17. სახელის უფლება</b></p> <p>1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.</p> <p>2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.</p> <p>3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შექმნილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.</p>	
<p><b>მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები</b></p> <p>1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.</p>	<p><b>მუხლი 18. პიროვნული უფლებები</b></p> <p>1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.</p>	<p>71</p>
<p>2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან (24.06.2004, N222 – RS).</p>	<p>2. პირს, რომლის პატივი, პირადი თვითგამორკვევის უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, აგრეთვე მისი საქმიანი რეპუტაცია მართლსაწინააღმდეგოდ იქნა დარღვეული, უფლება აქვს მოითხოვოს დამრღვევისგან ამ მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება (24.06.2004, N222 – RS).</p>	<p>72, 74</p>

<p>3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.</p>	<p>3. თუ პირის პატივის, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი გაუქმებაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.</p>	<p><b>72, 75</b></p>
<p>4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.</p> <p>5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.</p>	<p>4. პირს, რომლის პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.</p> <p>5. ამ მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გამოსახულება დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, როდესაც ის გადაღებულ იქნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან თუ პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.</p>	<p><b>72, 74</b></p>
<p>6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.</p>	<p>6. ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვა მოქმედებს მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ინტერესების დარღვევისას შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული, არსებითი ხელყოფის შემთხვევაში, შეიძლება მოთხოვილ იქნეს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაც, როდესაც მიყენებული ზიანის გამოსწორება დაზიანების ბუნებიდან გამომდინარე სხვაგვარად შეუძლებელია.</p>	<p><b>76</b></p>

<p><b>.მუხლი 18<sup>1</sup>. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება (14.03.2008 N5919-IS)</b></p> <p>1. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.</p> <p>2. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.</p> <p>3. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება.</p>	<p>ლია.</p> <p><b>მუხლი 18<sup>1</sup>. პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (14.03.2008 N5919-IS)</b></p> <p>1. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.</p> <p>2. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.</p> <p>3. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების საიდუმლოება.</p>	
	<p>(4) 1-ლი-მე-3 ნაწილები არ გამოიყენება ავტომატიზებულად დამუშავებული, მონაცემთა სისტემაში შენახული ან შესახად გამიზნული პერსონალური მონაცემების მიმართ, როდესაც მათ შესახებ ინფორმაციის გაცემა ვალდებული პირისთვის მიუღებელია, რადგან ამასთან დაკავშირებული ხარჯი შეუსაბამოა დაზარალებული პირის დაცვის ღირს ინტერესთან.</p>	<p><b>78</b></p>
<p><b>მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ</b></p> <p>მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგ-</p>	<p><b>მუხლი 19. პიროვნული უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ</b></p> <p>მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის და-</p>	<p><b>79</b></p>

<p>რამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.</p>	<p>რღვეული უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი, თუ დარღვეული უფლება პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. გამოყენების უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მოქმედებისგან თავის შეკავება, უფლების დარღვევის აღმოფხვრა და გაუქმება.</p>	
<p><b>მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი</b></p> <p>1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.</p> <p>2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი.</p> <p>3. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.</p>	<p><b>მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი</b></p> <p>1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.</p> <p>2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების, მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი.</p> <p>3. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.</p>	<p><b>80</b></p>
<p><b>მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად</b></p> <p>1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალეები.</p>	<p><b>მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად</b></p> <p>1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოცხადებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ და განკარგონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი და ვადამოსული ვალდებულებები, განსაკუთრებით უგზო-უკვლოდ დაკარგულის ვალდებულებები სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით.</p>	<p><b>82</b></p>

<p>2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.</p>	<p>2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, მემკვიდრეები კარგავენ 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. უგზო-უკვლოდ დაკარგულს შეუძლია მოითხოვოს თავისი ქონების, აგრეთვე მისი სახსრებით შეძენილი საგნების დაბრუნება, სარგებლისა და ნაყოფის ჩათვლით. თუ მემკვიდრეებს არ შეუძლიათ დაბრუნება, მაშინ მათი ვალდებულება განისაზღვრება უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული დაბრუნების შესახებ დებულებების შესაბამისად.</p>	<p style="text-align: center;"><b>83</b></p>
<p><b>მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად</b></p> <p>1. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.</p>	<p><b>მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად</b></p> <p>1. დაინტერესებული პირის განაცხადის საფუძველზე პირი შეიძლება სასამართლოს ადანყვეტილების გზით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და საპირისპირო ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.</p>	<p style="text-align: center;"><b>84</b></p>
<p>2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.</p>	<p>2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.</p>	
<p>3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.</p>	<p>3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.</p>	<p style="text-align: center;"><b>85</b></p>
<p>4. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამარ-</p>	<p>4. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასა-</p>	

<p>თლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.</p>	<p>მართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.</p>	
<p><b>მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები</b></p> <p>1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადანყვეტილებას.</p>	<p><b>მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები</b></p> <p>1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადანყვეტილებას.</p>	
<p>2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.</p>	<p>2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის ხელთ არსებული ის ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.</p>	
	<p>ან:</p> <p>2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს უკან მოითხოვოს თავისი ქონება, აგრეთვე მისი სახსრებით შექმნილი საგნები, სარგებლისა და ნაყოფის ჩათვლით, იმ პირისგან, რომელსაც ის მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა.</p>	<p><b>86</b></p>
<p>3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექმნისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.</p>	<p>3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექმნისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.</p>	
<p>4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა. (09.12.2005 N2239-11s).</p>	<p>4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა. (09.12.2005 N2239-11s).</p>	
<p><b>თავი მეორე</b></p> <p><b>იურიდიული პირები</b></p>	<p><b>თავი მეორე</b></p> <p><b>იურიდიული პირები</b></p>	



I. ზოგადი დებულებანი	I. ზოგადი დებულებანი	
<p><b>მუხლი 24. ცნება. სახეები</b></p> <p>1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.</p>	<p><b>მუხლი 24. ცნება. სახეები</b></p> <p>1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და შეუძლია საკუთარი სახელით უფლებებისა და მოვალეობების შექმნა, გარიგებების დადება და სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოსვლა.</p>	
<p>2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას.</p>	<p>2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად [საჭიროების შემთხვევაში: ან ქონებაზე დამოკიდებულად] ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას.</p>	<b>108</b>
<p>3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.</p>	<p>3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნა, ორგანიზება და საქმიანობა განისაზღვრება კანონით.</p>	<b>89</b>
<p>4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დანესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>5. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა,</p>	<p>4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დანესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>5. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა,</p>	

<p>აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას [დარეგისტრირდეს?] „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამენარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამენარმეო საქმიანობა, რეგისტრირდება ამ კოდექსით დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><b>106</b></p>
<p><b>მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა</b></p> <p>1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.</p>	<p><b>მუხლი 25. უფლებაუნარიანობა</b></p> <p><i>წაიშალოს</i></p>	<p><b>90</b></p>
<p>2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამენარმეოს თუ არასამენარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.</p>	<p>2. იურიდიულ პირს (სამენარმეოს თუ არასამენარმეოს (არაკომერციულს)) შეუძლია იქონიოს უფლებები და მოვალეობები ნებისმიერი საქმიანობის საშუალებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული მისი წესდებით.</p>	
<p>3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან (21.07.2010 N3537-RS).</p>	<p><i>წაიშალოს</i></p>	
<p>4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.</p>	<p>4. იურიდიული პირი იძენს უფლებაუნარიანობას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი დასრულების ფაქტის</p>	<p><b>91</b></p>

<p>5. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>რეგისტრაციის მომენტიდან.</p> <p>(3) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის განსახორციელებლად დანიშნულ პირებს შორის დაუშვებელია (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p><b>მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) (14.12.2006 N3967-RS)</p> <p>2. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p><b>მუხლი 26. ადგილსამყოფელი (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი მთავარი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი.</p> <p>2. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p><b>92</b></p>
<p><b>მუხლი 27. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><b>მუხლი 27. სახელი</b></p> <p>1. იურიდიულ პირის სახელში ერთმნიშვნელოვანი აღნიშვნის საშუალებით ნათლად უნდა აისახოს სამართლებრივი ფორმა, რომლითაც ის არსებობს.</p>	<p><b>93</b></p>

	<p>2. იურიდიული პირის სახელში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშვნები, რომლებმაც აშკარად შეიძლება გამოიწვიოს შეცდომაში შეყვანა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაბამისი ბრუნვის მონაწილეებისთვის. (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>3. იურიდიული პირის სახელი შესაფერისი უნდა იყოს მის აღსანიშნავად, გააჩნდეს განმასხვავებელი ძალა და არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული იურიდიული პირის სახელს (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს ბრალეული მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p><b>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის წარმომადგენლობის) რეგისტრაციის წესი (25.12.2009 N2458-RS).</b></p> <p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის</p>	<p><b>მუხლი##. რეესტრი</b></p> <p>(1) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ერთიან რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p><b>94</b></p>

<p>იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p>		
<p><b>მუხლი 29. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები (14.07.2011 N5017)</b></p> <p>1. დაინტერესებული პირი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>(2) იურიდიული პირის რეგისტრაცია ხორციელდება მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების წარდგენის გზით, რომელიც ოფიციალურად დამონმებული ფორმით უნდა განხორციელდეს.</p>	
<p><b>მუხლი 32. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017)</b></p> <p>1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p>	<p>(3) მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p>	
<p><b>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო, გარდა მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:</b></p> <p>ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი</p>	<p>რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნა არსებობს მაშინ, როდესაც დაფუძნება აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და დასაფუძნებელი იურიდიული პირის მიზნები არ არის მიმართული მესამე პირთა უფლებების ან კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ. თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის, მას რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას.</p> <p><i>საჭიროების შემთხვევაში, დაემატოს: მითითება გასაჩივრების წესის შესახებ რეგისტრაციაზე უარის თქმის ან</i></p>	

<p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს;</p> <p>ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები. გ)–ზ) ამოღებულია (14.07.2011 N5017).</p>	<p>რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში.</p>	
<p><b>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS).</b></p> <p>3. [...]მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება. (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის განმცხადებლისთვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება. (25.12.2009 N2458-RS).</p>	
<p><b>მუხლი 32. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017).</b></p> <p>2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით.</p>	<p>(4) მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით.</p>	
<p><b>მუხლი. 34 რეესტრის მონაცემები</b></p>	<p>(5) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირისსარეგისტრაციო დო-</p>	

<p><b>(14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>(1-1) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სარეგისტრაციო დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელწოდებას, ადგილსამყოფელს და საქმიანობის მიზანს, დამფუძნებლის (დამფუძნებლების), ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას.(27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>კუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელს, ადგილსამყოფელს და საქმიანობის მიზანს, აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას და მათ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას (27.04.2010 N2978-RS).</p>	
<p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა. (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>2. რეგისტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა (03.11.2009 N1964-IIS).</p>	
<p><b>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS)</b></p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა) წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) არსებობა დგინდება ამონაწერით მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარ-</p>	<p>(7) იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იურიდიული პირის არსებობა დგინდება რეგისტრიდან ამონაწერით. იურიდიული პირის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.</p>	

<p>მომადგენლობის) რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.</p>		
<p><b>მუხლი 31. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაცია (14.07.2011 N5017)</b></p> <p>2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>(8) იურიდიული პირისმიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეხება სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებულ მონაცემებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (27.04.2010 N2978-RS). მანამდე ეს ცვლილება შეიძლება იქნეს გამოყენებული მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ ამის შესახებ მათთვის ცნობილია. თუ ცვლილება რეგისტრირებულია, ის არ ავალდებულებს მესამე პირს, თუ მან ამის შესახებ არაფერი იცის და თუ მისი უცოდინარობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით.</p>	
<p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p>	<p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p>	
<p>3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით (14.07.2011 N5017).</p>	<p>(10) იურიდიული პირის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მისი რეგისტრაციისთვის მოქმედი დებულებების შესაბამისად (14.07.2011 N5017).</p>	
<p><b>მუხლი 35. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა</b></p>	<p><b>მუხლი ## ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. იურიდიული პირის მართვა და წარმო-</p>	<p>95</p>



<p><b>(14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მნიშვნელოვან საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. <b>(14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. <b>(27.04.2010 N2978-RS)</b>.</p>	<p>მადგენლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პირის მიერ. თუ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობისთვის დანიშნულია ერთზე მეტი პირი, მაშინ მათ აქვთ უფლება, რომ ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა განახორციელონ ცალ-ცალკე, ყველამ ერთობლივად ან უმრავლესობით. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, მათ აქვთ ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის მხოლოდ ერთობლივად განხორციელების უფლებამოსილება. თუ ნების გამოვლენა იურიდიული პირის მიმართ უნდა განხორციელდეს, მაშინ არ შეიძლება მოთხოვილ იქნეს მისი გამოვლენა წარმომადგენლად დანიშნული ერთზე მეტი პირის მიმართ. 2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს იურიდიული პირის საკითხებზე გადანყვეტილებების მიღებას. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. <b>(27.04.2010 N2978-RS)</b>.</p> <p><b>(3)</b> წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია, თუ იგი არ არის შეზღუდული სხვა დებულებების საშუალებით ან მათ საფუძველზე. გარიგებებისთვის, რომლებთან დაკავშირებით მესამე პირებისთვისაც ნათელია, რომ ისინი სრულიად სცდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიზანს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ არსებობს.</p>	
<p><b>მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას <b>(14.12.2006 N3967-RS)</b>.</p>	<p><b>მუხლი ## პასუხისმგებლობა (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ხელმძღვანელობის ან წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირებმა ან წესდებით დანიშნულმა სხვა სპეციალურმა წარმომადგენლებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი შესრულებისას მიაყენეს მესამე პირებს ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას <b>(14.12.2006 N3967-RS)</b>.</p>	<p><b>96</b></p>

	<p>იურიდიული პირი ასევე პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ მან არ დანიშნა თავის ერთ-ერთ საქმეზე სპეციალური წარმომადგენელი ან დამხმარე პირი.</p>	
<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდნენ. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი იურიდიული პირის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხსწარმოშობილი ზიანისათვის. ვალდებულების უხეში დარღვევის შემთხვევებში შესაძლებელია ასევე, რომ სარჩელი ანაზღაურების შესახებ შეტანილ იქნეს იურიდიული პირის კრედიტორების მიერ, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნას. კრედიტორების მიმართ ანაზღაურების ვალდებულება არ გაუქმდება ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უარის თქმის ან იურიდიული პირის მიერ მორიგების შემთხვევაში, ისევე როგორც მაშინ, როდესაც ქმედება იურიდიული პირის ორგანოს გადაწყვეტილებას ეფუძნება (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><b>97</b></p>
<p><b>მუხლი 38. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია</b></p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან ამ კოდექსის 38 1 მუხლის შესაბამისად (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p><b>მუხლი ## გაუქმება</b></p> <p>(1) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირის გაუქმება ხორციელდება წესდებით გათვალისწინებული დასრულების თარიღის დადგომისას, ასეთი უფლებამოსილების მქონე მისი ორგანოების გადაწყვეტილებით ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, ან [აქამდე: ამ კოდექსის მუხლი 38'] შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებით. (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p><b>98, 99</b></p>
<p>4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არა-</p>	<p>(2) გადაწყვეტილება იურიდიული პირის გაუქმების პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. იგივე ნე-</p>	<p><b>98, 102</b></p>

<p>კომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. [...]</p>	<p>სი მოქმედებს იურიდიული პირის არსებობის გაგრძელების მიმართ.</p>	
	<p><b>მუხლი ## ქონების განაწილება</b></p> <p>(1) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, იურიდიული პირის გაუქმების შემდეგ, მისი ქონების გათვალისწინებით, ხორციელდება ქონების განაწილება ლიკვიდაციის გზით.</p>	<p><b>98, 103</b></p>
<p>3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.</p>	<p>(2) თუ ქონების განაწილება ხორციელდება ლიკვიდაციის გზით, მაშინ უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.</p>	
<p>8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>(3) ლიკვიდაციას ახორციელებენ ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p>	
<p>9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე</p>	<p>(4) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები).</p> <p>(5) აკრძალულია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარ-</p>	

<p>დე (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>მოების შეწყვეტამდე (14.12.2006 N3967-RS).</p>	
	<p>(6) ლიკვიდატორები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, აგრეთვე ნებისმიერი მათთან დაკავშირებული ცვლილება უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.</p>	
<p>10. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ განცხადებების წარდგენის საფუძველზე (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p><b>მუხლი ## შეწყვეტა</b></p> <p>10. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ იურიდიული პირის შეწყვეტა უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.</p>	<p><b>98, 104</b></p>
	<p>(2) თუ არ არსებობს ქონება ან თუ იურიდიული პირი სინამდვილეში არც ჩამოყალიბებულა, მაშინ უნდა დარეგისტრირდეს, რომ იურიდიული პირი შეწყვეტილია გაუქმების შედეგად.</p>	
<p><b>მუხლი 38<sup>1</sup>. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება</b></p> <p><b>(03.11.2009 N1964-IIS)</b></p> <p>თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და ამ იურიდიულ პირს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერ-</p>	<p><b>მუხლი ##. გაუქმება ხარვეზების გამო (03.11.2009 N1964-IIS)</b></p> <p>თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მაშინ მას მარეგისტრირებელი ორგანო განუსაზღვრავს ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღიან ვადას ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული</p>	<p><b>98, 100</b></p>

<p>რციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებული ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>პირების რეესტრიდან გაიცემა მხოლოდ ისეთი ამონაწერი, რომელშიც მითითებულია წარდგენილი მოთხოვნის თაობაზე. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიმართოს სასამართლოს რეგისტრირებული იურიდიული პირის გაუქმების მოთხოვნით. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით, რომლითაც სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ლიკვიდატორი იურიდიული პირი გაუქმებულია.</p>	
<p><b>II. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები</b></p>	<p><b>II. არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირები</b></p>	<p><b>110</b></p>
	<p><b>მუხლი ## კავშირის ცნება</b></p> <p>(1) კავშირი არის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელშიც ერთობლივი მიზნის მისაღწევად, გარკვეული ვადით ერთიანდება რამდენიმე პირი. ამასთან, ორგანიზაცია დამოუკიდებელია მის წევრთა შემადგენლობის ცვლილებისგან. კავშირის დასაფუძნებლად საჭიროა, სულ მცირე, ხუთი [ან: შვიდი] პირი.</p> <p>(2) სამენარმეო საქმიანობა, რომელიც შემთხვევით ხასიათს ატარებს და ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას, არ ცვლის იურიდიული პირის არასამენარმეო (არაკომერციულ) ხასიათს. დაუშვებელია, ასეთი საქმიანობით მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის.</p> <p>(3) კავშირის სახსრების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისთვის. არ შეიძლება კავშირის ქონებიდან მისი წევრების დაფინანსება. არც ერთ პირს არ აქვს უფლება განიოს ხარჯები, რომლე-</p>	<p><b>111</b></p>

	<p>ბიჯ უცხოა კავშირის მიზნისთვის ან მიანიჭოს შეღავათები შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურების გაცემით.</p>	
<p><b>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება</b></p> <p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><b>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება</b></p> <p>კავშირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება კავშირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს ან მისი სხვა არასამენარმეო (არაკომერციულ) კავშირზე გასხვისების შემთხვევაში (14.12.2006 N3967-RS).</p>	
<p><b>მუხლი 27. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მენარმეთა შესახებ“ და „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდე-</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>93</b></p>

<p>გოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნესები (14.12.2006 N3967-RS).</p>		
<p><b>მუხლი 28. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია (25.12.2009 N2458-RS)</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>წაიშალოს</p>	<p>112</p>
<p>2. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა) წარმოშობილად ითვლება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) არსებობა დგინდება</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>94</p>

<p>ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება მისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება (25.12.2009 N2458-RS).</p> <p>(4)-(11) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p><b>მუხლი 29. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები (14.07.2011 N5017)</b></p>	<p><b>მუხლი ##. რეგისტრაცია</b></p>	<p><b>113</b></p>
<p>1. დაინტერესებული პირი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს (25.12.2009 N2458-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>94</b></p>
	<p>1. კავშირის რეგისტრაციის შესახებ განაცხადის შეტანის უფლებამოსილება აქვს გამგეობას, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე შემადგენლობით.</p>	<p><b>113</b></p>
<p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს (25.12.2009 N2458-RS):</p> <p>ა) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;</p> <p>ბ) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ</p>	<p>2. კავშირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს გამგეობის წევრთა დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე კავშირის დამფუძნებელ წევრთა მიერ ხელმოწერილი წესდება, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო დოკუმენტში, რომელშიც უნდა მიეთითოს (25.12.2009 N2458-RS):</p> <p>ა) მიზანი;</p> <p>ბ) სახელი და ადგილსამყოფელი;</p> <p>გ) რომ კავშირი უნდა იქნეს დარეგისტრირებული;</p> <p>დ) დამფუძნებელი წევრები [საჭიროების</p>	<p><b>113</b></p>



<p>იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;</p> <p>გ) რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;</p> <p>დ) არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა.</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (14.07.2011 N5017).</p>	<p>შემთხვევაში: სახელწოდების, სახელის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის, პროფესიის და საცხოვრებელი ადგილის მითითებით];</p> <p>ე) შექმნის თარიღი.</p> <p>თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც. ზემოთ ხსენებული საბუთები უნდა დაერთოს ორიგინალის ან ოფიციალურად დამოწმებული ასლების სახით.</p> <p>3. რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (14.07.2011 N5017).</p>	
<p><b>მუხლი 30.</b> ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p><b>მუხლი 31.</b> არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაცია (14.07.2011 N5017)</p> <p>1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება (14.07.2011 N5017).</p> <p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>94</b></p>

<p>დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მენარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით (14.07.2011 N5017).</p>		
<p><b>მუხლი 32. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი (14.07.2011 N5017)</b></p> <p>1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს (14.07.2011 N5017).</p> <p>2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14<sup>2</sup> მუხლით (14.07.2011 N5017).</p> <p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო, გა-</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p><b>94</b></p>

<p>რდა მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:</p> <p>ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპებს;</p> <p>ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.</p> <p>გ)–ზ) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p> <p>(4) ამოღებულია (14.07.2011 N5017)</p>		
<p><b>მუხლი 33. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.</p> <p>3. სასამართლოს მიერ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მარეგისტრაციის</p>	<p>ახალი რედაქცია 38<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით</p>	<p>124</p>

<p>ტრიბუნალმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია (19.11.2009 N1964-IIS).</p>		
<p><b>მუხლი 33-1.</b> ამოღებულია (03. 11. 2009 N1964-IIS)</p>		
<p><b>მუხლი 34. რეგისტრაციის მონაცემები (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. (ამოღებულია) (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სარეგისტრაციო დოკუმენტი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის, ფილიალის (წარმომადგენლობის) სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და საქმიანობის მიზანს, დამფუძნებლის/წევრის (დამფუძნებლების/წევრების), ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვინაობას (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებგვერდზე განთავსება და მათი ხელმისაწვდომობა (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>3. (ამოღებულია) (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>94</b></p>
<p><b>მუხლი 35. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა (14. 12.2006 N3967-RS)</b></p>	<p>მუხლი ##. გამგეობა</p>	<p><b>115</b></p>
<p><b>მუხლი 35. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა</b></p> <p>1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ანდა დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვა-</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>95</b></p>

<p>ნელობა ან/და წარმომადგენლობა (27.04.2010 N2978-RS).</p> <p>2. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში (27.04.2010 N2978-RS).</p>		
<p>3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაცია და სტრუქტურა უნდა მონესრიგდეს წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>წაიშალოს</p>	<p>113</p>
	<p>(1) თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე ორგანო (გამგეობა) შედგება სამი პირისგან. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, კავშირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, რომლის გამგეობაც წესდების მიხედვით რამდენიმე პირისგან შედგება, ხორციელდება გამგეობის წევრთა უმრავლესობით. წარმომადგენლობის უფლებამოსილების ფარგლები, მიუხედავად [ახალი რედაქციით: 35-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 წინადადებისა] მუხლისა, შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიმართ.</p> <p>(2) გამგეობის წევრთა დანიშვნა ხორციელდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დანიშვნა ხორციელდება 4 [ან: ორი] წლის ვადით. ამასთან დასაშვებია ხელახალი დანიშვნა, რომელიც გრძელდება ვადის გასვლის შემდეგ ახალი გამგეობის არჩევამდე. დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, მიუხედავად შესაძლო ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსე-</p>	<p>115</p>

	<p>ბობისა, შეიძლება ნებისმიერ დროს. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გაუქმების უფლება დამოკიდებულია მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობაზე. (3) თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, გამგეობის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები. კავშირის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, საეჭვოობისას, ასევე უქმდება გამგეობის წევრობაც.</p>	
<p>4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები (14.07.2011 N5017).</p>	<p>4. ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები (14.07.2011 N5017).</p>	
	<p>(5) თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გამგეობის საქმიანობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების მიმართ მოქმედი 709-722-ე მუხლები და გამგეობის წევრების საქმიანობა ხორციელდება უსასყიდლოდ.</p> <p>(6) თუ წესდებით გათვალისწინებული, გამგეობის წევრთა მინიმალური რაოდენობა არ არის მიღწეული, მათი დანიშვნა გარდამავალი პერიოდისთვის შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, დანიშნულმა გამგეობის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ წევრთა საერთო კრება, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამგეობის წევრთა საბოლოოდ დანიშვნის თაობაზე.</p>	
	<p><b>მუხლი. ## სპეციალური წარმომადგენლები</b></p> <p>წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ განსაზღვრული გარიგებების დასადავად გამგეობის გარდა, საჭიროა სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნა. ნა-</p>	<p><b>116</b></p>

	<p>რმომადგენლობითი უფლებამოსილება, საექვოობისას, ვრცელდება ყველა გარეგების მიმართ, რომელსაც მისთვის განსაზღვრული საქმიანობის სფერო ჩვეულებრივ მოიცავს.</p>	
	<p><b>მუხლი ##. ნევრთა საერთო კრება</b></p> <p>(1) ნევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ყველა საქმეზე, რომელიც არ ექვემდებარება გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს კომპეტენციას. გარდა ამ კანონში ხსენებული შემთხვევებისა, საერთო კრების კომპეტენციას განსაკუთრებით განეკუთვნება სპეციალური ნარმომადგენლების და სალაროს შემონმებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის დანიშვნა, აგრეთვე გამგეობის ანგარიშების მიღება და მისი საქმიანობის შეფასება. გადაწყვეტილებები ნამდვილია, თუ მათი საგანი კრების მოწვევისას მითითებული იყო დღის წესრიგში.</p> <p>(2) გადაწყვეტილებების მიღება ხდება მიცემული ხმების უბრალო უმრავლესობით. წესდებაში ცვლილების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემულ ხმათა უმრავლესობა, სამი მეოთხედის ოდენობით. კავშირის მიზნის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა; იმ წევრთა თანხმობა, რომლებიც არ გამოცხადდნენ კრებაზე, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. კრებაზე არმყოფ წევრებს შეუძლიათ ხმის მიცემაში მონაწილეობა წერილობითი ფორმით. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. წევრის ხმის მიცემის უფლება შეიძლება განხორციელდეს წერილობითი მინდობილობის წარდგენის საფუძველზე.</p> <p>(3) წევრთა საერთო კრების მოწვევა გამგეობის მიერ ხორციელდება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ ან როდესაც ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს. კრების მოწვევა ხორციელდება კავშირის ყველა წევრის მიმართ წერილობითი ფორმით, კრებამდე 2 კვირის ვადაში. ვა-</p>	<p><b>117</b></p>

	<p>დის ათვლა იწყება მოწვევის გაგზავნის შემდეგი დღიდან. მოწვევა ითვლება წევრის მიერ მიღებულად, თუ იგი გაიგზავნა წევრის კავშირისთვის უკანასკნელად შეტყობინებულ მისამართზე.</p> <p>(4) წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სულ მცირე, წევრთა რაოდენობის ნახევარი ესწრება მას ან წერილობითი ფორმით მონაწილეობს ხმის მიცემაში. გადაწყვეტილებაუნარიანობა ივარაუდება, თუ დამსწრე წევრი მასში ეჭვს არ შეიტანს. თუ რაიმე საკითხის განხილვა გადაწყვეტილებაუნარიანობის არარსებობის გამო გადაიდო და მის განსახილველად ხელახლა იქნა კრება მოწვეული, მაშინ იგი გადაწყვეტილებაუნარიანია მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა, როდესაც აღნიშნულის შესახებ მითითებული იყო მოწვევაში.</p> <p>(5) წევრთა საერთო კრებას ხსნის გამგეობის წევრი. კრების დასაწყისში არჩეულ უნდა იქნენ კრების თავმჯდომარე და მდივანი. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე უნდა მომზადდეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.</p> <p>(6) წევრთა საერთო კრება უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა ერთი მეთათედი მოწვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით წერილობით ითხოვს ამას.</p> <p>(7) ამ მუხლის დებულებები მოქმედებს მხოლოდ, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. უმცირესობის მოთხოვნით წევრთა საერთო კრების მოწვევის ვალდებულებაზე უარის თქმა დაუშვებელია.</p>	
	<p><b>მუხლი ## ხმის მიცემის უფლების გამორიცხვა</b></p> <p>წევრს არ აქვს კავშირის ორგანოში ხმის მიცემის უფლება, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მასსა და კავშირს შორის არსებული სამართლებრივი დავის დაწყებას ან მოგვარებას.</p>	<p><b>118</b></p>



	<p><b>მუხლი ## სალაროს შემონმება</b></p> <p>(1) ნევრთა საერთო კრება ერთი წლის ვადით, განმეორებითი არჩევის უფლებით, ირჩევს სალაროს შემონმებაზე უფლებამოსილ პირს.</p> <p>(2) იგი არ უნდა წარმოაგენდეს გამგეობის ნევრს.</p> <p>(3) შემონმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ყოველწლიურად წარუდგინოს ნევრთა საერთო კრებას ანგარიში, გამგეობისა და სპეციალური წარმომადგენლების სალაროსა და საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ.</p>	<p><b>119</b></p>
<p><b>მუხლი 36. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><i>ახალი რედაქცია 38<sup>1</sup>-ის მიხედვით</i></p>	<p><b>111</b></p>
	<p><b>მუხლი ## ნევრობა</b></p> <p>(1) ნევრების მიღება ხორციელდება წერილობითი განაცხადის საფუძველზე, გამგეობის მიერ ან წესდებით დადგენილი, სხვა წესით. თუ კავშირი არსებით როლს ასრულებს განმცხადებლისთვის მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული ან სხვა ამოცანის შესრულებაში, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს კავშირში განვირინების მოთხოვნის უფლება, თუ მისი განვირინება კავშირისთვის ასატანია.</p> <p>(2) ყველა ნევრი უფლებამოსილია გავიდეს კავშირიდან. წესდება შეიძლება ით-</p>	<p><b>120</b></p>

	<p>ვალისწინებდეს გასვლისთვის შეტყობინების ვადას, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ [ორ] წელიწადს. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ გასვლა ხორციელდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე წევრის მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე.</p> <p>(3) წევრის გარიცხვა კავშირიდან დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ არ არსებობს რაიმე სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი გარიცხვისათვის. მნიშვნელოვან საფუძველებს განეკუთვნება, განსაკუთრებით, კავშირის მიზნებისათვის ზიანის მომტანი ქცევა, წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევა ან საწევროს გადაუხდელობა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში. გადაწყვეტილებას გარიცხვის თაობაზე იღებს გამგეობა. წევრს უფლება აქვს გადაამონმოს ეს ღონისძიება ქვემდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოსადმი მიმართვის გზით. საერთო სასამართლოსადმი მიმართვას აქვს შემაყოფნებელი ეფექტი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.</p> <p>(4) წევრობა არ ექვემდებარება გასხვისებას და მემკვიდრეობით გადაცემას, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>(5) წევრებს ევალებათ საწევროს გადახდა, რომლის ოდენობასა და გადახდის ვადას ადგენს წევრთა საერთო კრება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.</p> <p>(6) წევრთა საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს წევრებისთვის წესდებით მინიჭებული, განუყოფელი, განსაკუთრებული უფლებების შემლახველი გადაწყვეტილებები.</p>	
<p><b>მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება (14.12.2006 N3967-RS)</b></p>	<p><b>მუხლი ## პასუხისმგებლობა</b></p>	<p><b>121</b></p>

<p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>96</b></p>
<p>2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (14.12.2006 N3967-RS).</p>		<p><b>97</b></p>
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p>(1) კავშირი თავისი წევრების, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. გამგეობის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. კავშირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს კავშირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების ვალდებულებებისათვის (14.12.2006 N3967-RS).</p>	<p><b>121</b></p>
	<p>(2) თუ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები ან მისი წევრები ახორციელებენ მის საქმიანობას უსასყიდლოდ ან</p>	<p><b>122</b></p>

	<p>თავიანთი საქმიანობისთვის იღებენ მხოლოდ მცირე ანაზღაურებას [ან: ანაზღაურებას, რომლის ოდენობაც .... ფულად თანხას ან ფულად ღირებულებას არ აღემატება], მაშინ ისინი კავშირის წინაშე პასუხს აგებენ წესდებით გათვალისწინებული თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მიყენებული ზიანისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიყენებულია განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. სადავობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს.</p> <p>(3) თუ კავშირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირებს ან მის წევრებს ეკისრებათ მესამე პირების მიმართ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიყენებულია მათ მიერ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისას, მათ შეუძლიათ მოითხოვონ კავშირისგან ამ ვალდებულებებისგან გათვისუფლება, თუ ისინი საქმიანობას უსასყიდლოდ ან მხოლოდ მცირე ანაზღაურების [ან: ანაზღაურების, რომლის ოდენობაც .... ფულად თანხას ან ფულად ღირებულებას არ აღემატება] სანაცვლოდ ახორციელებდნენ. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ზიანი მათ მიერ მიყენებულია განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.</p>	
<p><b>მუხლი 38. არასამენარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (14.12.2006 N3967-RS))</b></p>	<p><b>მუხლი ## რეორგანიზაცია, გაუქმება და ლიკვიდაცია</b></p>	<p><b>98</b></p>
<p>1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.(30.05.2013 N 651-II S).</p> <p>11. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მენარმე</p>	<p>1. კავშირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.(30.05.2013 N 651-II S).</p> <p>11. კავშირის გაყოფის(დაყოფის, გამოყოფის), შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) და ლიკვიდაციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება მენარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლო-</p>	<p><b>123</b></p>

<p>სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (30.05.2013 N 651-II S).</p>	<p>ბით დადგენილი წესები (30.05.2013 N 651-II S).</p>	
<p>2. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილებით ან სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან ამ კოდექსის 38<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად (27.04.2010 N2978-RS).</p>	<p>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>98, 104</b></p>
<p>3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.</p>		<p><b>98, 103</b></p>
<p>4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან (03.11.2009 N1964-IIS).</p>		<p><b>98, 102</b></p>
	<p>(2) კავშირის გაუქმება შესაძლებელია წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმების სამი მეოთხედის უბრალო უმრავლესობა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>(3) უფლებამოსილ უწყებას შეაქვს სასამართლოში განაცხადი კავშირის გაუქმების შესახებ, როდესაც კავშირი არსებითად ცვლის თავისი საქმიანობის საგანს, განსაკუთრებით, როდესაც იგი ემსახურება სამენარმეო მიზნებს ან როდესაც წესდებით განსაზღვრული მიზნების გა-</p>	<p><b>124</b></p>

	ნხორციელება შეუძლებელი გახდა.	
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები.	(4) ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ეკუთვნის წესდებით გათვალისწინებულ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვროს წევრთა საერთო კრების ან კავშირის სხვა ორგანოს გადანაცვლებით. ასეთი დებულების არსებობის გარეშე წევრთა საერთო კრებას შეუძლია ქონება გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.	125
არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:  ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;  ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;  გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.	(5) ლიკვიდაცია ხორციელდება მიუხედავად ამ მუხლის [36-ე მუხლის ახალი რედაქცია] მე-3 და მე-4 ნაწილების დებულებებისა.	
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (14.12.2006 N3967-RS).	(6) აკრძალულია დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (14.12.2006 N3967-RS).	
	საჭიროების შემთხვევაში ჩამოყალიბდეს მე-7 ნაწილის მე-3 წინადადების სახით:  ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, დარჩენილი ქონება 6 თვის ვადით უნდა იქნეს დეპონირებული სასამართლოში.	126
7. თუ არასამენარმეო (არაკომერციული)	7. თუ წესდებით სხვა რამ არ არის და-	125

<p>იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირები არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირების გამოვლენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.</p>	<p>დგენილი, მაშინ სასამართლო კავშირის ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განსაზღვრავს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) კავშირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირები არ არსებობენ ან ასეთი იურიდიული პირების გამოვლენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლება ამ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სახელმწიფო.</p>	
<p>სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ (03.11.2009 N1964-IIS).</p>	<p>სასამართლომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს კავშირის გაუქმების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p><i>ან ახალი რედაქცია მე-6 ნაწილში</i></p>	<p><b>98, 126</b></p>
<p>8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (03.11.2009 N1964-IIS).</p> <p>9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p><b>98, 103</b></p>

<p>კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>10. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადამწყვეტილების წარდგენის საფუძველზე (27.04.2010 N2978-RS).</p>		
<p><b>მუხლი 38<sup>1</sup>. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება</b></p> <p><b>(03.11.2009 N1964-IIS)</b></p> <p>თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ხარვეზის დადგენის შესახებ და ამ იურიდიულ პირს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორებამდე რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება ჩერდება და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა. ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს</p>	<p><i>ახალი რედაქცია 26-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p><b>98, 100</b></p>



(27.04.2010 N2978-RS).		
<p><b>მუხლი 39. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) (14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მონაცემებისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>2. წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შექმნილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>3. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოსგარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან სამისოდ უფლებამოსილი პირებით (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p><b>მუხლი ## არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)(14.12.2006 N3967-RS)</b></p> <p>1. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მონაცემებისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი (14.12.2006 N3967-RS). მის მიმართ შესაბამისად გამოიყენება კავშირის სამართალი, თუ ის წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს რეგისტრაციას.</p> <p>2. კავშირის მიერ შექმნილი ქონება შეადგენს რარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას (14.12.2006 N3967-RS).</p> <p>4. კრედიტორების მოთხოვნებზე კმაყოფილდება არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით განახორციელეს სამართლებრივი ქმედებები, რომლებიდანაც გამომდინარეობს ეს ვალდებულება (14.12.2006 N3967-RS)</p>	<p><b>127</b></p>
<p><b>მუხლები 40-49</b> ამოღებულია (14.12.2006 N3967-RS)</p>		
	<p><b>III. არასამენარმეო (არაკომერციული) ფონდი</b></p> <p><b>მუხლი ## ფონდის ცნება</b></p> <p>(1) ფონდი წარმოადგენს არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც განკარგავს ქონებას და უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღიარებულია ფონდად.</p>	<p><b>108</b></p>

	<p>(2) ფონდი აღიარებულ უნდა იქნეს უფლებაუნარიანად, როდესაც დაფუძნების გარიგება აკმაყოფილებს ## მუხლის [დაფუძნების გარიგება] მოთხოვნებს, ფონდის მიზნების ხანგრძლივი და მდგრადი შესრულება გარანტირებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული და ფონდის მიზანი საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ კეთილდღეობას. კავშირისთვის, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეული დროით და რომლის ქონებაც უნდა დაიხარჯოს მიზნის მისაღწევად (შეზღუდული ვადით შექმნილი ფონდი) ფონდის მიზნის ხანგრძლივი შესრულება გარანტირებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, როდესაც ფონდი უნდა არსებობდეს დაფუძნების გარიგებაში განსაზღვრული დროის განმავლობაში, რომელიც სულ მცირე, ათ წელიწადს შეადგენს.</p> <p>(3) ფონდის მიმართ შესაბამისად მოქმედებს არასამენარმეო (არაკომერციული) კავშირის მიმართ მოქმედი დებულებები, თუ ეს დებულებები წინაპირობად არ ითვალისწინებენ სანეგრო სტრუქტურას და თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.</p> <p><b>მუხლი ## ფონდის რეგისტრაცია</b></p> <p>(1) ფონდის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის წარდგენისას, განაცხადს ფონდის წესდების სახით უნდა დაერთოს დაფუძნების გარიგება, რომელიც უნდა შეიცავდეს დამფუძნებლის დამავალდებულებელ განცხადებას, რომ ქონებას მიუძღვნის მითითებული მიზნის შესრულებას, რომელიც ასევე შეიძლება მოხმარებისთვისაც იქნეს გამოყენებული. დაფუძნების გარიგება შეტანილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო დოკუმენტში და იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:</p> <p>ა) მიზანი;</p> <p>ბ) სახელი და ადგილსამყოფელი;</p> <p>გ) რა ქონება უნდა იქცეს ნებართვის საშუალებით იურიდიულ პირად;</p>	
--	---	--

	<p>დ) ფონდის გამგეობის შექმნა;</p> <p>თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, დაფუძნების გარიგება შეიძლება შეიცავდეს სხვა წესებს. დაფუძნების გარიგება ცოცხალ პირებს შორის წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.</p> <p>(2) თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და დამფუძნებელი გარდაცვლილია, შესაბამისად გამოიყენება ## მუხლი [ფონდი ანდერძით].</p> <p>(3) ფონდის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი აღიარებული იქნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.</p> <p>(4) ფონდის აღიარებამდე დამფუძნებელს უფლება აქვს უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე. თუ განაცხადი აღიარების შესახებ შეტანილია უფლებამოსილ ორგანოში, უარიც მხოლოდ ამ ორგანოს წინაშე შეიძლება იქნეს განცხადებული. დამფუძნებლის მემკვიდრე არ არის უფლებამოსილი უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე, თუ განაცხადი უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილია დამფუძნებლის მიერ ან დაფუძნების გარიგების ნოტარიულად დამოწმებისას ან დამოწმების შემდეგ, მან ნოტარიუსს დაავალა განცხადების წარდგენა.</p> <p><b>მუხლი ## დამფუძნებლის ვალდებულება ქონების გადაცემის თაობაზე</b></p> <p>ფონდის უფლებაუნარიანად აღიარების შემთხვევაში, დამფუძნებელი ვალდებულია გადასცეს ფონდს დაფუძნების გარიგებით შეპირებული ქონება. უფლებები, რომელთა გადაცემისთვის საკმარისია მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, აღიარებისთანავე გადაეცემა ფონდს, თუ დაფუძნების გარიგებიდან დამფუძნებლის სხვა განზრახვა არ გამომდინარეობს.</p> <p><b>მუხლი ## ფონდი ანდერძით</b></p> <p>თუ დაფუძნების გარიგება წარმოადგენს</p>	
--	--	--

	<p>საანდერძო განკარგულებას, მაშინ განაცხადი აღიარების თობაზე შეტანილ უნდა იქნეს უფლებამოსილ ორგანოში მემკვიდრის ან ანდერძის აღმსრულებლის მიერ. თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაშინ უფლებამოსილი ორგანო, აღიარებამდე, გადასცემს ფონდს წესდებას ან შეიტანს დამატებებს არასრულყოფილ წესდებაში; ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება. ფონდის ადგილსამყოფელად მიიჩნევა ადგილი, საიდანაც ხორციელდება მისი მართვა. საექსპობისას, ადგილსამყოფელად მიიჩნევა დამფუძნებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ტერიტორიაზე.</p> <p><b>მუხლი ## აღიარება დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ</b></p> <p>თუ ფონდი დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ იქნა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მაშინ დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანებთან დაკავშირებით მიიჩნევა, რომ იგი შეიქმნა მის გარდაცვალებამდე.</p> <p><b>მუხლი ## მიზნის ცვლილება; გაუქმება</b></p> <p>(1) თუ ფონდის მიზნის შესრულება შეუძლებელი გახდა ან იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მაშინ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია განუსაზღვროს მას სხვა მიზანი ან გააუქმოს იგი.</p> <p>(2) მიზნის შეცვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება, განსაკუთრებით, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ფონდის ქონებიდან მიღებული შემოსავლები გადაეცეს პირთა იმ წრეს, რომლისთვისაც იყო ისინი განკუთვნილი დამფუძნებლის ნების შესაბამისად.</p> <p>(3) მიზნის და წესდების შეცვლამდე უნდა მოუსმინონ ფონდის გამგეობას.</p>	
	<p><i>მხოლოდ ყოვლისმომცველი ახლებური სტრუქტურის შემუშავების შემთხვევა-</i></p>	<p>7</p>

	<p>ში:</p> <p>50-ე მუხლამდე: დებულებები ნივთების შესახებ 148-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.</p>	
<p>კარი მეორე გარიგებანი</p>	<p>კარი მეორე გარიგებანი</p>	
<p>თავი პირველი ზოგადი ნორმები</p>	<p>თავი პირველი ზოგადი ნორმები</p>	
<p><b>მუხლი 50. ცნება</b></p> <p>გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.</p>	<p><b>მუხლი 50. ცნება</b></p> <p>გარიგება შედგება ერთი ან რამდენიმე ნების გამოვლენისგან, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.</p>	<p><b>2</b></p>
<p><b>მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა</b></p> <p>1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.</p> <p>2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.</p> <p>3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ამ კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულმა შემთხვევამ, თუ ეს მოვლენა ნების გამოვლენის შემდეგ მოხდა (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p><b>მუხლი 51. მიღებასავალდებულონების გამოვლენის ნამდვილობა</b></p> <p>1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.</p> <p>2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.</p> <p>3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან მის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუ ეს მოვლენა ნების გამოვლენის შემდეგ მოხდა (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p><b>3</b></p>
<p><b>მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება</b></p> <p>ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის</p>	<p><b>მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება</b></p> <p>ნების გამოვლენის განმარტებისას ნამდვილი ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა</p>	<p><b>4</b></p>

<p>სიტყვასიტყვითი აზრიდან.</p>	<p>მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.</p>	
<p><b>მუხლი 53. გარიგების არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო</b></p> <p>გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.</p>	<p><b>მუხლი 53. გარიგების არარსებობა შინაარსის დადგენის შეუძლებლობის გამო</b></p> <p>გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება დადგინდეს გარიგების შინაარსი.</p>	<p><b>5</b></p>
<p><b>მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი</b></p> <p>ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.</p>	<p><b>მუხლი 54. გარიგების ბათილობა კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევის გამო</b></p> <p>ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონის აკრძალვას, თუ აკრძალვის არსიდან და მიზნიდა სხვა რამ არ გამომდინარეობს. ბათილია ასევე გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს.</p>	<p><b>6</b></p>
<p><b>მუხლი 55. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო</b></p>	<p><b>მუხლი 55. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო</b></p> <p>(1) ბათილია გარიგება, რომლის დროსაც აშკარა შეუსაბამობაა შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის და რომელიც დაიდო იმის გამო, რომ ერთი ხელშემკვრელი მხარე ბოროტად იყენებდა თავის ძალაუფლებას ბაზარზე ან მეორე მხარის გამოუვალ მდგომარეობას, გამოუცდებლობას ან დაუფიქრებლობას.</p>	<p><b>7</b></p>
<p>ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (08.05.2012 N6151-IS).</p>	<p>(2) ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (08.05.2012 N6151-IS).</p>	
<p><b>მუხლი 56. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი</b></p> <p>1. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ</p>	<p><b>მუხლი 56. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების ბათილობა</b></p> <p>1. ბათილია გარიგება, რომელიც</p>	<p><b>8</b></p>

<p>განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).</p> <p>2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).</p>	<p>ურთიერთშეთანხმებით დადებული მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).</p> <p>2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).</p>	
<p><b>მუხლი 57. გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო</b></p> <p>1. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა.</p> <p>2. ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.</p>	<p><b>მუხლი 57. გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო</b></p> <p>1. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა.</p> <p>2. ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.</p>	<p><b>9</b></p>
<p><b>მუხლი 58. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო (20.03.2015, N 3339-IIS)</b></p> <p>1. მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენა ბათილია (20.03.2015, N 3339-IIS).</p> <p>2. ბათილია პირის მიერ ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს.</p> <p>3. ბათილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების დადებისას, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, თუ ეს პირი ამ გარიგებით სარგებელს არ იღებს, თუნდაც იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არ იყოს ცნობილი (20.03.2015,</p>	<p><i>ახალი რედაქცია 63-ე და შემდგომ მუხლებამდე</i></p>	<p><b>10</b></p>

<p>N 3339-IIS).</p> <p><b>მუხლი 58<sup>1</sup>. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება (20.03.2015, N 3339-IIS).</b></p> <p>1. თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდაჭერი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს (20.03.2015, N 3339-IIS).</p> <p>2. მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე გარიგების დადებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 64-ე და 66-ე მუხლებით დადგენილი წესი (20.03.2015, N 3339-IIS).</p>		
<p><b>მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება</b></p>	<p><b>მუხლი 59. გარიგების შეცილება</b></p>	<p><b>11</b></p>
<p>1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.</p>	<p><i>ახალი რედაქცია 68-ე, 99-ე და შემდგომ მუხლებთან</i></p>	
<p>2. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ.</p> <p>3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.</p>	<p>(1) საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება.</p>	<p><b>12</b></p>
	<p>(2) შეცილება მხარემ უნდა განახორციელოს ა ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე, სხვა შემთხვევაში ნებისმიერის წინაშე, ვინც ამ გარიგების შედეგად უშუალოდ მიიღო სამართლებრივი სარგებელი.</p>	<p><b>13</b></p>
	<p>(3) პირი, რომელმაც იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა საცილოობის შესახებ, შეცილების შემთხვევაში მიჩნეულ იქნება ისეთ პირად, რომელმაც იცოდა ან რომელსაც</p>	<p><b>14</b></p>



	უნდა სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ.	
<p><b>მუხლი 60. გარიგების კონვერსია</b></p> <p>თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.</p>	<p><b>მუხლი 60. გარიგების კონვერსია</b></p> <p>თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება უკანასკნელი, თუკი ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.</p>	<b>15</b>
<p><b>მუხლი 61. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას</b></p> <p>1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.</p>	<p><b>მუხლი 61. გარიგების დადასტურება</b></p> <p><i>ნაიშალოს</i></p>	<b>16</b>
<p>2. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.</p>	<p>(1) თუ პირი, რომელიც დებს ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.</p>	<b>17</b>
<p>3. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.</p>	<p>(2) თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.</p>	
<p>4. თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.</p>	<p>(3) თუ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.</p>	<b>17</b>
<p>5. დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.</p>	<p><i>ნაიშალოს</i></p>	<b>18</b>
<p><b>მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა</b></p> <p>გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა</p>	<p><b>მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა</b></p> <p>გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი</p>	

მისი ბათილი ნაწილის გარეშე.	ნაწილის გარეშე.	
<b>თავი მეორე</b> <b>ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა</b>	<b>თავი მეორე</b> <b>ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა</b>	
<b>მუხლი 58. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო (20.03.2015, N 3339-IIS)</b>  1. მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენა ბათილია (20.03.2015, N 3339-IIS)	<b>მუხლი ##. ქმედუნარო პირების მიერ დადებული გარიგებები (20.03.2015, N 3339-IIS)</b>  1. ქმედუნარო პირის მიერ ნების გამოვლენა ბათილია (20.03.2015, N 3339-IIS).	<b>21</b>
2. ბათილია პირის მიერ ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს.	2. ბათილია პირის მიერ ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს.	<b>22</b>
3. ბათილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების დადებისას, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, თუ ეს პირი ამ გარიგებით სარგებელს არ იღებს, თუნდაც იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არ იყოს ცნობილი (20.03.2015, N 3339-IIS).	3. ბათილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების დადებისას, რომლის შედეგად ის მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს არ იძენს, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, მაშინაც კი თუ ამ პირისთვის მხარდაჭერი არ ყოფილა დანიშნული (20.03.2015, N 3339-IIS).	
<b>მუხლი 58<sup>1</sup>. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება (20.03.2015, N 3339-IIS).</b>  1. თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდაჭერი მოინონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს (20.03.2015, N 3339-IIS).  2. მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე გარიგების დადებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 64-ე და 66-ე მუხლებით	<b>მუხლი 58<sup>1</sup>. მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებული გარიგებები (20.03.2015, N 3339-IIS).</b>  1. თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას ისე, რომ მხარდაჭერს მასში სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოცულობით მონაწილეობა არ მიუღია, მაშინ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მხარდაჭერის ნებართვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს იღებს (20.03.2015, N 3339-IIS).  2. ამ კოდექსის 64-ე და 66-ე მუხლებით დადგენილი წესი გამოიყენება შესაბამისად. (20.03.2015, N 3339-IIS).	<b>23</b>

დადგენილი წესი (20.03.2015, N 3339-IIS).		
<p><b>მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას</b></p> <p>შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.</p>	<p><b>მუხლი 15. წარმომადგენლის ნებართვა შეზღუდული ქმედუნარიანობისას</b></p> <p>შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს.</p>	<b>24</b>
<p><b>მუხლი 63. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება</b></p> <p>1. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.</p>	<p><b>მუხლი 63. გარიგების დადება ნებართვის გარეშე</b></p> <p>1. თუ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი ნებართვის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას.</p>	<b>25</b>
	<p>(2) თუ მეორე მხარე მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლისგან განმარტებას ნებართვის თაობაზე, მაშინ ეს განმარტება შეიძლება მხოლოდ ამ მეორე მხარის წინაშე უნდა განხორციელდეს; ამ მოთხოვნამდე, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის წინაშე განცხადებული ნებართვა ან უარი ნებართვის მიცემაზე, ბათილია. ნებართვის განცხადება შესაძლებელია ამის თაობაზე მოთხოვნის მიღებიდან ორკვირიანი ვადის გასვლამდე; თუ იგი არ იქნება გაცხადებული, ეს მიიჩნევა უარად ნებართვის მიცემაზე.</p>	
<p>2. თუ არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ.</p>	<p>(3) თუ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ წარმომადგენლის მოწონებას ჩაანაცვლებს ამ პირის მოწონება.</p>	
<b>მუხლი 64. უარი არასრულწლოვანის</b>	<b>მუხლი 64. მეორე მხარის მიერ უარის</b>	

მიერ დადებულ გარიგებაზე	თქმის უფლება	
<p>1. არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.</p> <p>2. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანობის შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.</p>	<p>1. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. უარი შეიძლება გაცხადდეს ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართაც.</p> <p>2. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა; მას არც ამ შემთხვევაში შეუძლია უარის თქმა, თუ მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადებაზე ნებართვის არარსებობის შესახებ.</p>	
<p><b>მუხლი 65. არასრულწლოვანის ემანსიპაცია</b></p> <p>1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.</p> <p>2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.</p> <p>3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და</p>	<p><b>მუხლი 65. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ემანსიპაცია</b></p> <p>1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება დადების მომენტიდან ნამდვილად, თუკი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენელმა, ან – მისი თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.</p> <p>2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე გაუქმების და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.</p>	

<p>მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.</p>	<p>3. საწარმოს გაძღოლის ნებართვას გაცემს კანონიერი წარმომადგენელიმეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.</p> <p>(4) თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს სამსახურის ან მუშაობის დაწყების უფლებას, მაშინ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი შეუზღუდავად ქმედუნარიანია ისეთი გარიგებებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია დაშვებული სახის სამსახურის ან მუშაობის დაწყებასთან ან მიტოვებასთან, ანდა აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებასთან. გამონაკლისს წარმოადგენს ის გარიგებები, რომელთა დადებისთვის წარმომადგენელს ესაჭიროება სასამართლოს მოწონება. უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს ან შეიზღუდოს წარმომადგენლის მიერ. თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ უფლებამოსილება, თუ მეურვე უარს აცხადებს მის მინიჭებაზე, შეიძლება მიენიჭოს სასამართლოს მიერ არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე. სასამართლომ უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება, თუ ეს სამეურვეო პირის ინტერესებშია. ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, საექვობისას, ითვლება ზოგად უფლებამოსილებად ამ სახის სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისთვის.</p>	
<p><b>მუხლი 66. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა</b></p> <p>ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც</p>	<p><b>მუხლი 66. ცალმხრივი გარიგებები</b></p> <p>ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი</p>	

<p>გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.</p>	<p>საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.</p>	
<p><b>მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე</b></p> <p>გარიგება, რომელიც დაიდო ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე, მოითხოვს ნებართვას, თუ დადგინდება, რომ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, აშკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც.</p>	<p><i>წაიშალოს და დარეგულირდეს 1275-ე და შემდგომ მუხლებში</i></p>	<p><b>26</b></p>
<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>გარიგების ფორმა</b></p>	<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>გარიგების ფორმა</b></p>	
<p><b>მუხლი 68. ფორმის მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისათვის</b></p> <p>გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.</p> <p><b>მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება</b></p> <p>1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.</p>	<p><b>მუხლი 68. გარიგების ბათილობა ფორმის ფორმის დაუცველობის გამო</b></p> <p>ბათილია გარიგება, რომელიც კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად არის დადებული. გარიგებით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობაც, საექვოობისას, იწვევს მის ბათილობას. თუ ფორმა არ არის დაწესებული, მხარეს შეუძლია თვითონ განსაზღვროს იგი.</p>	<p><b>27</b></p>
<p><b>მუხლი 69. გარიგების ფორმა (08.12.2006 N3879-ილ)</b></p>	<p><b>მუხლი 69. გარიგების ფორმა (08.12.2006 N3879-ილ)</b></p>	<p><b>30</b></p>
<p>1. გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით (08.12.2006 N3879-ილ).</p> <p>2. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით (08.12.2006</p>	<p><i>წაიშალოს</i></p>	<p><b>29</b></p>

<p>N3879-IIs).</p>		
<p>3. გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა (08.12.2006 N3879-IIs).</p>	<p>(1) გარიგების წერილობითი ფორმის დაცვისთვის საკმარისია განმცხადებლის ხელმოწერა ან მისი საჯაროდ დამოწმებული ინიციალები (08.12.2006 N3879-IIs).</p>	<p><b>31</b></p>
	<p>(2) გარიგებით დადგენილი წერილობითი ფორმის დასაცავად, თუ სხვა ნება არ ივარაუდება, საკმარისია სატელეკომუნიკაციო შეტყობინება. ასეთი ფორმის არჩევის შემთხვევაში, შემდგომში ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს მოთხოვნილი პირველი ნაწილის შესაბამისი მონმობა.</p>	<p><b>32</b></p>
<p>3<sup>1</sup>. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მას, მხარეების გარდა, ხელს აწერს მხარდამჭერი. მხარდამჭერი ხელმოწერით ადასტურებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის განევას (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p>(3) მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მას, ასევე ხელს აწერს მხარდამჭერი. მხარდამჭერი ხელმოწერით ადასტურებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის განევას (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p><b>31</b></p>
<p>4. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის, ფასიან ქალაქებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება (08.12.2006 N3879-IIs).</p>	<p>4. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის, ფასიან ქალაქებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოცემაც დიდი რაოდენობით ხდება (08.12.2006 N3879-IIs).</p>	
<p>5. წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა (08.12.2006 N3879-IIs).</p>	<p>ნაიშალოს</p>	
	<p>(5) წერილობით ფორმა შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს ელექტრონული</p>	<p><b>33</b></p>

	<p>ფორმით, თუ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p> <p>(6) წერილობით ფორმას ანაცვლებს ნოტარიული დამოწმება ან სასამართლოს ოქმი.</p>	
<p><b>მუხლი 70. ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის</b></p> <p>იმ პირს, რომელიც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.</p>	<p><b>მუხლი 70. ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის</b></p> <p>იმ პირს, რომელიც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს საჯაროდ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა (ნების გამომვლენმა) ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.</p>	<p><b>34</b></p>
<p><b>მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით</b></p> <p>თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.</p>	<p><b>მუხლი 71. ხელშეკრულების დადება წერილობითი ფორმით</b></p> <p>ხელშეკრულებაში მხარეთა ხელმოწერა ერთსა და იმავე დოკუმენტზე უნდა განხორციელდეს. თუ ხელშეკრულების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.</p>	<p><b>35</b></p>
	<p>(2) გარიგებით განსაზღვრული წერილობითი ფორმის დაცვისთვის საკმარისია ხელშეკრულებაში, თუ სხვა ნება არ არის ნაგარაუდები, წერილების მიმოცვლა. ასეთი ფორმის არჩევის შემთხვევაში, შეიძლება შემდგომში ნებისმიერ დროს იქნეს მოთხოვნილი პირველი ნაწილის შესაბამისი დოკუმენტი.</p>	
	<p><b>მუხლი ## ტექსტური ფორმა</b></p> <p>თუ კანონით დადგენილია ტექსტური ფორმა, მაშინ ნების გამოვლენა გარკვევით უნდა განხორციელდეს</p>	<p><b>36</b></p>



	<p>მონაცემთა მუდმივად შენახვისა და გადაცემის საშუალებაზე და მასში დასახელებული უნდა იყოს ნების გამოვლენის პიროვნება. მონაცემთა მუდმივად შენახვისა და გადაცემის საშუალება არის საშუალება, რომელიც</p> <p>1. მიმღებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მონაცემთა შენახვისა და გადაცემის საშუალებაზე არსებული, პირადად მის მიმართ გაცხადებული ნების გამოვლენა ისე იქნეს შენახული, რომ ის ამ პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს თავისი მიზნის შესაბამისი დროის განმავლობაში, და</p> <p>2. გამოსადეგია ნების გამოვლენის უცვლელად გადმოსაცემად.</p>	
თავი მეოთხე	თავი მეოთხე	
საცილო გარიგებანი	საცილო გარიგებანი	
<b>I. შეცდომით დადებული გარიგებანი</b>	<b>I. შეცდომები</b>	<b>39</b>
<b>მუხლი 72. ცნება</b>	<b>მუხლი 72. შეცილება არსებითი შეცდომის საფუძველზე</b>	<b>40</b>
გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.	ნების გამოვლენა შეიძლება საცილო გახდეს, თუ ის განხორციელდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.	<b>41</b>
<b>მუხლი 73. არსებითი შეცდომის სახეები</b>	<b>მუხლი 73. შეცდომა ნების გამოვლენაში, შეცდომა შინაარსში</b>	<b>43</b>
არსებით შეცდომად ითვლება, როცა:	არსებით შეცდომად ითვლება, როცა:	<b>38</b>
ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა;	ა) პირს სურდა სხვა ნების გამოვლენა და არა ის, რომელიც მან გამოხატა;	<b>41</b>
ბ) პირი ცდებოდა იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა;	ბ) პირი ცდებოდა იმ ნების გამოვლენის შინაარსში, რომელიც მან გამოხატა;	
გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად.	<i>წაიშალოს</i>	<b>42</b>

<p><b>მუხლი 74. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში</b></p> <p>1. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.</p> <p>2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.</p>	<p><b>მუხლი 74. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში ან საგანში</b></p> <p>1. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება ნების გამოვლენის მთავარი საფუძველია.</p> <p>2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.</p>	<p><b>44</b></p> <p><b>38</b></p>
<p><b>მუხლი 75. შეცდომა უფლებაში</b></p> <p>შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.</p>	<p><b>მუხლი 75. შეცდომა სამართლებრივ შედეგში</b></p> <p>შეცდომა სამართლებრივ შედეგში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ნების გამოვლენისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.</p>	<p><b>45</b></p> <p><b>38</b></p>
<p><b>მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში</b></p> <p>შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.</p>	<p><b>მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში</b></p> <p>მცდარი მოტივი ითვლება უმნიშვნელო შეცდომად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი ნების გამოვლენის შინაარსს წარმოადგენდა. 74-ე მუხლი უცვლელი რჩება.</p>	<p><b>46</b></p>
<p><b>მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები წვრილმანი შეცდომები</b></p> <p>წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.</p>	<p><b>მუხლი ## წვრილმანი შეცდომები წვრილმანი შეცდომები</b></p> <p>წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.</p>	<p><b>47</b></p>
<p><b>მუხლი 80. შეცდომა შუამავლის მიზეზით</b></p> <p>ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად</p>	<p><b>მუხლი ## შეცდომა შუამავლის მიზეზით</b></p> <p>ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული</p>	<p><b>48</b></p>

<p>გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.</p>	<p>შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.</p>	
<p><b>მუხლი 77. კონტრაქტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში</b></p> <p>შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს</p> <p>გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება.</p>	<p><b>მუხლი 77 ნების გამოვლენისას სასურველი ნების მოქმედება</b></p> <p>ნების გამოვლენის შეცილება შეიცავს შეთავაზებას ნების გამოვლენის მიმღებისთვის, რომ გარიგებამ იმოქმედოს ნების გამოვლენისას სასურველი ნების შინაარსის შესაბამისად. 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი გამოიყენება შესაბამისად.</p>	<p><b>49</b></p>
<p><b>მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები</b></p> <p>წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.</p>	<p>დალაგდეს 76-ე მუხლის მიხედვით</p>	<p><b>47</b></p>
<p><b>მუხლი 79. შეცილების ნამდვილობა</b></p> <p>1. შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.</p>	<p><b>მუხლი 79. შეცილების ნამდვილობა</b></p> <p>1. შეცილება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირმა შეიტყო შეცილების საფუძვლის შესახებ.</p>	<p><b>50</b></p>
<p>2. თუ გარიგება საცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი.</p>	<p>2. თუ ნების გამოვლენა საცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ თუ ნების გამოვლენა სხვა პირის მიმართ უნდა განხორციელებულიყო, იგი ვალდებულია, რომ მას ან სხვა შემთხვევაში ნებისმიერ მესამე პირს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც სხვა პირს ან მესამე პირს იმიტომ მიადგა, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის ნამდვილობას; მაგრამ იგი უნდა აღმატებოდეს ინტერესის იმ ოდენობას, რომელიც ამ სხვა პირს ან მესამე პირს ნების გამოვლენის ნამდვილობის მიმართ გააჩნია.</p>	<p><b>38</b> <b>51</b></p>
<p>ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა</p>	<p>ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ</p>	

შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.	იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.	
<b>მუხლი 80. შეცდომა შუამავლის მიზეზით</b>  ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.	დალაგდეს 76-ე მუხლის მიხედვით	<b>48</b>
<b>II. მოტყუებით დადებული გარიგებანი</b>	<b>II. მოტყუებით დადებული გარიგებანი</b>	
<b>მუხლი 81. ცნება</b>  1. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.  2. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად.	<b>მუხლი 81. ცნება</b>  1. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია განახორციელოს ნების გამოვლენის შეცილება. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე ნების გამოვლენა არ განხორციელდებოდა.  2. თუ ერთი მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია განახორციელოს ნების გამოვლენის შეცილება.	<b>52</b>  <b>53</b>
<b>მუხლი 82. გარიგების მიჩნევა ბათილად მოტყუების გამო</b>  მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.	<b>მუხლი 82. შეცილების უფლების გამორიცხვის დაუშვებლობა</b>  მოტყუებით გამოვლენილი ნების საცილოდ ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.	<b>54</b>  <b>52</b>
<b>მუხლი 83. მოტყუება მესამე პირის მხრიდან</b>	<b>მუხლი 83. მოტყუება მესამე პირის მხრიდან</b>  [საჭიროების შემთხვევაში: ორივეს მოტყუება]	<b>56</b>

<p>1. მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან.</p>	<p>1. მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას ნების გამოვლენა, რომელიც მეორე მხარის მიმართ უნდა გაკეთებულიყო, მხოლოდ მაშინ არის არის საცილო , თუ მან მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა. თუ მეორე მხარემ, როგორც პირმა, რომლის მიმართაც უნდა ყოფილიყო ნება გამოვლენილი, ნების გამოვლენიდან უშუალოდ შეიძინა უფლება, მაშინ მის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენა საცილოა, თუ მან მოტყუების შესახებ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე.</p>	<p><b>55</b> <b>52</b></p>
<p>2. თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><i>ნაიშალოს</i></p>	<p><b>56</b></p>
<p><b>მუხლი 84. შეცილების ვადა</b>  მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ.</p>	<p><b>მუხლი 84. შეცილების ვადა</b>  მოტყუებით განხორციელებული ნების გამოვლენა შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ.</p>	<p><b>52</b></p>
<p><b>III. იძულებით დადებული გარიგებანი</b></p>	<p><b>III. იძულებით დადებული გარიგებანი</b></p>	
<p><b>მუხლი 85. ცნება</b>  გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან.</p>	<p><b>მუხლი 85. ცნება</b>  ნების გამოვლენის გამოვლენის განხორციელების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც გამოავლინა ნება, ანიჭებს ამ პირს მისი შეცილების უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან.</p>	<p><b>57</b></p>
<p><b>მუხლი 86. იძულების ხასიათი</b>  1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.</p>	<p><b>მუხლი 86. ძულება</b>  1. ნების გამოვლენის საცილოდ გახდომას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან</p>	<p><b>57</b></p>

<p>2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.</p>	<p>ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.</p> <p>2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.</p>	
<p><b>მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ</b></p> <p>იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.</p>	<p><b>მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ</b></p> <p>იძულება იძლევა ნების გამოვლენის შეცდომების უფლებას მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.</p>	<p><b>57</b></p>
<p><b>მუხლი 88. იძულება მართლზომიერი საშუალებებით</b></p> <p>85–87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებინ.</p>	<p><b>მუხლი 88. იძულება მართლზომიერი საშუალებებით</b></p> <p>85–87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებინ.</p>	
<p><b>მუხლი 89. შეცილების ვადა</b></p> <p>იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.</p>	<p><b>მუხლი 89. შეცილების ვადა</b></p> <p>იძულების ქვეშ გაკეთებული ნების გამოვლენა შეიძლება შეცილებულ იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა იწყება იძულების დამთავრების მომენტიდან.</p>	<p><b>57</b></p> <p><b>58</b></p>
<p><b>თავი მეხუთე</b></p> <p><b>პირობითი გარიგებანი</b></p>	<p><b>თავი მეხუთე</b></p> <p><b>პირობითი გარიგებანი</b></p>	
<p><b>მუხლი 90. ცნება</b></p> <p>პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.</p>	<p><b>მუხლი 90. ცნება</b></p> <p>(1) პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და გაურკვეველ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.</p>	<p><b>60</b></p>

<p><b>მუხლი 96. გარიგება გადადების პირობით</b></p> <p>(...) ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია.</p>	<p>96-ე მუხლიდან:</p> <p>(2) იგივეა, როდესაც მოვლენის დადგომა მხოლოდ მხარეთათვის არის გაურკვეველი.</p>	<p><b>61</b></p>
	<p>(3) თუ გარიგების დადების დროს მისი სამართლებრივი ძალისთვის განისაზღვრა საწყისი და საბოლოო ვადა, სულერთია, კალენდრის მიხედვით თუ ისეთი მოვლენის მითითებით, რომლის დადგომაც სარწმუნოა, მაშინ პირველ შემთხვევაში გამოიყენება გადადების პირობის მიმართ მოქმედი, ხოლო მეორე შემთხვევაში გაუქმების მიმართ მოქმედი დებულებები.</p>	<p><b>59</b></p>
<p><b>მუხლი 91. მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა</b></p> <p>ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია.</p>	<p><b>მუხლი 91. მართლსაწინააღმდეგო ან/და ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო პირობის ბათილობა</b></p> <p>ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ აკრძალვას, საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ მაშინ, თუ მხარეებისთვის ეს აუცილებლად სასურველი იყო.</p>	<p><b>62</b></p>
<p><b>მუხლი 92. ნებაზე დამოკიდებული პირობა</b></p> <p>ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.</p>	<p><b>მუხლი 92. ნებაზე დამოკიდებული პირობა</b></p> <p>ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან არდადგომა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.</p>	<p><b>63</b></p>
<p><b>მუხლი 93. პოზიტიური პირობა</b></p> <p>1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა.</p>	<p><b>მუხლი 93. პოზიტიური პირობა</b></p> <p>1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ ითვლება, რომ პირობა არ დამდგარა, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა.</p>	

<p>2. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.</p>	<p>2. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება დადგეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება გაუქმებულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.</p>	
<p><b>მუხლი 94. ნეგატიური პირობა</b></p> <p>1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე; პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია.</p> <p>2. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.</p>	<p><b>მუხლი 94. ნეგატიური პირობა</b></p> <p>1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა დამდგარად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე; პირობა დამდგარად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.</p> <p>2. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა დამდგარად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.</p>	
<p><b>მუხლი 95. პირობის დადგომაზე ხემოქმედების დაუშვებლობა</b></p> <p>1. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას.</p>	<p><b>მუხლი 95.</b></p> <p><b>ქმედებები მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში</b></p> <p>1. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუშლის პირობაზე დამოკიდებული უფლების წარმოშობას ან უარყოფითად იმოქმედებს მასზე.</p>	<p><b>64</b></p>
	<p><i>ან საჭიროების შემთხვევაში:</i></p> <p>(1) თუ პირი განკარგავს საგანს გადადების პირობით, მაშინ ნებისმიერი შემდგომი მერყევი მდგომარეობის არსებობის პერიოდში განხორციელებული განკარგვა პირობის დადგომის შემთხვევაში სამართლებრივი ძალის არმქონეა თუ ის ხელს შეუშლის პირობაზე დამოკიდებული შედეგის დადგომას ან უარყოფითად იმოქმედებს მასზე. ასეთ განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც მერყევი მდგომარეობის არსებობის პერიოდში განხორციელდა</p>	



	<p>იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში ან გაკოტრების მმართველის მიერ.</p> <p>(2) იგივე წესი მოქმედებს გაუქმების პირობის შემთხვევაში იმ პირის მიერ განხორციელებული განკარგვების მიმართ, რომლის უფლება უქმდება პირობის დადგომით.</p> <p>(3) დებულებები იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც იძენენ უფლებებს არაუფლებამოსილი პირისგან, გამოიყენება შესაბამისად.</p>	
<p>2. თუ პირობა დგება განსაზღვრულ დროს და პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით წარმოშობილი ზიანი.</p>	<p>2. თუ პირობა დგება განსაზღვრულ დროს და პირს უკვე ბრალეულად შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით წარმოშობილი ზიანი.</p>	
<p><b>მუხლი 96. გარიგება გადადების პირობით</b></p> <p>გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ანდა ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია.</p>	<p><b>მუხლი 96. გარიგება გადადების პირობით</b></p> <p>გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია პირობის დადგომაზე.</p>	<p><b>61</b></p>
<p><b>მუხლი 97. გარიგება გაუქმების პირობით</b></p> <p>გარიგება გაუქმების პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და ალადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.</p>	<p><b>მუხლი 97. გარიგება გაუქმების პირობით</b></p> <p>გარიგება გაუქმების პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და ალადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.</p>	
<p><b>მუხლი 98. კეთილსინდისიერების მნიშვნელობა პირობის დადგომისას</b></p>	<p><b>მუხლი 98. პირობის დადგომაზე ზემოქმედების დაუშვებლობა</b></p>	<p><b>64</b></p>
<p>1. თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის</p>	<p>1. თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის</p>	

<p>დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.</p> <p>2. თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.</p>	<p>დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.</p> <p>2. თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.</p>	
<p><b>თავი მეექვსე</b></p> <p><b>თანხმობა გარიგებებში</b></p>	<p><b>თავი მეექვსე</b></p> <p><b>თანხმობა გარიგებებში</b></p>	
<p><b>მუხლი 99. ცნება</b></p> <p>1. თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.</p> <p>2. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.</p> <p>3. თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 66-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.</p>	<p><b>მუხლი 99. ცნება</b></p> <p>1. თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.</p> <p>2. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.</p> <p>3. თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 66-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.</p>	
<p><b>მუხლი 100. წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)</b></p> <p>წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გარიგების დადებამდე გაუქმდეს, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თანხმობის (ნებართვის) გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს ორსავე მხარეს.</p>	<p><b>მუხლი 100. წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)</b></p> <p>წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გარიგების დადებამდე გაუქმდეს, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. ნებართვის გაუქმება განცხადებულ უნდა იქნეს იმ მხარის წინაშე, რომლის წინაშეც იქნა განცხადებული ნებართვა.</p>	<p><b>65</b></p>
<p><b>მუხლი 101. შემდგომი თანხმობა (მოწონება)</b></p> <p>შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.</p>	<p><b>მუხლი 101. შემდგომი თანხმობა (მოწონება)</b></p> <p>შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.</p>	

<p><b>მუხლი 102. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ</b></p> <p>1. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით.</p> <p>2. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.</p>	<p><b>მუხლი 102. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ</b></p> <p>1. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით.</p> <p>2. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებსან თუ განმკარგავი პირი საგანს მოგვიანებით შეიძენს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც საგანთან დაკავშირებით რამდენიმე ერთმანეთთან შეუთავსებელი განკარგვა განხორციელდა, სამართლებრივი ძალა აქვს მხოლოდ უფრო ადრე განხორციელებულ განკარგვას.</p>	<p><b>66</b></p>
<p><b>თავი მეშვიდე</b></p> <p><b>წარმომადგენლობა გარიგებებში</b></p>	<p><b>თავი მეშვიდე</b></p> <p><b>წარმომადგენლობა გარიგებებში</b></p>	
<p><b>მუხლი 103. ცნება</b></p> <p>1. გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.</p> <p>2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა, გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.</p>	<p><b>მუხლი 103. ცნება</b></p> <p>1. გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს (კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება) ანდა წარმოიშობა გარიგების საფუძველზე (გარიგებაზე დაფუძნებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; რწმუნებულება). წარმომადგენელსა და წარმომადგენილ პირს შორის ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით.</p> <p>2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა, გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.</p>	<p><b>67</b></p>
<p><b>მუხლი 104. გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას</b></p>	<p><b>მუხლი 104. წარმომადგენლობის შედეგები</b></p>	<p><b>68</b></p>

<p>1. იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.</p>	<p>1. იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.</p>	
<p>2. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა.</p>	<p>2. თუ გარიგება დადებულია წარმოდგენილი პირის სახელით, მაშინ არ შეიძლება, რომ წარმოდგენილი პირის მიერ მიზეზად იქნეს მოყვანილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა, თუკი მან ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა.</p>	<p>67 68</p>
<p>3. თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.</p>	<p>3. თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.</p>	<p>67</p>
<p><b>მუხლი 105. წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა</b></p> <p>წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.</p>	<p><b>მუხლი 105. წარმომადგენლის შეზღუდული ქმედუნარიანობა</b></p> <p>წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.</p>	
<p><b>მუხლი 106. ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას</b></p> <p>1. ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება.</p> <p>2. თუ ნების გამოვლენის ნაკლი შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, აღნიშნული ნაკლი</p>	<p><b>მუხლი 106. ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას</b></p> <p>1. გარიგების ნაკლი და გარვეული გარემოებების ცოდნა ან ცოდნის მოვალეობა დამოკიდებულია წარმომადგენელზე. .</p> <p>2. თუ ეს შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, მაშინ,</p>	<p>69</p>

<p>შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს.</p>	<p>გადამწყვეტია წარმოდგენილი პირის პიროვნება.</p>	
<p><b>მუხლი 107. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება</b></p> <p>1. უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.</p>	<p><b>მუხლი 107. რწმუნებულება</b></p> <p>1. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება წარმომადგენლის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომლის მიმართაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.</p>	<p><b>67</b></p>
<p>2. ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადავად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა დადგენილია სპეციალური ფორმა.</p>	<p>2. რწმუნებულების მიცემას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადავად, რომლისთვისაც გაცემულია რწმუნებულება. სხვა დებულებები, რომელთა თანახმად რწმუნებულების მიცემა სპეციალურ ფორმას საჭიროებს, უცვლელი რჩება.</p>	<p><b>67</b> <b>70</b></p>
<p><b>მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას</b></p> <p>უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.</p>	<p><b>მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეცვლისას</b></p> <p>წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს იმ პირებს, რომელთა მიმართაც იქნა გაცემული რწმუნებულება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამ გერემოებების შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.</p>	<p><b>67</b> <b>71</b></p>
<p><b>მუხლი 109. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები</b></p> <p>წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყდება:</p> <p>ა) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა</p>	<p><b>მუხლი 109. რწმუნებულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები</b></p> <p>რწმუნებულება ქარწყდება, თუ მის საფუძვლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:</p>	<p><b>67</b> <b>72</b></p>

<p>უფლებამოსილება;</p> <p>ბ) უფლებამოსილი პირის უარით;</p> <p>გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;</p> <p>დ) უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით (20.03.2015, N 3339-IIS);</p> <p>ე) შესრულებით;</p> <p>ვ) უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობით, თუ მას მხარდაჭერა</p> <p>წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის უფლების განსახორციელებლად დაუნესდა (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p>ა) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა რწმუნებულება;</p> <p>ბ) წარმომადგენლის უარით;</p> <p>გ) წარმოდგენილი პირის მიერ რწმუნებულების გაუქმებით;</p> <p>დ) წარმოდგენილი პირის გარდაცვალებით (20.03.2015, N 3339-IIS);</p> <p>ე) შესრულებით;</p> <p>ვ) წარმოდგენილი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობით, თუ მას მხარდაჭერა რწმუნებულების ან ქონების განკარგვის უფლების განსახორციელებლად დაუნესდა (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	
<p><b>მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება უფლებამოსილების გაქარწყლებისას</b></p> <p>უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.</p>	<p><b>მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება რწმუნებულების გაქარწყლებისას</b></p> <p>წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს წარმოდგენილ პირს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.</p>	<p><b>67</b></p>
<p><b>მუხლი 111. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე</b></p> <p>1. თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.</p>	<p><b>მუხლი 111. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე</b></p> <p>1. თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის ნებართვაზე.</p>	<p><b>67</b></p> <p><b>73</b></p>
<p>2. თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ ამ თანხმობის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში; თუ ეს არ მოხდა, მაშინ ითვლება, რომ თანხმობაზე მოთხოვნა უარყოფილია.</p>	<p>2. თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს მოწონებას, მაშინ ეს მოწონება მის წინაშე უნდა განხორციელდეს. ; მოთხოვნამდე წარმომადგენლის წინაშე განხორციელებულ მოწონებას ან უარს სამართლებრივი ძალა არ აქვს.</p>	

	<p>მონონება შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში; თუ ეს არ მოხდა, მაშინ იგი ითვლება უარყოფილად.</p>	
<p><b>მუხლი 112. ხელშეკრულებაზე უარის უფლება</b></p> <p>ხელშეკრულების დასადასტურებლად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობითი ფუნქციონირების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც.</p>	<p><b>მუხლი 112. უარი ხელშეკრულებაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობისას</b></p> <p>ხელშეკრულების მონონებამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც.</p>	
<p><b>მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას</b></p> <p>1. თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმომადგენელი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს.</p> <p>2. თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას.</p> <p>3. წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი</p>	<p><b>მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას</b></p> <p>1. თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმომადგენელი პირი ხელშეკრულების მონონებაზე უარს ამბობს.</p> <p>2. თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.</p> <p>3. წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა</p>	<p><b>67</b></p> <p><b>73</b></p> <p><b>74</b></p>

<p>მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.</p>	<p>შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.</p>	
<p><b>მუხლი 114. საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა</b></p> <p>თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.</p>	<p><b>მუხლი 114. საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა</b></p> <p>თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება მხოლოდ რაიმე ვალდებულების შესასრულებლად არსებობს.</p>	<p><b>75</b></p>
<p><b>კარი მესამე უფლების განხორციელება</b></p>	<p><b>კარი მესამე უფლების განხორციელება</b></p>	
<p><b>მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა</b></p> <p>სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.</p>	<p><b>მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა</b></p> <p>სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ ან უფრო მეტნილად [ან: მეტნილად] იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.</p>	<p><b>76</b></p>
<p><b>მუხლი 116. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი</b></p> <p>1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.</p> <p>2. აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.</p>	<p><b>მუხლი 116. აუცილებელი მოგერიებისას მიყენებული ზიანი</b></p> <p>1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.</p> <p>2. აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.</p>	
<p><b>მუხლი 117. უკიდურესი</b></p>	<p><b>მუხლი 117. უკიდურესი აუცილებლობისას წარმოქმნილი</b></p>	



<p><b>აუცილებლობით გამონვეული ზიანი</b></p> <p>1. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა (უკიდურესი აუცილებლობა).</p> <p>2. იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.</p>	<p><b>ზიანი</b></p> <p>1. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა (უკიდურესი აუცილებლობა).</p> <p>2. იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.</p>
<p><b>მუხლი 118. თვითდახმარება</b></p> <p>თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.</p>	<p><b>მუხლი 118. თვითდახმარება</b></p> <p>თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა მოეთმინა.</p>
<p><b>მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები</b></p> <p>1. თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>2. ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ნივთზე ყადაღის დადების</p>	<p><b>მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები</b></p> <p>1. თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>2. ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ნივთზე ყადაღის</p>

<p>შესახებ.</p> <p>3. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.</p>	<p>დადების შესახებ.</p> <p>3. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.</p>	
<p><b>მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</b></p> <p>პირი, რომელიც 118-ე მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.</p>	<p><b>მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</b></p> <p>პირი, რომელიც 118-ე მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.</p>	
<p><b>კარი მეოთხე ვადები</b></p>	<p><b>კარი მეოთხე ვადები</b></p>	
<p><b>თავი პირველი ვადების გამოთვლა</b></p>	<p><b>თავი პირველი ვადების გამოთვლა</b></p>	
<p><b>მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო</b></p> <p>კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები.</p>	<p><b>მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო</b></p> <p>კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების და თარიღების დადგენისთვის მოქმედებს ამ თავში გათვალისწინებული განმარტების წესები.</p>	<p><b>79</b></p>
<p><b>მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო</b></p> <p>თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.</p> <p><b>მუხლი 123. ვადის დამთავრება</b></p> <p>1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.</p>	<p><b>მუხლი 122. ვადის დასაწყისი</b></p> <p>თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.</p> <p><b>მუხლი 123. ვადის დამთავრება</b></p> <p>1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.</p>	

<p>2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.</p> <p>3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.</p> <p><b>მუხლი 124. ცნებები</b></p> <p>1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტდღიან ვადას.</p> <p>2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.</p> <p><b>მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას</b></p> <p>ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.</p> <p><b>მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით</b></p> <p>1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით.</p> <p>2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.</p> <p><b>მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები</b></p> <p>თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს</p>	<p>2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.</p> <p>3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.</p> <p><b>მუხლი 124. ცნებები</b></p> <p>1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტდღიან ვადას.</p> <p>2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.</p> <p><b>მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას</b></p> <p>ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.</p> <p><b>მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით</b></p> <p>1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით.</p> <p>2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.</p> <p><b>მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები</b></p> <p>თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან</p>	
--	--	--

<p>ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.</p>	<p>ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.</p>	
<p><b>თავი მეორე</b> <b>ხანდაზმულობა</b></p>	<p><b>თავი მეორე</b> <b>ხანდაზმულობა</b></p>	
<p><b>მუხლი 128. ცნება. სახეები</b></p> <p>1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.</p>	<p><b>მუხლი 128. ცნება.</b></p> <p>1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.</p>	<b>83</b>
<p>2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:</p> <p>ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;</p> <p>ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.</p>	<p>2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:</p> <p>ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;</p> <p>ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.</p>	
	<p>გ) რეგისტრირებული უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, გარდა მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება დავალიანების თანხების პერიოდულ გადახდებს ან ზიანის ანაზღაურებას;</p> <p>დ) მოთხოვნებზე, რომლებსაც კანონი ანიჭებს მეზობლებს ერთმანეთის მიმართ.</p>	
<p>3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.</p>	<p>3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. <i>[საჭიროების შემთხვევაში: ვადები ახლებურად შეიძლება იქნეს დიფერენცირებული]</i></p>	<b>85</b>
<p><b>მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ</p>	<p><b>მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ</p>	

<p>წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელმეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.</p> <p>2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.</p> <p>3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.</p>	<p>წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელმეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.</p> <p>2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, შეადგენს სამ წელიწადს.</p> <p>3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.</p>	
<p><b>მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დანყება</b></p> <p>ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.</p>	<p><b>მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დანყება</b></p> <p>ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება მომენტი, როდესაც კრედიტორმა შეიტყო მოთხოვნის საფუძვლად არსებული გარემოებების და მოვალის პიროვნების შესახებ ან უნდა შეეტყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობაარ გამოეჩინა.</p>	<p><b>86</b></p>
<p><b>მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა</b></p> <p>თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.</p>	<p><b>მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა</b></p> <p>თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.</p>	
<p><b>მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება</b></p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:</p>	<p><b>მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება</b></p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:</p> <p><i>საჭიროების შემთხვევაში მოლაპარაკებების მერყევი მდგომარეობისთვის დაემატოს:</i></p> <p><b>#) მოვალესა და კრედიტორს შორის მოთხოვნის ან მოთხოვნის საფუძვლად არსებული გარემოებების შესახებ მოლაპარაკებები მერყევი მდგომარეობაშია, მანამ სანამ ერთ-ერთი მხარე მოლაპარაკებების</b></p>	<p><b>88</b></p>

<p>ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);</p> <p>ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;</p> <p>გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება საქართველოს თავდაცვის ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაზე;</p> <p>დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>გაგრძელებაზე უარს განაცხადებს;</p> <p>ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);</p> <p>ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;</p> <p>გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება საქართველოს თავდაცვის ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაზე;</p> <p>დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	
<p><b>მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქორწინების განმავლობაში</b></p>	<p><b>მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქორწინების, ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობების, მეურვეობის, მზრუნველობის ან მხარდაჭერის განმავლობაში</b></p>	<p><b>88</b></p>
<p>სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.</p>	<p>სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებს ან მზრუნველებს და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის ან მზრუნველობის [საჭიროების შემთხვევაში: ასევე მხარდაჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის, მხარდაჭერის მთელი პერიოდის მანძილზე] მთელი პერიოდის მანძილზე.</p>	
<p><b>მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება (20.03.2015, N 3339-IIS)</b></p> <p>შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას თუ მოთხოვნა მომდინარეობს შეზღუდულქმედუნარიანისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან მხარდაჭერის მიმღებისაგან, რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაენია, ანდა მოთხოვნა მიმართულია</p>	<p><b>მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება (20.03.2015, N 3339-IIS)</b></p> <p>შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას თუ მოთხოვნა მომდინარეობს შეზღუდულქმედუნარიანისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან მხარდაჭერის</p>	

<p>აღნიშნული პირისადმი, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი არ დაენიშნება (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	<p>მიმღებისაგან, რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაენია, ანდა მოთხოვნა მიმართულია აღნიშნული პირისადმი, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი არ დაენიშნება (20.03.2015, N 3339-IIS).</p>	
<p><b>მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია</b></p> <p>დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.</p>	<p><b>მუხლი 135. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სამართლებრივი შედეგი</b></p> <p>დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.</p>	
<p><b>მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში; ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.</p> <p>2. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.</p>	<p><b>მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში; ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.</p> <p>2. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გრძელდება ექვსი თვე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.</p>	
<p><b>მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა</b></p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.</p>	<p><b>მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა აღიარების გზით</b></p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ მოვალე კრედიტორის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.</p>	<p><b>82</b></p> <p><b>89</b></p>
<p><b>მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით</b></p>	<p><b>მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით</b></p>	<p><b>82</b></p>

<p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.</p>	<p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ კრედიტორი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის ან დავის ალტერნატიული მოგვარების წამოწყების შესახებანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელების გზით. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.</p>	<p><b>89</b></p>
<p><b>მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.</p> <p>2. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.</p>	<p><b>მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერ ძალას არ შეიძენს, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.</p> <p>2. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.</p>	<p><b>90</b></p>
<p><b>მუხლი 140. უარი სარჩელზე</b></p> <p>1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.</p> <p>2. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის</p>	<p><b>მუხლი 140. უარი სარჩელზე</b></p> <p>1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.</p> <p>2. თუ კრედიტორი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის</p>	<p><b>82</b></p>



<p>დროიდან.</p>	<p>დროიდან.</p>	
<p><b>მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან</b></p> <p>თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.</p>	<p><b>მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან</b></p> <p>თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.</p>	
<p><b>მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.</p> <p>2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.</p> <p><b>მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ</b></p> <p>თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.</p>	<p><b>მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.</p> <p>2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.</p> <p><b>მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ</b></p> <p>თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადის დრო გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.</p>	
<p><b>მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.</p> <p>2. თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის</p>	<p><b>მუხლი 144. მოვალის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას</b></p> <p>1. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.</p> <p>2. თუ მოვალემ მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება</p>	<p><b>82</b></p>

<p>გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.</p>	<p>მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.</p>	
<p>3. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.</p>	<p>3. ასევე არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღიარება და მოვალისმიერ წარდგენილი უზრუნველყოფის საშუალება.</p>	<p><b>82</b> <b>84</b></p>
<p><b>მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.</p>	<p><b>მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა</b></p> <p>მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.</p>	
<p><b>მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით</b></p> <p>ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.</p>	<p><b>მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შესახებ შეთანხმების დაუშვებლობა</b></p> <p>(1) დაუშვებელია, განზრახი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის წინასწარ, გარიგების საშუალებით შემსუბუქება.</p> <p>(2) დაუშვებელია გარიგებით ხანდაზმულობის ისეთი ვადის დადგენა, რომელიც კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დასაწყისიდან 30 წელიწადს აღემატება.</p>	<p><b>91</b></p>
<p><b>თავი პირველი</b> <b>ზოგადი დებულებანი</b></p>	<p><b>თავი პირველი</b> <b>ზოგადი დებულებანი</b></p>	
<p><b>მუხლი 319. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება</b></p> <p>1. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა</p>	<p><b>მუხლი 319. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება</b></p> <p>1. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა</p>	<p><b>8</b></p>

<p>შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მონესრიგდეს ცალკე კანონით.</p>	<p>შინაარსი, მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულება, კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.</p>	
<p>2. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.</p> <p>3. იმ პირებს, რომლებიც არასამენარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში.</p>	<p>2. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.</p> <p>3. იმ პირებს, რომლებიც არასამენარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში.</p>	<p><b>9</b></p>
<p><b>მუხლი 320. მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ბათილობა</b></p> <p>ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე.</p>	<p><b>მუხლი 320. მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება</b></p> <p>ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ საგნებზე.</p>	<p><b>10</b></p>
<p><b>მუხლი 321. ხელშეკრულება ქონების გადაცემის შესახებ</b></p>	<p><b>მუხლი 321. ხელშეკრულება მთელი ქონების შესახებ</b></p>	<p><b>10</b></p>

<p>ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელი ქონების ცალკეულ ნივთებზე. (08.12.2006 N3879-11s).</p>	<p>ხელშეკრულება, რომლითაც ერთი ნაწილი იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელი ქონების ცალკეულ ნივთებზე. (08.12.2006 N3879-11s).</p>	
<p><b>მუხლი 322. სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა</b></p> <p>1. პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია. იგივე წესი გამოიყენება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან/და საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილის წესი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით შემკვიდრებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე.</p>	<p><b>მუხლი 322. სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულება</b></p> <p>1. პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია. იგივე წესი გამოიყენება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან/და საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი ნაწილის წესი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით შემკვიდრებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე.</p>	<p><b>10</b></p>
<p><b>მუხლი 360. შეცდომა მორიგების საფუძვლებში</b></p> <p>1. ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.</p> <p>2. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის განხორციელება</p>	<p><b>მუხლი ## შეცდომა მორიგების საფუძვლებში</b></p> <p>1. ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.</p> <p>2. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის</p>	<p><b>31</b></p>

საექვოა.	განხორციელება საექვოა.	
<p><b>მუხლი 323. უძრავი ნივთის გასხვისების წესი (08.12.2006 N3879-IIs).</b></p> <p>ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას (08.12.2006 N3879-IIs).</p>	<p><b>მუხლი 323. ხელშეკრულება უძრავი ნივთის შესახებ</b></p> <p>ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, საჭიროებს სანოტარო წესით დამონმებას.</p>	<p><b>10</b></p> <p><b>11</b></p> <p><b>12</b></p>
<p><b>მუხლი 324. ნივთის დატვირთვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლები</b></p> <p>თუ პირი იღებს ვალდებულებას, გაასხვისოს ან დატვირთოს თავისი ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნიებელზედაც, თუკი ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p>	<p><b>მუხლი 324. საკუთვნიებელზე გავრცელება.</b></p> <p>თუ პირი იღებს ვალდებულებას, გაასხვისოს ან დატვირთოს რაიმე ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნიებელზედაც, თუკი ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p>	<p><b>13</b></p>
<p><b>მუხლი 341. ვალის არსებობის აღიარება</b></p> <p>1. იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმას გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.</p> <p>2. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.</p>	<p><b>მუხლი 341. ვალის არსებობის აღიარება</b></p> <p>1. იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმას გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.</p> <p>2. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საშუალებით ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.</p>	<p><b>31</b></p>
	<p>(3) აღიარება, რომელიც განხორციელდა ვალდებულების გარეშე, შეიძლება უკან იქნეს მოთხოვილი უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. აღიარებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა</p>	<p><b>32</b></p>

	შესაძლებელია მაშინაც, როდესაც გასულია ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.	
<p><b>მუხლი 325. ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე</b></p> <p>1. თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.</p>	<p><b>მუხლი 325. ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე</b></p> <p>1. თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.</p>	
<p>2. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა ჭიანჭურდება, გადანყვეტილებას იღებს სასამართლო.</p>	<p>2. თუ პირობები არ შეესაბამება კეთილსინდისიერების პრინციპს ან მათი დადგენა ჭიანჭურდება, მაშინ ისინი დგინდება სასამართლოს გადანყვეტილებით .</p>	<b>14</b>
<p><b>მუხლი 326. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ წესების გამოყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ</b></p> <p>წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>მუხლი 326. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ წესების გამოყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ</b></p> <p>წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	
<p><b>თავი მეორე ხელშეკრულების დადება</b></p>	<p><b>თავი მეორე ხელშეკრულების დადება</b></p>	
<p><b>მუხლი 327. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე</b></p> <p>1. ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.</p>	<p><b>მუხლი 327. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე</b></p> <p>1. ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.</p>	
<p>2. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის</p>	<p>2. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის</p>	<b>17</b>

<p>მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.</p>	<p>მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც, როგორც ასეთი, დამახასიათებელია კანონიდან გამომდინარე ხელშეკრულების შესაბამისი სახეობისთვის.</p>	
<p>3. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც.</p>	<p>3. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც.</p>	
<p><b>მუხლი 328. ხელშეკრულების ფორმა</b></p> <p>1. თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.</p>	<p><b>მუხლი 328. ხელშეკრულების ფორმა</b></p> <p>1. თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.</p>	
<p>2. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.</p>	<p><i>ნაიშალოს; დარეგულირებულია 71-ე მუხლში</i></p>	<p><b>19</b></p>
<p><b>მუხლი 329. ოფერტის გაკეთება</b></p> <p>1. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.</p>	<p><b>მუხლი 329. ოფერტის გაკეთება</b></p> <p>1. ნების გამოვლენა მაშინ ითვლება ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების (ოფერტის) შეთავაზებად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.</p>	<p><b>20</b></p>
<p>2. წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი,</p>	<p>2. წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი,</p>	<p><b>21</b></p>

<p>წარმოადგენს მონვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.</p>	<p>წარმოადგენს მონვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	
<p><b>მუხლი 330. თანმყოფი და არათანმყოფი პირებისათვის გაკეთებული ოფერტი</b></p> <p>1. თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული.</p> <p>2. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს.</p> <p><b>მუხლი 331. აქცეპტი</b></p> <p>თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში.</p>	<p><b>მუხლი 330. თანმყოფი და არათანმყოფი პირების მიმართ გაკეთებული აქცეპტი</b></p> <p>1. თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული.</p> <p>2. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს.</p> <p><b>მუხლი 331. აქცეპტის ვადა</b></p> <p>თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში.</p>	
<p><b>მუხლი 332. დაგვიანებული აქცეპტი</b></p> <p>თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა, აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, აქცეპტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად, თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ.</p>	<p><b>მუხლი 332. დაგვიანებით მისული აქცეპტი</b></p> <p>თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა, აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, აქცეპტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად, თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ.</p>	<p><b>22</b></p>
<p><b>მუხლი 333. ახალი ოფერტი</b></p> <p>1. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად.</p>	<p><b>მუხლი 333. დაგვიანებული ან შეცვლილი აქცეპტი</b></p> <p>1. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად.</p>	
<p>2. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე</p>	<p>2. აქცეპტი, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, – ახალ წინადადებად.</p>	<p><b>23</b></p>



<p>დროს, – ახალ წინადადებად.</p>		
<p><b>მუხლი 334. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი</b></p> <p>თუ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს.</p>	<p><b>მუხლი 334. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი</b></p> <p>თუ არსებულ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს.</p>	<p><b>24</b></p>
	<p><i>საჭიროების შემთხვევაში დაემატოს:</i></p> <p><b>მუხლი ## აქცეპტი ოფერენტის მიმართ განცხადების გარეშე</b></p> <p>ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ოფერტზე აქცეპტით, ისე, რომ არ არის საჭირო ოფერენტის წინაშე აქცეპტის განცხადება, როდესაც ასეთი განცხადება, სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ან ოფერენტმა მასზე უარი თქვა. მომენტი, როდესაც ოფერტი უქმდება, განისაზღვრება ოფერენტის ოფერტიდან ან გარემოებებიდან ნაგულისხმევი განზრახვის მიხედვით.</p>	<p><b>25</b></p>
<p><b>მუხლი 335. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა</b></p> <p>1. თუ მენარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მენარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.</p> <p>2. იმ შემთხვევაშიც, თუ მენარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია ზიანის</p>	<p><b>მუხლი 335. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა</b></p> <p>1. თუ მენარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მენარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.</p> <p>2. იმ შემთხვევაშიც, თუ მენარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია</p>	

<p>თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს.</p>	<p>ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს.</p>	
<p><b>მუხლი 336. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება</b></p> <p>მომხმარებელსა და საკუთარი სარენის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე.</p>	<p><i>ნაიშალოს; ახალი რედაქცია კანონში, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ</i></p>	<p><b>179</b></p>
<p><b>მუხლი 337. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება</b></p> <p>თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.</p>	<p><b>მუხლი 337. ხელშეკრულების ცალკეული პირობები განმარტება</b></p> <p>თუ ხელშეკრულების ცალკეული პირობები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.</p>	<p><b>28</b></p>
<p><b>მუხლი 338. ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში</b></p> <p>ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.</p>	<p><b>საჭიროების შემთხვევაში ნაიშალოს; ან:</b></p> <p><b>მუხლი 338. ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში</b></p> <p>ხელშეკრულების ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი პირობების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ განმარტებას, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.</p>	

<p><b>მუხლი 339. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები</b></p> <p>ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.</p>	<p><b>საჭიროების შემთხვევაში წაიშალოს; ან:</b></p> <p><b>მუხლი 339. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები</b></p> <p>ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განმარტების გზით განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები.</p>	
<p><b>მუხლი 340. შერეული ხელშეკრულებების განმარტება</b></p> <p>შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.</p>	<p><b>მუხლი 340. შერეული ხელშეკრულებების განმარტება</b></p> <p>შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან.</p>	
<p><b>მუხლი 341. ვალის არსებობის აღიარება</b></p> <p>1. იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.</p> <p>2. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.</p>	<p><i>დარეგულირდეს 324-ე მუხლის მიხედვით</i></p>	<p><b>31</b></p>
<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>ხელშეკრულების სტანდარტული პირობები</b></p>	<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>ხელშეკრულების სტანდარტული პირობები</b></p>	
<p><b>მუხლი 342. ცნება</b></p> <p>1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი</p>	<p><b>მუხლი 342. ცნება</b></p> <p>1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი</p>	<p><b>34</b></p> <p><b>35</b></p>

<p>გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა.</p>	<p>გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს) უდგენს მეორე მხარეს (კლიენტს) და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა.</p>	
<p>2. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად.</p>	<p>2. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის შეთანხმებული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად.</p>	
<p>3. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.</p>	<p>3. მხარეთა მიერ ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.</p>	
	<p>(4) თუ შეუძლებელია იმის დადგენა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა [საჭიროების შემთხვევაში: მომხმარებელთან] დეტალურად იქნა თუ არა შეთანხმებული, მაშინ ითვლება, რომ ის არ ყოფილა დეტალურად შეთანხმებული.</p>	<p><b>182</b> <b>183</b></p>
<p><b>მუხლი 343. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად</b></p> <p>1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა:</p> <p>ა) შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე და</p> <p>ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა,</p>	<p><b>მუხლი 343. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად</b></p> <p>1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელ პირსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა:</p> <p>საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას კლიენტს ისინი უნდა გაეთვალისწინებინა და მათ, სულ მცირე, უსიტყვოდ ეთანხმებოდა.</p>	<p><b>34</b> <b>36</b></p>

<p>მიიღოს ეს პირობები.</p> <p>2. თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მენარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა.</p>		
<p><b>მუხლი 344. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.</p>	<p><b>მუხლი 344. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის ან თავიანთი შინაარსის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ კლიენტს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.</p>	<p><b>34</b></p> <p><b>37</b></p>
<p><b>მუხლი 345. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ</b></p> <p>თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.</p>	<p><b>მუხლი 345. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ</b></p> <p>თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განიმარტება კლიენტის სასარგებლოდ.</p>	<p><b>34</b></p>
	<p>ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელმა პირმა [საჭიროების შემთხვევაში: მომხმარებლების მიმართ] ნათლად და გასაგებ ენაზე უნდა ჩამოაყალიბოს.</p>	<p><b>182</b></p>
	<p><b>მუხლი ## სამართლებრივი შედეგები პირობების არჩართვისა და სამართლებრივი ძალის არარსებობისას</b></p> <p>(1) თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მთლიანად ან ნაწილობრივ არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან ბათილია, მაშინ</p>	<p><b>39</b></p>

	<p>ხელშეკრულება დარჩენილ ნაწილში სამართლებრივი ძალის მქონეა.</p> <p>(2) თუ პირობები არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან ბათილია, ხელშეკრულების შინაარსი განისაზღვრება კანონის დებულებების მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ დებულებებისთვისაც, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ არ შეესაბამება ამ თავით დადგენილ ნორმებს.</p> <p>(3) ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მისი შენარჩუნება, მე-2 ნაწილში მოცემული ცვლილებების გათვალისწინებითაც, დაუშვებლად მძიმე იქნებოდა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისთვის.</p>	
<p><b>მუხლი 346. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა</b></p> <p>ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.</p>	<p><b>მუხლი 346. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა</b></p> <p>(1) ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ შეუსაბამოდ საზიანოა კლიენტისთვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.</p>	<p><b>34</b></p>
	<p>(2) ის ფაქტი, რომ შინაარსის კონტროლის სხვა დებულებების ფონზე, დებულებამ შემოწმებას გაუძლო, არ გამორიცხავს იმას, რომ ეს დათქმა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.</p>	<p><b>50</b></p>
<p><b>მუხლი 347. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამეწარმეო</p>	<p><b>მუხლი 347. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, ბათილად მიიჩნევა:</p>	<p><b>42</b></p>

<p>საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად:</p>		
<p>ა) დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის, ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადები);</p>	<p>ა) დებულება, რომლითაც პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, აწესებს ან იტოვებს უფლებას დაანესოს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის, ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივი ან არასაკმარისად განსაზღვრული ვადები (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადა);</p>	<p><b>34</b> <b>43</b></p>
	<p>რაც ასევე მოქმედებს, როდესაც პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, იტოვებს უფლებას, რომ კლიენტის მოთხოვნა ანაზღაურებაზე დააკმაყოფილოს საპასუხო შესრულების შემონმებისა და მიღებისთვის შეუსაბამოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ (შემონმებისა და მიღების ვადა);</p>	<p><b>47</b></p>
	<p>თუ პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, არის მენარმე, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ შეუსაბამოდ ხანგრძლივია საპასუხო შესრულების მიღებიდან 30 დღეზე მეტი დრო ან როდესაც მოვალეს საპასუხო შესრულების მიღების შემდეგ ანგარიში ან ანგარიშთან გათანაბრებული სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი 30 დღეზე მეტი ხნის შემდეგ მისდის;</p> <p>თუ პირი, რომელიც იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, მენარმეა, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ საპასუხო შესრულების მიღებიდან 15 დღეზე მეტი დრო შეუსაბამოდ ხანგრძლივია;</p>	<p><b>189</b></p>
<p>ბ) დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს</p>	<p>ბ) დებულება, რომლითაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი აწესებს ან იტოვებს უფლებას, რომ დაანესოს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი</p>	<p><b>34</b> <b>44</b></p>

<p>(ვადები ვალდებულების დარღვევისას);</p>	<p>ნორმებისაგან განსხვავებული, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ან არასაკმარისად განსაზღვრული დამატებითი ვადა (ვადები ვალდებულების დარღვევისას);</p>	
<p>გ) დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა);</p>	<p>გ) დებულება, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებელ პირს უფლებას აძლევს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში ადექვატურად მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა);</p>	<p><b>34</b> <b>41</b></p>
<p>დ) დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს შეცვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (ცვლილების შეტანის პირობა);</p>	<p>დ) დებულება, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებელ პირს უფლებას აძლევს შეცვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (შესრულების ცვლილების პირობა);</p>	<p><b>34</b> <b>45</b></p>
<p>ე) დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს განუხლები ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (განუხლები ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება).</p>	<p>ე) დებულება, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებელ პირს უფლებას აძლევს, რომ ხელშეკრულების ერთი მხარის ხელშეკრულებიდან გასვლის ან მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოითხოვოს ხელშეკრულების მეორე მხარისგან შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება ნივთით ან უფლებით სარგებლობის ან მისი გამოყენებისთვის ან შესრულებისთვის ან მოითხოვოს მისგან შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნები).</p>	<p><b>34</b> <b>46</b></p>
	<p>ვ) დებულება, რომლის თანახმად კლიენტის განცხადება გარკვეული ქმედების შესრულების ან მისგან თავის შეკავებისას ითვლება ან არ ითვლება წარდგენილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კლიენტს მიეცა სათანადო ვადა პირდაპირი</p>	<p><b>49</b></p>



	<p>განცხადებისთვის და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი კისრულობს ვალდებულებას, რომ ვადის დანყებისას სპეციალურად მიუთითებს თავისი ქმედებით ნაგულისხმევ მნიშვნელობაზე (ნავარაუდები განცხადებები);</p> <p>ზ) დებულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განცხადება ითვლება კლიენტის მიერ მიღებულად (მიღების ვარაუდი);</p> <p>თ) გ) პუნქტის მიხედვით დასაშვები შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი იტოვებს უფლებას, რომ გათავისუფლდეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი არ იკისრებს ვალდებულებას, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს კლიენტს შესრულების შეუძლებლობის შესახებ და დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს მას საპასუხო დაკმაყოფილება (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა).</p>	
<p><b>მუხლი 348. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამენარმეო საქმიანობას, აგრეთვე მიიჩნევა ბათილად:</p>	<p><b>მუხლი 348. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები</b></p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი იყენებს იმ პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამენარმეო საქმიანობას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს დებულებები მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისთვის არის გამიზნული, აგრეთვე მიიჩნევა ბათილად:</p>	<p><b>34</b></p> <p><b>189</b></p>

	<p>ან:</p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებიც კლიენტის მიერ არასამენარმეო მიზნებისთვის დადებულ ხელშეკრულებაშია შეტანილი აგრეთვე მიიჩნევა ბათილად:</p>	<p><b>34</b></p> <p><b>175</b></p>
	<p>ან:</p> <p>ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი იყენებს მომხმარებლების მიმართ, აგრეთვე მიიჩნევა ბათილად:</p>	<p><b>34</b></p> <p><b>183</b></p>
<p>ა) დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში (ფასების მოკლევადიანი მომატება);</p>	<p>ა) დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში (ფასების მოკლევადიანი მომატება);</p>	
<p>ბ) დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება:</p> <p>შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს ამ კანონის თანახმად აქვს,</p> <p>ან</p> <p>ხელშეკრულების მხარის უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება (შესრულებაზე უარის თქმის უფლება);</p>	<p>ბ) დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება:</p> <p>შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც კლიენტს ამ კანონის თანახმად აქვს,</p> <p>ან</p> <p>კლიენტის უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება (შესრულებაზე უარის თქმის უფლება);</p>	<p><b>34</b></p>
<p>გ) დებულება, რომლითაც ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა);</p>	<p>გ) დებულება, რომლითაც კლიენტს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა);</p>	<p><b>34</b></p>
<p>დ) დებულება, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან,</p>	<p>დ) დებულება, რომლითაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი</p>	<p><b>34</b></p>

<p>რომ ხელშეკრულების მხარე გააფრთხილოს ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად (გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა);</p>	<p>თავისუფლება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, რომ კლიენტი გააფრთხილოს ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად (გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა);</p>	
<p>ე) შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა);</p>	<p>ე) შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა);</p>	
<p>ვ) დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამონვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო);</p>	<p>ვ) დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისთვის, რაც გამონვეულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ვალდებულების გაუფრთხილებლობით დარღვევით; (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო);</p>	<p><b>34</b>  <b>186</b></p>
<p>ზ) დებულება, რომლითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას:</p> <p>ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე,</p> <p>ან</p> <p>ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (ძირითადი ვალდებულების შესრულების დარღვევა);</p>	<p>ზ) დებულება, რომლითაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევისას</p> <p>კლიენტს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე,</p> <p>ან</p> <p>კლიენტს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (ძირითადი ვალდებულების შესრულების დარღვევა);</p>	<p><b>34</b>  <b>187</b></p>
<p>თ) დებულება, რომელიც შემთავაზებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევებში ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს</p>	<p>თ) დებულება, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ</p>	<p><b>34</b></p>

<p>უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი (ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას);</p>	<p>შესრულების შემთხვევებში ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი (ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას);</p>	
<p>ი) დებულებები, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, ზღუდავენ ახალნარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.</p>	<p>ი) დებულებები, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, ზღუდავენ ახალნარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.</p>	<p><b>34</b></p>
	<p>კ) სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის მიერ საქონლის რეგულარულად მიწოდება ან მომსახურების (/სამუშაოს შესრულების) რეგულარულად განევა (გარდა იმ ხელშეკრულებებისა, რომლებიც ითვალისწინებს ნივთების ერთად გაყიდვას და აგრეთვე დაზღვევის ხელშეკრულებებისა)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც კლიენტს ორ წელიწადზე მეტი ხნით ბოჭავს</li> <li>- სახელშეკრულებო ურთიერთობის უსიტყვო გაგრძელება, რომელიც ბოჭავს კლიენტს ერთ წელზე მეტი ვადით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ან</li> <li>- კლიენტის საზიანოდ ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების ვადა, რომელიც აღემატება სამ თვეს თავდაპირველად გათვალისწინებული ან</li> </ul>	<p><b>188</b></p>

	<p>უსიტყვოდ გაგრძელებული ხელშეკრულების ვადის გასვლამდე (გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოქმედების ვადა);</p> <p>ლ) დებულება, რომლის თანახმად ნასყიდობის, მომსახურების განევის ან ნარდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები გადადის ან შეიძლება გადავიდეს მესამე პირზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დებულებაში მითითებულია კლიენტის სახელი ან ხელშეკრულების მეორე მხარეს ეძლევა უფლება, რომ უარი თქვას ხელშეკრულებაზე (ხელშეკრულების მხარის შეცვლა);</p> <p>მ) დებულება, რომლის თანახმად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი წარმომადგენელს, რომელიც კლიენტისთვის დებს ხელშეკრულებას, აკისრებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკუთარ პასუხისმგებლობას ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, აღნიშნულის თაობაზე სპეციალური და ცალკე განცხადების გაკეთების გარეშე ან მინდობილობის გარეშე წარმომადგენლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას, რომელიც 113-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლებს სცილდება (ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა). ნ) დებულება, რომლის თანახმად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირი მტკიცების ტვირთს კლიენტის საზიანოდ ცვლის,</li> </ul>	
--	---	--

	<p>განსაკუთრებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- როდესაც იგი კლიენტს აკისრებს მტკიცების ტვირთს იმ გარემოებებისთვის, რომლებიც განეკუთვნება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის პასუხისმგებლობის სფეროს ან</li> <li>- როდესაც იგი ადასტურებინებს ხელშეკრულების მეორე მხარეს გარკვეულ ფაქტებს (თუ ისინი არ წარმოადგენენ სპეციალურად ხელმოწერილ, მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს) (მტკიცების ტვირთი);</li> </ul> <p>ო) დებულება, რომლის თანახმად შეტყობინებები და განცხადებები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამომყენებელი პირის ან მესამე პირის მიმართ, უნდა გაკეთდეს შეუსაბამოდ მკაცრი ფორმით ან ჩაბარების სპეციალური მოთხოვნების დაცვით (შეტყობინებებისა და განცხადებების ფორმა).</p> <p>პ) დებულება, რომლის თანახმად, კლიენტს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შეეცდება, რომ მოაგვაროს საქმე მორიგებით, სასამართლოს გარეშე (სარჩელზე უარის თქმა).</p>	
	<p>ან: ნაიშალოს 348-ე მუხლი და საკითხი ერთიანად დარეგულირდეს საქართველოს კანონში მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ</p>	<p><b>181</b></p>
	<p><b>საჭიროების შემთხვევაში დაემატოს:</b></p> <p><b>თავი #</b></p> <p><b>მოვალეობები ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში</b></p>	<p><b>178</b></p>
	<p><b>მუხლი ## ზოგადი მოვალეობები(1) თუ</b></p>	

	<p>მენარმე საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების დადებისას იყენებს ელექტრონულ ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებს (ხელშეკრულება ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში), მან უნდა უზრუნველყოს კლიენტისთვის:</p> <p>ა) შესაფერისი, მოქმედი და ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებების არსებობა, რომელთა დახმარებითაც კლიენტს შეეძლოს მიცემამდე შეუძლია ამოიცნოს და შეასწოროს აკრეფისას დაშვებული შეცდომები;</p> <p>ბ) მე-3 ნაწილით განსაზღვრული ინფორმაციის დროულად, კლიენტის მიერ შეკვეთის მიცემამდე, გარკვევით და გასაგებად შეტყობინება;</p> <p>გ) მის მიერ განხორციელებული შეკვეთის მიღების დაუყოვნებლივ, ელექტრონული საშუალებებით დადასტურება;</p> <p>დ) ხელშეკრულების დადებისას მისი პირობების, მათ შორის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩამოტვირთვის და აღწარმოებადი ფორმით შენახვის შესაძლებლობა. 1-ლი წინადადების გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეკვეთა და მიღების დადასტურება მისულად ითვლება, როდესაც მხარეებს, რომლებსთვისაც არის ისინი განკუთვნილი, ჩვეულებრივ გარემოებებში შეუძლიათ მათი ჩამოტვირთვა.</p> <p>(2) პირველი ნაწილის პირველი წინადადების ა)-დან გ)-მდე ქვეპუნქტები არ გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულება მხოლოდ ინდივიდუალური კომუნიკაციის გზით იდება. პირველი ნაწილის პირველი წინადადების ა)-დან გ)-მდე ქვეპუნქტები და მე-2 წინადადება არ გამოიყენება, როდესაც მენარმეებს შორის სხვა რამ</p>	
--	--	--

	<p>არის შეთანხმებული.</p> <p>(3) პირველი ნაწილის პირველი წინადადების ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას განეკუთვნება ინფორმაცია:</p> <p>ა) ცალკეული ტექნიკური ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ინვევენ ხელშეკრულების დადებას;</p> <p>ბ) იმის შესახებ, შეინახავს თუ არა მენარმე ხელშეკრულების დადების შემდეგ მის ტექსტს და იქნება თუ არა ის კლიენტისთვის ხელმისაწვდომი;</p> <p>გ) იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მას პირველი ნაწილის პირველი წინადადების ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მათ განკარგულებაში არსებული ტექნიკური საშუალებებით აკრეფის დროს დაშვებული შეცდომების ამოცნობა და შესწორება, მათ გადაცემამდე;</p> <p>დ) ხელშეკრულების დადებისთვის მათ მიერ გამოყენებადი ენების შესახებ და</p> <p>ე) ქცევის ყველა შესაბამისი კოდექსის შესახებ, რომლებსაც ემორჩილება მენარმე, აგრეთვე ამ წესთა კრებულებზე ელექტრონული წვდომის შესაძლებლობის არსებობის შესახებ.</p> <p>(4) უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების მოვალეობები, რომლებიც სხვა დებულებებიდან გამომდინარეობს, უცვლელი რჩება.</p>	
	<p><b>მუხლი ## მოვალეობები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ ეწევიან სამენარმეო საქმიანობას</b></p> <p>(1) ვებ-გვერდებზე, რომლებიც განკუთვნილია ელექტრონული საქმიანი ურთიერთობებისთვის იმ პირებთან, რომლებიც არ ეწევიან სამენარმეო საქმიანობას, მენარმემ ## მუხლის პირველ ნაწილში [ზოგადი მოვალეობები] მითითებული მონაცემების გარდა, დამატებით,</p>	



	<p>არაუგვიანეს შეკვეთის პროცედურის დაწყებისა, ნათლად და გარკვევით უნდა მიუთითოს, მოქმედებს თუ არა შეზღუდვები მიწოდებასთან დაკავშირებით და გადახდის რა საშუალებებია მისაღები.</p> <p>(2) ელექტრონულ საქმიან ბრუნვაში ხელშეკრულებისას, რომლის საგანს წარმოადგენს მენარმის მიერ კლიენტისთვის ანაზღაურებადი მომსახურების განევა, მენარმემ მომხმარებლის მიერ უშუალოდ შეკვეთის გაგზავნამდე ნათლად და გასაგებად, ხაზგასმით უნდა გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი:</p> <p>ა) საქონლისა და მომსახურების არსებითი თვისებები, საკომუნიკაციო საშუალებებისა და საქონლისა და მომსახურებისთვის შესაფერისი მოცულობით,</p> <p>ბ) საქონლისა და მომსახურების საერთო ფასი, გადასახადებისა და გადასახდელების ჩათვლით, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქონლის ან მომსახურების ხარისხის საფუძველზე ფასის გონივრულად გაანგარიშება წინასწარ შეუძლებელია, ფასის გაანგარიშების მეთოდი, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ტვირთის გადაზიდვის, მიწოდების ან გაგზავნის ყველა დამატებითი ხარჯი და ყველა სხვა ხარჯები, ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ ხარჯების გონივრულად გაანგარიშება წინასწარ შეუძლებელია, ფაქტი, რომ შესაძლოა წარმოიშვას ასეთი დამატებითი ხარჯები. გ) უვადო ხელშეკრულების ან გამონერის ხელშეკრულების შემთხვევაში, საერთო ფასი; იგი მოიცავს საერთო ხარჯებს შესაბამისი საანგარიშსწორებო პერიოდისთვის და თუ ასეთი ხელშეკრულებისთვის ხდება ფიქსირებული თანხების ასახვა ანგარიშში, ასევე საერთო ხარჯებს თვეების მიხედვით; თუ საერთო ხარჯების გონივრულად გაანგარიშება წინასწარ შეუძლებელია, მითითებულ უნდა იქნეს ფასის გაანგარიშების</p>	
--	---	--

	<p>მეთოდი.</p> <p>დ) შესაბამის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან უვადაო ან ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც ავტომატურად გრძელდება, მათი მოშლის პირობები,</p> <p>ე) შესაბამის შემთხვევაში, იმ მოვალეობების მინიმალური ვადა, რომლებსაც კისრულობს მომხმარებელი ამ ხელშეკრულებით.</p> <p>(3) მენარმემ შეკვეთის პირობები, მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების შემთხვევაში, ისე უნდა ჩამოაყალიბოს, რომ მომხმარებელმა თავისი შეკვეთით მკაფიოდ დაადასტუროს, რომ იგი კისრულობს გადახდის ვალდებულებას. თუ შეკვეთა ღილაკის საშუალებით ხორციელდება, მენარმის პირველი წინადადებით გათვალისწინებული მოვალეობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ღილაკზე გარკვევით იკითხება სიტყვები „შეკვეთა გადახდის ვალდებულებით“ ან შესაბამისი, გარკვევით ფორმულირებული ტექსტი.</p> <p>(4) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულება დადებულიად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მენარმე შეასრულებს მე-3 ნაწილით დადგენილ თავის მოვალეობას.</p> <p>(5) მე-2-დან მე-4-მდე ნაწილები არ გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულება იდება მხოლოდ ინდივიდუალური კომუნიკაციის გზით. 1-ლი და მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოვალეობები არ მოქმედებს არც ვებ-გვერდებისთვის, რომლებიც ფინანსურ მომსახურებას ეხება და არც ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ.</p>	
<p>თავი მეოთხე</p> <p>მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული</p>	<p>თავი მეოთხე</p> <p>მესამე პირთა სასარგებლოდ</p>	

ხელშეკრულება	დადებული ხელშეკრულება	
<p><b>მუხლი 349. ცნება</b></p> <p>მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>მუხლი 349. ცნება</b></p> <p>მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი და არც გარემოებებიდან გამომდინარეობს.</p>	<p><b>52</b></p>
<p><b>მუხლი 350. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება</b></p> <p>1. სპეციალური დათქმის არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს:</p> <p>ა) უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა;</p> <p>ბ) ეს უფლება მას მაშინათვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას;</p> <p>გ) ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე.</p> <p>2. მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაქტის თანხმობისა.</p>	<p><b>მუხლი 350. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება</b></p> <p>1. სპეციალური დათქმის არარსებობისას ხელშეკრულების აზრისა და მიზნის მიხედვით უნდა დადგინდეს:</p> <p>ა) უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა;</p> <p>ბ) ეს უფლება მას მაშინათვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას;</p> <p>გ) ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე.</p> <p>2. მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაქტის თანხმობისა.</p>	
<p><b>მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შექნილ უფლებაზე</b></p> <p>თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შექნილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ</p>	<p><b>მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შექნილ უფლებაზე</b></p> <p>თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შექნილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ სხვა რამ არც დადგენილია და არც გარემოებებიდან</p>	<p><b>52</b></p>

გამომდინარეობს.	გამომდინარეობს.	
	<p><b>მუხლი ## შემპირებლის შესაგებელი</b></p> <p>ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაგებლის უფლება შემპირებელს აქვს მესამე პირების მიმართაც.</p>	<p><b>53</b></p>
	<p><b>მუხლი ## ვალდებულების შესრულების გართულებები</b></p> <p>უფლებები, რომლებიც მთლიან ხელშეკრულებას ეხება და რომლებიც ვალდებულების შესრულების დარღვევის შედეგად წარმოიშობა, საეჭვოობისას, განეკუთვნება კრედიტორის უფლებებს. ეს წესი მოქმედებს, განსაკუთრებით, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიმართ. მათი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მესამე პირების თანხმობით, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს მესამე პირისთვის შეუქცევადად მინიჭებულ სამართლებრივ მდგომარეობაზე ან ხელს არ შეუშლის მას.</p>	<p><b>54</b></p>
<p><b>თავი მეხუთე</b> <b>ხელშეკრულებიდან გასვლა</b></p>	<p><b>თავი მეხუთე</b> <b>ხელშეკრულებიდან გასვლა</b></p>	
<p><b>მუხლი 352. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).</p> <p>2. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:</p> <p>ა) შექმნილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;</p> <p>ბ) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს,</p>	<p><b>მუხლი 352. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).</p> <p>2. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:</p> <p>ა) შექმნილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;</p> <p>ბ) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს,</p>	<p><b>58</b></p>

<p>გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;</p> <p>გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.</p> <p>3. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით.</p> <p>4. ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:</p> <p>ა) საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;</p> <p>ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;</p> <p>გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.</p> <p>5. ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	<p>გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;</p> <p>გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.</p> <p>3. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ის საფუძვლად უნდა დაედოს ღირებულების ანაზღაურების გამონგარიშებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების მხარეს მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ჰქონდა.</p> <p>4. ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:</p> <p>ა) საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;</p> <p>ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;</p> <p>გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.</p> <p>5. ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	
<p><b>მუხლი 353. მოვალის ვალდებულება საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო სარგებლის მიუღებლობისას</b></p> <p>1. თუ მოვალე არ იღებს სარგებელს</p>	<p><b>მუხლი 353. სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, სხვა დანახარჯების ანაზღაურება</b></p> <p>1. თუ მოვალე არ იღებს სარგებელს</p>	<p><b>60</b></p>

<p>საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, მაშინ იგი ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამონვეული ზიანი.</p> <p>2. თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით ან, თუ 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ მას უნდა აუნაზღაუროს აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო.</p>	<p>საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევით, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, მაშინ იგი ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამონვეული ზიანი.</p> <p>2. თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით ან, თუ 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ მას უნდა აუნაზღაუროს აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო.</p>	
<p><b>მუხლი 354. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულება</b></p> <p>ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად.</p>	<p><b>მუხლი 354. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულება</b></p> <p>ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად.</p>	
<p><b>მუხლი 355. შეტყობინების ვალდებულება ხელშეკრულებიდან გასვლისას</b></p> <p>ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.</p>	<p><b>მუხლი 355. ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება</b></p> <p>ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.</p>	<p><b>60</b></p>
<p><b>მუხლი 356. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა</b></p> <p>თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.</p> <p><b>მუხლი 357. ხელშეკრულებიდან გასვლა</b></p>	<p><b>მუხლი 356. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა</b></p> <p>თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.</p> <p><b>მუხლი 357. ხელშეკრულებიდან</b></p>	

<p><b>რამდენიმე პირის მიერ</b></p> <p>თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყლდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება ქარწყლდება ყველასათვის.</p> <p><b>მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა</b></p> <p>დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.</p> <p><b>მუხლი 359. კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე</b></p> <p>თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.</p>	<p><b>გასვლა რამდენიმე პირის მიერ</b></p> <p>თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყლდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება ქარწყლდება ყველასათვის.</p> <p><b>მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა</b></p> <p>დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს გაქვითვის შესახებ.</p> <p><b>მუხლი 359. კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე</b></p> <p>თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, როდესაც ასეთი შემთხვევა დადგება</p>	
	<p><b>მუხლი ## ხელშეკრულების შეწყვეტა</b></p> <p>გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამომავლოდ ცალმხრივი განცხადებით დასრულების მიმართ (ხელშეკრულების შეწყვეტა) ზემოთ ხსენებული დებულებები არ გამოიყენება.</p>	<p><b>55</b></p>
<p><b>მუხლი 360. შეცდომა მორიგების საფუძვლებში</b></p>	<p>დარეგულირდეს 322-ე მუხლის მიხედვით.</p>	

<p>1. ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.</p> <p>2. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის განხორციელება საეჭვოა.</p>		
<p><b>კარი მეორე ვალდებულების შესრულება</b></p>	<p><b>კარი მეორე შესრულების ვალდებულების შინაარსი</b></p>	<p><b>61</b></p>
<p><b>თავი პირველი ზოგადი დებულებანი</b></p>	<p><b>თავი პირველი ზოგადი დებულებანი</b></p>	
<p><b>მუხლი 361. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია</b></p> <p>1. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.</p> <p>2. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.</p>	<p>საჭიროების შემთხვევაში წაიშალოს</p>	<p><b>63</b></p>
<p><b>მუხლი 362. ვალდებულების შესრულების ადგილი</b></p> <p>თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:</p> <p>ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;</p>	<p><b>მუხლი 362. ვალდებულების შესრულების ადგილი</b></p> <p>თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:</p> <p>ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;</p>	<p><b>65</b></p>
<p>ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის სანარმო; თუ ასეთი</p>	<p>ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც მდებარეობს მოვალის საცხოვრებელი</p>	<p><b>65</b></p>



<p>არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.</p>	<p>ადგილი ან ადგილსამყოფელი, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მაშინ - იმ ადგილას, სადაც მდებარეობს მოვალის საწარმო.</p>	
<p><b>მუხლი 363. მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფლის შეცვლა</b></p> <p>1. თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და კრედიტორს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს.</p>	<p><b>მუხლი 363. მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფლის შეცვლა</b></p> <p>1. თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და კრედიტორს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს.</p>	
<p>2. თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.</p>	<p>2. თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის რისკიც, თუ ამ ცვლილების შედეგად ისინი გაიზარდა</p>	<p><b>66</b></p>
<p><b>მუხლი 364. ვალდებულების შესრულება ვადამდე</b></p> <p>მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივისცადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე.</p>	<p><b>მუხლი 364. ვალდებულების შესრულება ვადამდე</b></p> <p>მოვალეს უფლება აქვს ვადამდე განახორციელოს შესრულება, თუკი პატივისცადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე.</p>	
<p><b>მუხლი 365. ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას</b></p> <p>თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.</p>	<p><b>მუხლი 365. ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას</b></p> <p>თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი არც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან და გარემოებებიდან არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ</p>	<p><b>67</b></p>

	შეასრულოს.	
<p><b>მუხლი 366. ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობა</b></p> <p>თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.</p> <p><b>მუხლი 367. ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა, კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა.</p>	<p><b>მუხლი 366. ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობა</b></p> <p>თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.</p> <p><b>მუხლი 367. ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა, კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა.</p>	
<p><b>მუხლი 368. ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას</b></p> <p>თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება.</p>	<p><b>მუხლი 368. ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას</b></p> <p>თუ გარიგება დადებულია შესრულების გადადგების პირობით, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამ ვალდებულების შესრულება, როგორც კი ეს პირობა დადგება.</p>	<b>68</b>
<p><b>მუხლი 369. უარი ვალდებულების შესრულებაზე</b></p> <p>იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.</p>	<p><b>მუხლი 369. უარი ვალდებულების შესრულებაზე</b></p> <p>იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.</p>	

<p><b>მუხლი 370. სამომხმარებლო კრედიტი</b></p> <p>1. სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.</p> <p>2. ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, როცა კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებდა.</p>	<p>წაიშალოს და საჭიროების შემთხვევაში დარეგულირდეს სესხის სამართალში</p>	<p><b>69</b></p>
<p><b>მუხლი 371. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ</b></p> <p>1. თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.</p> <p>2. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.</p>	<p><b>მუხლი 371. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ</b></p> <p>1. თუ არც დადგენილია და არც ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.</p> <p>2. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე წინააღმდეგია.</p>	<p><b>70</b></p>
<p><b>მუხლი 372. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ</b></p> <p>თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს</p>	<p><b>მუხლი 372. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ</b></p> <p>თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია</p>	

<p>კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.</p>	<p>დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.</p>	
<p><b>მუხლი 373. ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ</b></p> <p>1. მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება.</p>	<p><b>მუხლი 373. ვალდებულების შესრულების მიღება მესამე პირის მიერ</b></p> <p>1. მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც ამ კრედიტორის მიერ, კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება.</p>	<p><b>71</b></p>
<p>2. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.</p>	<p>2. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.</p>	
<p><b>მუხლი 374. ალტერნატიული ვალდებულებანი</b></p> <p>თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>მუხლი 374. ალტერნატიული ვალდებულებანი</b></p> <p>თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი და არც ვალდებულების ბუნებიდან ან გარემოებებიდან არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>72</b></p>
<p><b>მუხლი 375. შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევა</b></p> <p>თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს ორი შესასრულებელიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება.</p>	<p><b>მუხლი 375. შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევა</b></p> <p>თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს რამდენიმე შესასრულებელიდან შეუძლია უარი თქვას ერთზე ან რამდენიმეზე, მაშინ დანარჩენ მოქმედებებთან დაკავშირებით შესრულების ვალდებულება უცვლელი რჩება.</p>	<p><b>73</b></p>
<p><b>მუხლი 376. ალტერნატიულ ვალდებულებათა არჩევის წესი</b></p> <p>374-ე მუხლის მიხედვით არჩევა</p>	<p><b>მუხლი 376. ალტერნატიულ ვალდებულებათა არჩევის წესი</b></p> <p>374-ე მუხლის მიხედვით არჩევა</p>	

<p>ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად.</p> <p><b>მუხლი 377. ორზე მეტი შესასრულებელი ვალდებულების არჩევა</b></p> <p>374 – 376-ე მუხლების წესები გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ვალდებულების არჩევის საგანს შეადგენს ორზე მეტი შესრულება.</p>	<p>ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად.</p> <p><b>მუხლი 377. ორზე მეტი შესასრულებელი ვალდებულების არჩევა</b></p> <p>374 – 376-ე მუხლების წესები გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ვალდებულების არჩევის საგანს შეადგენს ორზე მეტი შესრულება.</p>	
<p><b>მუხლი 378. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება</b></p> <p>მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.</p>	<p><b>მუხლი 378. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება</b></p> <p>თუ სხვა რამ არ არის დადგენილი და არც ვალდებულების ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს, მაშინ მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.</p>	75
<p><b>მუხლი 379. კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე</b></p> <p>კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.</p>	<p><b>მუხლი 379. კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე</b></p> <p>კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რისი გადახდის ვალდებულებაც არსებობს. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შემოთავაზებული [ან: ვალდებულების შესაბამისად გადასახდელი] შესრულება დიდი ღირებულების მქონეა [ან: მიუხედავად შესრულებებს შორის ღირებულებასთან დაკავშირებით არსებული თანაფარდობისა].</p>	76
<p><b>მუხლი 380. ვალდებულების შესრულების ხარისხი</b></p> <p>თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე</p>	<p><b>მუხლი 380. ვალდებულების შესრულების ხარისხი</b></p> <p>თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე</p>	

<p>ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.</p>	<p>ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.</p>	
<p><b>მუხლი 381. ვალდებულების შესრულება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის არსებობისას</b></p> <p>თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე.</p>	<p><b>მუხლი 381. ვალდებულების შესრულება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნით</b></p> <p>თუ ვალდებულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე.</p>	<p>77</p>
<p><b>მუხლი 382. ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას</b></p> <p>თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.</p>	<p><b>მუხლი 382. ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთით</b></p> <p>თუ ვალდებულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მაშინ მოვალეს შეეძენასთან დაკავშირებით არსებული დაბრკოლების გადალახვის ვალდებულება ეკისრება მაშინაც, როდესაც მას ამაში ბრალი არ მიუძღვის. .</p>	<p>77</p>
	<p>(2) თუ მოვალემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან აუცილებელია გვაროვნული ნივთით შესრულებისთვის, მაშინ მისი ვალდებულება შემოიფარგლება ამ ნივთით.</p>	<p>78</p>
<p><b>მუხლი 318. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება</b></p> <p>ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაჰენტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის გაცემის ხარჯები ვალდებულ პირს უნდა აუნაზღაუროს</p>	<p><b>მუხლი ## ინფორმაციის გაცემის ვალდებულება</b></p> <p>ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაჰენტს შეუძლია საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის გაცემის ხარჯები</p>	<p>1</p>

<p>მისმა მიმღებმა.</p>	<p>ვალდებულ პირს უნდა აუნაზღაუროს მისმა მიმღებმა.</p>	
<p><b>თავი მეორე ფულადი ვალდებულების შესრულება</b></p>	<p><b>თავი მეორე ფულადი ვალდებულების შინაარსი</b></p>	<p><b>79</b></p>
<p><b>მუხლი 383. ცნება</b></p> <p>ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.</p>	<p><b>მუხლი 383. ცნება</b></p> <p>ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.</p>	
<p><b>მუხლი 385. ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი</b></p> <p>ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი.</p>	<p><i>საჭიროების შემთხვევაში წაიშალოს</i></p>	<p><b>80</b></p>
<p><b>მუხლი 386. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი</b></p> <p>1. შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით.</p>	<p><b>მუხლი 386. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი</b></p> <p>1. თუ სხვა რამ დადგენილი არ არის და არც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით ან თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა სანარმოო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მაშინ - იმ ადგილას, სადაც მდებარეობს მოვალის სანარმო.</p>	<p><b>81</b></p>
<p>2. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.</p>	<p>2. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით დაფაროს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგი იყო.</p>	<p><b>82</b></p>

	<p><b>მუხლი ## შეთანხმებები ანაზღაურების გადახდის დროის შესახებ</b></p> <p>(1) შეთანხმება, რომლის თანახმად კრედიტორს ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, მხოლოდ, საპასუხო შესრულების მიღებიდან 60 დღეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სპეციალურად იყო შეთანხმებული და კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით არ არის უხეშად უსამართლო. თუ მოვალეს საპასუხო შესრულების მიღების შემდეგ ანგარიში ან ანგარიშთან გათანაბრებული სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი მიუვა, მაშინ 1-ლ წინადადებაში ხსენებული მომენტის ნაცვლად, საპასუხო შესრულების მიღების მომენტად მიიჩნევა ამ ანგარიშის ან მასთან გათანაბრებული საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღების მომენტი. დროის სხვა მომენტის არსებობის დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ანგარიშის ან მასთან გათანაბრებული სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღების მომენტი ემთხვევა საპასუხო შესრულების მიღების მომენტს; თუ კრედიტორმა დროის სხვა მომენტი დაასახელა, მაშინ საპასუხო შესრულების მიღების მომენტად მიიჩნევა ეს უკანასკნელი.</p> <p>(2) თუ მოვალე საჯარო დამკვეთია, მაშინ 1-ლი ნაწილისგან განსხვავებით</p> <p>ა) შეთანხმება, რომლის თანახმად კრედიტორს ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, მხოლოდ, საპასუხო შესრულების მიღებიდან 30 დღეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სპეციალურად იყო შეთანხმებული და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან ან მახასიათებლებიდან გამომდინარე</p>	<p>189</p>
--	---	------------



	<p>ობიექტურად გამართლებულია;</p> <p>ბ) შეთანხმებას, რომლის თანახმად კრედიტორს ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, მხოლოდ, საპასუხო შესრულების მიღებიდან 60 დღეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად.</p> <p>(3) თუ ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ საპასუხო შესრულების შემონმებისა და მიღების შემდეგ უნდა შესრულდეს, მაშინ შეთანხმება, რომლის თანახმად საპასუხო შესრულების შემონმებისა და მიღების დრო საპასუხო შესრულების მიღებიდან 30 დღეზე მეტს შეადგენს, მხოლოდ იმ შეთხვევაში არის სამართლებრივი ძალის მქონე, თუ ის სპეციალურად იყო შეთანხმებული და კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით არ არის უხეშად უსამართლო.</p> <p>(4) თუ შეთანხმება 1-ელი-მე-3 ნაწილების მიხედვით სამართლებრივი ძალის არმქონეა, ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი ძალაში რჩება.</p> <p>(5) 1-ელი-მე-3 ნაწილები არ გამოიყენება:</p> <p>ა) ნაწილის წინასწარ გადახდის ან სხვა სახის განვადებით გადახდების შესახებ შეთანხმების მიმართ, ისევე როგორც</p> <p>ბ) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომლის თანახმად ანაზღაურების მოთხოვნის შესრულების ვალდებულება ეკისრება მომხმარებელს.</p> <p>(6) 1-ელი-მე-3 ნაწილებით, სხვა დებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ შეზღუდვებს გადახდის, შემონმების ან მიღების ვადების შესახებ შეთანხმებების მიმართ, უცვლელი რჩება.</p>	
--	--	--

<p><b>მუხლი 387. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა</b></p> <p>1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.</p> <p>2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.</p> <p>3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.</p> <p><b>მუხლი 388. სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი</b></p> <p>მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.</p>	<p>გადატანილ იქნეს 427-ე და შემდგომ მუხლებში</p>	<p>133</p>
	<p><b>მუხლი ## კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი</b></p> <p>თუ კანონით ან გარიგებით ვალდებულება პროცენტიანია, წლიურად გადახდილ უნდა იქნეს [###] პროცენტი, თუ სხვა რა არ არის დადგენილი.</p> <p><b>მუხლი ## პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება</b></p> <p>(1) ბათილია წინასწარ დადებული</p>	<p>83</p>

	<p>შეთანხმება, რომლის თანახმად გადასახდელ პროცენტებს კიდევ უნდა დაერიცხოს პროცენტები.</p> <p>2) შემნახველ სალაროებს, საკრედიტო დაწესებულებებსა და საბანკო ბიზნესის მფლობელებს შეუძლიათ წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ანაბრებზე მიუღებელი პროცენტები მიჩნეულ უნდა იქნეს ახალ საპროცენტო ანაბრებად. საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, რომ მათ მიერ გაცემულ კრედიტზე გამოუშვან პროცენტიანი სავალო დოკუმენტები წარმომდგენზე, შეუძლიათ ასეთი სესხებისთვის წინასწარ პირობად დათქვან ვადაგადაცილებულ პროცენტებზე პროცენტის გადახდა.</p>	
<p><b>მუხლი 389. ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას</b></p> <p>თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს.</p>	<p><b>მუხლი 389. ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას</b></p> <p>თუ ფულადი ვალდებულება გამოსატულია უცხოურ ვალუტაში და იგი იფარება ადგილობრივი ვალუტით, მაშინ მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც მოვალის მიერ ვალდებულების დაფარვის მომენტისთვის მოქმედებს გადახდის ადგილზე.</p>	<p><b>84</b></p>
<p>ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.</p>	<p><i>საჭიროების შემთხვევაში წაიშალოს</i></p>	
<p><b>კარი მეოთხე</b></p> <p><b>ზიანის ანაზღაურების მოვალეობა</b></p>	<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>ზიანის ანაზღაურების მოვალეობა</b></p>	<p><b>62</b></p>

<p><b>მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა</b></p> <p>1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.</p> <p>2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.</p> <p>3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.</p> <p>4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.</p> <p><b>მუხლი 409. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა</b></p> <p>თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.</p>	<p><b>მუხლი ## პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა</b></p> <p>1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.</p> <p>2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.</p> <p>3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.</p> <p>4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.</p> <p><b>მუხლი ## პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა</b></p> <p>თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.</p>	
<p><b>მუხლი 410. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა</b></p> <p>ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით(04.12.2009</p>	<p><b>მუხლი ##. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა</b></p> <p>ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს. 395-ე მუხლის მე-2 ნაწილი უცვლელი</p>	<p><b>86</b></p>

<p>N2284-IIS).</p>	<p>რჩება. (04.12.2009 N2284-IIS).</p> <p>ან:</p> <p>ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ კანონი ასეთ უარს ითვალისწინებს.</p>	
<p><b>მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის</b></p> <p>ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.</p>	<p><b>მუხლი ##. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის</b></p> <p>ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, მაგრამ მიიღებდა ურთიერთობის ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში.</p>	<p><b>87</b></p>
<p><b>მუხლი 412. ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა</b></p> <p>ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.</p> <p><b>მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის</b></p> <p>1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.</p> <p>2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.</p>	<p><b>მუხლი ## ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა</b></p> <p>ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.</p> <p><b>მუხლი ## ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის</b></p> <p>1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.</p> <p>2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.</p>	
<p><b>მუხლი 414. ზიანის ოდენობის</b></p>	<p><b>მუხლი ##. ზიანის ანაზღაურება</b></p>	<p><b>88</b></p>

<p><b>განსაზღვრა</b></p> <p>ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.</p>	<p><b>შესრულების ნაცვლად</b></p> <p>ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.</p>	
<p><b>მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში</b></p> <p>1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამომწვეული.</p>	<p><b>მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში</b></p> <p>1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის გამომწვეული ეს ზიანი ერთ-ერთი მხარის ბრალით.</p>	<p><b>89</b></p>
<p>2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი.</p>	<p>2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი.</p>	
	<p><b>მუხლი ## მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება</b></p> <p>(1) ანაზღაურებულ უნდა იქნეს ის ზიანიც, რომელიც მესამე პირის ქონებას მიაღდა იმის გამო, რომ კრედიტორის ნაცვლად მესამე პირი არის ეკონომიკური რისკის მატარებელი ისე, რომ ეს არ ეფუძნება ზიანის მიმყენებლის სასარგებლოდ გამართლებულ რისკის მოხსნას.</p> <p>(2) მესამე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს კრედიტორის მიმართ შესრულება.</p> <p>(3) მესამე პირის თანაბრალეულობით ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა რისკთან დაკავშირებით იხსნება, ისევე როგორც კრედიტორის თანაბრალეულობის შემთხვევაში.</p>	<p><b>90</b></p>

	<p><b>თავი მეოთხე</b></p> <p><b>შესრულების სხვა ვალდებულებების შინაარსი</b></p>	<p><b>62</b></p>
	<p><b>მუხლი ## დანახარჯებზე პროცენტის დარიცხვა</b></p> <p>თუ პირს ეკისრება განუხორციელოს ანაზღაურება, მან ხარჯების განხორციელების მომენტიდან დახარჯულ თანხაზე ან ფულის სახით დახარჯული სხვა საგნების ღირებულების სანაცვლოდ მიღებულ თანხაზე უნდა გადაიხადოს პროცენტები. თუ ხარჯები განუხორციელებია საგანზე, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირს, პროცენტები გადახდას არ ექვემდებარება დროის იმ მონაკვეთისთვის, როდესაც ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ სარგებლობდა საგნით ან მისი ნაყოფით.</p> <p><b>მუხლი ## ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია გარკვეული მიზნის მისაღწევად, მაშინ მას შეუძლია, თუ ის ამ მიზნის მისაღწევად სხვა ვალდებულებას კისრულობს, მოითხოვოს ამ ვალდებულებისგან გათავისუფლება. თუ ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაშინ ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირს შეუძლია, ვალდებულებისგან გათავისუფლების ნაცვლად, წარუდგინოს მას უზრუნველყოფა.</p> <p><b>მუხლი ## თან ნაღების უფლება</b></p> <p>თუ პირი უფლებამოსილია, რომ სხვა</p>	

	<p>პირისთვის გადასაცემ ნივთს ჩამოაშოროს ერთი ნაწილი, მაშინ მოშორების შემთხვევაში მან საკუთარი ხარჯით უნდა აღადგინოს ნივთის თავდაპირველი მდგომარეობა. თუ ნივთის მფლობელი სხვა პირი გახდება, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია დართოს ნება ცალკეული ნაწილის მოშორებაზე; მას შეუძლია უარი თქვას ნებართვის მიცემაზე, მოშორებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურებისთვის უზრუნველყოფის წარდგენამდე.</p> <p><b>მუხლი ## ანგარიშვალდებულების ფარგლები</b></p> <p>(1) თუ პირი ვალდებულია, წარადგინოს ანგარიში შემოსავლებსა და ხარჯებთან დაკავშირებული მართვის შესახებ, მან უფლებამოსილ პირს უნდა წარუდგინოს შემოსავლების ან ხარჯების დალაგებული ჩამონათვალის შემცველი ანგარიში და თუ ქვითრების გაცემა ჩვეულებრივ სავალდებულოა, მაშინ - ასევე ქვითრებიც.</p> <p>(2) თუ არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ შემოსავლების შესახებ ანგარიშში მოცემული მონაცემები არასაკმარისი გულმოდგინებით იქნა შეტანილი, ვალდებულმა პირმა მოთხოვნის შემთხვევაში ფიცის ტოლფასი განცხადებით ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან შემოსავლები კეთილსინდისიერად და მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულყოფილად მიუთითა.</p> <p>(3) მცირე მნიშვნელობის მქონე საქმეებში ფიცის ტოლფასი დადასტურების ვალდებულება არ არსებობს.</p> <p><b>მუხლი ## საგნების ერთობლიობის დაბრუნების ან მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება</b></p> <p>(1) თუ პირი ვალდებულია, რომ დააბრუნოს საგნების ერთობლიობა ან</p>	
--	---	--



	<p>გასცეს ინფორმაცია ასეთი ერთობლიობის შემადგენლობის შესახებ, მან უფლებამოსილ პირს უნდა გადასცეს ამ შემადგენლობის ჩამონათვალი.</p> <p>(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ეს ჩამონათვალი არასაკმარისი გულმოდგინებით იქნა შედგენილი, მაშინ ვალდებულმა პირმა მოთხოვნის შემთხვევაში ფიცის ტოლფასი განცხადებით ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან ეს შემადგენლობა კეთილსინდისიერად და მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრულყოფილად მიუთითა.</p> <p>(3) მცირე მნიშვნელობის მქონე საქმეებში ფიცის ტოლფასი დადასტურების ვალდებულება არ არსებობს.</p>	
<p><b>თავი მესამე</b> <b>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება</b> <b>მუხლი 390. ცნება</b></p> <p>1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია.</p> <p>2. თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.</p> <p><b>მუხლი 391. კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</b></p> <p>კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო.</p> <p><b>მუხლი 392. მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას</b></p>	<p><i>შეიძლება ჩამოყალიბდეს მე-4 კარის სახით 407-ე და შემდგომი მუხლების შემდეგ</i></p>	<p><b>62</b></p>

<p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.</p> <p><b>მუხლი 393. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები</b></p> <p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად:</p> <p>ა) იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები;</p> <p>ბ) მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;</p> <p>გ) მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.</p>		
<p><b>კარი მესამე ვალდებულების დარღვევა</b></p>	<p><b>კარი მესამე ვალდებულების დარღვევა</b></p>	
<p><b>თავი პირველი ზოგადი დებულებანი</b></p>	<p><b>თავი პირველი ზოგადი დებულებანი</b></p>	
	<p><b>მუხლი ## შესრულების შეუძლებლობა</b></p> <p>(1) შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ეს მოვალისთვის ან ნებისმიერი პირისთვის შეუძლებელია.</p> <p>(2) მოვალეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ ის ისეთ ხარჯებს მოითხოვს, რომლებიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით არსებითად შეუსაბამოა კრედიტორის ინტერესთან ვალდებულების შესრულების მიმართ.</p>	<p><b>94</b></p>

	<p>იმის განსაზღვრისას, თუ რა გონივრული ძალისხმევა შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს, ასევე, გასათვალისწინებელია მოვალის ბრალეულობა შესრულების ხელშეშლაში.</p> <p>(3) გარდა ამისა, მოვალეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, როდესაც მან ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს და მისი შესრულების ხელისშემშლელი დაბრკოლების ხარისხისა და შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონის შედეგად, შესრულება მას არ შეიძლება მოეთხოვოს.</p> <p>(4) კრედიტორის უფლებები ზიანის ანაზღაურების ან ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ უცვლელი რჩება.</p>	
	<p><b>მუხლი ## სუროგატის მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ მოვალე ისეთი გარემოების შედეგად, რომლის გამოც მას [ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ მუხლის] პირველიდან მე-3-მდე ნაწილების თანახმად ვალდებულების შესრულება აღარ ეკისრება, ვალდებულებით გათვალისწინებული საგნის სანაცვლოდ იძენს ანაზღაურებას ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურების სახით მიღებულის დაბრუნება ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დათმობა.</p>	<p><b>93</b></p>
<p><b>მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის</p>	<p><b>მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის</p>	

<p>ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.</p>	<p>ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.</p>	
<p>2. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო.</p>	<p>2. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის გონივრული ვადა. ვადა ჩვეულებრივ გონივრულია, როდესაც იგი მოვალეს უკანასკნელ შესაძლებლობას აძლევს, რომ დაასრულოს დაწყებული შესრულება. თუ კრედიტორი ზედმეტად მოკლე ვადას ანებს, ამით ამოქმედდება გონივრული ვადის დენა.</p>	<p><b>97</b></p>
<p>თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	<p>თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	
	<p>ეს წესი არ მოქმედებს, როდესაც ვალდებულების დარღვევა გამონკვეული არ არის მოვალის ბრალით.</p>	<p><b>100</b></p>
<p>3. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას.</p>	<p>3. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას.</p>	<p><b>98</b></p>
<p><b>მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:</p> <p>ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;</p> <p>ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის</p>	<p>ან ზედმეტობის საფუძვლების ერთიანი კატალოგის შემთხვევაში:</p> <p>(3) დამატებითი ვადის დაწესება არ არის აუცილებელი თუ:</p> <p>ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;</p> <p>ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ვალდებულების შეთანხმებულ</p>	

<p>გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;</p> <p>გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.</p>	<p>ვადაში შესრულება კრედიტორისთვის ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებებიდან გამომდინარე არსებითია;</p> <p>გ) სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელებას.</p>	
<p><b>მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.</p>	<p>(4) კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების ნაცვლად, თუ აშკარაა, რომ დადგება ამის საფუძვლები.</p>	<p><b>101</b></p>
<p><b>მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>1. (...) თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.</p>	<p>(5) (...) თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.</p>	
<p>თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.</p>	<p>(6) თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.</p>	
<p>3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ:</p> <p>ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;</p>	<p>თუ კრედიტორმა შესრულება არ განახორციელა ისე, როგორც ამას ითვალისწინებდა ვალდებულება, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია მთლიანი შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ვალდებულების დარღვევა</p>	

	უმნიშვნელოა;	
	(7) თუ მოვალე დაარღვევს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მოვალეობას, მაშინ კრედიტორს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულების შესრულება.	<b>99</b>
	(8) თუ კრედიტორი ვალდებულების შესრულების ნაცვლად მიიღებს ანაზღაურებას ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, მაშინ მისი მოთხოვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების თაობაზე მცირდება მიღებული ანაზღაურების ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ღირებულების ოდენობით.	<b>93</b>
	(9) კრედიტორის უფლება, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების დაგვიანების გამო, განისაზღვრება 404-ე მუხლის მიხედვით.	<b>96</b>
	<b>მუხლი ## უშედეგოდ განეული ხარჯების ანაზღაურება</b>  ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია და სამართლიანობის მიხედვით შეეძლო გაენია ვალდებულების შესრულების მიღების იმედით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანახარჯების მიზანი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის გარეშეც ვერ იქნებოდა მიღწეული.	<b>102</b>
<b>მუხლი 395. ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ წინასწარი შეთანხმების დაუშვებლობა</b>	<b>მუხლი 395. მოვალის პასუხისმგებლობა</b>  1. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი და არც ვალდებულებით-სამართლებრივი	<b>103</b>

<p>1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p>ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს, მაშინ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.</p>	
	<p>994-დან 996-მდე მუხლების დებულებები გამოიყენება შესაბამისად.</p>	<p><b>104</b></p>
<p>2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.</p>	<p>2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.</p>	
	<p>(3) თუ პირს ევალება მხოლოდ ისეთი მზრუნველობის გამოჩენა, როგორცაც იგი საკუთარი საქმეების განხორციელებისას იყენებს, ეს არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან უხეში გაუფრთხილებლობისთვის.</p>	<p><b>105</b></p>
<p><b>მუხლი 396. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის</b></p> <p>მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.</p>	<p><b>მუხლი 396. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის</b></p> <p>მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი მოქმედების დროს.</p>	<p><b>106</b></p>
<p><b>მუხლი 397. მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას</b></p> <p>მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი</p>	<p><b>მუხლი 397. მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას</b></p> <p>მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი სხვა</p>	<p><b>107</b></p>

<p>ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p>რამ არ არის დადგენილი და არც ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან ან გარემოებებიდან გამომდინარეობს.</p>	
<p><b>მუხლი 398. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი</b></p> <p>1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.</p>	<p><b>მუხლი 398. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი</b></p> <p>1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თუ ამის განხორციელების მოთხოვნა, ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების, განსაკუთრებით რისკის სახელშეკრულებო ან კანონისმიერი განაწილების გათვალისწინებით [ან: კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე] შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მეორე მხარისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.</p>	<p><b>108</b></p>
<p>2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.</p>	<p>2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.</p>	
<p>3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.</p>	<p>3. თუკი ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით, არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მეორე მხარისგან, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.</p>	<p><b>109</b></p>



<p><b>მუხლი 399. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე</b></p> <p>1. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადაც საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადაც საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.</p>	<p><b>მუხლი 399. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე</b></p> <p>1. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. მნიშვნელოვანია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს ყველა გარემოების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.</p>	<p><b>110</b></p>
<p>2. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.</p>	<p>2. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება 394-ე მუხლის მე-3 ნაწილი.</p>	
<p>3. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.</p>	<p>3. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.</p>	
<p>4. თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ამ შესრულებაზედაც გავრცელდეს. უკვე შესრულებულის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შესაბამისად 352–354-ე მუხლები.</p>	<p>4. თუ უკვე მიღებული შესრულება ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში აღარ იქნებოდა საინტერესო უფლებამოსილი პირისათვის ან თუ ხელშეკრულების მოშლის განმახორციელებელი პირის ინტერესი განხორციელებული შესრულების დაბრუნების მიმართ მნიშვნელოვნად აღემატება მეორე მხარის ინტერესს, მაშინ ამ მხარეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა.</p>	<p><b>111</b></p>

<p>5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 407-ე მუხლი.</p>	<p>5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 407-ე მუხლი.</p>	
<p><b>თავი მეორე</b> <b>მოვალის მიერ ვადის გადაცილება</b></p>	<p><b>თავი მეორე</b> <b>მოვალის მიერ ვადის გადაცილება</b></p>	
<p><b>მუხლი 400. ცნება</b></p> <p>მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ:</p> <p>ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება;</p> <p>ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.</p>	<p><b>მუხლი 400. ცნება</b></p> <p>(1) მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ:</p> <p>ა) შესრულებისათვის დადგენილ კალენდარულად განსაზღვრულ დროში ვალდებულება არ შესრულდება;</p> <p>ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.</p>	<p><b>113</b></p>
	<p>(2) გადახდის მოთხოვნის მოვალის ვადაგადაცილებად ითვლება, როდესაც იგი გადახდის ვადის დადგომის და ანგარიშის ან მასთან გათანაბრებული საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღებიდან 30 დღის ვადაში არ ასრულებს ვალდებულებას; ეს წესი მოქმედებს მოვალის მიმართ, რომელიც წარმოადგენს მომხმარებელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგები სპეციალურად იყო მითითებული ანგარიშში ან მასთან გათანაბრებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტში. თუ ანგარიშის ან მასთან გათანაბრებული საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღების მომენტი გაურკვეველია, მაშინ არამომხმარებელი მოვალე ვადაგადაცილებულია გადახდის ვადის დადგომის და საპასუხო შესრულების მიღებიდან ყველაზე გვიან 30 დღის ვადაში.</p> <p>(3) ვადის გადაცილების დადგომასთან დაკავშირებით განსხვავებული შეთანხმების მიმართ შესაბამისად მოქმედებს ### მუხლი [შეთანხმებები გადახდის მოთხოვნებში შესრულების</p>	<p><b>189</b></p>

	ვადის შესახებ].	
<p><b>მუხლი 401. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა</b></p> <p>ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონწვეული.</p>	<p><b>მუხლი 401. ვადის გადაცილების არარსებობა შეუძლებლობისას</b></p> <p>ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონწვეული.</p>	<b>114</b>
<p><b>მუხლი 402. მოვალის პასუხისმგებლობა</b></p> <p>მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.</p>	<p><b>მუხლი 402. პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვის</b></p> <p>მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.</p>	<b>115</b>
<p><b>მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (29.06.2007 N5127-RS)</b></p> <p>1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია (29.06.2007 N5127-RS).</p>	<p><b>მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისას (29.06.2007 N5127-RS)</b></p> <p>1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია (29.06.2007 N5127-RS).</p>	<b>116</b>
	<p>(2) გარიგებებში, რომლებშიც არ მონაწილეობს მომხმარებელი, ფულადი მოთხოვნისთვის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს საბაზისო განაკვეთზე დამატებულ ცხრა პროცენტს.</p> <p>(3) კრედიტორს შეუძლია სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე მოითხოვოს უფრო მაღალი პროცენტი.</p> <p>(4) სხვა ზიანის ანაზღაურების</p>	

	<p>მოთხოვნა არ არის გამორიცხული.</p> <p>(5) გარდა ამისა, ფულადი ვალდებულების კრედიტორს, არამომხმარებელი მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას, შეუძლია მოითხოვოს ერთიანი თანხის გადახდა [###] ოდენობით. ეს წესი მოქმედებს ასევე, როდესაც ფულადი მოთხოვნა ნაწილის წინასწარ გადახდას ან განვადებით გადახდას ეხება. პირველი წინადადებით გათვალისწინებული ერთიანი თანხა უნდა ჩაითვალოს ვალდებულებით გადასახდელი ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, თუ ზიანი სამართლებრივი დევნის ხარჯებში მდგომარეობს.</p> <p>(6) ბათილია წინასწარი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს ფულადი მოთხოვნის კრედიტორის უფლებას, რომ მოითხოვოს დაგვიანებისთვის პროცენტი. იგივე წესი მოქმედებს ისეთი შეთანხმების მიმართ, რომელიც ფულადი მოთხოვნის კრედიტორის მოთხოვნის უფლებას გამორიცხავს ან ზღუდავს მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ერთიანი გადახდით ან იმ ზიანის ანაზღაურებით, რომელიც სამართლებრივი დევნის ხარჯებში მდგომარეობს, თუ ეს კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით უხეშ უსამართლობად უნდა იქნეს მიჩნეული. შეთანხმება მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ერთიანი გადახდის ან იმ ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის შესახებ, რომელიც სამართლებრივი დევნის ხარჯებში მდგომარეობს, საეჭვოობისას, მიჩნეულ უნდა იქნეს უხეშ უსამართლობად.</p> <p>პირველიდან მე-3-მდე წინადადებები არ გამოიყენება, როდესაც მოთხოვნა მიმართულია მომხმარებლის წინააღმდეგ.</p>	
<p>2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში</p>	<p><b>388-2 მუხლში პროცენტის პროცენტის აკრძალვის შემთხვევაში, შეიძლება ამოღებულ იქნეს.</b></p>	<p><b>117</b></p>

(29.06.2007 N5127-RS).		
<p><b>მუხლი 404. კრედიტორის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე</b></p> <p>კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><b>მუხლი 404. კრედიტორის მოთხოვნის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე</b></p> <p>კრედიტორს ვადის გადაცილებისას უფლება აქვს მოითხოვოს შეფერხებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><b>96</b></p>
<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს</b></p>	<p><b>თავი მესამე</b></p> <p><b>ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს</b></p>	
<p><b>მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.</p>	<p><b>მუხლი 405. ხელშეკრულებიდან გასვლა</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.</p>	<p><b>118</b></p>
<p>თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.</p> <p>2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:</p> <p>ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;</p> <p>ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ</p>	<p>(2) 394-ე მუხლის 3-7-მდე ნაწილები მოქმედებს შესაბამისად.</p> <p>ან ვადის განსაზღვრის მოთხოვნის დიფერენცირებული რეგულირებისას:</p> <p>(2) დამატებითი ვადის დაწესება არ არის აუცილებელი, თუ:</p> <p>ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;</p> <p>ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ვალდებულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება, ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებების მიხედვით, მხარისთვის მნიშვნელოვანია;</p> <p>გ) სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამართლებს ხელშეკრულების</p>	<p><b>98</b></p> <p><b>101</b></p> <p><b>119</b></p>

<p>შესრულებას;</p> <p>გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.</p>	<p>დაუყოვნებლივ მოშლას. 394-ე მუხლის 4-7 ნაწილები მოქმედებს შესაბამისად.</p>	
<p>3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ:</p> <p>ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;</p> <p>ბ) დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;</p> <p>გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;</p> <p>დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.</p>	<p>3. ხელშეკრულებაზე უარი გამორიცხებულია, თუ:</p> <p>ა) ზედმეტია 394-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-2 წინადადებაზე მითითებისას</p> <p>ბ) ზედმეტია 394-ე მუხლის მე-7 ნაწილზე მითითებისას მხარე რომელიც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე ვალდებულების დარღვევისათვის მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;</p> <p>ბ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც გასვლის ადრესატმა უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.</p>	<p><b>101</b></p>
<p>4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.</p>	<p>ზედმეტია 394-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითების შემთხვევაში</p>	<p><b>101</b></p>
<p>5. მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.</p>	<p>5. გასვლის ადრესატი უფლებამოსილია განუსაზღვროს მეორე მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.</p>	<p><b>119</b></p>
<p><b>მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება</b></p> <p>1. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი</p>	<p><b>მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება</b></p> <p>1. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ მხარეს [შესრულების შეუძლებლობის მუხლი] 1-ელი-მე-3 ნაწილების თანახმად, არ ევალება მისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება და გარემოება, რომელიც</p>	<p><b>119</b></p> <p><b>120</b></p>

<p>ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას.</p> <p>2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი იმ დროს დადგა, როცა კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.</p>	<p>მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით ან თუ მეორე მხარე იმ დროისთვის, როდესაც დადგა გარემოება, რომლისთვისაც ბრალი არც ერთ მხარეს არ მიუძღვის, მიღების ვადის გადაცილებაში იმყოფებოდა, მაშინ შესრულების მოვალეობისგან გათავისუფლებული მხარე ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას.</p>	
	<p>(2) თუმცა მან უნდა დაუშვას იმ ღირებულების გამოქვითვა, რაც მან შესრულების მოვალეობისგან გათავისუფლების შედეგად დაზოგა ან თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით შეიძინა ან ბოროტი განზრახვით არ შეიძინა.</p>	
	<p>(3) თუ მეორე მხარე [შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების საგნის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების დაბრუნების მუხლი] მიხედვით მოითხოვს ვალდებულებით გათვალისწინებული საგნისთვის ანაზღაურების სახით მიღებულის გადაცემას ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დათმობას, მაშინ ეს მეორე მხარე ვალდებულია განახორციელოს საპასუხო შესრულება. თუმცა ის, გარემოებებიდან გამომდინარე, პროპორციულად მცირდება, თუ ანაზღაურების ან ანაზღაურების მოთხოვნის ღირებულება ნაკლებია ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ღირებულებაზე.</p>	
<p><b>მუხლი 407. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას</b></p> <p>1. ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.</p> <p>2. ეს წესი არ გამოიყენება, როცა</p>	<p><b>მუხლი 407. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას</b></p> <p>1. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს, რომელიც გადის ხელშეკრულებიდან, შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.</p>	<p><b>121</b></p>

<p>ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.</p>	<p>2. ეს წესი არ გამოიყენება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მეორე მხარის ბრალით არ არის გამოწვეული.</p>	
<p><b>კარი მეოთხე</b></p> <p><b>ზიანის ანაზღაურების მოვალეობა</b></p> <p><b>მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა</b></p> <p>1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.</p> <p>2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.</p> <p>3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.</p> <p>4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.</p> <p><b>მუხლი 409. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა</b></p> <p>თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.</p> <p><b>მუხლი 410. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა (04.12.2009 N2284-IIS)</b></p>	<p>განთავსდეს მე-2 კარის მე-3 თავის სახით „შესრულების ვალდებულების შინაარსი“, 398-ე მუხლის შემდეგ</p>	<p><b>61</b></p>



<p>ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.</p> <p><b>მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის</b></p> <p>ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.</p> <p><b>მუხლი 412. ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა</b></p> <p>ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.</p> <p><b>მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის</b></p> <p>1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.</p> <p>2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.</p> <p><b>მუხლი 414. ზიანის ოდენობის განსაზღვრა</b></p> <p>ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს</p>		
---	--	--

<p>ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.</p> <p><b>მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში</b></p> <p>1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამონწვეული.</p> <p>2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი.</p>		
<p><b>თავი მესამე</b> <b>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება</b></p>	<p><i>განთავსდეს, როგორც</i></p> <p><b>კარი მეოთხე</b> <b>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება</b></p>	<p><b>63</b></p>
<p><b>მუხლი 390. ცნება</b></p> <p>1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია.</p>	<p><b>მუხლი 390. ცნება</b></p> <p>1. კრედიტორის ვადის გადაცილებაში აღმოჩნდება, თუ იგი არ იღებს მისთვის წესის შესაბამისად შემოთავაზებულ შესრულებას.</p>	<p><b>124</b></p>
<p>2. თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.</p>	<p>2. თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას წესისამებრ არ ასრულებს.</p>	
<p><b>მუხლი 391. კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</b></p> <p>კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო.</p>	<p><b>მუხლი 391. კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება</b></p> <p>კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შეთავაზებული შესრულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. 395-ე და 396-ე მუხლები გამოიყენება შესაბამისად.</p>	<p><b>125</b></p>
<p><b>მუხლი 392. მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ ვადის</b></p>	<p><b>მუხლი 392. მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ</b></p>	

<p><b>გადაცილებისას</b></p> <p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.</p>	<p><b>ვადის გადაცილებისას</b></p> <p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.</p>	
<p><b>მუხლი 393. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები</b></p> <p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად:</p> <p>ა) იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები;</p> <p>ბ) მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;</p> <p>გ) მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.</p>	<p><b>მუხლი 393. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები</b></p> <p>კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში:</p> <p>ა) იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები;</p> <p>ბ) მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;</p> <p>გ) მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.</p> <p>(2) ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც კრედიტორს მიღების ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის.</p>	<p><b>126</b></p>
<p><b>კარი მეხუთე</b></p> <p><b>მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი</b></p>	<p><b>კარი მეხუთე</b></p> <p><b>მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი</b></p>	
<p><b>მუხლი 416. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებათა სახეები</b></p> <p>მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.</p>	<p><b>მუხლი 416. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებათა სახეები</b></p> <p>მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.</p>	
<p><b>თავი პირველი</b> <b>პირგასამტეხლო</b></p>	<p><b>თავი პირველი</b> <b>პირგასამტეხლო</b></p>	

<p><b>მუხლი 417. ცნება</b></p> <p>პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.</p>	<p><b>მუხლი 417. ცნება</b></p> <p>პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.</p>	
<p><b>მუხლი 418. პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა</b></p> <p>1. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა (29.12.2016 N239-RS).</p> <p>2. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.</p>	<p><b>მუხლი 418. პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა</b></p> <p>1. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს ასანაზღაურებელ ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა (29.12.2016 N239-RS).</p> <p>2. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.</p>	<p><b>128</b></p>
<p><b>მუხლი 419. პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნის დაუშვებლობა</b></p> <p>1. კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.</p> <p>2. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><b>მუხლი 419. პირგასამტეხლოს გადახდა და ვალდებულების შესრულება</b></p> <p>1. კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.</p> <p>2. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><b>128</b></p>
<p><b>მუხლი 420. პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ</b></p> <p>სასამართლოს შეუძლია საქმის</p>	<p><b>მუხლი 420. პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს საშუალებით</b></p>	

<p>გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.</p>	<p>სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.</p>	
<p><b>თავი მეორე</b> <b>ბე</b></p>	<p><b>თავი მეორე</b> <b>ბე</b></p>	
<p><b>მუხლი 421. ცნება</b></p> <p>ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.</p>	<p><b>მუხლი 421. ცნება</b></p> <p>ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი ან ცხადდება სამომავლოდ ხელშეკრულების დადების ფაქტი. ხელშეკრულების მიმართ მოქმედი დებულებები ფორმის შესახებ, უცვლელი რჩება.</p>	<p><b>129</b></p>
<p><b>მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში</b></p> <p>ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.</p>	<p><b>მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში</b></p> <p>ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.</p>	
<p><b>მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში</b></p> <p>1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.</p> <p>2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	<p><b>მუხლი 423. ბე და ზიანის ანაზღაურება</b></p> <p>1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.</p> <p>2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.</p>	
<p><b>თავი მესამე</b></p>	<p><b>თავი მესამე</b></p>	

<p><b>მოვალის გარანტია</b></p>	<p><b>მოვალის გარანტია</b></p>	
<p><b>მუხლი 424. ცნება</b></p> <p>მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.</p>	<p><b>მუხლი 424. ცნება</b></p> <p>მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.</p>	
<p><b>მუხლი 425. გარანტიის ნამდვილობა</b></p> <p>გარანტია ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს, ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს.</p>	<p><b>მუხლი 425. გარანტიის ნამდვილობა</b></p> <p>გარანტია ჩაითვლება ნამდვილად, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს.</p> <p><i>ან ნაიშალოს, როგორც თავისთავად ცხადი.</i></p>	<p><b>131</b></p>
	<p><b>მუხლი ## გარანტიის ფარგლები</b></p> <p>თუ შესრულებას იმდენად მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი დაბრკოლება ექმნება, რომ მოვალეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე არ შეიძლება დაეკისროს გარანტიით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მაშინ დამდგარი გართულება არ იქნება მიჩნეული ნაკისრ რისკად.</p>	
<p><b>მუხლი 426. გარანტიის ფორმა</b></p> <p>გარანტია უნდა გაფორმდეს წერილობით.</p>	<p><i>სავარაუდოდ, აქ ნაიშალოს და გარანტიის ცალკეული ხელშეკრულებისთვის იქ განსხვავებულად დარეგულირდეს.</i></p>	<p><b>130</b></p>
<p><b>კარი მეექვსე ვალდებულების შეწყვეტა</b></p>	<p><b>კარი მეექვსე ვალდებულების შეწყვეტა</b></p>	
<p><b>თავი პირველი ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით</b></p>	<p><b>თავი პირველი ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით</b></p>	
<p><b>მუხლი 427. ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება</p>	<p><b>მუხლი 427. ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება</p>	

<p>კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).</p> <p><b>მუხლი 428. ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას.</p> <p><b>მუხლი 387. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა</b></p> <p>1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.</p> <p>2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.</p> <p>3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.</p> <p><b>მუხლი 388. სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი</b></p> <p>მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.</p>	<p>კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).</p> <p><b>მუხლი 428. ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას.</p> <p><b>მუხლი 387. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა</b></p> <p>1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.</p> <p>2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.</p> <p>3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა დაიფაროს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.</p> <p><b>მუხლი 388. სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი</b></p> <p>მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.</p>	
---	--	--

<p><b>მუხლი 429. ვალდებულების შესრულების მიღება</b></p> <p>1. კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>	<p><b>მუხლი 429. ვალდებულების შესრულების მიღება</b></p> <p>1. კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).</p>	<p><b>135</b></p>
<p>2. ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.</p>	<p>2. ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, [საჭიროების შემთხვევაში: „შედავების უფლებით“ ან „საპირისპიროს დამტკიცებამდე“] გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.</p>	<p><b>135</b></p>
<p>3. როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულა, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.</p>	<p>3. როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, [საჭიროების შემთხვევაში: „შედავების უფლებით“ ან „საპირისპიროს დამტკიცებამდე“], იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.</p>	
<p><b>მუხლი 430. შესრულების მიღების დოკუმენტების რეკვიზიტები</b></p> <p>კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.</p>	<p><b>მუხლი 430. შესრულების მიღების დოკუმენტების რეკვიზიტები</b></p> <p>კრედიტორის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.</p>	<p><b>136</b></p>
<p><b>მუხლი 431. სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ მოთხოვნის შესახებ გაცემულია სავალო საბუთი, მაშინ მოვალეს, შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად, შეუძლია მოითხოვოს ამ საბუთის დაბრუნება ან მისი გაუქმება. თუ კრედიტორს არ შეუძლია ამ საბუთის</p>	<p><b>მუხლი 431. სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება</b></p> <p>თუ მოთხოვნის შესახებ გაცემულია სავალო საბუთი, მაშინ მოვალეს, შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად, შეუძლია მოითხოვოს ამ საბუთის დაბრუნება ან მისი გაუქმება. თუ კრედიტორს არ შეუძლია ამ</p>	<p><b>137</b></p>



<p>დაბრუნება, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამონმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.</p>	<p>საბუთის დაბრუნება, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამონმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.</p>	
<p><b>მუხლი 432. შესრულების შესახებ დოკუმენტების გაცემის ხარჯების ანაზღაურება</b></p> <p>1. მოვალეს ეკისრება შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემის ხარჯები, თუ მასსა და კრედიტორს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>მუხლი 432. შესრულების შესახებ დოკუმენტების გაცემის ხარჯების ანაზღაურება</b></p> <p>1. მოვალეს ეკისრება ქვითრის გაცემის ხარჯები, თუ მასსა და კრედიტორს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	
<p>2. თუ კრედიტორი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას, მაშინ შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები ეკისრებათ კრედიტორს ან მის მემკვიდრეებს.</p>	<p>2. თუ კრედიტორი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან ადგილსამყოფელს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას ან ადგილსამყოფელზე, მაშინ ქვითრის გაცემასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები ეკისრებათ კრედიტორს ან მის მემკვიდრეებს.</p>	<p><b>138</b></p>
<p><b>მუხლი 433. უარი შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო</b></p> <p>თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.</p>	<p><b>მუხლი 433. უარი შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო</b></p> <p>თუ კრედიტორი უარს აცხადებს ქვითრის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა ქვითარში სავალო საბუთის დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება მიღების ვადის გადამცილებლად.</p>	<p><b>139</b></p>
<p><b>თავი მეორე ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით</b></p>	<p><b>თავი მეორე ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით</b></p>	
<p><b>მუხლი 434. ცნება</b></p> <p>1. თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების</p>	<p><b>მუხლი 434. ცნება</b></p> <p>1. თუ კრედიტორი აყოვნებს</p>	

<p>მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.</p>	<p>შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.</p>	
<p>2. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.</p>	<p>2. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან, თუ ის უარს განაცხადებს უკან წაღებაზე.</p>	<p><b>141</b></p>
<p><b>მუხლი 435. დეპონირებული ქონების გადაცემა კრედიტორისათვის</b></p> <p>დეპონირებული ქონება მოსამართლემ ან ნოტარიუსმა უნდა გადასცეს კრედიტორს. სასამართლო ან ნოტარიუსი შეარჩევს შემნახველს, დოკუმენტები კი მათთან რჩება.</p> <p><b>მუხლი 436. დეპონირებაუნარიანი საგნები</b></p> <p>საგანი უნდა იყოს შესანახად ვარგისი. მალფუჭებადი საგნები შესანახად არ მიიღება.</p> <p><b>მუხლი 437. შენახვის ადგილი</b></p> <p>შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით.</p> <p><b>მუხლი 438. კრედიტორისაგან საგნის მიღების მოთხოვნა</b></p> <p>შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ სასამართლო ან ნოტარიუსი ატყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას.</p> <p><b>მუხლი 439. შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება</b></p> <p>შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს.</p>	<p><b>მუხლი 435. დეპონირებული ქონების გადაცემა კრედიტორისათვის</b></p> <p>დეპონირებული ქონება მოსამართლემ ან ნოტარიუსმა უნდა გადასცეს კრედიტორს. სასამართლო ან ნოტარიუსი შეარჩევს შემნახველს, დოკუმენტები კი მათთან რჩება.</p> <p><b>მუხლი 436. დეპონირებაუნარიანი საგნები</b></p> <p>საგანი უნდა იყოს შესანახად ვარგისი. მალფუჭებადი საგნები შესანახად არ მიიღება.</p> <p><b>მუხლი 437. შენახვის ადგილი</b></p> <p>შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით.</p> <p><b>მუხლი 438. კრედიტორისაგან საგნის მიღების მოთხოვნა</b></p> <p>შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ სასამართლო ან ნოტარიუსი ატყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას.</p> <p><b>მუხლი 439. შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება</b></p> <p>შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს.</p>	

<p><b>440. შენახული საგნის უკან გამოთხოვა მოვალის მიერ</b></p> <p>1. მოვალეს უფლება აქვს შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკანვე მოითხოვოს, თუ მან თავიდანვე უარი არ თქვა უკან დაბრუნებაზე. თუ მოვალე უკან ითხოვს საგანს, მაშინ ითვლება, რომ შენახვა არ შემდგარა.</p>	<p><b>440. შენახული საგნის უკან გამოთხოვა მოვალის მიერ</b></p> <p>1. მოვალეს უფლება აქვს შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკანვე მოითხოვოს, თუ მან თავიდანვე უარი არ თქვა უკან დაბრუნებაზე. თუ მოვალე უკან ითხოვს საგანს, მაშინ ითვლება, რომ შენახვა არ შემდგარა.</p>	
<p>2. მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე, ან თუ გავიდა 441-ე მუხლით განსაზღვრული ვადა.</p>	<p>2. მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე, ან თუ გავიდა 441-ე მუხლით განსაზღვრული ვადა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მოვალემ უკან წაღებაზე უარი განაცხადა.</p>	<b>141</b>
<p>3. თუ მოვალე საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება.</p>	<p>3. თუ მოვალე საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება.</p>	
<p><b>მუხლი 441. შესრულების საგნის შენახვის ვადა</b></p> <p>სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად.</p>	<p><b>მუხლი 441. შესრულების საგნის შენახვის ვადა</b></p> <p>სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად.</p>	
<p><b>თავი მესამე ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით</b></p>	<p><b>თავი მესამე ვალდებულების შეწყვეტა გაქვითვით</b></p>	
<p><b>მუხლი 442. ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობა</b></p> <p>1. ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა.</p>	<p><b>მუხლი 442. ვალდებულებათა გაქვითვადობა</b></p> <p>1. მოვალეს შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის (ძირითადი მოთხოვნა) დაკმაყოფილება კრედიტორის მიმართ თავისი კუთვნილი, მსგავსი,</p>	<b>143</b> <b>144</b>

<p>2. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.</p>	<p>ვადამოსული და განხორციელებადი საპირისპირო მოთხოვნის გაქვითვის გზით, თუ ძირითადი მოთხოვნა შესრულებადია.</p> <p>2. გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.</p>	
<p><b>მუხლი 443. გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას</b></p> <p>მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.</p>	<p><b>მუხლი 443. გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას</b></p> <p>საპასუხო მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ძირითადი მოთხოვნით ჯერ კიდევ შეიძლებოდა.</p>	
<p><b>მუხლი 444. გასაქვითი მოთხოვნები</b></p> <p>თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.</p>	<p><b>მუხლი 444. გაქვითვის სამართლებრივი შედეგი</b></p> <p>ერთმანეთის მიმართ გაქვითული მოთხოვნები უქმდება, თუ ისინი ერთმანეთს ფარავენ.</p>	<p><b>145</b></p>
<p><b>მუხლი 445. რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც ეცნობა გაქვითვის შესახებ, აქვს რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა, მაშინ გამოიყენება 387-ე მუხლის წესები.</p> <p>2. თუ მხარეს მეორე მხარის წინაშე, ძირითადი ვალდებულების გარდა, ეკისრება პროცენტებისა და სხვა ხარჯების გადახდაც, მაშინ გამოიყენება 388-ე მუხლის წესები.</p>	<p><b>მუხლი 445. რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა</b></p> <p>1. თუ ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ რამდენიმე მსგავსი მოთხოვნა და მოავლე აცხადებს გაქვითვას, მაშინ იმის დადგენა, თუ რომელი მოთხოვნები გაუქმდება გაქვითვის შედეგად, ხორციელდება 387-ე მუხლის [საჭიროების შემთხვევაში მისადაგებულ იქნეს: 387] მიხედვით.</p> <p>2. თუ მხარეს მეორე მხარის წინაშე, ძირითადი ვალდებულების გარდა, ეკისრება პროცენტებისა და სხვა ხარჯების გადახდაც, მაშინ გამოიყენება 388-ე მუხლის [საჭიროების შემთხვევაში მისადაგებულ იქნეს: 388] წესები.</p>	<p><b>146</b></p>
<p><b>მუხლი 446. ვალდებულებათა გაქვითვა შესრულების სხვადასხვა ადგილის</b></p>	<p><b>მუხლი 446. ვალდებულებათა გაქვითვა შესრულების სხვადასხვა</b></p>	

<p><b>არსებობისას</b></p> <p>ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როცა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი.</p>	<p><b>ადგილის არსებობისას</b></p> <p>ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როცა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი.</p>	
<p><b>მუხლი 447. მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობა</b></p> <p>მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია:</p> <p>ა) თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;</p> <p>ბ) თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო;</p> <p>გ) თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამონვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ან სიკვდილით;</p> <p>დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p><b>მუხლი 447. მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობა</b></p> <p>მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია:</p> <p>ა) თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;</p> <p>ბ) თუ ძირითადი მოთხოვნა არ ექვემდებარება დაყადაღებას, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება კრედიტორის მიერ სარჩოს მოთხოვნას;</p> <p>გ) თუ საპასუხო მოთხოვნა ეფუძნება კრედიტორის ჯანმრთელობის დაზიანებას ან მისთვის ვნების მიყენებას ან სიცოცხლის მოსპობას;</p> <p>დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p><b>147</b></p>
<p><b>თავი მეოთხე ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით</b></p>	<p><b>თავი მეოთხე ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით</b></p>	
<p><b>მუხლი 448. ცნება</b></p> <p>ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.</p>	<p><b>მუხლი 448. ცნება</b></p> <p>ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.</p>	
<p><b>მუხლი 449. ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის</b></p> <p>ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა</p>	<p><i>დარეგულირდეს 472-ე მუხლის წინ</i></p>	<p><b>149</b></p>

<p>გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.</p>		
<p><b>მუხლი 450. ძირითადი მოვალისათვის ვალის პატიების შედეგები</b></p> <p>1. ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირებსაც.</p> <p>2. თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან.</p> <p>3. ერთ-ერთი თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც.</p>	<p>დარეგულირდეს 891-ე და შემდგომ მუხლებთან</p>	<p><b>150</b></p>
<p><b>მუხლი 451. ორმხრივ ხელშეკრულებებში მოთხოვნაზე უარის თქმის შედეგები</b></p> <p>ორმხრივ ხელშეკრულებებში ერთ-ერთი მხარის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმა არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. იგი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობანი, ვიდრე მეორე მხარესაც არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნაზე.</p>	<p><b>მუხლი 451. უარის თქმის შედეგები ორმხრივ ხელშეკრულებაში</b></p> <p>ერთ-ერთი მხარის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის მოთხოვნაზე უარის თქმა არ იწვევს მისი ვალდებულების შეწყვეტას, სანამ მეორე მხარესაც არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნაზე.</p>	<p><b>151</b></p>
<p><b>თავი მეოთხე ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები</b></p>	<p><b>თავი მეოთხე ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები</b></p>	
<p><b>მუხლი 452. ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება.</p>	<p><b>მუხლი 452. ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება</b></p> <p>ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა მოვალის ვალდებულებასთან ერთ პირში გაერთიანდება.</p>	<p><b>152</b></p>
<p><b>მუხლი 453. ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო</b></p> <p>1. მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ</p>	<p><b>მუხლი 453. ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო</b></p> <p>1. მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ</p>	

<p>შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე.</p> <p>2. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.</p>	<p>შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე.</p> <p>2. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება პირადად კრედიტორის მიმართ უნდა განხორციელებულიყო.</p>	
<p><b>მუხლი 454. ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო</b></p> <p>იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან.</p>	<p><b>მუხლი 454. ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციისას</b></p> <p>იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი არსებობის შეწყვეტის რეგისტრაციით.</p>	<b>154</b>
<p><b>კარი მეშვიდე</b></p> <p><b>კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში</b></p>	<p><b>კარი მეშვიდე</b></p> <p><b>კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში</b></p>	
<p><b>თავი პირველი</b></p> <p><b>სოლიდარული კრედიტორები</b></p>	<p><b>თავი პირველი</b></p> <p><b>სოლიდარული კრედიტორები</b></p>	
<p><b>მუხლი 455. სოლიდარული უფლებამოსილება</b></p> <p>თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს – სოლიდარულ კრედიტორებს.</p> <p><b>მუხლი 456. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები</b></p> <p>სოლიდარული უფლებამოსილება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.</p>	<p><b>მუხლი 455. სოლიდარული უფლებამოსილება</b></p> <p>თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს – სოლიდარულ კრედიტორებს.</p> <p><b>მუხლი 456. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები</b></p> <p>სოლიდარული უფლებამოსილება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.</p>	
<p><b>მუხლი 457. ვალდებულების შესრულება ნებისმიერი კრედიტორის წინაშე</b></p> <p>მოვალეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულება შეასრულოს ნებისმიერი კრედიტორის</p>	<p><b>მუხლი 457. ვალდებულების შესრულება ნებისმიერი კრედიტორის წინაშე</b></p> <p>მოვალეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულება</p>	<b>157</b>

<p>წინაშე, თუკი ერთ-ერთ კრედიტორს მისთვის არ წაუყენებია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.</p>	<p>შეასრულოს ნებისმიერი კრედიტორის წინაშე. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ერთ-ერთ კრედიტორს მის წინააღმდეგ შეტანილი აქვს სარჩელი შესრულების მოთხოვნით.</p>	
<p><b>მუხლი 458. ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი კრედიტორისათვის</b></p> <p>ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისათვის ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს მოვალეს დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულებისაგან.</p>	<p><b>მუხლი 458. ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი კრედიტორისათვის</b></p> <p>ერთ-ერთი კრედიტორისათვის ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს მოვალეს დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულებისაგან.</p>	
<p><b>მუხლი 459. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის უარის თქმის შედეგები</b></p> <p>თუ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი უარს იტყვის მოვალის წინაშე მოთხოვნაზე, მაშინ მოვალე თავისუფლდება მხოლოდ იმ ნაწილის გადახდისაგან, რომელიც მოცემულ კრედიტორს ერგებოდა.</p>	<p><b>მუხლი 459. ერთ-ერთი კრედიტორის მიერ ვალის პატიების შედეგები</b></p> <p>თუ ერთ-ერთი კრედიტორი მოვალეს ვალს აპატიებს, მაშინ დანარჩენ კრედიტორებს შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ ერთი მოთხოვნა იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მოცემულ კრედიტორს ერგებოდა.</p>	<p><b>158</b></p>
<p><b>მუხლი 460. სხვა კრედიტორთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების დაუშვებლობა</b></p> <p>მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვა კრედიტორთანაა დაკავშირებული.</p>	<p><b>მუხლი 460. ფაქტების ინდივიდუალური მოქმედება</b></p> <p>მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვა კრედიტორის პიროვნებასთანაა დაკავშირებული.</p>	<p><b>159</b></p>
<p><b>მუხლი 461. სოლიდარული კრედიტორის მემკვიდრეთა უფლებები</b></p> <p>თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება.</p>	<p><i>მისადაგებულ იქნეს დებულებებთან თანამემკვიდრეების შესახებ</i></p> <p><b>მუხლი 461. სოლიდარული კრედიტორის მემკვიდრეთა უფლებები</b></p> <p>თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება.</p>	<p><b>160</b></p>



<p><b>მუხლი 462. სოლიდარული კრედიტორის მოვალეობა დანარჩენი სოლიდარული კრედიტორების წინაშე</b></p> <p>1. სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.</p> <p>2. სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის სხვა რამ არ არის დადგენილი.</p>	<p><b>მუხლი 462. სოლიდარული კრედიტორის მოვალეობა დანარჩენი სოლიდარული კრედიტორების წინაშე</b></p> <p>1. სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.</p> <p>2. სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.</p>	<p><b>161</b></p>
<p><b>თავი მეორე სოლიდარული მოვალეები</b></p>	<p><b>თავი მეორე სოლიდარული მოვალეები</b></p>	
<p><b>მუხლი 463. სოლიდარული ვალდებულება</b></p> <p>თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.</p>	<p><b>მუხლი 463. სოლიდარული ვალდებულება</b></p> <p>თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ ყოველმა მათგანმა უნდა განახორციელოს მთლიანი ვალდებულების შესრულება, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.</p>	<p><b>162</b></p>
<p><b>მუხლი 464. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები</b></p> <p>სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.</p> <p><b>მუხლი 465. კრედიტორის უფლება, მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისაგან</b></p> <p>კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი</p>	<p><b>მუხლი 464. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები</b></p> <p>სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.</p> <p><b>მუხლი 465. კრედიტორის უფლება, მოითხოვოს შესრულება ყოველი მოვალისაგან</b></p> <p>კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების</p>	

<p>მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.</p>	<p>მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.</p>	
<p><b>მუხლი 466. სოლიდარული მოვალის შესაგებელი კრედიტორის მიმართ</b></p> <p>სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომლებიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ, ან რომლის უფლებაც მარტო მას აქვს, ან იგი საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის.</p>	<p><b>მუხლი 466. სოლიდარული მოვალის შესაგებელი კრედიტორის მიმართ</b></p> <p>სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომელიც მთლიანად ვალდებულებას ეხება ან მხოლოდ ამ მოვალის პიროვნებასთან დაკავშირებით არსებობს ან საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის.</p>	<p><b>163</b></p>
<p><b>მუხლი 467. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შედეგები</b></p> <p>ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ.</p>	<p><b>მუხლი 467. შესრულება</b></p> <p>ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება ათავისუფლებს დანარჩენ მოვალეებსაც. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ. შეუძლებელია ერთი სოლიდარული მოვალის კუთვნილი საპირისპირო მოთხოვნით, დანარჩენი მოვალეების მიერ ძირითადი მოთხოვნის გაქვითვა.</p>	<p><b>165</b></p>
<p><b>მუხლი 468. სხვა სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების დაუშვებლობა</b></p> <p>ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	<p><b>მუხლი 468. სხვა სოლიდარულ მოვალის პიროვნების მიმართ ფაქტების გამოყენების დაუშვებლობა</b></p> <p>ფაქტები, რომლებიც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის პიროვნებას ეხება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.</p>	
<p><b>მუხლი 469. სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ</b></p> <p>სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.</p>	<p><b>მუხლი 469. სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ</b></p> <p>სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.</p>	

<p><b>მუხლი 470. შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები</b></p> <p>1. კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისაგან შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები ძალაშია დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.</p> <p>2. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.</p>	<p><b>მუხლი 470. შესრულების მიღების დაყოვნების და მოვალის მიერ ვადის გადაცილების შედეგები</b></p> <p>1. თუ კრედიტორი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ შესრულების მიღებას აყოვნებს, მისი შედეგები ძალაშია დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.</p> <p>2. თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე შესრულების ვადას გადააცილებს, დაყოვნების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.</p>	<p><b>166</b></p>
<p><b>მუხლი 471. სოლიდარული მოვალის მემკვიდრეთა უფლებები</b></p> <p>თუ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეული მათგანი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა თავ-თავისი სამკვიდრო წილის შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოთხოვნა განუყოფადია.</p>	<p><i>მისადაგებულ იქნეს დებულებებთან თანამემკვიდრეების შესახებ</i></p>	<p><b>167</b></p>
<p><b>მუხლი 449. ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის</b></p> <p>ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.</p>	<p><b>მუხლი 449. ვალის პატიების და კრედიტორის მოთხოვნის ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან გაერთიანების შედეგები</b></p> <p>(1) ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში მოთხოვნა უქმდება იმ მოცულობით, რომლითაც შეეძლებოდათ მათ სოლიდარული მოვალისგან გათანაბრების მოთხოვნა.</p>	<p><b>168</b></p>
<p><b>მუხლი 472. კრედიტორის მოთხოვნის გაერთიანება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან</b></p> <p>თუ კრედიტორის მოთხოვნა ერთიანდება</p>	<p>(2) თუ კრედიტორის მოთხოვნა ერთიანდება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან, მაშინ დანარჩენ</p>	

<p>ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან, მაშინ დანარჩენ მოვალეთა მიმართ ვალდებულება წყდება იმ ოდენობით, რაც ამ მოვალის წილზე მოდიოდა.</p>	<p>მოვალეთა მიმართ ვალდებულება წყდება იმ მოცულობით, რომლითაც მათ სოლიდარული მოვალისგან გათანაბრების მოთხოვნა შეეძლებოდათ.</p>	
<p><b>მუხლი 473. უკუმოთხოვნის უფლება ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებისას</b></p> <p>1. მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p> <p>2. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით.</p>	<p><b>მუხლი 473. სოლიდარული მოვალეების ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ</b></p> <p>1. თუ სოლიდარული მოვალე დააკმაყოფილებს კრედიტორს, მას აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.</p> <p>2. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით.</p>	<p><b>169</b></p>
<p><b>მუხლი 474. სოლიდარული მოვალის ვალაუვალობის შედეგები</b></p> <p>თუ ერთ-ერთი მოვალეთაგანი ვალაუვალი აღმოჩნდება, მაშინ მისთვის განსაზღვრული წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის.</p>	<p><b>მუხლი 474. სოლიდარული მოვალის დანაკარგი</b></p> <p>თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისგან მის მიერ გადასახდელი წილის მიღება შეუძლებელია, მაშინ ეს დანაკარგი ნაწილდება ყველა სხვა მოვალეს შორის, რომელსაც ეკისრება წილების გათანაბრების მოვალეობა. 473-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოქმედებს შესაბამისად.</p>	<p><b>170</b></p>
<p><b>მუხლი 475. სოლიდარული მოვალის კომპენსაცია</b></p> <p>თუ სოლიდარულმა მოვალემ მიიღო სარგებელი სოლიდარული ვალდებულებიდან, მაშინ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ასეთი სარგებელი არ მიუღია, შეუძლია მოსთხოვოს მას დაკმაყოფილება თავისი ვალდებულების შესასრულებლად.</p>	<p><b>მუხლი 475. სოლიდარული მოვალის კომპენსაცია</b></p> <p>თუ სოლიდარულმა მოვალემ მიიღო სარგებელი სოლიდარული ვალდებულებიდან, მაშინ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ასეთი სარგებელი არ მიუღია, შეუძლია მოსთხოვოს მას დაკმაყოფილება თავისი ვალდებულების შესასრულებლად.</p>	
<p><b>მუხლი 476. ხანდაზმულობის ვადის</b></p>	<p><b>მუხლი 476. ხანდაზმულობის ვადის</b></p>	

<p><b>გასვლის შედეგები</b></p> <p>ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.</p>	<p><b>გასვლის შედეგები</b></p> <p>ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.</p>	
---	---	--